საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№36 (223)
2 - 8 ოქტომბერი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



„ივანიშვილმა აღიარა, რომ წლების მანძილზე თვითონაც გულუხვად აფინანსებდა სოროსის ფონდისა და თავისუფლების ინსტიტუტის იდეების დანერგვას საქართველოში და ისე გააძლიერა სააკაშვილის რეჟიმი, რომ ბოლოს თავად ივანიშვილს, ანუ მამასა და მარჩენალსაც დაუწყეს რქენა. ასე რომ, განსხვავება ჯორჯსა და ბიძინას შორის მხოლოდ ინიციალებშია, თორემ ფულით ორივენი იმ რეჟიმს ასაზრდოებდნენ და აძლიერებდნენ, რომელსაც ქართველმა ხალხმა „ნაციონალური ჭირი“ შეარქვა.“

14

# სოროსი ისევ რულავს

# თურქული მარყუჟი და «ქართული ოცნება»

2



3

# ბიძინა მრისხანე და ახალი ქართული ოპრიჩნინა

„ძალიან ბევრი ადამიანი თანახმაა, გადასცეს ივანიშვილს ნებისმიერი უფლებები, ოღონდაც ის რაიმე ფორმით გადადგომის შემდეგ პროცესების მოდერატორად დარჩეს“

4 მიშიზმის დაისი თუ ზომბი-აპოკალიფსი?

5 რა კომპრომატები აქვს ადეიშვილს ივანიშვილზე?

6 «თუ პრემიერს ასე ძალიან ენატრება ადეიშვილი, შეუძლია «ქართუში» დაასაქმოს»

8 «ივანიშვილი უნდა წავიდეს და რაც შეიძლება მალე»

9 «საქართველოში თურქეთიზაცია მიმდინარეობს»

11 «ახალ პრემიერს არანაირი პოლიტიკური მხარდაჭერა არ ექნება»

12 «ქვეყანას სააკაშვილი კი არა, «თავისუფლების ინსტიტუტი» მართავდა»

15 «აშშ პირველი პატრიოტი» პირველი მოღალატე ყოფილა

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თურქეთი, როგორც ამერიკისა და ნატოს ერთადერთი სოლიდური მოკავშირე რეგიონში, უფრო ხელსაყრელია, ზედამხედველობდეს საქართველოს, ვიდრე ეს გააკეთონ უშუალოდ ამერიკელებმა და ამის გამო მუდმივი კონფრონტაცია ჰქონდეთ რუსეთთან... რაკი პირდაპირი გზით ჩვენს გაწევრიანებას არც ნატოს წევრები უჭერენ მხარს და არც რუსეთი გვანებებს, ჯობია, ნატოში გავწევრიანდეთ თურქეთთან შეერთების გზით, რადგან თურქეთი უკვე ნატოს წევრია.**

# თურქული მარყუჟი და «ქართული ოცნება»

**სააკაშვილის სიტყვით გამოსვლა გაეროში მის ნასუფრალზე დასუქებულმა მღრღნელებმა ლამის ციცერონის მეორედ მოსვლად შეაფასეს, ამერიკიდან დაბრუნებულ მიხეილს კი აეროპორტში ისე დახვდნენ, თითქოს გოლიათზე გამარჯვებული დავითი ყოფილიყოს — ტელეარხებზე შავი ჭირის ეპიდემიასავით მოდებული თურქული სერიალების ყურებაც კი მიატოვეს, რათა აეროპორტში ჰალსტუხილექია მთავარსარდლისთვის ხოტბა შეესხათ. პარალელურად კი თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ აისაფის მისიაში გამგზავრებამდე ქართველი სამხედროები, საქართველოს ისტორიაში პირველად, ჯუმა მეჩეთში მიიყვანა, ხალიჩაზე ფეხშიშველნი მაჰმადიანური წესით ჩამუხლა და მათთვის ჰელმანდისკენ გზა სრულიად მუსლიმთა კავშირის შეიხს — ვაგიფ აქპეროვს დაალოცვინა...**



შემდგარ სახელმწიფოზე რა მოგახსენოთ, მაგრამ შემდგარ პალატას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ნამდვილად ჰგავს საქართველო, თან, თუ გავითვალისწინებთ, რომ მთავარი ექიმი (ის, ვისაც პაციენტებისთვის, ჩვენი აზრით, უნდა ემკურნალა), წარამარა გაიძახის: წავალ და კლინიკას გიჟების ამარა დავტოვებო, არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ვართ.

**გარდა იმისა, რომ გაეროში სიტყვით გამოვიდა, შეურაცხყოფა მიაყენა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მოეხდინა ქართული საზოგადოებისა და ზოგადად, მართლმადიდებლობის ერთმანეთისგან დისტანცირება, სააკაშვილი იქ ქართულ დიასპორასაც შეხვდა.** „დიასპორელები“ მას ხან „ნამდვილ აღმაშენებელს“ უწოდებდნენ, ხან საქართველოს აყვავებისთვის უხდიდნენ მადლობას და შორსმჭვრეტელობას, ნიჭს, სიმამაცეს უქებდნენ, ხანაც სინანულს გამოთქვამდნენ, რომ მის მიერ აყვავებულ საქართველოში ვერ მოუწიათ ცხოვრება.

გაუგებარია, რას უთვლიდნენ ისინი სააკაშვილს ქვეყნის აყვავებაში: ტერიტორიების დაკარგვას, ათიათასობით ადამიანისთვის ქონების წართმევას, ლამის ყოველი მესამე ქართველის ციხეში გამომწყვდევას, ჰალსტუხის ღეჭვას, ცოცხის საოხრესავით ტრიალს... მაგრამ სავსებით ალოგიკურია დიასპორელების სინანული, რომ სააკაშვილის მიერ აყვავებულ საქართველოში ვერ მოუწიათ ცხოვრება. **თუ ასე სჯეროდათ სააკაშვილის წარმატებების და ასე სურდათ მის მიერ აყვავებულ ჯორჯიაში ცხოვრება, რას გაიქცნენ ამერიკაში, რას ასკდებიან იქ ჰამბურგერს და კოკა-კოლას?! ჩამოსულიყვნენ, ხინკალი ეჭამათ, ზედ ჭაჭა ან „მანავის მწვანე“ დაეყოლებინათ და აქაურ გურჯებთან ერთად ეგემნათ ფარშევანგის ბუნდღის ალაგას გაჩრილი ცოცხის გემო.**

მათი ეს გაოცება და სინანული გასაკვირი სულაც არ არის. ცხრა წლის მანძილზე და მათ შორის დიასპორასთან შეხვედრის დროსაც სააკაშვილმა კარგად შეფუთა საკუთარი დანაშაულებრივი მოღვაწეობა. ის ცრუობდა, როგორც პათოლოგიური მატყუარა, იყენებდა იაფფასიან ორატორულ ილეთებს, რომელმაც მხოლოდ გონებაშეზღუდულ მსმენელზე შეიძლება იქონიოს გავლენა. **სააკაშვილმა მოიშველია არარსებული სტატისტიკა, მიღწევები, ათასგვარი ციფრები, რომლებიც თავში მოუვიდა და, ჩვეულებისამებრ, ყირაზე დააყენა კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის, პოლონეთის, ფინეთის, რუსეთის, ევროპის ისტორია. საერთოდ, სააკაშვილს მსოფლიო ისტორიის საკუთარი ვერსია აქვს, რომელიც ეფუძნება ერთადერთ ისტორიულ წყაროს — აღგზნებული ტვინის ავადმყოფურ ფანტაზიას.** თუმცა მოდით, კომპეტენტურ ადამიანებს მივანდოთ და რამდენიმე ძირითადი მესიჯი განვიხილოთ, რომლებიც სააკაშვილმა დიასპორასთან შეხვედრაზე გაახმიანა.

სააკაშვილის მიხედვით, თურმე მისი ოპოზიცია იმდენად მოღალატური სულისკვეთების იყო და ისე პირნათლად ასრულებდა „მეხუთე კოლონის“ ფუნქციებს, რომ რატომღაც მხოლოდ არჩევნების წინ გაიხსენა, რომ დავითგარეჯის ნაწილი (პრეზიდენტის სიტყვებით, „სხვათა შორის მცირე ნაწილი“) აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. **დიახ, დიასპორასთან შეხვედრისას მან ქართულ საზოგადოებას გვისაყვედურა, რაღა არჩევნების წინ გაგახსენდათ, რომ აზერბაიჯანი ზოგიერთ ბერს სალოცავად არ უშვებდა თავის** (იგულისხმა აზერბაიჯანის. — რედ.) **სახელმწიფო ტერიტორიაზეო. სააკაშვილმა დავითგარეჯის სადავო ტერიტორია ღიად მოიხსენია აზერბაიჯანის სახელმწიფო ტერიტორიად და დიასპორელთაგან არც ერთს ამაზე კითხვა და პროტესტი არ გასჩენია.**

**ალასანიას მიერ ქართული მხედრობის ჯუმა მეჩეთში ჩამუხლვა სხვა არაფერია, თუ არა მკაფიო სიგნალი — ჩვენ საქართველოს თურქიზაციის პოლიტიკას სააკაშვილზე ბეჯითად გავაგრძელებთო**

მიუხედავად იმისა, რომ დიასპორელებისადმი მისი მიმართვა ბოდვას უფრო ჰგავდა, ვიდრე ქვეყნის პირველი პირის ლოგიკურ ნააზრევს, მაინც **თვალშისაცემი იყო ის გარემოება, რომ ამ ბოდვაში მან რუსეთი უკვე დაშალა მარტივ მამრავლებად, ამ ქვეყნის დაცემა და დანაწევრება მომხდარ ფაქტად გამოაცხადა და დავით აღმაშენებელს გადასწვდა.** ვრცელი ციტატით რომ არ დაგღალოთ, მოკლედ გეტყვით, პრეზიდენტმა „დიასპორელებს“ ასეთი რამ უთხრა: **მონღოლების შემოსევის დროს რომ ემეფა, აღმაშენებელი ვერაფერი მეფე ვერ იქნებოდა, მას ძალიან გაუმართლა, რომ მაშინ გამეფდა, როცა თურქსელჩუკები უკვე დაშლილები იყვნენ და ეს შანსი გამოიყენა. მეც გამიმართლა — ხელისუფლებაში ისეთ დროს მოვედი, რუსეთი რომ უკვე იშლება, მაგრამ გამყიდველმა ოპოზიციამ და „მეხუთე კოლონის“ გულისთქმას აყოლილმა ქართველებმა ეს შანსი დამაკარგვინესო.**

ანუ, რომ არა ქართული საზოგადოება, აღმაშენებელზე დიადი მმართველი ვიქნებოდიო, და ამაში არც არავინ შედავებია... ეს არც არის სადავო, მისი ცხრაწლიანი საქმიანობის მთავარი მიზანი იყო საქართველო იმ გაგებით, იმ შინაარსით ქართველების გარეშე, როგორც ჩვენ საკუთარ თავს აღვიქვავთ. **სააკაშვილისთვის და მისი ხელისუფლებისთვის ქართველი არის მხოლოდ სტატისტიკური ერთეული, რომელიც ბრმად აღფრთოვანდება მისი ბოდვით, ბრმად დაუჭერს მხარს ყველა პათოლოგიურ იდეას და, რაც მთავარია, შეეგუება იმ მიზნის განხორციელებას, რომლის შესახებაც აქამდეც ვიცოდით, მაგრამ დღითიდღე ეს ფარული მიზანი უფრო და უფრო ნათელი, ცხადი და აშკარა ხდება.**

საქმე ისაა, რომ იქაც კი, ამერიკაში, ქართულ დიასპორასთან შეხვედრისას სააკაშვილმა ვერ დამალა თავისი პოლიტიკის მთავარი მიზანი. მას იქაც კი წამოსცდა, რომ **„თურქეთი არის ჩვენი მთავარი ლოკომოტივი ნატოში... თურქეთის გარეშე ნატოში ჩვენ არავინ მიგვიღებს და მივაღწიეთ თურქეთთან იმას, რომ ბოლო სამი წელია, აქტიურად ლობირებენ ჩვენს მიღებას ნატოში“.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამას წინათ სააკაშვილმა ათას თურქს საქართველოს მოქალაქეობა მისცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სააკაშვილის ყოფილი ხელქვეითი და თანაგუნდელი ირაკლი ალასანია ავღანეთში გამგზავრებამდე საზარბაზნე ხორცს — ქართველ ჯარისკაცებს მეჩეთში აჩოქებდა და შეიხს ალოცვინებდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული ტელესივრცე ნელ-ნელა დაიპყრო პროპაგანდისტული ხასიათის თურქულმა პროდუქციამ, რომ აჭარა ფინანსურად და ეკონომიკურად უკვე თურქეთის დანამატად იქცა, რომ (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან) ათიათასობით ადამიანი თურქეთშია გადახვეწილი, რათა იქ ძირითადად ჩაის, თხილის პლანტაციებში მოჯამაგირედ გროშებზე იმუშაოს და ამით ირჩინოს თავი, ცხადია, რომ ვაშინგტონი თავის საქმეს კავკასიაში თურქეთის ხელით აკეთებს.

**თურქეთი, როგორც ამერიკისა და ნატოს ერთადერთი სოლიდური მოკავშირე რეგიონში, უფრო ხელსაყრელია, ზედამხედველობდეს საქართველოს, ვიდრე ეს გააკეთონ უშუალოდ ამერიკელებმა და ამის გამო მუდმივი კონფრონტაცია ჰქონდეთ რუსეთთან.**

სააკაშვილი მართალია — თურქეთი მართლაც „არის ჩვენი ლოკომოტივი ნატოში“ და, მან რომ ამ ორგანიზაციაში შეგვათრიოს, ამისთვის საჭიროა, შემადგენლობის ნაწილი გავხდეთ. „ნაციონალური მოძრაობაც“, როგორც პოლიტიკური ძალა, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ „მთავარი ლოკომოტივის“ გავლენა საქართველოზე მაქსიმალურად გააძლიეროს. **მარტივად რომ ვთქვათ, რაკი პირდაპირი გზით ჩვენს გაწევრიანებას არც ნატოს წევრები უჭერენ მხარს და არც რუსეთი გვანებებს, ჯობია, ნატოში გავწევრიანდეთ თურქეთთან შეერთების გზით, რადგან თურქეთი უკვე ნატოს წევრია.** ანუ, რაც უფრო გაძლიერდება საქართველოზე თურქეთის გავლენა, რაც უფრო მეტი რეგიონი იქნება ფინანსურად და ეკონომიკურად თურქეთზე მიბმული, რაც უფრო მალე მოიშლება ყარსის ხელშეკრულების მექანიზმები და რაც უფრო მალე გამოაცხადებს ანკარა საქართველოს თავის ვილაიეთად, მით უფრო მალე და ადვილად შესრულდება ის ამოცანა, რომლისთვისაც თავის დროზე ამერიკელებმა რეფორმატორად წოდებული ხელისუფლება მოგვახვიეს თავს.

**ერთადერთი, ვინც დღემდე სააკაშვილის გეგმებს უშლიდა ხელს ქართველობის დაყოლიებაზე ამ ვერაგული ჩანაფიქრისადმი — ნატოსა და ევროკავშირის ეგიდით თურქეთის ვილაიეთად გადაქცევაში, ეს იყო მართლმადიდებლური ეკლესია.** ამიტომაც ყველა რესურსით ყველა ფრონტზე უტევდა „ნაცმოძრაობა“ ეკლესიას, თუმცა ცდილობდა, რომ საზოგადოებასთან ევროკავშირზე, ნატოზე ესაუბრა და ამით შეენიღბა რეალური მიზანი, რომ საქართველო აშშ-ის სამხედრო პოლიტიკურ მოკავშირეს, თურქეთს, უნდა გადაეცეს.

თუმცა, როგორც ჩანს, შემკვეთებმა სააკაშვილს ვადები შეუმცირეს, საბოლოო შედეგის დაჩქარება მოსთხოვეს, მანაც უარი თქვა ელემენტარულ კონსპირაციაზეც კი და დაიწყო ამ მიზნის ღიად შესრულება. ბოლო პერიოდში მისი მოქმედება, განსაკუთრებით რელიგიურ ნიადაგზე მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის დაპირისპირების აშკარა პროვოკაციები, თურქეთისთვის საქართველოსადმი აგრესიის საბაბის მისაცემად ამის ნათელი დასტურია. **დასანანია, რომ ამ დამღუპველ ტენდენციას „გაგებით ეკიდება“ ახალი ხელისუფლებაც და ალასანიას მიერ ქართული მხედრობის ჯუმა მეჩეთში ჩამუხლვა სხვა არაფერია, თუ არა მკაფიო სიგნალი — ჩვენ საქართველოს თურქიზაციის პოლიტიკას სააკაშვილზე ბეჯითად გავაგრძელებთო.**

რაც უნდა იტრაბახოს ახალი ხელისუფლების პირველკაცმა — სააკაშვილის რეჟიმი დავამარცხეო, — ეს სიცრუეა. მან არათუ სააკაშვილის რეჟიმი ვერ დაამარცხა, დაპირებული „შუაც“ ვერ გაკრიფა. აგერ გიორგი თარგამაძე ტალეირანივით დაყელყელაობს და ყველა მედიაჭუჭრუტანიდან ბრანდსპოიტით აწუწებს „ოცნებას“ ლაფსა და ტალახს. **სააკაშვილმა კი, რაოდენ ვადაგასულიც უნდა ეძახონ მას „ავე ბიძინას“ მოქადაგეთა რაზმეულებმა, თავისი ფუნქცია ამ ეტაპზე შეასრულა — თურქულ მარყუჟში გაგვაყოფინა თავი და, თუ გონს არ მოვალთ, ყბადაღებული „ქართული ოცნება“ მალე საყოველთაო აუცილებელ წინდაცვეთამდე მიგვიყვანს.**

**გიორგი მაისურაძე**

**ბიძინა ივანიშვილი მიდის, მოსახლეობის დიდი ნაწილი დაბნეულია, მას გაურკვეველი მომავალი აშინებს. ძალიან ბევრი ადამიანი თანახმაა, გადასცეს ივანიშვილს ნებისმიერი უფლებები, ოღონდაც ის რაიმე ფორმით გადადგომის შემდეგ პროცესების მოდერატორად დარჩეს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბიძინა მრისხანე და ახალი ქართული ოპრიჩნინა

**მაინც მიდის და ვერ აჩერებენ — პრემიერმინისტრის გადადგომა გარდაუვალი ჩანს. მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში ანალოგიური სიტუაციის მოძებნა საკმაოდ რთულია, მოსახლეობის დიდი ნაწილი შეშინებულია, დაბნეულია და მკაფიოდ გამოხატავს უკმაყოფილებას მმართველის წასვლის გამო, ის კი თავისას მაინც არ იშლის. ყოველივე ამას XVI საუკუნეში რუსეთში განვითარებულ პროცესებს თუ შევადარებთ, როდესაც ივანე IV-მ (მრისხანემ) მოსკოვი მიატოვა და ოპრიჩნინა დააარსა. რა თქმა უნდა, შეუძლებელია პირდაპირი პარალელების გავლება ივანიშვილსა და ივანეს შორის ან იმ როლებს შორის, რომელიც ერთმა სამოქალაქო სექტორს, ხოლო მეორემ ოპრიჩნიკებს დააკისრა, მაგრამ სათანადო სურვილის არსებობის შემთხვევაში ამ ნიადაგზე რამდენიმე საინტერესო აღმოჩენის გაკეთება ნამდვილად შეიძლება.**



დღეს ოპრიჩნინა, უპირველესად, აღიქმება, როგორც სასტიკი (პათოლოგიის ზღვარზე) ტერორის რეჟიმი; მასზე საუბრისას, როგორც წესი, უპირველესად, გვახსენდება შემზარავი სცენები სერგეი ეიზენშტეინის ეპოქალური ფილმიდან „ივანე მრისხანე“. ისინი, ხშირ შემთხვევაში, ფარავენ მთავარ კითხვას: **რისთვის დასჭირდა ივანე მრისხანეს ამ რეჟიმის დამკვიდრება? სტალინის თქმის არ იყოს** (როდესაც ეიზენშტეინს მის ფილმზე ესაუბრებოდა), **„ივანე მრისხანე ძალიან სასტიკი გახლდათ. შეიძლება იმის ჩვენება, რომ ის სასტიკი იყო, მაგრამ საჭიროა იმის ჩვენებაც, თუ რატომაა საჭირო იყო სასტიკი“.**

ალბათ, აქვე აუცილებელია იმის დაფიქსირებაც, რომ სისასტიკისა და მასშტაბური რეპრესიების აღქმა XVI და XXI საუკუნეებში ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება: **ინგლისში ჰენრიხ VIII-ს მმართველობის წლებში სიკვდილით 72 ათასი ადამიანი დასაჯეს** (მოსახლეობის დაახლოებით 2,5%), **დედოფალმა ელისაბედმა ამას კიდევ 89 ათასი მიუმატა. ესპანელების მიერ მართულ ნიდერლანდებში სისხლის გუბეები იდგა** (დაახლოებით 100 ათასი რეპერსირებული), **ანალოგიური მაჩვენებლებია გერმანიის ტერიტორიაზე** (გლეხების აჯანყებების ჩახშობა). **საფრანგეთში ხოცავდენ ჰუგენოტებს** (3 ათასი „ბართოლომეს ღამეს“, დაახლოებით ათჯერ მეტი მომდევნო ორ კვირაში და ა. შ.). **ივანე მრისხანე ამ მხრივ გამორჩეული ნამდვილად არ არის, მაგრამ მის რეპრესიებს ოდნავ განსხვავებული ლოგიკა ჰქონდა — არსებითად, ეს ელიტის „დიდი წმენდა“ იყო. იმ ელიტის, რომელიც, სხვა ყველაფერთან ერთად, სრული დეგრადაციის გზაზე იდგა და ქვეყნის გაძლიერებასა და წინსვლას ობიექტურად ხელს უშლიდა.** ამ მხრივ, XVI საუკუნის რუსი ბოიარებისა და ჩვენი პოლიტიკოსების დიდ ნაწილს შორის სხვაობა პრაქტიკულად არ ფიქსირდება.

მცირე და, ალბათ, აუცილებელი ისტორიული ექსკურსი დეტალებში ჩარღმავების გარეშე: **1564 წლის დეკემბერში მოსკოველებმა გაიგეს, რომ ქვეყნის მმართველი ალაგებს ბარგს და გაურკვეველი მიმართულებით მიდის. 1565 წლის 3 იანვარს ივანემ გაავრცელა მიმართვა, რომელშიც ჩამოთვალა ბოიარების ყველა ავკაცობა მისი დაბადებიდან მოყოლებული, საგანგებოდ აღნიშნა, რომ ისინი თავისას არ იშლიან და დასძინა, რომ „მიდის იქ, საითაც უფალი უჩვენებს გზას“. დედაქალაქში პანიკა დაიწყო, რადგან, გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის — ნიკოლაი კარამზინის თქმით, „მმართველის გარეშე დარჩენა ტირანიაზე უარესად მიაჩნდათ“. საგანგებო დელეგაცია გაემგზავრა ივანესთან, რათა დაერწმუნებინა ის, დაბრუნებულიყო. ივანემ მტკიცე უარი განუცხადა, მაგრამ დასძინა, რომ მათი თხოვნის გამო, ხელისუფლებას შეინარჩუნდება, ოღონდაც** (ეს საკვანძო ფრაზაა) **„რა პირობით, მოგვიანებით გაიგებდნენ“.** საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ **მისი მთავარი პირობა მოღალატეთა** (ივანეს აზრით) **შეუზღუდავი დასჯის უფლება იყო. ამ რთული მანევრით მან, ფაქტობრივად, ელიტისგან მისივე რეპრესირების კარტ-ბლანში მიიღო.** ქვეყნის ტერიტორია ორ ნაწილად გაიყო; ერთს („ოპრიჩნინას“) ივანე უშუალოდ აკონტროლებდა, მეორეს კი („ზემშინას“) ბოიართა დუმა და ძველი აღმასრულებელი ორგანოები მართავდნენ, იქ ივანე მხოლოდ რეპრესიულ ფუნქციებს ასრულებდა. შემდეგ კი დაიწყო ის, რაც ასე შთამბეჭდავად (და, იოსებ სტალინის აზრით, ზედაპირულად) სერგეი ეიზენშტეინის ფილმმა ასახა.

დავუბრუნდეთ ჩვენ ბედკრულ რეალობას. **ბიძინა ივანიშვილი მიდის, მოსახლეობის დიდი ნაწილი დაბნეულია, მას გაურკვეველი მომავალი აშინებს. ძალიან ბევრი ადამიანი თანახმაა, გადასცეს ივანიშვილს ნებისმიერი უფლებები, ოღონდაც ის რაიმე ფორმით გადადგომის შემდეგ პროცესების მოდერატორად დარჩეს.** პარადოქსულია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ წარმოვიდგენთ რომ ხვალ ჩატარდება რეფერენდუმი კითხვით „თანახმა ხართ თუ არა, რომ ივანიშვილი დარჩეს იმ პირობით, რომელსაც „მოგვიანებით გაიგებთ“? უმრავლესობა, სავარაუდოდ, „კი“-ს უპასუხებს და ივანიშვილს სრულ კარტ-ბლანშს მისცემს. მართალია, ტერიტორიის გაყოფა ჩვენ შემთხვევაში არ ხდება, მაგრამ **ივანიშვილმა უკვე მონიშნა სამოქალაქო სექტორი, როგორც თავისი უშუალო კონტროლის** (კი ბატონო, „განსაკუთრებული ყურადღების“) **სფერო; მისი „ოპრიჩნინა“ სწორედ ის გახდება. ის, როგორც წინასწარი განცხადებებიდან ჩანს, ქვეყნის ცხოვრების ყველა ასპექტს გააკონტროლებს, უპირველესად კი, პოლიტიკოსებს, რომელნიც ავანსცენაზე ივანიშვილის წასვლის შემდეგ დარჩებიან** (როგორც რუსი ბოიარები — „ზემშინაში“).

ერთი შეხედვით, XVI საუკუნის ოპრიჩნიკებს და XXI საუკუნის სამოქალაქო აქტივისტებს შორის ძალიან დიდი სხვაობაა (მეორე შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ არა ფენომენზე ზოგადად, არამედ იმ მისიაზე, რომელსაც ისინი ივანიშვილის მიერ კონსტრუირებულ ახალ რეალობაში შეასრულებენ), მაგრამ მათზე დაკისრებულ როლებს შორის გარკვეული მსგავსების აღმოჩენა შეიძლება. **როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ეს ელიტის კონტროლის და მისი ფორმატირების ინსტრუმენტია. მერე რა, რომ არ დახოცავენ? მთავარია, რომ ამა თუ იმ ჩინოვნიკის მაქინაციების აღმოჩენის და მისი კარიერის დასრულების სრული შესაძლებლობა ექნებათ, მითუმეტეს იმ სიტუაციაში, როდესაც ზურგს ბიძინა ივანიშვილი გაუმაგრებს.**

ყოველივე ამის გაკეთება „შიგნიდან“ ზოგიერთ შემთხვევაში რთულია, თუ არა შეუძლებელი (ეს შეიძლება ქაოსში სირბილის მცდელობას შევადაროთ) და ეს, სავარაუდოდ, გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ივანე მრისხანემ მოსკოვიდან წასვლა და მმართველობაში დარჩენილი ბოიარებისგან ესოდენ მკაფიო დისტანცირება გადაწყვიტა. **ახლა გასარკვევი ისღა დარჩა, აყენებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი საკუთარი თავის წინაშე ესოდენ ამბიციურ ამოცანებს, აპირებს თუ არა, მოაწყოს „დიდი წმენდა“ ქართულ ელიტაში, რომელიც ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთ მთავარ წინაღობად იქცა.**

აქვე აუცილებლად უნდა შევეხოთ კიდევ ერთ ფაქტორს, რომელიც განხილული სტრატეგიის ფარგლებში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს — ხალხის, ასე ვთქვათ, „მშრომელთა ფართო მასების“ გაღიზიანება და ლამის ტოტალური უნდობლობა პოლიტიკური ელიტის მიმართ „ოპრიჩნინას“ (ან ქართული „ნეოოპრიჩნინას“) პოლიტიკის გატარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა. **ელიტა მარწუხებში ექცევა, ერთის მხრივ, გამწარებული ხალხი, მეორეს მხრივ კი, მმართველი** (ივანე თუ ივანიშვილი) **თავისი ოპრიჩნიკებით თუ სამოქალაქო აქტივისტებით, ასეთ ვითარებაში ბოიარებს აქტიური წინააღმდეგობის გაწევის** (გადატრიალების მოწყობის, სამოქალაქო ომის დაწყების, ხშირ შემთხვევაში კი, უბრალოდ, განძრევის) **თავი არ აქვთ. ისევე, როგორც ივანე მრისხანეს დროინდელ რუსეთში, დღევანდელ საქართველოში არც ერთი დაჯგუფება ელიტაში, სავარაუდოდ, არ არის საკმარისად ძლიერი იმისთვის, რომ რეალური წინააღმდეგობა გაწიოს და** (თუნდაც უცხო სახელმწიფოების დახმარებით) **ხელისუფლება აიღოს.**

**მაგრამ მსგავსი წინაპირობების არსებობა თავისთავად არ ნიშნავს, რომ ამა თუ იმ პოლიტიკის გატარება აუცილებლად წარმატებით დაგვირგვინდება. ივანეს რეპრესიებმა მნიშვნელოვნად შეცვალა რუსული ელიტა, მაგრამ ვერ ამოშანთა ბოიარების ამბიციები, რომლებიც XVII საუკუნის დასაწყისში დაწყებული უდიდესი სისხლიანი არეულობის, ე. წ. სმუტას ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცნენ.** სხვათა შორის, იმავე საუბარში ეიზენშტეინთან **სტალინმა გააკრიტიკა ივანე მრისხანე იმის გამო, რომ მან „ბოლომდე არ ამოწყვიტა ხუთი მსხვილი ფეოდალური ოჯახი. ეს რომ გაეკეთებინა, „სმუტა“ საერთოდ არ მოხდებოდა... უფრო გამბედავად უნდა ემოქმედა“,** ამასთანავე, მან გაავლო პარალელი ივანე მრისხანესა და საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XI-ს შორის, რომელიც საინტერესო განსახილველი იქნება, როდესაც ვისაუბრებთ ტრანზიტულ მდგომარეობაზე ფეოდალურ დაქსაქსულობასა და აბსოლუტიზმს შორის, მის განსხვავებებსა და მსგავსებაზე სხვადასხვა ქვეყანაში.

ცხადია, XXI საუკუნეში დამკვიდრებული ღირებულებების გადასახედიდან შეუძლებელია გაამართლო წარსულის სისხლიანი რეპრესიები, მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ ელიტის „დიდი წმენდა“ აპრიორი მიუღებელი იდეაა. **რაღაც უნდა მოვუხერხოთ ამ კორუფციასა და ნეპოტიზმში ჩაფლულ პოპულაციას, რომელსაც არც იდეალები და არც სტრატეგიული აზროვნების უნარი გააჩნია და ქვეყნის განვითარებისთვის უსერიოზულეს პრობლემებს ქმნის, ფაქტობრივად, ბლოკავს მას.** ივანე მრისხანეს თქმის არ იყოს (მიმართვა მოსკოვიდან გამგზავრების შემდეგ), **„ისინი ძარცვავენ ხაზინას... ზრუნავენ თავის სიმდიდრეზე და დავიწყებული აქვთ სამშობლო. მათი სული არ შეცვლილა და ბოროტმოქმედებას არ წყვეტენ“.** დღევანდელ საქართველოში ჩვენ, ცხადია, სიკვდილით ვერავის დავსჯით, როგორც XVI ან XX საუკუნეში, ამიტომ გაცილებით რთული გზის გავლა მოგვიწევს იმისთვის, რომ მსგავსი ადამიანები ქართული პოლიტიკიდან გაქრნენ. სრულიად საზოგადოების აქტიურობის და, რაოდენ უცნაურადაც უნდა გაიჟღეროს, გონიერების გარეშე, ამ მხრივ არც არაფერი გამოვა.

**საერთოდ, მსგავს თემებზე არ შეიძლება მსჯელობა კატეგორიებით „კარგი“, „ცუდი“, „კეთილი“, „ბოროტი“ და ა. შ. თუ არსებობს ფაქტორი** (ამ შემთხვევაში კი ეს დეგრადირებული, ეპოქის მოთხოვნების შეუსაბამო ელიტაა), **რომელიც ქვეყნის განვითარებას ხელს უშლის და მისი მზარდი ჩამორჩენის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს, ეს ფაქტორი უნდა მოისპოს** (ცხადია, XXI საუკუნის ჰუმანური მეთოდებით, სისხლისღვრის გარეშე).

1564 წლის დეკემბერში პანიკაში ჩავარდნილ მოსკოვში ვერავინ აღიქვამდა ივანე მრისხანეს ჩანაფიქრს მთლიანობაში. დღეს კი სრული დაბნეულობა თბილისშია — ზოგი ივანიშვილის გადაწყვეტილებას მის უცნაურ ხასიათს უკავშირებს, ზოგი — რაღაც ტაქტიკურ კომბინაციებს, ხოლო საუბარი სტრატეგიულ პერსპექტივაზე, სავარაუდო მასშტაბურ გათვლებზე, პრაქტიკულად, არავის უნდა. ყველა მცდელობა, ამ მხრივ, როგორც წესი ბანალური მკითხაობით ან უიმედო კონსპიროლოგიაში ჩაღრმავებით სრულდება. **აქვს თუ არა ივანიშვილს ქვეყნის გარდაქმნის „დიდი გეგმა“ და წარმოადგენს თუ არა მისი გადადგომა ამ გეგმის ნაწილს? ეს კითხვა დღეს უამრავ ადამიანს აწუხებს და ისინი დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ პოულობენ.**

„მოგვიანებით გაიგებთ...“ — ივანე მრისხანეს ამ რეპლიკაში იყო ცინიზმიც და ირონიაც, ამასთანავე, მას იმ მომენტში სხვა პასუხის გაცემა არ შეეძლო. არის ამქვეყნად სიტუაციები, როდესაც ჩანაფიქრის გამჟღავნება და ყველაფრის ახსნა უბრალოდ შეუძლებელია. როგორც ჩანს, ქართულ საზოგადოებასაც ამ ეტაპზე ამ პასუხით დაკმაყოფილება მოუწევს. იგრძნობს თუ არა ის ამის გამო შეურაცხყოფილად თავს, ცალკე საკითხია, თუმცა ეს ემოციები არსებითად ვერაფერს შეცვლის. ასე იქნება თუ ისე, დანარჩენს მოგვიანებით გავიგებთ.

პოლიტიკა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მისი ამბიციები კვლავინდებურად დარჩება გამოწვევად ეროვნული უსაფრთხოებისთვის, რადგან საქართველოში სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის რესტავრაციის ნებისმიერი მცდელობა, პრაქტიკულად, გარანტირებულად დიდი სისხლისღვრით დასრულდება, არაერთმა ადამიანმა ამ საფრთხის გასანეიტრალებლად შეიძლება ხელში იარაღი აიღოს.**

# მიშიზმის დაისი თუ ზომბი-აპოკალიფსი?



**ორიოდე დღის წინ თბილისის აეროპორტში უცნაური სანახაობის ხილვა შეიძლებოდა. პირველად ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მიხეილ სააკაშვილის მომხრეები პოლიციის საგანგებო დაცვის გარეშე შეიკრიბნენ, რათა აშშ-დან დაბრუნებულ თავიანთ ბელადს მისალმებოდნენ. თავისი მასშტაბით და სულისკვეთებით ეს თავყრილობა პატარა ტოტალიტარული სექტის რიტუალს მოგაგონებდათ, რომლის უკანასკნელი წევრები, ყველაფრის მიუხედავად, ასგზის მხილებული და ლაფში ამოსვრილი ,,გურუს“ ერთგულებას მაინც ინარჩუნებენ. ამ სცენაზე მისი უკიდურესად ლოკალური და, საბოლოო ჯამში, მარგინალური ხასიათის გამო ყურადღება, ალბათ, არ უნდა გაგვემახვილებინა, თუმცა ის არცთუ ურიგო უვერტიურაა მსჯელობისთვის შემდეგ საინტერესო თემაზე: მიშა, მიშიზმი და მიშისტები, რა ელოდებათ მათ ხვალ?**

**იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილს წაუყენებენ დამაჯერებელი მტკიცებულებებით გამყარებულ ბრალდებას ფულის მოპარვასთან ან, მაგალითად, ზურაბ ჟვანიას მკვლელობასთან დაკავშირებით, რის შესაძლებლობაზე არაერთმა ექსპერტმა მიანიშნა, პუტინის ლანძღვა მას არ უშველის და დასავლეთში, დიდი ალბათობით, არავინ გამოესარჩლება**

## წვალობს, როგორც შეუძლია

სააკაშვილი თბილისში ნიუ იორკიდან გაეროში სიტყვით გამოსვლის შემდეგ დაბრუნდა. არაფერი განსაკუთრებული, რაც საგანგებო განხილვას საჭიროებს, სააკაშვილს იქ არ უთქვამს, თუმცა საგულისმოა, რომ მან იქ სცადა, თავი ვლადიმერ პუტინთან და რუსულ იმპერიალიზმთან მედგარ მებრძოლად წარმოეჩინა. ეს მისი „დაცვის ხაზის“ ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია; **აგერ უკვე რამდენიმე თვეა, სააკაშვილის ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ მისი ხილვა განსასჯელთა სკამზე სწორედ რუსეთის პრეზიდენტს სურს, ხოლო საქართველოს ახალი ხელისუფლება თავისი გამოძიებებითა და ბრალდებებით მის დაკვეთას ასრულებს. ერთი შეხედვით, ეს** (ადვოკატების გადასახედიდან თუ შევხედავთ) **პერსპექტიული ტაქტიკაა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილს წაუყენებენ დამაჯერებელი მტკიცებულებებით გამყარებულ ბრალდებას ფულის მოპარვასთან ან, მაგალითად, ზურაბ ჟვანიას მკვლელობასთან დაკავშირებით, რის შესაძლებლობაზე არაერთმა ექსპერტმა მიანიშნა, პუტინის ლანძღვა მას არ უშველის და დასავლეთში, დიდი ალბათობით, არავინ გამოესარჩლება.**

ეს, ალბათ, არა მხოლოდ თავდაცვითი პოზიციაა შესაძლო იურიდიულ გართულებებთან დაკავშირებით; სააკაშვილი, მისი დღევანდელი დაბეჩავებული მდგომარეობის მიუხედავად, დიდ პოლიტიკაში, მეტიც ხელისუფლებაში, დაბრუნებაზე ოცნებობს, რაზეც ნათლად მიუთითებს ზოგიერთი მონაკვეთი მისი ბოლოდროინდელი ინტერვიუებიდან. **შესაძლოა, ის ვარაუდობს, რომ მკვეთრი ანტირუსული პოზიცია მას საინტერესოს გახდის ვაშინგტონისთვის, იმ შემთხვევაში, თუ ოდესღაც მომავალში, ბარაკ ობამას თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, თეთრი სახლი მოსკოვთან დაპირისპირებაზე აგებული პოლიტიკის გატარებას დაიწყებს და ამ კონტექსტში სააკაშვილს ხელისუფლების დაბრუნებაში დაეხმარება.** ძნელია, დღეს ამას უწოდო რაციონალური გათვლა. ეს, ალბათ, მაინც უფრო უსაფუძვლო ილუზიებია, თუმცა თეორიული შანსი იმისა, რომ მომავალში, რაღაც მომენტში ყველა საშინაო თუ საგარეო ფაქტორი ერთმანეთს სააკაშვილის სასარგებლოდ დაემთხვევა, მაინც არსებობს. ასე რომ, **მისი ამბიციები კვლავინდებურად დარჩება გამოწვევად ეროვნული უსაფრთხოებისთვის, რადგან საქართველოში სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის რესტავრაციის ნებისმიერი მცდელობა, პრაქტიკულად, გარანტირებულად დიდი სისხლისღვრით დასრულდება, არაერთმა ადამიანმა ამ საფრთხის გასანეიტრალებლად შეიძლება ხელში იარაღი აიღოს.**

თუმცა ყოველივე ეს რეალობისგან ჯერჯერობით ძალიან შორს დგას. პოლიტიკური გვამის გაცოცხლება ზოგადად ძალიან რთული რამ არის, ამიტომ ქართულ პოლიტიკაში „ზომბი-აპოკალიფსის“ სცენარების განხილვისგან, ალბათ, თავი უნდა შევიკავოთ. უფრო აქტუალური ამ შემთხვევაში შესაძლო სასამართლო პროცესისთვის სააკაშვილის წინასწარი მზადება ჩანს.

**სააკაშვილს, სავარაუდოდ, იმედი აქვს, რომ, რაც უფრო მწვავედ გააკრიტიკებს პუტინს, მით უფრო დიდხანს ჩათვლის ზოგიერთი მისი პარტნიორი საზღვარგარეთ, რომ ის სასარგებლოა და არ დაივიწყებს მას, როგორც ეს უკვე არაერთმა დასავლელმა პოლიტიკოსმა, პოლიტოლოგმა თუ ჟურნალისტმა გააკეთა.** მაგრამ „მთავარი ქართველი ანტიპუტინისტის“ ტიტულის შენარჩუნება მისთვის რამდენიმეწლიან პერსპექტივაში არც ისე იოლი იქნება, რადგან მისმა უცხოელმა პარტნიორებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ ეს ლოზუნგები და პოლიტიკა, არასასურველია, არაპოპულარულ ფიგურას დაუკავშირდეს, რომლის დაბრუნება ხელისუფლებაში არარეალურია ან გაუმართლებლად დიდ დანაკარგებს უკავშირდება; რომ სააკაშვილი (თანაც მას სკანდალური სასამართლო პროცესი ემუქრება) შესაბამისი იდეების დევალვირებას ახდენს და მათ გამხმოვანებლად საქართველოში, თავის ფავორიტად სხვა პოლიტიკოსი შეარჩიონ. კრემლისთვის კი, პირიქით, მომგებიანია, რომ მას საქართველოში ყველაზე მწვავედ რაც შეიძლება არაპოპულარული და უპერსპექტივო პოლიტიკოსი აკრიტიკებდეს. იგივე ეხება არა მხოლოდ დაპირისპირებას პუტინის პოლიტიკასთან, არამედ პროდასავლურ პროპაგანდას: **რაც უფრო მარგინალური იქნება მისი ყველაზე ხმაურიანი გამავრცელებელი საქართველოში, მით უკეთესი მოსკოვისთვის და უარესი ვაშინგტონისთვის; საგულისხმოა, რომ ყველაზე თანმიმდევრული ქართველი „მედასავლეთეები“, აგერ უკვე რამდენიმე წელია, გამუდმებით ჩივიან იმის გამო, რომ სააკაშვილმა თავისი მოქმედებით თუ განცხადებებით მოსახლეობის დიდ ნაწილს დასავლეთზე გული აუცრუა.**

რაც შეეხება ტაქტიკურ პერსპექტივას, საინტერესოა, როგორ გააცილებენ სააკაშვილს პოსტიდან მისი რადიკალური ოპონენტები. იმ დღეს ისინი აეროპორტში არ მისულან და მხოლოდ პარლამენტთან ფიტულის დაწვით შემოიფარგლნენ. **მოუწევს თუ არა „ნაცმოძრაობის“ ბელადს ხელისუფლებაში ბოლო თვის გატარება შიშში, დემონსტრანტების ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ? ეს დამოკიდებულია იმაზე, გაჩნდება თუ არა შესაბამისი განწყობა საზოგადოებაში, თორემ ახალი ხელისუფლება ყოველივე ამის ორაგანიზებაზე არ წავა;** მეტიც, კოჰაბიტაციის ექსტაზში შესული, უცხოელი პარტნიორების დაჟინებული რჩევების კვალობაზე, შეიძლება იქამდეც კი მივიდეს, რომ სააკაშვილი ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე დაპატიჟოს, რის შემდეგაც „ქართული ოცნების“ ამომრჩევლების დიდი ნაწილი თავს, სავარაუდოდ, ფრიად შეურაცხყოფილად იგრძნობს.

## როცა მოუხმობთ პარტია

**საუბარს „ნაციონალური მოძრაობის“ უახლოეს პერსპექტივაზე ერთი ამოუცნობი ფაქტორი ართულებს. ჯერჯერობით გაუგებარია, რა ელოდება ყოფილ მაღალჩინოსნებს (რომლებთანაც გამოძიებას, სავარაუდოდ, სერიოზული პრეტენზიები აქვს) საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც დასრულდება ახალი ხელისუფლების მიერ გამოცხადებული ფაქტობრივი მორატორიუმი დაპატიმრებებზე.** ამაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება, თუ ვინ გააკონტროლებს პარტიას, რომელიც, ფორმალური ერთიანობის მიუხედავად, გადაიქცა ცალკეულ ლიდერებზე მიბმული, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთზე გადამტერებული დაჯგუფებების კონგლომერატად. მაგრამ ჩვენ, პრინციპში, შეგვიძლია ვისაუბროთ ორ ძირითად სცენარზე, რომელთა ფარგლებში შეიძლება მოექცეს მოვლენათა განვითარების ყველა ვარიანტი — **ან შიდაპარტიულ ბრძოლაში გაიმარჯვებენ ძალები, რომლებიც გადააქცევენ „ნაცმოძრაობას“ ისეთივე კომფორტულ და, ყველაფრის მიუხედავად, უწყინარ ოპოზიციად, როგორიც სააკაშვილის მმართველობის წლებში ქრისტიან-დემოკრატიული პარტია იყო, ან „ნაცმოძრაობის“ სათავეში სწრაფ რევანშზე და მუდმივი კრიზისის შექმნაზე ორიენტირებული ლიდერები მოვლენ.** სხვათა შორის, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, „ნაციონალების“ შეურიგებელი ოპონენტებისთვის უფრო სასურველი მეორე სცენარი ჩანს, რადგან მის ფარგლებში შეიძლება გაჩნდეს სიტუაცია (გადატრიალების მცდელობა და სხვ.), როდესაც „ნაცმოძრაობის“ სრული განადგურების შესაძლებლობა მიეცემათ, თუმცა ჯერჯერობით უფრო აქტუალური, ალბათ, პირველი სცენარია — პარტიის გადაყვანა სათადარიგო ლიანდაგზე დავით ბაქრაძის მსგავსი ლიდერების მიერ; მისი, ასე ვთქვათ, „ქრისტიან-დემოკრატიზაცია“, საფუძვლიანი რეკონსტრუქცია და მხოლოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ (სავარაუდოდ, არა ნაკლებ 5-7 წლისა) ხელისუფლებაში დაბრუნებაზე სერიოზული პრეტენზიის დაფიქსირება.

ამ პერსპექტივებზე საუბრისას ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ **„ნაცმოძრაობის“ დაცემის და მისი რესურსების შემცირების პროცესი ჯერ არ დასრულებულა. შესაბამისად, ამოუცნობია ეფექტი, რომელსაც პარტიაზე ფინანსური რესურსებისა და მედიაზე გავლენის შემცირება, აგრეთვე, სავარაუდო სასამართლო პროცესები** (შესაბამისი მტკიცებულებების გამომზეურებით) **მოახდენს.** სხვათა შორის, ამას წინათ, ერთ-ერთ სავსებით კომპეტენტურ წრეში სრული სერიოზულობით მსჯელობდნენ ერთ, არცთუ შორეულ წარსულთან დაკავშირებულ „საინფორმაციო ბომბზე“, რომლის შესაძლო „აფეთქების“ შემდეგ დავით ბაქრაძე, უბრალოდ, იძულებული გახდება, საპრეზიდენტო ►

„სად გინახავთ, რომ გადამდგარ პრემიერს ახალი პრემიერი დაენიშნოს?! ივანიშვილი რა, უფლისწულია, იმპერატორია, ფარაონია თუ რად წარმოუდგენია საკუთარი თავი? საერთოდ, ივანიშვილი ცხოვრობს წარმოსახვით სამყაროში და ასეთი წარმოსახვებით შორს ნამდვილად ვერ წავა.“

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ არჩევნებიდან თავისი კანდიდატურა მოხსნას (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს ამ ნაბიჯისთვის კარგ საბაბს შეუქმნის), მაგრამ ეს რომც არ მოხდეს, **საპრეზიდენტო და ადგილობრივ არჩევნებში „ნაციონალების“ გამარჯვების შანსი, ნებისმიერ შემთხვევაში, ნული მთელი ნული მეათედია. ალბათ, მხოლოდ დიდი საარჩევნო ციკლის დასრულების შემდეგ** (საპარლამენტო-საპრეზიდენტო-ადგილობრივი და ამასთანავე, რიგგარეშე საპარლამენტოს არჩატარების მყარი გარანტია) **ყოფილი მმართველი პარტიის ლიდერებს** (ისევე, როგორც ექსპერტებს) **შესაძლებლობა მიეცემათ, მეტ-ნაკლები სიზუსტით შეაფასონ ის რესურსი, რომელიც მათ ხელთ დარჩება.** ჯერჯერობით კი საუბარი ამაზე ნაადრევია; შეუძლებელია, შეაფასო ზარალი, რომელიც ვულკანის ამოფრქვევას ან მიწისძრას მოჰყვა, მანამ, სანამ შესაბამისი სტიქიური უბედურება დასრულებული არ არის.

**რაც შეეხება მათ ოპონენტებს, რომელნიც მიიჩნევენ, რომ ქართული პოლიტიკიდან „ნაცმოძრაობის“ ამოშანთვის გარეშე ქვეყანას არაფერი ეშველება, მათთვის ყველაზე ლოგიკური ამ ვითარებაში ზეწოლის გაძლიერება, მისთვის უფრო დინამიური და კრეატიული ფორმების მოძებნა ჩანს. თუ ისინი უახლოეს მომავალში საბოლოოდ არ გაასწორებენ მიწასთან მიხეილ სააკაშვილის და მისი პარტიის იმიჯს და არ მიაღწევენ იმას, რომ მათ საქართველოში შეხედონ, როგორც ნეონაცისტებს — გერმანიაში ან „კუ-კლუქს-კლანის“ რასისტებს — შეერთებულ შტატებში, მოკლედ, როგორც უკიდურეს მარგინალებს და პოლიტიკურ კეთროვნებს, მათ დასახული მიზნების მიღწევა თანდათან სულ უფრო გაუჭირდებათ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ყოფილი მმართველი პარტია უცხოელი პარტნიორების დახმარებით ,ქრისტიან-დემოკრატიულ** (აქ ისევ და ისე იგულისხმება გიორგი თარგამაძის გამოცდილება და არა შესაბამისი იდეები) **შაბლონზე გადაეწყობა და საკუთარი წარსულისგან, ნაწილობრივ მაინც, დისტანცირებას მოახერხებს.** „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფების მოქმედების ეფექტურობა, ალბათ, მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, თუ ისინი „ანტინაცისტურ საკოორდინაციო საბჭოს“ (სახელწოდება, ცხადია, პირობითია) შექმნას მოახერხებდნენ, თუმცა შეძლებენ თუ არა ამის გაკეთებას, რთული სათქმელია; ცალკეული ლიდერების ამბიციებმა ამას შეიძლება ხელი შეუშალოს.

### ამათმაც რა ქნან?

მიშიზმი არც მარქსიზმ-ლენინიზმია და არც (თუნდაც) ნაციონალ-სოციალიზმი, მთელი მისი თეორიული ბაზა რამდენიმე ათეულ სიტუაციურ ლოზუნგამდე დაიყვანება. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ნიადაგზე არათუ სრულფასოვანი პოლიტიკური მოძღვრება, არამედ თუნდაც ორიგინალური დოქტრინა აღმოცენდეს (მაგალითად, ისეთი, როგორიც არგენტინაში ხუან პერონმა შექმნა). ასე რომ, **საუბარი „ნაცმოძრაობაზე“ მომავალშიც, ძალიან დიდი ალბათობით, მხოლოდ პოპულისტური ლოზუნგებით მანიპულირების კონტექსტში მოგვიწევს. ამასთანავე, მეტ-ნაკლებად ქარიზმატული, დემაგოგიაში გაწაფული ლიდერის — მიშას ან „ახალი მიშას“ გარეშე. „მიშიზმი“, რომელიც, არსებითად, ბელადისტური ტიპის ფენომენია, უბრალოდ, არ იმუშავებს.**

**ყველა, ვინც სააკაშვილის რეჟიმთან თანამშრომლობდა და მხოლოდ პირად გამორჩენაზეა ორიენტირებული, ადრე თუ გვიან მონახავს თავის ადგილს ახალ რეალობაში და ძველი თანაპარტიელებისგან არათუ დისტანცირებას მოახდენს, არამედ აქტიურად დაუპირისპირდება მათ.** ეს პროცესი, დიდი ხანია, დაიწყო, ხანდახან საკმაოდ მახინჯ ფორმებს იღებს (მას ხანდახან აღწერენ, როგორც პარტიული მაისურების ტოტალურ გადაცმას) და მას უკვე შეუქცევადი ხასიათი აქვს. **ადრე თუ გვიან, დარჩება მხოლოდ მცირე ბირთვი: ისინი, ვისაც უკან დასახევი გზა არ აქვთ, და ისინი, ვისაც, ძველად რომ იტყოდნენ, „იდეები აწუხებთ“. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ჯგუფი საკმაოდ მცირეა, მას, ალბათ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.**

მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფი ხელშესახებ პერსპექტივაში რამდენადმე სერიოზულ პოლიტიკურ პრობლემებს ვერ შექმნის, მნიშვნელოვანია, რომ ამ ადამიანებს პოზიტიური მიზნები, საერთო საქმის კეთების განცდა გაუჩნდეთ. თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ორშაბათის სოციალურ ქსელებს და დავაკვირდებით მათ რეაქციას თანაინვესტორების ექსმილიარდიანი ფონდის პრეზენტაციაზე, ჩვენ ვერ დავინახავთ ვერც დადებით რეაქციას (ამას თავი დავანებოთ), ვერც ელემენტარულ დაინტერესებას ან საკითხის შესწავლის სურვილს, არამედ მხოლოდ შიშველ სიძულვილს და ნეგატივს, თითქოს საქმე მათი სამშობლოს, საქართველოს ეკონომიკას არ ეხებოდეს და ყოველივე მომხდარი რაღაც სხვა, უცხო, მათდამი მტრული რეალობის ნაწილია. ადამიანი არ შეიძლება ცხოვრობდეს სიძულვილში; **არ შეიძლება საზოგადოების თუნდაც მცირე ნაწილი ასეთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდეს და, ალბათ, გადასადგმელია რაღაც შემრიგებლური, ასე ვთქვათ, თერაპიული ხასიათის ნაბიჯები იმისთვის, რომ მათ ახალ რეალობაში სრულფასოვანი ინტეგრირება შეძლონ** (აქ, ცხადია, არ იგულისხმებიან ისინი, ვინც წარსულში მძიმე დანაშაული ჩაიდინეს). **რაც შეეხება მათ პოლიტიკურ თუ კვაზი-რელიგიურ შეხედულებებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აბსოლუტურად მიუღებელია საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, საქართველო** (იდეაში) **დემოკრატიული სახელმწიფოა და ლოცვას სააკაშვილის პორტრეტის წინ ვერავის აუკრძალავს.**

**დიმიტრი მონიავა**

# რა კომპრომატები აქვს ადეიშვილს ივანიშვილზე?



## ჯონდი ბაღათურია:

## ეს პარლამენტი დაკომპლექტებულია საშოვარსგადაგებული თოჯინებით, ივანიშვილის მარიონეტებით, რომლებისთვისაც ივანიშვილი კერპია

**ქვეყანაში კრიტიკული სიტუაციაა, იქით „ქართული ოცნება“ ინტერესჯგუფებად არის დაყოფილი, რაც ნელ-ნელა იკვეთება, და ივანიშვილის წასვლისთვის ემზადება. როგორი იქნება ძალთა თანაფარდობა, რომელი ჯგუფის მხარეს გადაიხრება სასწორი პრემიერის წასვლის შემდეგ? მაინც რა დინებებია მმართველ კოალიციაში? ვინ იქნება საქართველოს ახალი პრემიერმინისტრი? — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ესაუბრა:**

— ივანიშვილის წასვლის შემდეგ „ქართული ოცნების“ ვერც ერთი შიდა ჯგუფი ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს, რადგან ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ მოტყუებით. ეს ერთი. მეორეც — ერთი წელია, ეს ჯგუფები ვერ იყოფენ ვერც ფულს და ვერც გავლენას, მთელი ეს პერიოდი მოანდომეს ერთმანეთის მიმართ ინტრიგებს, შიდა დაპირისპირებებსა და მერკანტილურ ინტერესებს.

**ეს პარლამენტი დაკომპლექტებულია საშოვარსგადაგებული თოჯინებით, ივანიშვილის მარიონეტებით, რომლებისთვისაც ივანიშვილი კერპია; გასუქდნენ ხალხის ხარჯზე და ამის გამო ძალიან ცუდ სიტუაციაშია „ქართული ოცნების“ ზოგიერთი პატიოსანი წარმომადგენელი. პირდაპირ გეტყვით: „ქართული ოცნების“ დიდმა ნაწილმა თავი შეირცხვინა ამომრჩევლის წინაშე და ამაზე პასუხისმგებლობა, უპირველესად, პრემიერმინისტრს ეკისრება.** და ამას თუ დაემატება ის, რომ პრემიერმინისტრი გადადგება, მაშინ გადამდგარმა პრემიერმინისტრმა კი არ უნდა დანიშნოს ახალი პრემიერი (რაც არსად ხდება, უბრალოდ, სირცხვილია, ამას რომ ამბობს ივანიშვილი), არამედ ახალი პრემიერი ახლადარჩეულმა პარლამენტმა უნდა დანიშნოს. ვერ გავიგე, რა იურიდიული უფლება აქვს, რომ ამბობს, დაგიტოვებთ კარგ პრემიერსო. უგანდაში ან სადმე ჩამორჩენილ ქვეყანაში ვართ? სად გინახავთ, რომ გადამდგარ პრემიერს ახალი პრემიერი დაენიშნოს?! ივანიშვილი რა, უფლისწულია, იმპერატორია, ფარაონია თუ რად წარმოუდგენია საკუთარი თავი? საერთოდ, ივანიშვილი ცხოვრობს წარმოსახვით სამყაროში და ასეთი წარმოსახვებით შორს ნამდვილად ვერ წავა.

**— თქვენი ინფორმაციით, ვის დატოვებას აპირებს პრემიერად?**

— ეჭვი მაქვს, რომ კვირიკაშვილის დატოვებას აპირებს. სხვათა შორის, მინდა ვთქვა, რომ ძალიან წესიერი კაცია. წესიერება და პატიოსნება აუცილებელი კია, მაგრამ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ქვეყნის ლიდერი გახდე. ამას სხვა დამსახურებებიც სჭირდება. იცით, რამდენი წესიერი კაცია თბილისში და თავის საქმის მცოდნეც რამდენია? არ მგონია, მისმა გუნდმა ის აღიაროს, აუცილებლად დაუპირისპირდება მას. ისინი ძალაუფლებისა და გავლენის გამო დაუპირისპირდებიან, ჩვენ კი — პრინციპის გამო, რადგან ჩვენთვის დატოვებაა მიუღებელი.

**— უსუფაშვილმა განაცხადა, ივანიშვილის წასვლის შემდეგ კოალიცია სხვა შინაარსითა და ფორმით იარსებებსო, იარსებებს კი კოალიცია თუ დაიშლება? რესპუბლიკელები დარჩებიან მონოლითად თუ გაიყოფიან? ამბობენ, რესპუბლიკელებში ორი ჯგუფია — იმერლიშვილისა და უსუფაშვილისო..**

— მინდა გითხრათ, სულ არ მაინტერესებს, უსუფაშვილმა რა თქვა, არც მათი ფორმები და შიდა ინტრიგები მაინტერესებს. ცალსახად შემიძლია გითხრათ, — **ივანიშვილი რომ წავა, რესპუბლიკელები ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებენ, ჩვენ არ მივცემთ ამის საშუალებას, ღიად გეუბნებით. დიახ, ჩვენ ამ მძლავრ საპროტესტო ტალღას ჩავუდგებით სათავეში და მოვითხოვთ ახალ არჩევნებს, რომელიც ახალ პრემიერს დანიშნავს და ეს იქნება ხალხის მიერ არჩეული პრემიერი და არა შემოპარებული.** ჩვენ არ გვინდა, რომ ეს მოხდეს აქციების ფონზე და ვგეგმავთ, ივანიშვილს შევთავაზოთ ამ პრობლემის დიალოგის გზით გადაწყვეტა. ჩავატაროთ არჩევნები და მერე შეუძლია გადადგეს. ეს არის ცივილური გზა და, თუ არ უნდა, მიიღებს საპროტესტო აქციებს ამ მოთხოვნით, რომელიც ასევე დემოკრატიული გზაა. საერთოდაც ივანიშვილს ხელისუფლებაში ყოფნა რა ეგონა, პონჩიკების ჭამა?

**— ეს მას ჰკითხეთ... გავრცელებული ინფორმაციით, ალასანია დატოვებს კოალიციას, ამაზე რას იტყვით?**

— არ ვიცი, ეგ ალასანიას უნდა ჰკითხოთ.

**— ანუ მმართველ კოალიციაში რა დინებებია, პოლიტიკოსმა ბაღათურიამ არ იცის?**

— ყველაფერი ვიცით, მაგრამ, როგორც ყველაფერი არ იჭმევა, ისე ყველაფერი არ ითქმევა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, ესენი ვინც არიან. **ესენი არიან კარიერაზე და პირად ინტერესებზე ორიენტირებული ხალხი, სპეკულანტები.** არსებობს პოლიტიკური ეტიკეტი, მე მათ საშინაო საქმეებში ვცდილობ არ ჩავერიო, მე ვუპირისპირდები მათ საზოგადო საქმეს. და აქ რა ხდება? **წართმეული ქონება დაუბრუნეს ვინმეს? არა და არც დაუბრუნებენ, თუ არ გამოგლიჯე ხელიდან. ივანიშვილი, ხომ ხედავთ, „ნაციონალურ მოძრაობას“ ათეთრებს, ღიად ლაპარაკობს — ყველას ხომ არ დავიჭერთო...**

**— ადეიშვილს ასე რომ აქებს, რაშია საქმე, ხომ არ იგეგმება ადეიშვილთან ერთად „ნაცების“ ახალი ჯგუფის გადასვლა ოცნებაში?**

— ეს იყო არა მარტო საზოგადოების, არამედ საკუთარი დაპირებებისა და გამონათქვამების უპატივცემულობა, რადგან ადრე სულ სხვა რამეს ამბობდა. **პირდაპირ ჩანს, რომ გვატყუებდა! რა უნდა ვთქვა ამაზე? დაავიწყდა, რომ ადეიშვილი ბანდის ერთ-ერთი ლიდერია? თუ რამე ბოროტება მომხდარა ქვეყანაში, ყველაფრის დამგეგმავი და განმახორციელებელი სწორედ ადეიშვილი იყო. და მარტო ის კი არ თქვა, რომ ნიჭიერიაო, ნიჭიერი შეიძლება ნაძირალაც იყოს, ისიც თქვა, რომ პატიოსანი კაცი იყო, კორუმპირებული არ იყო, პირველი თაობის მობილურით დადიოდა და „ციკლოვკა“ არ ჰქონდა პარკეტზეო. კარგით რა, ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი იყო.** ჩვენ ქონების ჩამორთმევაზე ვლაპარაკობდით, ქონების ჩამორთმევა ბიზნესმენისთვის, სოფელ დიღომში მცხოვრები თუ წყნეთში მცხოვრები გლეხისთვის სულ პროკურატურამ განახორციელა ადეიშვილის სქემებით. გამოდის, ივანიშვილს პირადი წყენა ჰქონდა სააკაშვილის, რაღაც ვერ გაიყვეს, რადგან, თუ ადეიშვილიც მოსწონს, ასე გამოდის, არა?!

**— კომპრომატები ხომ არ აქვს ადეიშვილს?**

— **შესაძლოა, გამორიცხული არ არის. ივანიშვილზე, ალბათ, არა. ადეიშვილს ექნება კომპრომატები მის გუნდზე, იმდენი ჩანაწერები ვისზე კეთდებოდა, ოპოზიციაზე ხომ? და, რა თქმა უნდა, ეს ჩანაწერები გატანილია ქვეყნიდან, ამიტომ მოვითხოვე, ყველა ჩანაწერი გამოექვეყნებინათ**. თუ გამოქვეყნდებოდა, იქნებოდა ლუსტრაცია. შევიკრიბებოდით პოლიტიკური სპექტრი და ვეტყოდით მათ – შენ ან მიდიხარ პოლიტიკიდან, ან მე ამას ვაქვეყნებ. ლუსტრაცია ასე ხდება, აბა, როგორ! და არ გააკეთეს ეს, ე. ი. თვითონ მათ ეხებოდა ეს.

**— დაბოლოს, აცხადებთ, ივანიშვილი ხალხის პრობლემებს ხუხაშვილის ყურებით ისმენს და უსუფაშვილის თვალებით ხედავსო, რატომ თვლით ასე?**

— ესენი ივანიშვილის უახლოესი ადამიანები არიან, მათ ივანიშვილთან კომუნიკაციის პრობლემა არ აქვთ. აი, სხვებისთვის კი დაკავშირება პრობლემაა. პარლამენტის წევრები და მინისტრები თვეობით ცდილობენ მასთან შეხვედრას, საქმე აქვთ და ვერ ხვდებიან. დიახ, ივანიშვილი არ ხვდება მათ, რატომ? ღირსად არ თვლის, მაგრამ ეს ორი ადამიანი — უსუფაშვილი და ხუხაშვილი ამას ახერხებს. რატომ ესენი? ესენი ივანიშვილს იმას ეუბნებიან, რისი მოსმენაც მას უნდა. და ეს დროებითია, მერე სხვას ამოიჩემებს.

**— არადა, ითქვა, ხუხაშვილი ჩაძირულიაო, არ ჩააჩოჩეს?**

— არა, რას ამბობთ, **ხუხაშვილი ისევ „დიდი ხუხაა“, ისევ წყვეტს საკადრო და ეკონომიკურ პოლიტიკას. ხუხა წყვეტს, სად რა უნდა აშენდეს, რკინიგზაზე რა უნდა გაკეთდეს და რა არა; ასევეა ენერგეტიკული საკითხებშიც. ერთი სიტყვით, სტრატეგიულ საკითხებს ეს კაცი წყვეტს, პოლიტიკურ საკითხებს კი — უსუფაშვილი.** და რომ კითხულობდნენ, რატომ მოსწონს ივანიშვილს რესპუბლიკელებიო, იმიტომ, რომ რესპუბლიკელების ცნობიერება აქვს. ეს არის და ეს.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

საქართველო და მსოფლიო
ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ის მეგობრობდა, როგორც თავად აცხადებს, სააკაშვილთან, ბოკერიასთან, მერაბიშვილთან და ახლახან აღმოვაჩინეთ, რომ ნოსტალგია ჰქონია ადეიშვილის მიმართ. ვფიქრობ, თუ ბატონი ივანიშვილი თავის არეალს ცოტა გააფართოებს, აღმოაჩენს, რომ გაცილებით უკეთესი ჩინოვნიკი იქნებოდა: ჰიმლერი, ჰიტლერი (ის საოცრად მშრომელი ადამიანი იყო), გებელსი; ივანიშვილს შეუძლია მსოფლიო მინისტრთა უნიკალურ მწვრთნელად მოგვევლინოს“**



# თემურ ქორიძე: თუ პრემიერს ასე ძალიან ენატრება ადეიშვილი, შეუძლია «ქართუში» დაასაქმოს

**პრემიერი თანამდებობას ტოვებს. ის არ მალავს, რომ ხალხზე გაბრაზებულია და რატომღაც უმწიფარებს გვიწოდებს, თუმცა თავად თანამდებობას ტოვებს და ამით მეტ უმწიფრობას ამჟღავნებს. რა იყო პრემიერის მოსვლის „მიზან-მისია“... რა დაუმტკიცა მან საკუთარ თავს და მიშას? პრემიერის ზრახვებთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიო“ ეროვნული მთავრობის ყოფილ წევრს — თემურ ქორიძეს ესაუბრა.**

— დღევანდელ ვითარებას შეიძლება უძრაობის პერიოდი დავარქვათ. მდგომარეობა ყველა მიმართულებით კრიზისულია, სავალალო კი ის არის, რომ ხელისუფლება გვარწმუნებს, ყველაფერი კარგად არისო. განსაკუთრებით პრემიერის ჭირვეულობაა თვალშისაცემი, რომელიც ქართულ საზოგადოებას უნიათობაში, უმწეობაში, უმწიფრობაში, პასიურობაში გამუდმებით ბრალს დებს, მაშინ, როდესაც ჩვენი საზოგადოება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გვაკლია, არაფრით ჩამოუვარდება სხვა ევროპულ საზოგადოებებს.

დავაკონკრეტებ: ივანიშვილი ქართულ საზოგადოებას ბრალს სდებს პასიურობაში... უნდა ითქვას, რომ პირველი დიდი პროტესტი სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ქართველმა ხალხმა 2005 წელს გამოხატა და მას შემდეგ თითქმის სულ ქუჩაშია და პროტესტის გრძნობა, მიუხედავად დარბევებისა, არ ჩამცხრალა. **ჩნდება კითხვა: რატომ მარცხდებოდა ხალხი ხელისუფლებასთან ბრძოლაში? იმიტომ, რომ ფსევდოელიტა, რომელიც საკმაოდ გავლენიანია, შეკრული იყო სააკაშვილის გარშემო, მათ შორის, ფინანსურ-ოლიგარქიული წრეები, დავასახელებ ორ მათგანს: ბადრი პატარკაციშვილი და ბიძინა ივანიშვილი.**

წარმოიდგინეთ, როგორი ძლიერი იქნება ქვეყნის მმართველი, რომელიც ჯავშნად იფარებს „ძლიერთა ამა ქვეყნისა“...

**ქართველი საზოგადოება ბიძინა ივანიშვილისგან არ იმსახურებს დამუნათებას და ყვედრებას. ხალხი გამუდმებით ებრძოდა სააკაშვილის რეჟიმსა და მის გარშემო შეკრებილ მილიარდერთა ჯგუფს. რეალობა მოითხოვს, ბიძინა ივანიშვილი ქართველი ხალხის შეფასებაში ცოტა ფრთხილი იყოს.**

ბატონი ივანიშვილი ხშირად გვაყვედრის, რომ მან რისკის ქვეშ დააყენა თავისი ოჯახი და ცხოვრება, როდესაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღო. რბილად რომ ვთქვათ, მისი ეს განცხადება მეტისმეტად თამამი და ნარცისულია. ქვეყანას ჰყავდა ადამიანები, რომლებიც ჩვენ თვალწინ დაიმსხვრნენ და დაილეწნენ სამშობლოს გამო, თითოეულ ქართველზეც წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ არაფერი დაგვკლებია. ივანიშვილი კი საქართველოში ყველაზე მეტად დაცული პიროვნებაა. მისი განცხადება, რისკებთან დაკავშირებით, ცინიზმია, ის თავს მშვენივრად გრძნობს.

**ივანიშვილი ხშირად საუბრობს იმაზეც, რომ მისი მთავრობა დაკომპლექტებულია კარგი და ძალიან კარგი მინისტრებით, რაც მეტიმეტად გადაჭარბებული შეფასებაა. ის ოდნავ მაინც რომ აზროვნებდეს, მთავრობის წევრებზე ეს არ უნდა თქვას.** პრემიერი განსაკუთრებით ხაზს უსვამს შინაგან საქმეთა მინისტრის საქმიანობას, რომ სასწაული მოხდა ამ სამინისტროში, მის ბაგეთაგან ზედმეტი სიხშირით ვისმენთ მინისტრის ქებას. ივანიშვილს ჰგონია, რომ პოლიციის სახეცვლილება მინისტრის დამსახურებაა. **დღევანდელი სახეშეცვლილი პოლიციელები, ხვალ რომელიმე ჩინოვნიკს რომ დასჭირდეს, დიდი სიამოვნებით შეგვწვავენ ცეცხლზე ისე, რომ ხელიც არ აუკანკალდებათ. ბატონი ბიძინა ან შეგნებულად გვატყუებს, რაც მისი შეცდომაა მკრეხელობასთან ერთად, ან თავს თავად იტყუებს და ეს უკვე სხვა კატეგორიის პრობლემაა, რომელიც თანაგრძნობას იმსახურებს.**

ივანიშვილმა თავის მთავრობას ერთადერთი შენიშვნა მისცა, რომ ისინი ზედმეტად არიან გართულნი სუფრული ურთიერთობებით. სამწუხაროდ, მან არაფერი თქვა მის მთავრობაში ფეხმოკიდებულ ნეპოტიზმზე. ეს თემა, რატომღაც არასერიოზულად მიაჩნია. ის, რომ წიგნთან მეგობრობდეს, ნეპოტიზმის არსი უთუოდ ეცოდინებოდა. მინისტრი, რომელიც ახლობლების დასაქმებითაა დაკავებული, სახელმწიფოებრივად ვერ იაზროვნებს. მთავრობაში ნეპოტიზმთან დაკავშირებით შრომატევადი სამუშაო გასწიეს ჟურნალისტებმა და ივანიშვილს დეტალურად დაუდეს მინისტრების მთელი გენეალოგია და ჩვენ კი მისგან გამაოგნებელი პასუხი მოვისმინეთ, ნათესაობა და მათდამი ყურადღების გამოჩენა, ქართველთა დამახასიათებელი თვისებააო, მაშინ რას ერჩის იმ მინისტრებს, რომლებიც ქეიფობენ? სუფრა უფრო ტრადიციული არ არის?

**ივანიშვილის მმართველობას არაფერი აქვს საერთო პროგრესთან, თანამედროვეობასთან, მისი წარმოდგენა ქართულ საზოგადოებაზე არის უაღრესად მცდარი, საფუძველსმოკლებული და შეურაცხმყოფელი ჩვენი საზოგადოებისთვის. არსებობს დელიკატური საკითხი, ამიტომ ბატონ ბიძინას არ აქვს უფლება, ხელი გაიშვიროს იმ საზოგადოებისკენ, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში იბრძოდა თავისუფლებისთვის. ქართველი ხალხი მაშინვე გაემიჯნა სააკაშვილს, მაშინ, როდესაც ივანიშვილი 2011 წლამდე მის გვერდით იდგა და სრულ თანადგომას უცხადებდა. მას აზრადაც არ მოსვლია, რომ ხალხის გვერდით დამდგარიყო.**

დამაფიქრებელი გულუბრყვილობაა ივანიშვილის მხრიდან იმის თქმა, რაც ამ რამდენიმე ხნის წინ განაცხადა, რომ სააკაშვილთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ისე, როდესაც ის ხელისუფლებაში მოდიოდა, ამბობდა, რომ ბევრი კითხვა დამიგროვდაო. შეკითხვები ჩვენც დაგვიგროვდა. როდის, რა ვითარებაში გაიცნო და დაუახლოვდა მიხეილ სააკაშვილს? რატომ დაუახლოვდა? მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, ალბათ, რომ რომელიმე კერძო პირს პრეზიდენტის ცოლისთვის მილიონები ეჩუქებინოს, ეს სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვლებოდა იმ მისაბაძ, ხელიხელსაგოგმანებ ევროპაში, მაგრამ ჩვენთან ისე ჩაიარა.

**ის მეგობრობდა, როგორც თავად აცხადებს, სააკაშვილთან, ბოკერიასთან, მერაბიშვილთან და ახლახან აღმოვაჩინეთ, რომ ნოსტალგია ჰქონია ადეიშვილის მიმართ. ვფიქრობ, თუ ბატონი ივანიშვილი თავის არეალს ცოტათი გააფართოებს, აღმოაჩენს, რომ გაცილებით უკეთესი ჩინოვნიკი იქნებოდა: ჰიმლერი, ჰიტლერი (ის საოცრად მშრომელი ადამიანი იყო), გებელსი, ივანიშვილს შეუძლია მსოფლიო მინისტრთა უნიკალურ მწვრთნელად მოგვევლინოს.**

თუ მის ლოგიკას გავყვებით, ჩვენ მივალთ ისეთ აბსურდამდე, რომ მტკივნეული დასკვნების გაკეთებისკენ გვიბიძგებს. აგვიხსნას ივანიშვილმა, რას ნიშნავს ადეიშვილი კარგი მენეჯერი იყო, მისი შექმნილი სისტემა სრულიად მოშლილი და არაკომპეტენტური ადამიანებით არის დაკომპლექტებული, სიმახინჯეა. ხელისუფლების ყველა დაწესებულებაში სრული არაპროფესიონალიზმია გაბატონებული, რომელიც წარმატებით ვითარდება ივანიშვილის დროსაც. **თუ პრემიერს ასე ძალიან ენატრება ადეიშვილი, მას შეუძლია „ქართუში“ დაასაქმოს. ძალიან დიდი მკრეხელობაა მისი მხრიდან, რომ ლამის მსხვერპლად აცხადებს წინა ხელისუფლებაში მყოფ ჩინოსნებს. მას ისღა დარჩენია, სააკაშვილიც ამერიკისა და ევროატლანტური იმპერიალიზმის მსხვერპლად აღიაროს, რაც, შესაძლოა, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, სრულიად საფუძვლიანიც კი იყოს.**

**— ბატონო თემურ, რამდენად სწორია ის, რომ პრემიერი მიდის და თავის ადგილას მემკვიდრეს ტოვებს?**

— „თვითონ მეფენიც უძლეველნიც“... გახსოვთ ეს ციტატა? ბატონმა ბიძინამ თავის დროზე მისი დასრულება ვერ შეძლო, მაგრამ ეს არ არის დიდი მინუსი. თავად მეფენიც ვერ ახერხებენ სასურველი მემკვიდრის დატოვებას, მემკვიდრე უფროსი შვილი უნდა იყოს. როგორც კი ეს წესი ირღვევა, სამეფოში ანარქია იწყება. **ივანიშვილი კი აცხადებს, რომ მას აქვს უფლება, დაასახელოს მემკვიდრე, როცა ამას გადაწყვეტს. ეს სრული ანაქრონიზმია. მას შეუძლია თავისი აღურაცხელი ქონების მემკვიდრე დაასახელოს. ივანიშვილმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საქართველოს, მის ფიქრში მყოფი შვილების გარდა, ბევრი შვილი ჰყავს. თუ ამ საკითხთან დაკავშირებით, ბატონი ბიძინა არგუმენტირებულ პასუხს მოითხოვს, მას სრული ფიასკო ელოდება, ამიტომ ჯობია, არ იკამათოს.**

**— ბატონო თემურ, რისთვის მოვიდა ივანიშვილი ხელისუფლებაში, რა მიზანი, მისია და მიზეზი ჰქონდა ან ახლა რატომ მიდის თანამდებობიდან?**

— ბატონ ივანიშვილსა და მიშას შორის მომხდარი კონფლიქტის თაობაზე ხმები მაშინვე გავრცელდა. კონფლიქტის მიზეზად სახელდებოდა ძალიან დიდი თანხა. ივანიშვილმა ბევრი რამ შეუსრულა სააკაშვილს, კაპიტალისა და ხელისუფლების ჩახუტება კარგ რამეზე არ მეტყველებს. ჩვენ პასუხები არ გვაქვს ამ ურთიერთობებზე, ივანიშვილს ხალხისთვის არ უთქვამს, რა ედო საფუძვლად მათ მეგობრობას. არ მგონია, რომ ეს ყოფილიყო ჯანსაღი ურთიერთობა, „ხელი ხელს ბანს“ — ამ პრინციპით იდგნენ ისინი. ასეთ შემთხვევაში კი სახელმწიფო ინტერესები უპირველეს ადგილას არ დგას. ვფიქრობ, ბატონი ბიძინას ხელგაშლილობაში სამშობლო პრიორიტეტი არ იქნებოდა.

ლოგიკა ადასტურებს, რომ ივანიშვილი შურისმაძიებელი პიროვნებაა, მას არ უყვარს უკან დახევა, ის ელოდება შესაფერის დროს, რათა გამოამჟღავნოს თავისი წყენა. დიდხანს შეუძლია მოთმენა და ჩრდილში დგომა, შეუძლია ნებისმიერ კომპრომისზე წავიდეს, მაგრამ ხელსაყრელ ვითარებაში მოწინააღმდეგეს თავს დააცხრება. როგორც ჩანს, ეს ვითარება გვაქვს სახეზე. ზემოთაც ვახსენე მისი კონფლიქტი სააკაშვილთან, როცა ის დაემუქრა მიშას, რომ დახარჯავდა მილიონებს და მას გადააგდებდა. **ივანიშვილს ფიქრადაც არ ჰქონდა, ყოფილიყო საქართველოს მთავრობის მეთაური, რადგან მისი კაპიტალისთვის ძალზე დიდი რისკია, ის ამას დღეს განსაკუთრებით გრძნობს. სწორეს ამიტომაც არის, რომ სრულ კაპიტულაციას უცხადებს ყველა ძალას, რომელიც მას რაიმეთი ემუქრება. ეს არის ამერიკა, ევროპული სტრუქტურები და რუსეთი. მას დიდი გული აქვს ქართულ საზოგადოებასთან, რადგან მისი სუსტი მხარე იცის — ჩვენ ღრმა კრიზისში ვართ, როგორც სულიერი ასე მატერიალური თვალსაზრისით.**

ივანიშვილი თუ ფიქრობს, რომ სამოქალაქო საზოგადოებაში მისი გადანაცვლებით უფრო დიდ საქმეს გააკეთებს, სიმართლე არ არის, რადგან, თუ ადამიანს თავი სამშობლოსთვის აქვს გადადებული, ბრძოლის ხაზი სწორედ მთავრობაში ყოფნაზე გადის. მილიარდელი წარმომადგენელი საზოგადოებისა ვერ იქნება ერის ხმა. აქედანვე შემიძლია ვთქვა: სამწუხაროდ, ბიძინა ივანიშვილის სამოქალაქო საზოგადოებაში ყო- ▶



**„ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში, ტერიტორიების დაბრუნების ერთადერთი გზა არსებობს — რუსეთი უნდა დაიშალოს და მისი პოზიციები მნიშვნელოვნად შესუსტდეს. ახლა ვისაც ამის სჯერა, შეუძლია, მთელი ცხოვრება სჯეროდეს, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არის ილუზია და ბევრად უფრო ეფემერული მოდელი, ვიდრე ევრაზიულ კავშირში ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.“**

ინტერვიუ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ფნა იქნება კურიოზებით სავსე და არაჯანსაღი მოვლენა. ამაში მალე დარწმუნდება თავად საზოგადოება. **ივანიშვილისთვის ძალიან მტკივნეულ საკითხს შევეხები. ის ხშირად აცხადებს, რომ შეძლო სააკაშვილის დამარცხება. ღრმად ცდება ბატონი ბიძინა. სააკაშვილი ივანიშვილს არ დაუმარცხებია.**

მონტესკიე ამბობდა: „რეჟიმი და ფორმაცია ორ შემთხვევაში იცვლება: ერთი, როდესაც ესა თუ ის რეჟიმი განვითარების კულმინაციას აღწევს და თავისთავად იცვლება, და მეორე, როდესაც რეჟიმი იხრწნება, კვდება“. **სააკაშვილის რეჟიმი გაიხრწნა და დაასრულა არსებობა.**

სანამ ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლის სურვილს გამოთქვამდა, ეს იგრძნო დასავლეთმა და ამერიკის პრეზიდენტმა პირდაპირ განაცხადა, რომ ხელისუფლების გადაცემა უნდა მოხდეს. ამ ფონზე მოვიდა ივანიშვილი. ბიძინა ივანიშვილს რომ მონაწილეობა მიეღო 2008 წელს არჩევნებში და იგივე პირობები რომ ჰქონოდა, რომლებიც ახლა ჰქონდა, რასაკვირველია, ის გაიზიარებდა ბადრი პატარკაციშვილის ბედს და გავიდოდა მე-5 ან მე-4 ადგილზე, რადგან მაშინ სააკაშვილს რესურსი ჯერ კიდევ ჰქონდა. **თუ ივანიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით „ჩაკითხვებს“ მოინდომებს, ძალიან ადვილად დავუმტკიცებთ, რომ ჩვეულებრივი წვლილი მიუძღვის სააკაშვილის მოშორებაში.**

**— ბატონო თემურ, ყველამ ვიცით, რომ ადრე თუ გვიან ამერიკა საქართველოდან ნელ-ნელა წავა, სააკაშვილის უკანასკნელი მცდელობა ხომ არ არის, რომ ამერიკა თურქეთით ჩაანაცვლოს? მან რამდენიმე ხნის წინ 1000-მდე თურქეთში მცხოვრებ წარმოშობით ქართველს მოქალაქეობა მისცა, არასახარბიელო ვითარებაა ბათუმშიც. არა მგონია, რუსეთმა ისე გამოგვიწოდოს დახმარების ხელი.**

— ეს აშკარა ექსპანსიაა, რომელიც საქართველოს „ათვისების“ თვალსაზრისით ხორციელდება. დღეს მხოლოდ ბარბაროსები ცდილობენ, ტყვიის საშუალებით მოახდინონ ანექსია, დღეს უფრო კულტურული, ვაჭრობის სახე აქვს ანექსიას. ამერიკის პრეზიდენტი ტრუმენი ამბობდა: „ჩვენ სავაჭრო გემებზე ქვემეხები აუცილებლად უნდა დავაყენოთ“. **ექსპანსია, რომელიც თურქეთიდან მოდის, სახიფათო მოვლენაა, ჩვენ ამ პროცესს სრულიად განიარაღებულები ვხვდებით. ეს არის ქართველ ხალხზე გაჯავრებული პრემიერი, პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც მხოლოდ მარიფათზეა დამოკიდებული.**

ჩვენ არ გველოდება მშვიდი და წყნარი ცხოვრება. უნდა დაისვას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი და ეს უნდა გააკეთოს საერთო სახალხო მოძრაობამ და არა ივანიშვილმა, რომელიც ახალი საპარლამენტო არჩევნების მებაირახტრედ ვერ წარმომიდგენია.

ესაუბრა **ეკა ნასყიდაშვილი**

## ვალერი ხაბურძანია: ვინ გვექაჩებოდა, პირველებს დაგვედასტურებინა, რომ თითქოს სირიაში ასადმა ქიმიური იარაღი გამოიყენა

**გასულ კვირას სააკაშვილის ბოლო გამოსვლა პირველი პირის რანგში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე რიხითა და ზემკაცრი რიტორიკით წარიმართა. „მეოცნებეებთან“ კოაბიტაციაში მყოფმა პრეზიდენტმა ამჯერად, მართალია, კოალიციის კრიტიკას ნაკლები დრო დაუთმო, მაგრამ სამაგიეროდ „ჯოხი“ დიდ რუსეთზე გადატეხა. მან რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის შეურაცხყოფაც მოასწრო და მეზობელი სახელმწიფოს „მარტივ მამრავლებად“ დაშლის გეგმაც დასახა. მოკლედ, „ნაციონალებს“ თუ დავუჯერებთ, ჰალსტუხჭამია მთავარსარდალმა მაღალი ტრიბუნიდან მთელი ცივილიზებული მსოფლიოს რეალური პოზიცია გაახმიანა; რამდენად ადეკვატური იყო ეს გამოსვლა და როგორ აისახება იგი რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობებზე, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია.**



**— ბატონო ვალერი, სააკაშვილის გამოსვლა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ექსპერტებმა სხვადასხვაგვარად შეაფასეს. ზოგმა მას ადეკვატური უწოდა, ზოგმა — ხატოვანი და ემოციური. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— რაც სააკაშვილმა ილაპარაკა, დაახლოებით იმას ნიშნავდა, ჩემს შემდეგ ქვა ქვაზე არ დარჩენილაო. საპრეზიდენტო ვადის დასასრულს მან კიდევ ერთხელ მიზანმიმართულად გააფუჭა და გაამწვავა ყველაფერი, რისი გაფუჭებაც შეეძლო. კარგია, რომ რუსეთის დელეგაცია ხვდება, რომ ეს სააკაშვილის ბოლო გამოსვლა იყო პრეზიდენტის რანგში, რადგან ამ ფორმით ქვეყნის ლიდერები არ საუბრობენ.

**— თქვენ თქვით, რომ ამ გამოსვლით სააკაშვილმა ყველაფერი გაამწვავა. კონკრეტულად რა გავლენას მოახდენს ის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე?**

— რუსეთის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ სააკაშვილის გამოსვლა აღიქვა უარყოფითად, რუსოფობიურად. და ეს ორ ქვეყანას შორის უამისოდაც რთულ ურთიერთობაზე, რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე, არსასურველ გავლენას მოახდენს. **მართალია, სააკაშვილი მიდის და დღეს სხვა ხელისუფლება ჰყავს საქართველოს, მაგრამ იმ დანაშაულებრივი შეცდომების აღმოფხვრა, რომლებიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაუშვა, მოკლევადიან პერსპექტივაში არ იქნება ადვილი. ამიტომ რუსეთთან ურთიერთობების მარტივად მოგვარების თაობაზე რაღაც განსაკუთრებულ ილუზიებს ნუ შევიქმნით.**

**— ახალი ხელისუფლება ახსენეთ და მან ერთ-ერთ პრიორიტეტად რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება ჯერ კიდევ 1 ოქტომბრის არჩევნებამდე დაისახა. როგორ ფიქრობთ, დღემდე რამდენად ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა იმისთვის, რომ ეს განხორციელებულიყო?**

## «პარლამენტში ზურაბ აბაშიძე ჰგავდა შეშინებულ დიპლომატს, რომელსაც პასუხს სთხოვდნენ თითის ქნევით»

— ხელისუფლებამ, უბრალოდ, რიტორიკა შეარბილა და ლოდინის რეჟიმში გადავიდა. სამწუხაროდ, ამან რუსეთის მხრიდანაც ბუნებრივად გამოიწვია ანალოგიური რეაქცია და დღეს ორივე მხარე ლოდინის რეჟიმშია. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ, სანამ ასეთ მდგომარეობაში ვიქნებით, შედეგს ვერ მივიღებთ...

**— რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ საქართველო მოცდის რეჟიმშია?**

— გაიხსენეთ, რა უქნა უმცირესობამ პარლამენტში ანგარიშის ჩასაბარებლად მისულ ზურაბ აბაშიძეს. ის ჰგავდა შეშინებულ დიპლომატს, რომელსაც პასუხს სთხოვდნენ თითის ქნევით. ჩემი აზრით, ამ ყველაფრის მიზეზი თვითონ აბაშიძის სისუსტეც არის, იმიტომ, რომ ფაქტია, ეს ადამიანი პასიურობს. ის უკვე რუსეთში ნამყოფი უნდა იყოს და აქტიურ შეხვედრებს მართავდეს. ამ დროს რა ხდება: გამოდის და იძახის, ვილაცებმა სალაპარაკოდ რომ არ გამხადონ, ამიტომ მოსკოვში არ მივდივარო.

**— ზურაბ აბაშიძე პრემიერმინისტრის სპეციალური წარმომადგენელია და რა მითითებებსაც ცენტრალური ხელისუფლებიდან იღებს, იმას ასრულებს.**

— არ ვიცი, რა მითითებებს იღებს, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: **თუ ჩვენ რეალური შედეგი გვინდა, ზურაბ აბაშიძე ახლა მოსკოვში უნდა იყოს, ხვდებოდეს რუს ჩინოვნიკებს, რომ გამოარკვიოს, რა სურს მეზობელ სახელმწიფოს ჩვენგან. ამის გარეშე მოქმედების ადეკვატური გეგმა ვერ გექნება და, როგორც გითხარით, იქნები მუდმივად ლოდინის რეჟიმში.**

მე მგონი, ჩვენ ეს ხელს არ გვაძლევს. მუდმივად სხვის ამოცანებს ხომ არ შევასრულებთ?! ბოლოსდაბოლოს, ვართ თუ არა სახელმწიფო? თუ ვართ, მაშინ საბოლოოდ უნდა განისაზღვროს, რა გვინდა, რა გვჭირდება და ამის შესაბამისად დაიგეგმოს პოლიტიკა. გავიგოთ, რომ პოლიტიკური რომანტიზმის დრო წავიდა, თანამედროვე მსოფლიოში ყველა მოქმედებს საკუთარი ინტერესებით.

**— მიგაჩნიათ თუ არა, რომ რუსეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად ასევე აუცილებელია ნატოზე უარის თქმაც?**

— მოდი, ძალიან მარტივად მივუდგეთ ამ საკითხს, **იყო დასავლეთისა და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების პარტნიორი, ნიშნავს, რომ მათი ინტერესების გამტარებელი ხარ. ეს კი დღევანდელ გეოპოლიტიკურ რეალობაში პირდაპირ წინააღმდეგობაშია რუსეთის ინტერესებთან.** ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, რამდენად ადეკვატურია ის არჩევანი, რომელსაც საქართველო აკეთებს, რას გვაძლევს ეს ჩვენ და რით არის ხელსაყრელი.

**— თქვენი აზრით, რით?**

— ჩემი აზრით, ნატო, როგორც კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა, საქართველოსთვის არ არსებობს, ამიტომ ჩვენ რა შარშიც უნდა გავყოთ თავი ალიანსში შესვლის სურვილით, კარს მაინც არავინ გაგვიღებს.

**— ერთი ასეთი უშედეგო „შარი“ 2008 წლის აგვისტოს ომი აღმოჩნდა. როგორ ფიქრობთ, კიდევ რა შეიძლება იყოს მომავალში?**

— შარში სხვის ინტერესებს ვგულისხმობ. მაგალითად, ვინ გვექაჩებოდა, პირველებს დაგვედასტურებინა, რომ თითქოს სირიაში ასადმა გამოიყენა ქიმიური იარაღი და რომ მის წინააღმდეგ აუცილებლად უნდა იქნეს სამხედრო ზომები მიღებული?! რა აუცილებლობა ითხოვდა ჩვენგან ამას?! ისევ და ისევ სხვისი ინტერესები; ასე რომ, სანამ ამ პრინციპით ვიმართებით, ყოველთვის ვიქნებით კონფრონტაციაში ვიღაცასთან. დღესდღეობით ეს ვიღაც არის რუსეთი...

**— თქვენ თქვით, რომ ნატო, როგორც უსაფრთხოების სისტემა, საქართველოსთვის არ არსებობს, მაგრამ დასავლელი პარტნიორები სრულიად საპირისპირო განცხადებებს აკეთებენ, მოლოდინს გვიქმნიან. როგორ ფიქრობთ, ეს განცხადებები რა მიზანს ემსახურება?**

— ეს მოლიდინი სრული აბსურდია. **ვინმემ იცის, რა არის ის სტანდარტები, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც მიგვიღებენ ალიანსში?! ჩვენ თუ კარგი, მძლავრი სახელმწიფო გავხდით, რომელიც თვითონ უზრუნველყოფს თავის უსაფრთხოებას, რად გვინდა მერე ნატოში შესვლა?! რად გვინდა ავღანეთში, ერაყსა და სხვა ცხელ წერტილებში მონაწილეობა?!** ვიქნებით რეგიონული ტიპის ძლიერი ქვეყანა და ჩვენ თავს თვითონ მივხედავთ.

**— ევროკავშირიც ანალოგიურ პოზიციას გვიფიქსირებს, — კარი ღიაა, მაგრამ ვერ მიგიღებთო.**

— აქაც იმავეს თქმა შეიძლება: თუ ჩვენ ეკონომიკურად გავძლიერდებით, ევროკავშირში შესვლა არაფერს მოგვცემს, გარდა იმისა, რომ დისბალანსურ ორგანიზაციაში ვიქნებით, სადაც თავის სიტყვას ამბობენ გერმანია და საფრანგეთი, სხვები კი მხოლოდ სატელიტები არიან. აქ კიდევ ცალკე პრობლემაა ის, რომ **ჩვენი პოლიტიკური ელიტის დასავლური ფრთა არ იცნობს რუსეთს ან თუ იცნობს, ძალიან ცუდად. კი, ზურაბ აბაშიძე წლების მანძილზე ელჩი იყო, მაგრამ მაშინდელი და დღევანდელი რუსეთი სხვადასხვა რამაა. ექსპერტი მუდმივად უნდა ჩამოდიოდეს, შედიოდეს ჩინოვნიკურ ლაბირინთებში და გებულობდეს, რა ხდება იქ.** ამის შემდეგ შეიძლება ჩვენ დასკვნები გამოვიტანოთ, — რა პოლიტიკაა საჭირო, თორემ ბლოგებით ან „ფეისბუქითა“ და ინტერნეტით შესწავლილი რუსეთი, დამერწმუნეთ, რეალურ ურთიერთობაში ვერ გამოგვადგება.

**— თუკი ევროკავშირი და ნატო ჩვენს სამომავლო გეოპოლიტიკურ ოჯახად არ უნდა მოვიაზროთ, მაშინ სად წარმოგიდგენიათ საქართველოს უსაფრთხოების გარანტიები?**

— დღესდღეობით ჩვენთან არის ძირითადად ორი ფრთა: პროდასავლური პოლიტიკოსები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სწორედ ევროკავშირი და ნატოა ერთადერთი სწორი გზა, და ე.წ. ეროვნული ძალები, რომლებიც ამბობენ, — არც ერთი გვინდა, არც მეორე, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო. ჩემთვის ორივე მცდარია, ამიტომ **ახლა ჩვენი სახით აპირებს გამოჩენას რუსული ვექტორი, რომელიც ქვეყნის მომავალს ხედავს ევრაზიულ კავშირში, ანუ ყოფილ საბჭოთა სივრცეში ინტეგრირებასა და დაბრუნებაში. ამ ვექტორმა თუ არ იმუშავა, საქართველოში პოლიტიკური სისტემა ვერ ჩამოყალიბდება, სტაბილური გარემო ვერ შეიქმნება და მუდმივად გვექნება ერთ კაცზე ჩამოკიდებული რაღაც ბუტაფორიული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი.**

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მთავარია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კუთხით რას მოუტანს საქართველოს ამ ორგანიზაციაში შესვლა?**

— უწინარესად, ეს შექმნის ახალ რეალობას იმ თვალსაზრისით, რომ ერთ სივრცეში აღმოვჩნდებით აფხაზებთან და ოსებთან. ამით თავისთავად გადაილახება უამრავი ბარიერი და გაჩნდება სხვა პერსპექტივები ერთმანეთთან მისასვლელად. რაც შეეხება ევროკავშირსა და ნატოს, ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების შემთხვევაში, ტერიტორიების დაბრუნების ერთადერთი გზა არსებობს — რუსეთი უნდა დაიშალოს და მისი პოზიციები მნიშვნელოვნად შესუსტდეს. ახლა ვისაც ამის სჯერა, შეუძლია, მთელი ცხოვრება სჯეროდეს, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არის ილუზია და ბევრად უფრო ეფემერული მოდელი, ვიდრე ევრაზიულ კავშირში ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. დანარჩენი უკვე საზოგადოებასთან ერთად პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს. ამ პროცესში არჩევანის გაკეთებას ვგულისხმობ, გარე ძალების ჩარევა ჩვენი ეროვნული ინტერესებისთვის ყოველთვის საზიანო იქნება.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ივანიშვილმა თუ დატოვა პარლამენტის ის კონფიგურაცია, რომელიც დღეს არის, მთლიანად კარგავს ლეგიტიმურობას, ხოლო ახალი არჩევნების შემთხვევაში ისინი, ვისაც ჰგონია, რომ პარლამენტში, ასე ვთქვათ, თვითონ არიან ლოკომოტივი, შეიძლება პარლამენტს გარეთ აღმოჩნდნენ საერთოდ.“**

# ივანიშვილი უნდა წავიდეს და რაც შეიძლება მალე

**თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, ფილოსოფოსმა დავით თევზაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ გაუგებარი ტერმინი კოაბიტაცია დასრულდება „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალების“ ერთმანეთთან შერწყმით. თევზაძე მიიჩნევს, რომ მარგველაშვილს აღარ აქვს უფლება, იწოდებოდეს ფილოსოფოსად მას შემდეგ, რაც დათანხმდა პრეზიდენტობის კანდიდატობას. „საქართველო და მსოფლიოს“ თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე ესაუბრება.**



## დავით თევზაძე: მარგველაშვილი არის ყველაზე სუსტი კანდიდატი

**— ბატონო დავით, ივანიშვილი ევროპის გააოცებას აპირებდა დემოკრატიით... რა უნდა შეიცვალოს, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს?**

— რა თქმა უნდა, გაოცდება ევროპა... ***(იცინის)*** არჩევნები სამართლიანად კი არა, წესიერად რომ ჩატარდეს, ალბათ, უპირველესად, კანონმდებლობა და ის ადამიანები უნდა შეიცვალონ, რომლებიც ამ კანონმდებლობას აღასრულებენ, საარჩევნო კანონმდებლობა მაქვს მხედველობაში. გარდა ამისა, **ამომრჩევლები არჩევნების წინ ცდილობენ, პირადი კეთილდღეობა მოიწყონ კანდიდატების ხარჯზე, ანუ იმდენად არის გასაცოდავებული ამომრჩეველი, რომ შეუძლია თავისი ხმა ნებისმიერ დაპირებაში გაცვალოს. და თუ საზოგადოება არ შეიცვლის ცხოვრების ნირსა და წესს, თუ იქნება ვიღაცის ხელისშემყურე, სამსახურის, პურის ფულის და ა.შ. მანამდე სულ ასე იქნება.** ძლიერი საზოგადოება, უპირველესად, ის საზოგადოებაა, რომელსაც სერიოზული განცდა აქვს საკუთრების, ჩვენთან კი ეს განცდა ერთეულებს აქვთ.

**— ფილოსოფოსი ბრძანდებით, როგორ ფიქრობთ, რამდენად კარგი იქნება ფილოსოფოსი მარგველაშვილი საქართველოს პრეზიდენტად?**

— იცით რა, მარგველაშვილმა ფილოსოფიას იმ წუთიდან დაანება თავი, რა წუთიდანაც თანხმობა განაცხადა ამ მარათონში მონაწილეობაზე. ასე რომ, **ფილოსოფოს მარგველაშვილზე ნუღარ ვილაპარაკებთ, ვისაუბროთ კანდიდატ მარგველაშვილზე. მე არ ვიცი, რა უნარი შეიძლება გამოამჟღავნოს მან მომავალში, მაგრამ იმ მონაცემებით, რომლებზეც მსჯელობის საშუალებას მისი ბიოგრაფია იძლევა, მარგველაშვილი არის ყველაზე სუსტი კანდიდატი, რეალური კანდიდატები მყავს მხედველობაში.** არის რამდენიმე ადამიანი, რომელთა პოლიტიკური ბიოგრაფია გაცილებით უფრო მდიდარია და, შესაბამისად, გამოცდილებაც. ასე რომ, დღეს არანაირი პირობა არ ჩანს იმისა, ადამიანმა იფიქროს, რომ მარგველაშვილი იქნება საუკეთესო არჩევანი ამომრჩევლისთვის.

**— მარგველაშვილი არჩევნების შემდეგ კოაბიტაციის დასრულებას დაგვპირდა, რაში გამოიხატება კოაბიტაციის დასრულება? ახალ სახელს ხომ არ დაარქმევენ ამას, მაგალითად, ქვეყნის აღმშენებლობას და ისევ ისე გაგრძელდება ყველაფერი?**

— როგორ და რა იქნება, მოდით, მომავალს დავუტოვოთ. რაც შეეხება კოაბიტაციას, კარგად ვერ გავიგე, რაში მდგომარეობს და მისი დასრულება რას ნიშნავს, ცოტა ბუნდოვნად მესახება, თუკი პოლიტიკური სპექტრი დარჩა იგივე. სხვა სიტყვებით, პარლამენტი და მთავრობა, როგორიც დღესაა, და პრეზიდენტი, როგორიც იქნება მარგველაშვილი, თუ ის გახდა პრეზიდენტი, კოაბიტაციას ვერ დაასრულებენ, ვინაიდან გაუგებარია, რა შეიცვლება ამით. იცით, ძალიან მიჭირს გაუგებარი ტერმინებით ოპერირება. **თუ ამიხსნის მარგველაშვილი, რაში მდგომარეობდა კოაბიტაცია და მეტყვის რაღაც განსხვავებულს იმისგან, რასაც ჩვენ ვუყურებთ, და მერე კარგად ამიხსნის, ამის დასრულება რას ნიშნავს, ალბათ, შემდეგ უფრო გამიადვილდება მსჯელობა.** ეს არის ბუნდოვანი ტერმინების ბუნდოვანი გამოყენება. ასე რომ, ამაზე პასუხის მოცემა გამიჭირდება.

**— ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას როგორ აფასებთ? საინტერესოა, ვინ ჩაანაცვლებს მას...**

— მე უკიდურესად უარყოფითად ვიყავი განწყობილი ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ვთვლიდი, რომ მას წასვლის არანაირი უფლება არ ჰქონდა, ვინაიდან საზოგადოების ნდობა მთლიანად მასზე იყო ჩამოკიდებული. რაც უნდა ძლიერი ფიგურები ჰყოლოდა მას გუნდში, რომლებიც მან თავისთვის შეარჩია, იმ ფიგურებს არაფერი განუსაზღვრავთ, ანუ პარლამენტიც და მთავრობაც არის მისი ნდობის ხარისხის დემონსტრირება. ასეთ დროს შენ გაქვს ვალდებულებები, რომლებიც არ შეიძლება მოგწყინდეს და არ შეიძლება, რომ რაღაც მომენტში არ მოგეწონოს. ამიტომ წასვლას მე აღვიქვამდი არასწორ ნაბიჯად, მაგრამ იმ **ე.წ. შეხვედრამ ექსპერტებთან გამიჩინა განცდა, რომ, რაც მალე წავა პოლიტიკიდან ივანიშვილი, მით უკეთესი იქნება. დიახ, ასეა. გამოიკვეთა, რომ ადამიანს არ შეუძლია კრიტიკის მოსმენა, გამოიკვეთა, რომ ადამიანთან არგუმენტი არ ჭრის, გამოიკვეთა, რომ კრიტიკას ის აღიქვამს, როგორც პირად წყენას.** ეტყობა, აკლია ეს გამოცდილება და იმიტომ აღიქვამს ასე მტკივნეულად. არ ვიცი, როგორ გითხრათ, მაგრამ, უსინდისო ვიყო, პირადად რა ცილისწამებაც შემხვდა ცხოვრებაში, ცუდ სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდი, თუმცა ავიტანე. ქვეყანას პირს ვერ აუკრავ და აზრის გამოთქმას ვერავის აუკრძალავ. ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დამრჩა ამ შეხვედრიდან და ვიფიქრე, რომ, ალბათ, მისი გადაწყვეტილება, რომ ის უნდა წავიდეს, მართლაც სწორი გადაწყვეტილებაა. **დიახ, ივანიშვილი უნდა წავიდეს და რაც შეიძლება მალე, ოღონდ, რა თქმა უნდა, იმ გარანტიით, რომ თავისი დანატოვარით მანიპულირებას არ დაიწყებს გარედან, რადგან მაშინ მეორე უბედურება მოხდება — საერთოდ ავცდებით სახელმწიფოებრივი განვითარების გზას.** არ ვიცი, მას ვინ, როგორ მიუტანს ამ ინტერვიუს და სად დამიპირებენ „დაბარებას“, მაგრამ ეს არის ჩემი მოსაზრება, რომელსაც ხმამაღლა ვამბობ.

**— ვინ უნდა დაგიბაროთ, თუმცა არც არის გამორიცხული... კარგია, რომ ცოტა გავმხიარულდით, ახლა კი ისევ ივანიშვილს დავუბრუნდეთ, ექსპერტებთან შეხვედრის შემდეგ ითქვა, რომ მან ის ტოტი მოჭრა, რომელზეც იჯდაო, ეთანხმებით?**

— ბუნებრივია, მოჭრის. იმ ადამიანების უმრავლესობას, რომლებიც იქ ისხდნენ, მე ძალიან ახლოს ვიცნობ და ვიცი მათი წესიერების ხარისხიც და მათი აზროვნების შესაძლებლობებიცა და ფარგლებიც: ვიმეორებ, ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა ამ შეხვედრამ. ვფიქრობ, რომ ივანიშვილი, უპირველესად, საკუთარი თავისგან არის გადასარჩენი. **ივანიშვილმა (თუ წავიდა პოლიტიკური ასპარეზიდან) არ უნდა დაასახელოს პრემიერის კანდიდატურა, რადგან გადადგომის შემდეგ მისი საქმე აბსოლუტურად არ არის, ვინ იქნება პრემიერი. მან შეიძლება აზრი გამოთქვას, რომ ეს აჯობებსო, მაგრამ მას შეიძლება ისევე შეეშალოს, როგორც შეეშალა მარგველაშვილის შემთხვევაში.** ასევე საინტერესოა, რატომ მიდის თანამდებობიდან? შეიძლება თავის გარემოცვას გაურბის, შეიძლება რაღაც ისეთი პრობლემები დაინახა, რომლებსაც ვერ ჭრის, შეიძლება წნეხს ვერ უძლებს, გნებავთ, საგარეო პოლიტიკურს. კოაბიტაციას მაძალებენო, რომ აცხადებს, აი, ეს არ უნდა თქვას, აძალებენ და ნუ დაიძალებს!

მოკლედ, რთული სათქმელია, რატომ მიდის. **ივანიშვილმა თუ დატოვა პარლამენტის ის კონფიგურაცია, რომელიც დღეს არის, მთლიანად კარგავს ლეგიტიმურობას, ხოლო ახალი არჩევნების შემთხვევაში ისინი, ვისაც ჰგონია, რომ პარლამენტში, ასე ვთქვათ, თვითონ არის ლოკომოტივი, შეიძლება პარლამენტს გარეთ აღმოჩნდნენ საერთოდ.** ამიტომ, რა თქმა უნდა, კოაბიტაციის დასასრული თუ იქნა იმდაგვარი, როგორსაც მარგველაშვილი გვპირდება, ეს არ შეეხება პარლამენტს. კოაბიტაცია დასრულდება იმით, რომ, უბრალოდ, ყველა შეერწყმება ერთმანეთს. ამას წინათ ვიღაცამ იხუმრა — კოაბიტაცია დამთავრებულია, ყველა ერთმანეთს ჩაეხუტაო. თავად კოალიცია, როგორც ჩანს, შემდეგ არჩევნებამდე ვერ მიატანს. ყველა ეცდება, იმ ნავში გადაჯდეს, რომელიც უფრო აჩენს ტივტივის უნარს. ფაქტია, ეს უკვე იძირება. ნავიც და გემიც თვითონ ბიძინა იყო, ივანიშვილი, ერთი კაცი.

**— სააკაშვილმა განაცხადა: საპასუხო ცეცხლი 2008 წელს რომ არ გაგვეხსნა, იმავე სიტუაციაში აღმოვჩნდებოდით, რომელშიც შევარდნაძე აღმოჩნდა 1998 წელს გალში“, როგორც შევარდნაძის თავდაცვის მინისტრს, გეკითხებით: შეიძლებოდა თუ არა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების თავიდან აცილება?**

— გალის ამბები სააკაშვილმა ან არ იცის, ან იცის რაღაც იმაზე მეტი, ვიდრე მე მგონია. გალში არც ერთი სამოქალაქო პირი არ დაზიანებულა, ყველას გამოყვანა მოხერხდა და არც ახალი ტერიტორიული დანაკარგები მიგვიღია. არ მინდა ამ თემის გაშლა, იმიტომ, რომ ზედმიწევნით კარგად ვიცი, რა და როგორ იყო. რაც შეეხება 2008 წელს, დღეს ვფიქრობ, რომ აბსოლუტურად განმუხტვადი იყო სიტუაცია. ვიმეორებ: სიტუაცია იყო განმუხტვადი, უბრალოდ, არანაირი პოლიტიკური ნება ამ განმუხტვის არ არსებობდა. **გადმოალაგეთ იაკობაშვილის ინტერვიუები, გადახედეთ, როგორი რიტორიკა მიდიოდა. დავანებოთ სააკაშვილს თავი, რეინტეგრაციის მინისტრი იმუქრებოდა ომით, ანუ იმით, რაც მისი საქმე საერთოდ არ იყო. როდესაც შენ არ გესმის, მაშინ უნდა გყავდეს გვერდით ვიღაც სხვა ისეთი, რომელსაც ესმის და რომელსაც დაუჯერებ. ასეთი არ ჰყავდა სააკაშვილს არავინ. შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. რა არის ამაში სატრაბახო, დღემდე არ მესმის.**

**— ე. წ. სასაზღვრო ზოლზე მავთულხლართების გადმოწევაზე რას იტყვით?**

— ჩვენ არ ვიცით, ზუსტად სად გადაიწია და სად გადმოიწია. შეიძლება ავლებენ იმ პერიმეტრზე, რომელიც ძველ რუკებზეა დატანილი, როგორც ადმინისტრაციული საზღვარი. ბუნებრივია, არ არის კარგი სიტუაცია, მაგრამ არ მგონია, რომ ეს იყოს გარკვეულწილად აგრესიის გამოვლენა. იცით, რაშია საქმე? მე თუ ვაპირებ აგრესიას, მავთულხლართს, პირიქით, მოვხსნი, რადგან ის ჩემს აგრესიას ზღვარს უდებს და დაბრკოლებას ქმნის. სხვათა შორის, მე ოსების ადგილზე უფრო ვიდარდებდი ამ მავთულხლართებზე, მათ ესპობათ გადაადგილების საშუალება, რომ რაღაც ურთიერთობა მაინც იქონიონ. არ მინდა, ამ მოვლენებიდან უფრო დრამატული რაღაცები გამოვიდეს, ვიდრე არის. ჩვენ თუ გვაქვს შნო იმისა, რომ არ დავადგმევინოთ და შნო იმისა, რომ ის დადგამს და მე მოვხსნი, მაშინ სხვა საკითხია. ხოლო როდესაც ამის შნო არ გაქვს, როდესაც, მხოლოდ დგახარ, უყურებ, აღრიცხავ, ხმაურობ და სხვა არაფერი, მაშინ, უბრალოდ, უნდა მიიღო ეს.

**— დაბოლოს, სად ხედავთ სააკაშვილის პოლიტიკურ მომავალს: დააკავებენ თუ, მისი თქმის არ იყოს, ბიბლიოთეკას გახსნის? აქვე გაეროს ასამბლეაზე მისი გამოსვლაც შეაფასეთ...**

— მისი გამოსვლისთვის არ მომისმენია, რადგან ჩემთვის მისი ლეგიტიმაცია დაახლოებით 11 თვის წინ დამთავრდა, მე, პირადად მისთვის ხელახალი ლეგიტიმაცია არ მიმიცია, ისევე, როგორც ქართველების უმრავლესობას. პარლამენტმა თავის ჭკუით განსაზღვრა და კი, ბატონო, პარლამენტმა უსმინოს, მე რა შუაში ვარ. შევარდნაძეს 11 თვე ჰქონდა თავისი ლეგიტიმური ვადის და ის არ აცალეს, ამას კი 11 თვე მისცეს სხვისი საპრეზიდენტო ვადიდან. მთავარია, თავად სად ხედავს თავის პოლიტიკურ მომავალს... დააკავებენ? არ ვიცი, გააჩნია, ოქტომბრის ბოლომდე რას მოილაპარაკებენ და ამას არც მე მკითხავს არავინ, არც თქვენ და, მით უმეტეს, არც საზოგადოებას.

## «არჩევნები კი არ გაყალბდება, არამედ საერთოდ არჩევანი არ შედგება»

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„რაც სააკაშვილმა გაეროს ტრიბუნიდან განაცხადა, იყო შეურაცხმყოფელი არამარტო პუტინისთვის, არამედ მთელი რუსეთისთვის, რაც, რა თქმა უნდა, შედეგის მომცემი არ არის. ბიძინა ივანიშვილმა სრული ჭეშმარიტება ბრძანა, საერთაშორისო საზოგადოება რისი გამკეთებელიც არის, ეს ყველაფერი წლების განმავლობაში უკვე ვიწვნიეთ. საერთაშორისო საზოგადოების მიერ გაკეთებული საქმე მხოლოდ ორი სიტყვით — შეშფოთებითა და აღშფოთებით გამოიხატებოდა.“

ვალერი კვარაცხელია:

# საქართველოში თურქეთიზაცია მიმდინარეობს



„საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განაცხადოს, რომ ქვეყანა არც ერთ სამხედრო ბლოკში არ გაწევრიანდება. უარს ვაცხადებთ ნატოში გაწევრიანების აკვიატებულ სურვილზე, უარს ვაცხადებთ აშშ-ის სტრატეგიულ პარტნიორობაზე და ყველა ქვეყანასთან სათანამშრომლოდ მზად ვართ“, — მიაჩნია პოლიტიკური პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ ხელმძღვანელს — ვალერი კვარაცხელიას, რომელიც „საქართველო და მსოფლიოს“ რთული ვითარებიდან ქვეყნის გამოსვლის გზებს უზიარებს.

**— მიხეილ სააკაშვილმა გაეროს ტრიბუნიდან საერთაშორისო საზოგადოებას ანექსიის დასასრულებლად დახმარება სთხოვა, თუმცა რა შედეგს გამოიღებს ეს თხოვნა, მაშინ, როცა თავად საქართველოს პრემიერმაც ახლახან, ქართველ ექსპერტებთან შეხვედრისას, პირდაპირ განაცხადა, რომ არც ევროპა და არც ამერიკა საქართველოს გამო რუსეთს არ დაუპირისპირდებიან?**

— სააკაშვილის გამოსვლა გაეროს ტრიბუნაზე იყო ავანტიურისტული, არაადეკვატური, მაგრამ როგორ შეაფასეს პოლიტიკოსებმა? უმრავლესობა და უმცირესობა ერთხმად გაჰკიოდა, — რა საოცარი, პატრიოტიზმით გაჟღენთილი გამოსვლა მოვისმინეთო. აშშ-ის ელჩმა, რიჩარდ ნორლანდმა, რომელიც, ფაქტობრივად, დღეს საქართველოს მართავს, თქვა თუ არა, რომ შესანიშნავი გამოსვლა იყოო, ელჩის ხელის აქნევაზე ეს ჩიტებიც წამოფრინდნენ და ერთობლივი ჭიკჭიკით თქვეს ის, რაც ნორლანდმა უკარნახათ. **რაც სააკაშვილმა გაეროს ტრიბუნიდან განაცხადა, იყო შეურაცხმყოფელი არამარტო პუტინისთვის, არამედ მთელი რუსეთისთვის, რაც, რა თქმა უნდა, შედეგის მომცემი არ არის. ბიძინა ივანიშვილმა სრული ჭეშმარიტება ბრძანა, საერთაშორისო საზოგადოება რისი გამკეთებელიც არის, ეს ყველაფერი წლების განმავლობაში უკვე ვიწვნიეთ. საერთაშორისო საზოგადოების მიერ გაკეთებული საქმე მხოლოდ ორი სიტყვით — შეშფოთებითა და აღშფოთებით გამოიხატებოდა.** მეტს ისინი ვერაფერს ახერხებენ და ეს ბუნებრივია. რა უნდა მოახერხონ, როცა საქმე მსოფლიოს უდიდეს ქვეყანასთან გვაქვს, რომელიც ბირთვული იარაღითაა აღჭურვილი?!

**— მაშინ რა გზა რჩება ხელისუფლებას ვითარების დასარეგულირებლად? სიტუაცია კი, მოგეხსენებათ, კვლავ დაძაბულია...**

— გზა არსებობს და ამ წლების განმავლობაში ამის შესახებ ტომები დავწერეთ მე და ცხონებულმა ვატანგ გოგუაძემ. ბევრი ვწერეთ და ვილაპარაკეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ შეისმინა. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ სხვების ინტერესები ისე, რომ ჩვენს სუვერენიტეტს საფრთხე არ დაემუქროს და მხოლოდ ამის შემდეგ გვაქვს მორალური უფლება, სხვებისგანაც რაღაც მოვითხოვოთ.

**— რა კონკრეტული ინტერესი შეიძლება საქართველოს ხელისუფლებამ გაითვალისწინოს, რის შემდეგაც რუსებიც გარკვეულ დათმობებზე წამოვლენ?**

— დავიწყოთ უმთავრესით: **საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განაცხადოს, რომ ქვეყანა არც ერთ სამხედრო ბლოკში არ გაწევრიანდება. უარს ვაცხადებთ ნატოში გაწევრიანების აკვიატებულ სურვილზე, უარს ვაცხადებთ აშშ-ის სტრატეგიულ პარტნიორობაზე და ყველა ქვეყანასთან სათანამშრომლოდ მზად ვართ.** ეს არც ერთ ხელისუფალს არ გაუკეთებია, ამიტომაც ვითარება დღემდე უცვლელი რჩება. ეს ვითარება კი დღეს როგორია? საქართველო მიილტვის ნატოსკენ, ანუ საქართველო რუსეთს ემუქრება, რომ საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით, რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან ნატოს შეიარაღებული ძალები განლაგდებიან. რუსეთი, რა თქმა უნდა, შეეცდება, ეს არ მოხდეს, რადგან ეს მის უსაფრთხოებას ემუქრება. **ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ არ შეუძლია მისი აღიარება უკან წაიღოს. გასაგებია, რომ პოლიტიკაში ასე არ ხდება, მაგრამ ამასთან, მან თქვა, რომ კარგად იცის, საქართველო ვერასდროს შეურიგდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. შეუძლებელია, საქართველოში ვინმე დაკარგულ აფხაზეთსა და ცხინვალს შეეგუოს და ეს რუსებმაც კარგად იციან. პუტინის მხრიდან ეს უზარმაზარი მესიჯია, რომლისთვისაც ხელი უნდა ჩაგვევლო.** ერთი წლის განმავლობაში რატომ არ შეხვდა ივანიშვილი პუტინს, არ ვიცი. ალბათ, აშშ-ს, ევროპას, საკუთარ გარემოცვას ერიდება. პრაქტიკულად მარტოა ივანიშვილი. მან თქვა კიდეც, თქვენ არ იცით, რა რთული იყო ამერიკელებთან და ევროპელებთან ურთიერთობაო და ასეც არის. ხელისუფლებაში მოსვლა ადვილი ჰგონიათ, სინამდვილეში ეს თავგანწირვაა.

**— ამიტომაც ხომ არ გადაწყვიტა პრემიერმა პოლიტიკიდან წასვლა?**

— მე ამის მტკიცება არ შემიძლია, — რა არის მისი მთავარი მოტივაცია, მაგრამ მისი პოლიტიკიდან წასვლა, ალბათ, ამანაც განაპირობა. ბიძინა ივანიშვილი ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. რუსები უკან არ იხევენ, მან ვერ გადადგა აუცილებელი ნაბიჯები მათ შესაჩერებლად. **1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში თითქოს ივანიშვილმა მიიღო უმრავლესობა, მაგრამ რეალურად სააკაშვილმა მიიღო მთელი პარლამენტი. ყველა მიშას ჭკუაზეა, განსაკუთრებით საგარეო საკითხებთან დაკავშირებით, ბიძინას ჭკუაზე არავინ არ არის.**

ფაქტი კი ერთია: ჩვენ არ ვართ ნატოს წევრები და ვერც ვერასდროს გავხდებით, ამას აბსოლუტური პასუხისმგებლობით ვაცხადებ. როდესაც გადაცემაში ნინო შუბლაძემ ჰკითხა დიმიტრი მედვედევს, თუ შეგვიშლით ხელს ნატოსკენ სწრაფვაშიო, მან უპასუხა, ჩვენ ხელს არ შეგიშლით, ჩვენ ნატოს წევრები არ ვართ და იქ არავინ არაფერს გვეკითხება, მაგრამ თავად ნატო არ მიგიღებთო. **თვითონ ნატო ხვდება, რომ არ უნდა დაუპირისპირდეს რუსეთის ინტერესებს. დღეს რუსეთის ინტერესების გაუთვალისწინებლობა აბსოლუტური პოლიტიკური სიბეცეა. რუსეთთან დაპირისპირებას ვერავინ ბედავს, მათ შორის დიდი, ამასთან ნატოს წევრი სახელმწიფოებიც რუსეთის ინტერესებს ითვალისწინებენ, ამიტომაც არ გვიღებენ ნატოში.**

## «თვითონ ნატო ხვდება, რომ არ უნდა დაუპირისპირდეს რუსეთის ინტერესებს... ამიტომაც არ გვიღებენ ნატოში»

იდეოლოგია და პოლიტიკური წარმოდგენები საქართველოს საგარეო ურთიერთობებთან დაკავშირებით ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც უცვლელი დარჩა. ჩვენ მიდგომებს თუ არ შევცვლით, რუსული სახელმწიფო-სამხედრო მანქანა სვლას განაგრძობს და ამის გამოხატულებაა, რაც დღეს დიცსა და დვანში ხდება. ამიტომ უნდა გადავდგათ ის ნაბიჯები, რომლებიც რუსეთს მიაღებინებს გადაწყვეტილებას, ამ ამუშავებული მანქანის შეჩერება ბრძანოს.

**— ეს შესაძლებლად მიგაჩნიათ?**

— დიახ, ეს შესაძლებელია, თუმცა ჩვენ ეს ვერ მოვახერხეთ. ბიძინა ივანიშვილმა, მართალია, განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობას დაალაგებდა, მაგრამ რეალური და კონკრეტული ნაბიჯები მის განცხადებას არ მოჰყოლია. **ქართული პროდუქცია შევიტანეთ რუსეთის ბაზარზე და ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ რაღაც გააკეთა, მაგრამ ეს ქართული მხარის მიერ რაიმე ნაბიჯის გადადგმას არ ნიშნავდა. ეს რუსეთმა გადმოდგა ნაბიჯი და დაგვრთო ნება, მის ბაზარზე შეგვეტანა საკუთარი პროდუქცია. ეს მის მიერ გამოხატული კეთილი ნება იყო და არა ჩვენი.**

ივანიშვილმა გააგრძელა წინა ხელისუფლების საგარეო-პოლიტიკური კურსი და გამოაცხადა, რომ ნატო არის ჩვენი ბედი. მე არ ვიცი, რატომ არის ნატო ჩვენი ბედი, როცა ისტორიულად ნატოს წევრი ქვეყანა საქართველო არასდროს ყოფილა. ეს ყველაფერი სააკაშვილის ხელისუფლების პროპაგანდის შედეგია, მის ხელში იყო მთელი რიგი ბერკეტები, მედიასაშუალებები და დააჯერა ხალხი, რომ რუსეთი ჩვენი ისტორიული მტერია, თურქეთი კი — ჩვენი მეგობრი.

**— მეტიც, ცოტა ხნის წინ მიხეილ სააკაშვილმა თურქეთის 936 მოქალაქეს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა...**

— დიახ, სააკაშვილმა თურქეთში ერთდროულად მიანიჭა ათასამდე კაცს მოქალაქეობა. არ ვარ წინააღმდეგი, მივანიჭოთ მოქალაქეობა, ვისაც ეს მართლა სჭირდება, მით უმეტეს, ვისაც ქართული ფესვები აქვთ, მაგრამ ასე ერთბაშად ამის გაკეთება არ შეიძლება. სააკაშვილმა მათთან შეხვედრისას განაცხადა, თქვენი თვალები და ღიმილი მეტს მეუბნება, ვიდრე რაღაც კვლევები და სამსახურები მეტყოდნენო, ასე არ შეიძლება. დასამალი არ არის, რომ **საქართველოში თურქეთიზაცია მიმდინარეობს. აჭარაში ბევრი მეგობარი მყავს და ისინი მეუბნებიან, რომ ურთულესი მდგომარეობაა. აჭარაში კი არა, უკვე თბილისში, აღმაშენებლისა თუ რუსთაველის გამზირზეც იგრძნობა თურქეთიზაციის შედეგები...** ამიტომ ასეთი გადაწყვეტილებები ცუდი შედეგებით დასრულდება.

არც ერთი ქვეყანა ასე არ იქცევა. მით უმეტეს, მოქალაქეობის ინსტიტუტს ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის პოლიტიკურ მექანიზმად იყენებდნენ. თავად ბიძინა ივანიშვილმაც იწვნია ეს საკუთრ თავზე, როცა მოქალაქეობა წაართვეს. რამდენი ქართველი, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი, ითხოვს მოქალაქეობის მინიჭებას და არ აძლევენ, მაგალითად, რამდენიმე წელია, მოქალაქეობას ითხოვენ მინდია გულუა და ალექსანდრე ებრალიძე. გულუა აფხაზეთშია დაბადებული, ნაბრძოლი კაცია, რანაირად შეიძლება, საქართველოს საწინააღმდეგო რამე ჩაიდინოს? ან ალექსანდრე ებრალიძე, ბათუმელი კაცია, მაგრამ არ მისცეს მოქალაქეობა, ათასობით თურქს კი ყოველგვარი შესწავლის გარეშე ჩამოურიგეს, რაც დანაშაულია. ვფიქრობ, ეს ყველაფერი გამიზნულია, რათა თურქეთიზაციის პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდეს საქართველოში, ვინაიდან მღვრიე წყალში თევზის დაჭერა გაცილებით ადვილია.

**— ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები და არჩევნებამდე ერთი თვით ადრე NDI-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში ბაქრაძეს მარგველაშვილი მხოლოდ 20%-ით უსწრებს. რას ნიშნავს ეს ყველაფერი?**

— როცა ამერიკელები რომელიმე ქვეყანაში გავლენის მოსაპოვებლად შედიან, მათ მოჰყავთ თავიანთი ხელისუფლება, ოპოზიცია, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიასაშუალებები, სპეცსამსახურები, შემოაქვთ თავიანთი ფული და შემოჰყავთ თავიანთი სოციოლოგიური კვლევის სამსახურები, რომელთა მიზანსაც არ შეადგენს საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და გამოვლენა. მათი მიზანია, ვითომ შესწავლილი საზოგადოებრივი აზრის გამოყენება მათთვის სასურველი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად.

**— ანუ ფიქრობთ, რომ ამერიკის მიზანი რუსეთის სცენარის განმეორებაა საქართველოში?**

— ამერიკაში არის ორი პარტია, რომლებიც სინქრონულად მუშაობენ და ხან ერთი მოდის ხელისუფლებაში და ხან მეორე. სხვა პარტიებიც არიან იქ, მაგრამ მათ არანაირი პერსპექტივა არ აქვთ. რეალურად ეს ორი პარტია კი არაა, არამედ ერთი დიდი კაპიტალისტური პარტიის ორი ფრაქცია. **საქართველოშიც სურთ, ორი პარტია ჰყავდეთ: „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“. ხომ გახსოვთ ივანიშვილის გამონათქვამი: „შუა უნდა გაიკრიფოსო“? ორივე ამერიკული ძალაა. აქეთკენ მიჰყავთ სიტუაცია. რა განსხვავებაა ბაქრაძესა და მარგველაშვილს შორის? მათ ერთნაირი მსოფლმხედველობა აქვთ. სახელისა და გვარის გარდა, მათ შორის განსხვავებას ვერ ვხედავ.**

**— პოლიტიკურ პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ ხელმძღვანელობთ, თუმცა ბოლო დროს აღარ აქტიურობთ...**

— ჩვენი პარტია არ ჩანს, რადგან დღეს ყველაფერს ფინანსები წყვეტს და მით უმეტეს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ უზარმაზარი კაპიტალი შემოვიდა პოლიტიკაში, ამიტომ თავისთავად ცხადია, იმ პარტიების ადგილი აღარ რჩება, რომლებსაც დაფინანსება არ აქვთ. თუმცა უახლოეს მომავალში ჩვენი პარტია უფრო აქტიური პოზიციებითა და ნეიტრალიტეტის მოთხოვნით გამოვა. ნეიტრალიტეტი ძალიან კარგი ფორმაა, რათა საქართველომ ყველა მიმართლებით ურთიერთობები დააბალანსოს.

ესაუბრა **შორენა ციმქარაშვილი**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ვითარება დღეს ისეთია, რომ არა თუ საბაჟო კავშირში ან ევრაზიის კავშირში შესვლა, არამედ რუსეთის სუბიექტადაც რომ ვიქცეთ, ამ შემთხვევაშიც კი რუსეთის მთავრობა არ აღადგენს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამისთვის საჭიროა, გავაკეთოთ ის, რასაც გვეუბნებიან გამოჩენილი პოლიტოლოგები — სტრატეგიული მოთმინება.“

პეტრე მამრაძე:

# თუ გინდათ, ცხრა სახელმწიფოს პასპორტი აიღეთ, ოღონდ დარჩით თქვენს მიწაზე

**საქართველოში ერთ-ერთ მთავარ და გამაღიზიანებელ პრობლემად NDI-ისა და IRI-ის კვლევები იქცა. ეს საკითხი ბიძინა ივანიშვილისა და ექსპერტების კამათის თემაც გახდა. როგორც ჩანს, არავინ აღფრთოვანებულა იმ ფაქტით, რომ საქართველოში პირველ მინისტრად ირაკლი ალასანია დასახელდა, არც იმით, რომ დავით ბაქრაძე მეორე ადგილზეა. ხალხი სარწმუნო კვლევებს ითხოვს, მაგრამ ქვეყნის პრემიერი არც ერთ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნას არ იღებს. რა არის ჩვენი ქვეყნის მთავარი პრობლემა და რა უნდა აუხსნას ხელისუფლებამ ხალხს ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტიკოსი პეტრე მამრაძე ესაუბრა.**



**— ბატონო პეტრე, ექსპერტებთან შეხვედრის დროსაც მწვავედ დაისვა საკითხი საქართველოში ამერიკელების მიერ ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევებზე და პოლიტიკოსების რეიტინგებზე. ბოლო რეიტინგების თანახმად, ირაკლი ალასანია მინისტრებს შორის პირველ ადგილზეა. თქვენ თვლით, რომ ახლანდელი კვლევა მართალია და ალასანია პირველი მინისტრია?**

— არავითარ შემთხვევაში. საქართველოში დღესაც კვლევებს ზუსტად იგივე, უგულავას ფირმები ასრულებენ, დღეს თითქოს შიში აღარ არის, მაგრამ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ და რა ფორმით დასვამ შეკითხვას.

მინისტრების შეფასება დასავლეთშიც დიდი პრობლემაა. მაყურებელი, ელექტორატის წევრი უყურებს ტელევიზიას და არა სამინისტროს მუშაობას. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მინისტრის ცნობადობას, იმიჯს. **არავის შეუძლია თქვას, რა გაკეთდა თავდაცვის სამინისტროში, რა უნდა გაკეთებულიყო და ა. შ. რეიტინგი, რომელიც დაიდო, არის სიმპათიიდან გამომდინარე. დრო და შეხედულებები შეიცვალა, ახლა უპირატესობას ანიჭებენ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ეხერხებათ ხელის მაღლა აწევა და თქმა — გადავკეტოთ სამტრედია და დავაჩოქოთ კრემლი! მორჩა, პოპულარობა გარანტირებულია, არავინ ფიქრობს, რა მოჰყვება ამ სიტყვებსა და „დაჩოქებას“.**

**— რადგან კრემლი ვახსენეთ, გადავიდეთ ჩვენი ხელისუფლების საგარეო კურსზე, რამდენად სწორია პოლიტიკა და რა შეიძლება ჩვენი გაურკვეველი კურსის გამო მოხდეს, თუ, ვთქვათ, ჩვენს რეგიონში მოხდება რაიმე სერიოზული აფეთქება.**

— ახლა ვეცნობი როჯერ კოენის ბრწყინვალე წერილს ირანი-თურქეთი-სირიის შესახებ.

საქართველოსთვის ეს ყველაფერი მირაჟია, ჩვენ არანაირად არ შეგვეხება სირიის კრიზისი, არც პირდაპირ და არც ირიბად. ამერიკელი პოლიტოლოგი წერს, რომ ეს შეიძლება კარგი და სწორი იყოს ამერიკისთვის, მაგრამ შესაძლებელია, არ მოემსახუროს დემოკრატიის გავრცელებას მსოფლიოში, ამ საკითხზე შესაძლებელია კამათი... **საქართველოში ამერიკის ჩარევამ ხელი შეუწყო დემოკრატიის განვითარებას?! ჩარევამ, რომელიც ბუშის შვილის დოქტრინად იყო გამოცხადებული, უკუშედეგები მოგვიტანა.**

მინდა, მკითხველმა იცოდეს, რომ **დასავლეთის მოთხოვნაა — როგორც გინდათ, რა მეთოდებითაც გინდათ, რუსეთთან**

**«დასავლეთის მოთხოვნაა — როგორც გინდათ, რა მეთოდებითაც გინდათ, რუსეთთან ურთიერთობა უნდა აღადგინოთ! თან 22 წელიწადია, ეს მოთხოვნა მოდის»**

**ურთიერთობა უნდა აღადგინოთ! თან 22 წელიწადია, ეს მოთხოვნა მოდის.** ევროპელები შევარდნაძესაც დელიკატურად ამას ეუბნებოდნენ — თქვენი ხსნა არის დსთ-ში შესვლა! წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ გაალიზიანებთ იმ მხარეს, რომელთანაც ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა გვჭირდება.

ქვეყნის წინაშე დგას ასეთი მოთხოვნა: საქართველოს არსებობა არარსებობა დამოკიდებულია იმ გოლიათ ქვეყანაზე, რომელსაც შენი მეზობელი ჰქვია და შენ სხვა არჩევანი აღარ გაქვს. **ზვიად გამსახურდიას ნიქსონმა უთხრა — ბატონო პრეზიდენტო, იცოდეთ ერთი რამ: არასოდეს, არც ამერიკა და არც დასავლეთი საქართველოს გამო არა თუ არ ეომება რუსეთს, არამედ ურთიერთობასაც კი არ გაიფუჭებს. ეს 2008 წლის აგვისტოში ნათლად დავინახეთ, როცა არც ერთი სანქცია არ განხორციელდა რუსეთის წინააღმდეგ.** მთელი მსოფლიო რუსეთის დამშვიდებას შეუდგა. რასმუსენმა განაცხადა: მთელი ჩემი ხუთწლიანი მოღვაწეობა მიმართულია იქითკენ, რომ რუსეთი ნატოში ჩავრთო, როგორც პარტნიორი ქვეყანა.

ნატოს მცოცავი ექსპანსია, რომელიც რუსეთის საზღვრებთან მიმდინარეობდა, პუტინმა საქართველოში განხორციელებული ოპერაციით შეაჩერა. **ნავალნიც კი ამბობს, რომ აგვისტოში რაც მოხდა, იყო ძალიან სწორი და საქართველომ ეს უნდა გაიგოსო. მიხალკოვი კი აკრიტიკებდა პუტინს იმიტომ, რომ თბილისი არ აიღო** (ეს ის მიხალკოვია, კახეთში ქალიშვილის ქორწილში რომ ჩამოვიდა და მიშა რადიატორ- ▶



ვასილ ჭიჭინაძე:

# 20 საუკუნეა, ათ მცნებას არ ასრულებს ხალხი და ივანიშვილის პირობას დაუჯერებს?!

**ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე.**

**— ბატონო ვასილ, გასულ კვირას ბიძინა ივანიშვილმა საკუთარ ბიზნესცენტრში ექსპერტებს უმასპინძლა და თითქმის ოთხი საათი სტუმრებს თითის ქნევით ამუნათებდა, — თქვენი შენიშვნები საფუძველს მოკლებულიაო. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ამ შეხვედრიდან და რამდენად მისაღებია თქვენთვის ის ტონი, რომლითაც პრემიერი საუბრობდა?**

— საერთოდ გაუგებარია, რა ნიშნით იყვნენ ის ექსპერტები შერჩეულნი. ძალიან მაინტერესებს, რატომ არ იყო იქ დემურ გიორხელიძე; კაცი, რომელიც პირდაპირ, დასაბუთებულად ამბობს, რომ ბანკები ხალხს ძარცვავენ. სწორად გამიგეთ, **იმ მიწვეული ექსპერტების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ისინი სათქმელს ბოლომდე ვერ ამბობდნენ; თითქოს რაღაცით შებოჭილნი იყვნენ...** შეიძლება ეს იმის ბრალიც იყო, რომ შეხვედრა პრემიერის რეზიდენციაში გაიმართა. ჩვეულებრივი ამბავია — ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, სტუმარმა მასპინძელი ბოლომდე ვერ გააკრიტიკა. გარდა ამისა, აქ სხვა ფაქტორებზეც შეიძლება, ვილაპარაკოთ, მაგრამ **თვითონ ივანიშვილის პოზიციაა საინტერესო. მას აშკარად არ ესიამოვნა შენიშვნები და ყველაფერზე ერთი და იგივე რიტორიკით პასუხობდა: რითი ასაბუთებ, რის საფუძველზე ამბობ და ა. შ. ეს არ არის მისაღები ტონი. პრემიერი რომ ხარ, ის მაინც ხომ უნდა იცოდე, რომ ექსპერტი გამოკითხვას ვერ ჩაატარებს?!**

**— ამ შეხვედრაზე ყველაზე მეტი დრო, ფაქტობრივად, „ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებებს დაეთმო. პრემიერმა განაცხადა, რომ მათ, 11 თვეში რის გაკეთებაც შეიძლებოდა, ყველაფერი მაქსიმალურად შეასრულეს.**

— მაშინ ჩამოვთვალოთ პუნქტობრივად, რა გაკეთდა და რა არა: **გადასახადების, დენის, გაზის ტარიფის მნიშვნელოვნად შემცირებას რომ გვპირდებოდნენ, შესრულდა? არ შესრულდა. საწვავი გაიაფდა? არ გაიაფდა. ახლა რაც შეეხება უმთავრეს დაპირებას — სამართლიანობის აღდგენას, მანახეთ კონკრეტული შედეგი, ვის შეეხო ეს სამართლიანობა.** მერაბიშვილი და ახალაია რომ დაიჭირეს, ესაა ყველაფერი?! ასობით და ათასობით დაზარალებულ ადამიანს ყურადღება არ უნდა?!

**— ქონებაწართმეულ ადამიანებს თუ გულისხმობთ, ამაზე პრემიერმა, ფაქტობრივად, გასაგები მინიშნება გააკეთა, ფული არ გვაქვსო.**

— ვთქვათ, მართლა არ აქვთ, ეს კიდევ გასაგებია, მაგრამ ხალხს მანქანები რომ წაართვეს და ახლაც სადგომებზე უყენიათ, ამას რა ფული უნდა, მიეცი და წაიყვანოს. გარდა ამისა, **წინასაარჩევნო პერიოდში ივანიშვილი აცხადებდა, ჩვენ რომ მოვალთ, არც ერთი ოჯახი არ იქნება გამოსახლებულიო. დღეს რას შვრებიან ბანკები? — პანტაპუნტით ყრიან ხალხს სახლებიდან.** აი, ზუსტად ამაზე ისაუბრებდა დემურ გიორხელიძე დასაბუთებულად, მაგრამ რატომღაც ის არ მიიწვიეს პრემიერთან შეხვედრაზე. თუ რატომ, თავად განსაჯეთ. ფაქტია, რომ იქ ადამიანების მხოლოდ ვიწრო წრე იყო წარმოდგენილი.

**— დაპირებები ახსენეთ და ივანიშვილი იმასაც ამბობდა, რომ მნიშვნელოვანი წინსვლა ორი-სამი წლის შემდეგ იქნებოდა. ჯერ ყველაფერი წინაა.**

— კი, მაგრამ ის მიდის, ვინ გააგრძელებს დაწყებულ საქმეს, ვინ რჩება? სხვათა შორის, სწორად უთხრა მას ვაჟა ბერიძემ, იმ 53 პროცენტიდან, 1 ოქტომბერს რომ მიიღეთ, 50 პირადად თქვენი იყოო. ახლა აქ მეორე მომენტიცაა: — ეს 50-პროცენტიანი კაცი რომ მიდის და 3-პროცენტიან დანარჩენ კოალიციას გვიტოვებს, ჩვენ ხომ ვიცით, ისინი ხალხს არ აურჩევია? **თუ მიდიხარ, კი, ბატონო, მაგრამ კეთილი ინებე და დაშალე ეს პარლამენტი. მერე ხალხმა ხელახალი არჩევნებით გადაწყვიტოს, ვისი ადგილი სადაა.**

**— რამდენიმე დღის წინ სპორტის სასახლეში გამართულ ყრილობაზე ივანიშვილმა განაცხადა, მარგველაშვილის მხარდაჭერა ჩემს მხარდაჭერას ნიშნავსო. ზოგმა ეს განცხადება ამომრჩეველზე ზეწოლად შეაფასა. თქვენ რას ფიქრობთ?**

— გარკვეული ზემოქმედება, ალბათ, იყო, მაგრამ ეს არ არის მისი ერთადერთი განცხადება. როგორც კი მარგველაშვილი კანდიდატად დასახელდა, მსგავ- ▶

**„ახალ პრემიერს არანაირი პოლიტიკური მხარდაჭერა არ ექნება, ამიტომ ასეთ საკითხებზე ივანიშვილთან დავა არ ღირს, რადგან წასვლის შემდეგ თავად დაინახავს, თუ რა მოხდება. სცენარი, რომელიც უნდა, რომ განვითარდეს, ვერ განვითარდება, მას ფუნდამენტური წინააღმდეგობა უდევს საფუძვლად."**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თან რომ იჯდა, ეგებ დამელაპარაკოსო). ეს საკითხისადმი სწორი მიდგომაა.

მოლოდინი მოსახლეობაში ასეთია, რომ ჩვენ თბილი, რბილი სიტყვებით რუსეთს „ღორის ქონივით" დავადნობთ და, რასაც გვინდა, გავაკეთებინებთ. ეს მცდარი მოლოდინია. **ვითარება დღეს ისეთია, რომ არა თუ საბაჟო კავშირში ან ევრაზიის კავშირში შესვლა, არამედ რუსეთის სუბიექტადაც რომ ვიქცეთ, ამ შემთხვევაშიც კი რუსეთის მთავრობა არ აღადგენს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.** ამისთვის საჭიროა, გავაკეთოთ ის, რასაც გვეუბნებიან გამოჩენილი პოლიტოლოგები — სტრატეგიული მოთმინება.

**— ე.ი. ახალი ხელისუფლების კურსი სწორია? ისინიც ასე იქცევიან.**

— კურსი სწორია, მაგრამ ახსნა-განმარტებაა არასაკმარისი. ყველას უნდა აუხსნან და გააგებინონ, რა წვლილი მიუძღვის სააკაშვილს ჩვენს უბედურებაში. გავიხსენოთ, სააკაშვილი გადადგომის შემდეგ რა განცხადებებს აკეთებდა. ის ამბობდა, რომ რუსეთს აღარ აინტერესებს ცხინვალი, კრემლმა ეს მითხრა, მათ არაერთხელ წამოსცდათ, ეს არის მოფამფალებული კბილი, რომელსაც მაშინ ამოვიღებ, როცა მინდა და ა. შ. ეს სააკაშვილის სიტყვებია. **სააკაშვილმა ბონუსის სახით აჩუქა რუსეთს სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარება, სარკოზის თავისი ხელით ამოაღებინა მე-6 პუნქტი, რომელშიც გარკვევით ეწერა, რომ სტატუსის განხილვა და მისი დადგენა მოხდება მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად.**

**სარკოზი ბოლოს ყვიროდა, სააკაშვილს უმტკიცებდა, რომ ეს პუნქტი არის გარანტია, ჩვენ არასოდეს ვცნობთ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობას და შესაბამისად, ვერც რუსეთი, რადგან ის ხელს აწერს შეთანხმებას.** ამის შემდეგ სარკოზიმ დაურეკა მედვედევს და მისი პასუხიც იყო — რა თქმა უნდა, ამოშალეთ! ეს იყო ბოლო, რაც სააკაშვილმა რუსეთს აჩუქა. მერე უკვე ბიუროკრატიამ დაიწყო მუშაობა, რომელსაც ველარ გააჩერებ. ჩადგა ჯარები, საზღვარს იცავენ რუსი მესაზღვრეები და მიყვებიან 1930 წელს გამოქვეყნებულ რუკას, რომელზეც დატანილია ადმინისტრაციული საზღვრები, რომელთაც არავინ იცავდა, შენდებოდა ბაღები, სახლები. ახლა ხუთი წელია, მიყვებიან ამ რუკით და ავლებენ საზღვრებს.

მთავრობამ კი ხალხს უნდა აუხსნას, რომ **ძალის გამოყენებით მხოლოდ საქართველოს გავანადგურებთ; ჩვენ საერთაშორისო დონეზე მწვავედ დავაყენებთ საკითხს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამერიკა და ევროპა არავითარ შემთხვევაში ჩვენ გამო არ წავა კონფრონტაციაზე, რათა შეაჩეროს რუსი მესაზღვრეები; რუსეთის პოზიცია უნდა აუხსნან ქართველ ხალხს.**

კარასინმა თქვა: „მე რატომ მელაპარაკებით, ჩვენ ვცანით ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა, თქვენ უნდა ელაპარაკოთ ამ დამოუკიდებელ ქვეყნებს." მახსოვს, ჟენევის პროცესზე რუსეთის მთავრობა თვითონ აყენებდა საკითხს, რომ დამსხდარიყვნენ და საზღვრის დემარკაციის საკითხი გადაეწყვიტათ, რათა მერე გაურკვევლობა არ ყოფილიყო; დემარკაცია-დემილიტარიზაციის პროცესი კი ასეთია: მხარეები თანხმდებიან, მოსახლეობა რომ არ დაიჩაგროს, ეგებ ეს სამასი მეტრი დამიტოვო და მე რამდენიმე კილომეტრში, თუ საჭიროა, ცოტა მეტსაც მოგცემ. ჩიხი, რომელშიც სააკაშვილმა შეგვიყვანა, არის ის, რომ დღეს ამასაც ვერ მოვახერხებთ. დღეს უკვე ოსები გვეტყვიან, რა ვქნათ, ჩვენ გვაქვს რუკა, თქვენი ერთი მეტრი მიწაც არ გვინდა, ჩვენ ჩვენსას ვსაზღვრავთ, თქვენ თავის დროზე არ დაგველაპარაკეთ.

**დასავლეთს შეუძლია ნორლანდის პირით შეშფოთება გამოხატოს. აპატურაი „ფეისბუქზე" წერს, რომ აღშფოთებულია მავთულხლართების გავლების პროცესით.**

საქართველოს ახალი ხელისუფლება საგარეო და საშინაო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებს ხალხს გარკვევით არ უხსნის. ისინი დღენიადაგ უნდა უხსნიდნენ ხალხს ვითარებას, განსაკუთრებით იმ ხალხს, რომელიც საზღვართან ცხოვრობს. **ადამიანებმა, რომელთაც მიწები დაკარგეს, კომპენსაცია უნდა მიიღონ, მათ უნდა დაეხმარონ სახლების დემონტაჟში. ლტოლვილებს უნდა მისცენ გარანტია და უთხრან, რომ, თქვენი ჭირიმე, თუ გინდათ, ცხრა სახელმწიფოს პასპორტი აიღეთ, ოღონდ დარჩით თქვენს მიწაზე, დაგეხმარებით ფინანსურად და მოქალაქეობასაც შეგინარჩუნებთ, ოღონდ მიწას ნუ მოსწყდებით.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

---

# დემურ გიორხელიძე: ახალ პრემიერს არანაირი პოლიტიკური მხარდაჭერა არ ექნება

**პრემიერისა და ექსპერტების სატელევიზიო დებატებმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ხალხი იმასაც ამბობდა, რომ საწყალი ექსპერტები, ალბათ, შიშით ხმის ამოღებას ველარ გაბედავენო, მაგრამ პირიქით მოხდა, მგონი, უფრო გალიზიანდნენ კიდეც. მამუკა არეშიძე ძველი პარლამენტის წინ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით გამართულ მიტინგს შეუერთდა და საკმაოდ ხმამაღალი განცხადებებიც გააკეთა. ექსპერტებთან შეხვედრა ყველამ სხვადასხვაგვარად გაიგო და შეაფასა, ძირითადად კი, უარყოფითად. შეხვედრას ექსპერტთა სრული შემადგენლობა არ ესწრებოდა „საქართველო და მსოფლიო" ექსპერტ დემურ გიორხელიძეს დაუკავშირდა, რომელსაც პრემიერთან სახალხო დავაში მონაწილეობა არ მიუღია.**



**— ბატონო დემურ, რატომ არ იყავით ექსპერტების შეხვედრაზე, რომელიც პრემიერმა პირდაპირ ეთერში გამართა?**

— მე ვარ ქვეყნის მთავარი ეკონომიკური კონცეფციის თანაავტორი, ახალ ხელისუფლებასთან ერთად დიდხანს ვმუშაობდი იმ პრობლემებზე, რომლებიც ქვეყანაშია და არსებობს ფორმატი, რომელშიც ჩვენ ასეთ საკითხებს განვიხილავთ. ამ შეხვედრებზე არის კრიტიკული გამოსვლებიც.

ივანიშვილის შეხვედრა ექსპერტებთან არ უკავშირდებოდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ის დაინტერესდა იმით, თუ რატომ წერენ მასზე ასე კრიტიკულად ყოფილი თანამოაზროვნეები.

**— რამდენად მოსაწონი იყო, რომ მან ყველა წერილი და ფრაზა წინ დაუდო ექსპერტებს? უფრო მეტიც, თქვა, რომ ექსპერტების ნათქვამს აღარავინ წაიკითხავს და ეს მუქარას ჰგავდა.**

— ეს დემოკრატიის ერთ-ერთი ფორმა მგონია. უბრალოდ, ისინი ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ. ეს უკვე კარგია. ცნობილი ადამიანი როდესაც რაღასაც წერს, იცის, რომ, თუ მისი ნათქვამი არ გამართლდა, კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ის რისკავს. ასევე რისკავს ბიძინა ივანიშვილიც, როდესაც ასეთ ჭკუადამჯდარ ადამიანებთან დავობს.

შეფასებები მართლაც ძალიან მძიმეა, რასაც, ჩემდა სამწუხაროდ, ვერ უარვყოფ. ყველაფერი, რაზეც წლების წინ ვსაუბრობდი, მართლდება.

საქართველო იმდენად გაუგებარი ქვეყანაა, არავინ იცის, რა მოხდება, განსაკუთრებით პრემიერის წასვლის შედეგ. **ის სქემა, რომელიც ივანიშვილს შემუშავებული აქვს, დარწმუნებული ვარ, არ იმუშავებს. ის თვლის, რომ დატოვებს კარგ მთავრობას, რომელიც ყველაფერს წარმატებით შეასრულებს, თუმცა ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. ახალ პრემიერს არანაირი პოლიტიკური მხარდაჭერა არ ექნება. ამიტომ ასეთ საკითხებზე ივანიშვილთან დავა არ ღირს, რადგან წასვლის შემდეგ თავად დაინახავს, თუ რა მოხდება. სცენარი, რომელიც უნდა, რომ განვითარდეს, ვერ განვითარდება, მას ფუნდამენტური წინააღმდეგობა უდევს საფუძვლად.** საზოგადოების მდგომარეობის პროგნოზირება გრძელვადიან პერსპექტივაში ეწინააღმდეგება ფუნდამენტური მეცნიერების მიღწევებს, ამიტომ ასეთ გათვლას არავისგან მივიღებ, როგორც სარწმუნოს. **პრემიერი ტოვებს მემკვიდრეს, მაგრამ არ მესმის მემკვიდრის დატოვების მექანიზმი, მას არ აქვს ასეთი კონსტიტუციური უფლება.**

საქართველოში სრულდება მარიონეტული პოლიტიკური მოღვაწეების პერიოდი და იწყება ახალი, ეროვნული ელიტის ფორმირების მძლავრი პროცესი. თუ არა კონტრელიტა, ეროვნული ელიტა, რომელიც ამ ქვეყნის მომავალზე იმუშავებს, ვერ გადავრჩებით. პოლიტიკურმა სიბეცემ მიგვიყვანა იქამდე, რომ ტერიტორიების 20% დავკარგეთ. **ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკური შეცდომა არ უნდა დაუშვას, შეცდომა იქნება, თუ მისი მოსაზრებები მემკვიდრის შესახებ არ გაამართლებს.**

საქართველოში ახალი პოლიტიკური ცხოვრება დაიწყება. 27 ოქტომბერს ჩვენი მოქალაქეები ბოლო ილუზიებს დაამსხვრევენ, როდესაც ისევ ბრმად მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომელიც არ შეესაბამება ქვეყნის ინტერესებს. არჩევანი ჰქვია იმას, რომ შენ თავად აირჩევ და არა იმას, რომ გეუბნებიან აირჩიე და მეტის დანახვა არ გინდა. არჩევნები ასე არ ხდება.

კრიტიკა სასიამოვნო არ არის, მაგრამ ჩვენ ამას უნდა მივეჩვიოთ. პრემიერმინისტრს უნდა დავეთანხმოთ ერთ რამეში: ყველა სიტყვა, რომელთაც ვიტყვით, არგუმენტირებული უნდა იყოს.

**— პრემიერმა არ მიიღო არც ერთი შენიშვნა, რომლებიც ეკონომიკის საკითხებს შეეხებოდა. ეკონომიკური ვითარება კი არასახარბიელოა. „ნაციონალები" ამბობენ, რომ სტაგნაციაა და ცუდად გვაქვს საქმე, ხოლო ხადური გაიძახის, რომ ყველაფერი კარგად არის და აღმასვლაა. ამ საკითხებზე ვისაუბრეთ და თქვენგანაც ვერ მოვისმინე დამაიმედებელი სიტყვა, რა ხდება სინამდვილეში?**

— ჭეშმარიტება ჩვენს რეალურ ცხოვრებაშია და, თუ კარგად გადავხედავთ, საქმე კარგად არ არის. მთავრობის სერიოზული ნაბიჯებიც ვერ გამოჩნდა უსამართლობის პროცესში. ახალი ხელისუფლება თუ დემოკრატიულია, წინა ხელისუფლების ყველა ნამოქმედარი სააშკარაოზე უნდა გამოიტანოს. ეს არის ძალიან კარგი მექანიზმი იმისა, რომ ხელისუფლებაში მყოფებმა თავი შეზღუდულად იგრძნონ, ეს მეთოდი აკავებს დანაშაულს. **ქართველებს არ გვაქვს სრულყოფილი საჯარო მექანიზმები, რითაც ხელისუფლების კონტროლს შევძლებთ, ამიტომ გვინდა, სიმართლე ხელისუფლებისგან ვიცოდეთ. თუ ხელისუფლება კოაბიტაციას ეფარება და ხალხის განწყობაზე წინ პოლიტიკურ მოტივებს აყენებს, ცდილობს, სამომავლო მიზნებისთვის გადაარჩინოს რომელიმე პოლიტიკური ძალა, რომელზეც ხალხმა უარი თქვა, ეს პოლიტიკური შეცდომაა და ამას ორსამ თვეში ნათლად დავინახავთ.**

**— თქვენ ამბობთ, რომ პრემიერთან შეხვედრის საშუალება გაქვთ. თუ ესაუბრებით მას ამ ყველაფერზე და თუ გისმენთ?**

— ის არა თუ გვისმენს, მონაწილეობს კიდეც ამ პროცესებში. მას მიჰყავს ეს შეხვედრები. განვიხილავთ პრობლემებს, ვეძებთ გზებს, თითქმის ყველაფერში გვეთანხმება. ახლა იგეგმება შეხვედრა, რომელზეც ვისაუბრებთ, თუ რა უნდა გაკეთებულიყო და არ გაკეთდა.

საჯარო პირი ვარ, ამიტომ ის, რაც ხალხს აინტერესებს, იმ თემებზე ყოველთვის და ყველგან ღიად ვისაუბრებ; არ მაინტერესებს, ვინმეს ვაამებ თუ არა, საზოგადოების წინაშე ჩემი პასუხისმგებლობა მაქვს.

ვიტყვი ერთს: ადამიანი, რომელსაც ჩვენ შეიძლება პრემიერმინისტრობა ვანდოთ, ჩვენს შორისაა და ამიტომ გვმართებს, მას შევაგნებინოთ, ისწავლოს ხალხის გვერდით დგომა.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

---

სი რიტორიკა მუდმივად გვესმის და გასაგებია, რა მიზნით აკეთებს ამას.

**— რა მიზნით?**

— რომ როგორმე ამოქაჩოს საკუთარი კანდიდატი. უცნაური მდგომარეობაა, ერთის მხრივ მოგიწოდებს, ხმა მიეცით ამას, ეს იგივე ჩემი ხმის მიცემააო და მეორე მხრივ გეუბნება, წავედიო. ახლა როგორ უნდა ვენდოთ ჩვენ ამ კაცს? 20 საუკუნეა ათი მცნებას არ ასრულებს ხალხი და ივანიშვილის პირობას დაუჯერებს?! ასევე საინტერესოა, რა კრიტერიუმებისა და დამსახურების მიხედვით აქებს ივანიშვილი მინისტრებს...

**— შეიძლება ერთგულების მიხედვით.**

— ალბათ, თორემ სხვა, აბა, **საგარეო პოლიტიკა არ გივარგა, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროები ვერაფერს აკეთებენ; კულტურის სამინისტროზე საერთოდ არაფერს ვამბობ... რომელი ერთია ქება-დიდების ღირსი?!** აგერ წელიწადი იწურება, რაც ესენი არიან, მანახონ ერთი კონკრეტული შედეგი, გაკეთებული საქმე, რომელმაც რიგითი ადამიანების ცხოვრება მნიშვნელოვნად შეცვალა.

**— რეჟიმი აღარ არის და სამართლიან არჩევნებს გვპირდებიან, ევროპას რომ შეშურდება ისეთს.**

— ეს ნებისმიერ შემთხვევაში მოხდებოდა, მაგრამ სხვა მხრივ რა გაკეთდა? საგარეო პოლიტიკა დარჩა იგივე? — დარჩა. ადგილობრივ თვითმმართველობებში არიან „ნაციონალები"? — არიან. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ახლა ამასაც თავი დავანებოთ, ამათმა არც შიგნით რომ არ შეცვალეს არაფერი: **იგივე საარჩევნო სისტემაა, იგივე სიები და პროცესიც ძველებურად მიდის. რას უნდა ველოდოთ? რატომ უნდა დავიჯეროთ ივანიშვილის განცხადება, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდება, თუ ისევ ძველებურადაა ყველაფერი?!** თანაც არ დაგვავიწყდეს, რომ ოცნებამ ან რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩაატაროს, ან ბაქრაძე მეორე ადგილზე გაიყვანოს, სხვა არჩევანი მას არ აქვს, რიგგარეშე არჩევნები კი ხელს არ აძლევს კოალიციის ურეიტინგო პარტიებს, რომლებიც ბარიერს მიღმა შეიძლება დარჩნენ. ხოლო თუკი ბაქრაძე მეორე ადგილზე გავა, რიგგარეშე არჩევნების თემა ავტომატურად მოიხსნება — გამოვლენ და იტყვიან, მთლად ასეც არ ყოფილა, თურმე ამათაც ჰქონიათ რეიტინგიო. სხვანაირად ივანიშვილი ვერ „გააპრავებს" „ნაცების" 40 პროცენტს.

— მეორე ტურის ალბათობაზე რას ფიქრობთ?

— **ვფიქრობ, არჩევნების მეორე ტური არ იქნება, ოღონდ არა იმიტომ, რომ რომელიმე კანდიდატი უკონკურენტოა და დიდი უპირატესობით მოიგებს, არა, უბრალოდ, ივანიშვილი არჩევნებს მეორე ტურამდე არ მიიყვანს! ივანიშვილი ვერ გარისკავს და ვერ დარჩება იმის იმედად, რომ ხალხი მის კანდიდატს ხმათა დიდი უმრავლესობით აირჩევს.** მან ძალიან კარგად იცის, რა ხდება დღეს ქვეყანაში და რა განწყობა აქვს საზოგადოებას, ამიტომ პროცესებს თვითდინებაზე არ მიუშვებს. საბოლოოდ, თუ ყველაფერი ამათი სცენარით განვითარდა, ჩვენ აქ მივიღებთ შემდეგ სურათს: **ივანიშვილის წასვლისთანავე კოალიცია დაიშლება, საპარლამენტო უმრავლესობაში მოხდება სერიოზული პოლიტიკური რეორგანიზაცია, რომელმაც შეიძლება საერთოდ თავდაყირა დააყენოს მთელი ეს პროცესები და მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსს, ამჯერად უკვე თვითონ „ოცნებისგანაც", მიიღებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა".**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამერიკაში უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, საქართველოში ორპარტიული სისტემა დამკვიდრდეს. ერთი იქნება სახელისუფლო „ქართული ოცნება“ და მეორე — „ნაციონალური მოძრაობა“, მესამე პარტიისთვის ადგილი არ რჩება.“**

# სოსო ცინცაძე: ქვეყანას სააკაშვილი კი არა, «თავისუფლების ინსტიტუტი» მართავდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ქართველ ექსპერტებთან შეხვედრას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. საზოგადოების ნაწილმა ეს ყველაფერი დემოკრატიისკენ გადადგმულ ნაბიჯად, ნაწილმა კი ექსპერტების დისკრედიტაციის მცდელობად შეაფასა. აღნიშნული შეხვედრისა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების თაობაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ექსპერტი სოსო ცინცაძე ესაუბრება.**



**— როგორ ფიქრობთ, რამდენად მართებული ტონი შეარჩია პრემიერმა ექსპერტებთან საუბრისას, როდესაც მათ დაჟინებით სთხოვდა საკუთარი სიტყვების დასაბუთებას? მაგალითად, ექსპერტმა ვაჟა ბერიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ „ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის არჩეულ პირველ პირს ექსპერტების მსგავსი განკითხვა ძალიან ძვირი დაუჯდებოდა“...**

— თითქოს უკვე ბიბლიურ ჭეშმარიტებასავითაა დადგენილი, როგორი ფორმატის უნდა იყოს პრემიერთან შეხვედრა და, როდესაც ნორმიდან გადახვევას ვაწყდებით, ვაპროტესტებთ. მე ასეთი შეხვედრის ფორმატი უფრო მომწონს და, რომ მცოდნოდა, ასე ჩაივლიდა შეხვედრა, აუცილებლად მივიდოდი. არ წავედი, რადგან ვფიქრობდი, რომ ეს შეხვედრაც ძველებურად ჩაივლიდა.

**— რატომ ვერ დაიცვეს საკუთარი პოზიცია უფრო მკაფიოდ და გამოჩნდნენ თუ არა სუსტები ქართველი ექსპერტები?**

— იქ ერთი ექსპერტი იყო — ბიძინა ივანიშვილი. ექსპერტებს დამაჯერებელი არგუმენტები არ ჰქონდათ. მაგალითად, კახა კახიშვილმა იცის, რასაც ლაპარაკობს. იურისტია, ყოფილი პროკურორია და კარგად ერკვევა ვითარებაში. ამიტომაც პრემიერს კახასთვის არ უთქვამს, რასაც წერ, ტყუილიაო.

**— რამდენად დროული და მართებული იყო პრემიერის მხრიდან ზურაბ ადეიშვილის ქება? გამოდის, რომ ადეიშვილი მხოლოდ სისტემის მსხვერპლი იყო და კარგი ხელისუფალის პირობებში მშვენივრად იმუშავებდა. სააკაშვილმაც მოუხადა ორი დღის წინ ბოდიში ქართველ ხალხს და როგორ უნდა მოიქცეს საზოგადოება, ყველას ყველაფერი აპატიოს?**

— ჩვენი ყურისთვის ცოტა უცნაურად მოსასმენია, როცა ივანიშვილი ადეიშვილს აქებს. მან, ფაქტობრივად, თქვა, რომ ადეიშვილს მიიღებდა სამსახურში და მის ხელში კარგი კადრი იქნებოდა. ადეიშვილი იყო ბრწინვალე მენეჯერი და ნებისმიერი დავალების შემსრულებელი. ამიტომ ასრულებდა სააკაშვილის დავალებებს, ის არ იყო რევოლუციონერი, რომ ბარიკადებზე ასულიყო.

ხშირად ვწერ ახალი ხელისუფლების მხრიდან შურისძიებაზე. **რასაკვირველია, დანაშაული ბევრმა ჩაიდინა, მაგრამ არ იჭერენ, იმიტომ, რომ ვერ დაუმტკიცებენ. არაფერს გეუბნებათ ახალაიასა და მერაბიშვილის პროცესი? ამ 9 წელიწადში პროკურორებმაც მტკიცებულებების მოპოვების უნარი დაკარგეს, რადგან განაჩენი ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე გამოჰქონდათ. აქ კიდევ მეორე ფაქტორია, ამ დაჭერებს დასავლეთი აპროტესტებს.**

**— რატომ არ აძლევს ხელისუფლებას დასავლეთი სერიოზულ დანაშაულში ეჭვმიტანილი მაღალჩინოსნების დასჯის უფლებას?**

— ვფიქრობ, ამერიკაში უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, საქართველოში ორპარტიული სისტემა დამკვიდრდეს. ერთი იქნება სახელისუფლო „ქართული ოცნება“ და მეორე — „ნაციონალური მოძრაობა“. მესამე პარტიისთვის ადგილი არ რჩება. 3-4 თვის წინ უსუფაშვილმა ამერიკაში ყოფნისას განცხადა, ჩვენი მიზანია, „ნაციონალური მოძრაობა“ გადავარჩინოთო. ორი კვირის წინ კი ალასანიამ თქვა, „ნაციონალებმა“ რაც კარგი გააკეთეს, არ უარვყოფთ და ჩვენც გავაგრძელებთო. თუნდაც NDI-ის გამოკითხვები ამტკიცებს, რომ გარკვეულ საზოგადოებრივ აზრს ამზადებენ, თორემ ვის სჯერა, რომ „ნაციონალები“ ნინო ბურჯანაძეზე ორჯერ უფრო პოპულარულები არიან და უფრო მეტად უყვართ? **ქუჩაში ხშირად მესაუბრებიან მოქალაქეები და, როდესაც მათ ვეკითხები, მხარს ვის უჭერენ, ყოველი ათიდან 8 ბურჯანაძეს და ორი-სამი ბაქრაძეს ასახელებს. არც ერთი მარგველაშვილს არ ამბობს. იმიტომ არა, რომ ცუდი კაცია, არა, მაგრამ პრეზიდენტად არ ვარგა, იმიტომ, რომ ნეტარმორწმუნე იდეალისტია. საზოგადოებას აჩვევენ, რომ პირველ ადგილზე მარგველაშვილი გავა, მეორეზე — ბაქრაძე.**

**— რატომ გახდა ამ არჩევნებში მეორე ადგილის მოპოვება ასე მნიშვნელოვანი?**

— იმიტომ, რომ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიანი არჩევნები ჩატარდება, სავარაუდოდ, მეორე ტური დაინიშნება. აქვე აღვნიშნავ, რომ მხოლოდ გაყალბება არ მიმაჩნია უსამართლობად. უსამართლობაა, როცა მარგველაშვილი კახელ მევენახეებს ხვდება და მის გვერდზე სოფლის მეურნეობის მინისტრი დგას. მარგველაშვილს მეორე ტურში ბაქრაძესთან პაექრობა აძლევს ხელს, რადგან ბაქრაძე უფრო ადვილი დასამარცხებელია, საკმარისია, მას ბოლო 9 წელი გაუხსენონ... ▶

## «დღევანდელი პოლიტიკით ვერც ნატოში შევალთ და ვერც რუსეთს შევურიგდებით»

# უფასო სახელმძღვანელოები — მარგველაშვილის მორიგი ტყუილი



**განათლების ექსპერტ მანანა ნიკოლაიშვილის განცხადებით, განათლებისა და მეცნიერების სისტემას ისევ სააკაშვილის კადრები მართავენ. მისივე თქმით, „ქართული ოცნების“ პროგრამა, რომლის 90% პირადად ქალბატონ მანანას დამუშავებული ყოფილა, ახლა გვერდზეა გადადებული და ამის ნაცვლად ისევ მიშას კლანების მაფიოზური პროგრამა ხორციელდება. მართალია, მარგველაშვილმა უფასო წიგნების პროგრამა შესთავაზა ხალხს, მაგრამ ეს სულაც არ არის საკმარისი არსებულ სიტუაციაში და, წინგადადგმულ ნაბიჯად კი არა, მარგველაშვილის ტყუილად უნდა ჩაითვალოს. „საქართველო და მსოფლიოს“ განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი ესაუბრება.**

**— ქალბატონო მანანა, როგორ შეხვდა საზოგადოება განათლების ყოფილი მინისტრის — მარგველაშვილის ინიციატივას, ვგულისხმობ უფასო სახელმძღვანელოების პროგრამას? საინტერესოა, თქვენ რამდენად მოიწონეთ ეს?**

— ერთი შეხედვით იფიქრებს კაცი, რომ ძალიან კარგი რამ გაკეთდა, ბოლოსდაბოლოს, უფასო სახელმძღვანელოები შემოიღეს (სხვათა შორის, ეს ჩვენი, პირადად ჩემი, მრავალწლიანი მოთხოვნა იყო), მაგრამ ძალიან ცუდად გაკეთდა ეს პროგრამა. პირდაპირ გეტყვით, **აბსოლუტურად ყველა მშობელი უკმაყოფილოა, ბავშვები კი — შეურაცხყოფილნი. პირველ რიგში, მაინტერესებს, მაშინ, როდესაც ვაუჩერს აძლევ ყველა ბავშვს, ამ უფასო სახელმძღვანელოებს რატომ არ აძლევ ყველას? საპატრიარქოს სკოლების მოგება, რომლებიც არა სამეწარმეო, არა კომერციული, არამედ იურიდიული პირები არიან, ნულია, ანუ მოგებაზე არ მუშაობენ; მათ პატრიარქი და საპატრიარქო აფინანსებთ და რატომ არ აძლევ უფასოდ წიგნებს? არ რცხვენია „ქართული ოცნების“ მთავრობას, საპატრიარქოს სკოლებს უფასოდ რომ არ დაურიგეს წიგნები?**

აი, ამიტომ არ მომწონს მე ეს ინიციატივა, არ არის ეს გამართული პროგრამა. დიახ, 600 ათას ბავშვს თუ აძლევ უფასო სახელმძღვანელოებს, 20 ათასმა ბავშვმა რაღა დაგიშავა? საპატრიარქოს სკოლებს რატომ არ მისცეს წიგნები? აი, ეს არის მთავარი საკითხი. კარგი, არ მისცეს კერძო სკოლებს, მაგრამ მრავალშვილიანმა ოჯახებმა რაღა დაუშავეს?

**— რატომ, რა არის მიზეზი?**

— არ ვიცი, ეს მათ ჰკითხეთ. მხოლოდ საჯარო სკოლის მოსწავლეებს ურიგებენ ამ უფასო სახელმძღვანელოებს, ისევე, როგორც მხოლოდ საჯარო სკოლის მასწავლებლებს აძლევენ რაღაც დაზღვევას. დავიჯეროთ, არ იციან, რომ სახელმწიფომ კერძო სკოლა უნდა აკონტროლოს? არც ის იციან, კერძო სკოლის მასწავლებლებს შედარებით კაპიკებს რომ უხდიან? აქ სამართლიანობა არ უნდა აღადგინოს სახელმწიფომ ან არ უნდა აკონტროლოს ისინი? მარტო ვაუჩერი უნდა აძლიონ და სახელმწიფო ბიუჯეტის ფული კერძო სკოლის მეპატრონეებმა ჯიბეში უნდა ჩაიდონ?

მოკლედ, **რაც იყო სააკაშვილის დროს, ვგულისხმობ უპატრონობას, გაუკითხაობასა და ელიტურ კორუფციას, იგივეა დღესაც. მეტიც, ახლა კიდევ უფრო გაძლიერდა და გაღვივდა. ეს კიდევ რა ჯარიმები შემოიღეს ამ უფასო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით, X, XI, XII კლასელები შეურაცხყოფილები არიან, ამბობენ, ამ სახელმძღვანელოებს შინ შევინახავთ და სამაგიეროს მშობლებს ვაყიდვინებთო.** დიახ, გადაწყვიტეს, წლის ბოლოს უფასოდ მოცემული წიგნები უკან დააბრუნონ; ჯარიმების გადახდას ეს არჩიეს.

**— და ჯარიმა რამდენია, თუ იცით? ერთ-ერთი მასწავლებლის თქმით, წიგნების ნაწილი ბიბლიოთეკიდან გამოიტანეს, რამდენიმე შელახულიც ყოფილა... ჯარიმა მაინც არ აგცდება?!**

— ჯარიმა 20 ლარიაო, ასე ამბობენ.

**— მაშ, რა მნიშვნელობა აქვს, ახლა გადაიხდიდა მშობელი თანხას თუ შემდეგ, როცა შელახულს დააბრუნებ, გამოდის, ეს მარგველაშვილის ტყუილი იყო?**

— ეგრე გამოდის. ბუნებრივია, წიგნი არ უნდა შელახო, მაგრამ მაინც ძალიან მაღალი ჯარიმებია, ასე არ უნდა იყოს. და კიდევ, რას ეფერებიან ამ წიგნების ავტორებს და რატომ ინარჩუნებენ, ვერ გავიგე. დიახ, საინტერესოა, იმ უვარგისი სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შემქმნელ ექსპერტებსა და ავტორებს რატომ ინარჩუნებენ. საერთოდ ახლიდანაა დასაწერი ეს წიგნები.

**— წიგნი უხარისხოა, მძიმეა, შრიფტის ზომა და მოხაზულობა თვალებს ტკენს ბავშვებსო, ამბობენ. რატომ არ ექცევა ამას ყურადღება?**

— დიახ, მათ შეინარჩუნეს სააკაშვილის ხე- ▶

## მანანა ნიკოლაიშვილი: ელიტური კორუფცია განათლებისა და მეცნიერების სისტემაში ისევ მძვინვარებს

**„ქართული კლუბების ხელმძღვანელებს მივმართავ: ჩვენი გუნდები ბოლო დროს გარკვეულად ჩაფულიანდნენ. თუ სახსრები გაგიჩნდათ, ისე წარმართეთ საქმიანობა, რომ ქართველ გულშემატკივრებს საქართველოში ჩემპიონთა ლიგის მატჩების ხილვის ბედნიერება მიეცით. მერწმუნეთ, სწორად წარმოებული მუშაობის პირობებში ეს აუხდენელი ოცნება ნამდვილად არაა.“**

სპორტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**— ამ ლოგიკით, ნინო ბურჯანაძესაც ხომ შეიძლება წარსული გაუხსენონ?**

— რასაკვირველია, მაგრამ ასეთი ყველას შეიძლება გაუხსენო, მათ შორის, მარგველაშვილსაც, თუნდაც „თავისუფლების ინსტიტუტში“ მუშობა. მე **სააკაშვილის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი და კარგად ვიცი, რაც იყო „თავისუფლების ინსტიტუტი“. ერთ-ერთ შეხვედრაზე ლევან რამიშვილმა, რასაც ჰქვია, დაკითხვა მოუწყო სააკაშვილს. ყველაფერი იქ წყდებოდა, ქვეყანას პრემიერი ჟვანია ან პრეზიდენტი სააკაშვილი კი არა, „თავისუფლების ინსტიტუტი“ მართავდა.**

**— სად წავა სააკაშვილი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ და აქვს თუ არა მას გარკვეული გარანტიები მიღებული ხელისუფლებისგან?**

— ობამასა და სააკაშვილის შეხვედრა, გამორიცხულია, შემთხვევით მომხდარიყო. ობამასთან მისი შეხვედრა იყო ინდულგენცია. როდესაც ობამამ ჰკითხა სააკაშვილს, რას აპირებთ პრეზიდენტობის შემდეგო, ამით ხელშეუხებლობის გარანტია მისცა. ირაკლი ალასანიას ყველაზე კარგ მინისტრად დასახელებაც არ ყოფილა შემთხვევითი. სამომავლოდ ამერიკელების სარეზერვო ფიგურა ირაკლი ალასანიაა.

**— მიხეილ სააკაშვილის გაეროში გამოსვლას როგორ შეაფასებთ, სადაც მან საერთაშორისო საზოგადოებას ანექსიის დასასრულებლად დახმარება სთხოვა. რა შედეგს გამოიღებს ეს თხოვნა?**

— სააკაშვილის ადრესატი ამ შემთხვევაში არც თბილისია და არც მოსკოვი, მისი ადრესატი იყო სომხეთისა და აზერბაიჯანის ოპოზიცია. ის თავს უკვე რეგიონულ ოპოზიციონერ ლიდერად ხედავს. არ არის გამორიცხული, ესეც ამერიკასთან შეთანხმებული იყოს, რათა სააკაშვილი საერთო სამხრეთკავკასიურ ოპოზიციურ ლიდერად მოგვევლინოს.

**არც ამერიკა და არც ევროპა ჩვენ გამო რუსეთთან კონფლიქტს არ დაიწყებს. დღევანდელი პოლიტიკით ვერც ნატოში შევალთ და ვერც რუსეთს შევურიგდებით. ჩვენ თავად უნდა გავაანალიზოთ, რა კომპრომისზე შეგვიძლია რუსეთთან წავიდეთ.**

ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. რუსეთი ამბობს, რომ მისთვის აბსოლუტურად მიუღებელია ნატო. ცოტა ხნის წინ ფინეთში მედვედევმა თქვა, რუსეთი ყველა ზომას მიიღებს, რომ თავის უახლოეს პერიმეტრში ნატოს წევრი არავინ გახდესო. საქართველოს საგარეო კურსი კი დღეს როგორია? როდემდე უნდა ვიყოთ გაურკვეველ მდგომარეობაში? თქვა ივანიშვილმა, შევისწავლოთ ევრაზიული კავშირი რა არის, თუ კარგია, რატომაც არაო და ერთი ამბავი ატეხეს. აქამდე ევრაზიის კავშირი ტაბუირებული იყო, მისი ხსენებაც კი — აკრძალული. დღეს რას მოუტანს საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება და როგორი იქნება ეს კავშირი, არავინ იცის. საკითხი შესასწავლია. **ნატოში გაწევრიანების შანსი კი საქართველოს ორ შემთხვევაში აქვს: თუ ნატო ნატო აღარ იქნება და რუსეთი რუსეთი აღარ იქნება. სხვა შემთხვევაში შანსი არ აქვს.**

**— ახალ ხელისუფლებას ხშირად უწუნებენ რიტორიკას რუსეთთან დაკავშირებით, თუნდაც ახლა, როდესაც დვანში ჩვენი ტერიტორია თანდათან მცირდება, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ?**

— დაუკვირდით: უცნაურია, მაგრამ წინა ხელისუფლების დროს, როცა სააკაშვილი პუტინს აგინებდა, მავთულხლართების გადმოწევა დვანში არავის გახსენებია, რატომღაც ეს ახლა ხდება, როცა ახალი ხელისუფლება მოვიდა. პუტინი თავს მოტყუებულად მიიჩნევს რაღაცაში, არ ვიცი, რაში. პუტინს არ გაუმართლა მოლოდინი ივანიშვილმა. მე მოსკოვში ვიყავი, როცა სააკაშვილი პირველად შეხვდა პუტინს და მახსოვს, მთელი რუსული პრესა სააკაშვილით აღფრთოვანებული იყო, ჩამოვიდა საქართველოში და 20 დღის მერე ერთ-ერთ ინტერვიუში პუტინი ამბობს გასაოცარ ფრაზას: მიშამ „გადაგვაგდოო“. როგორც ჩანს, აქ რომ ჩამოვიდა, ვილაცებმა, არ ვიცი გარე თუ შიდა ძალებმა, „ყური აუწიეს“ და უთხრეს, რომ ქვეყნის მთავარი კურსი პროდასავლურიაო. გადახედეთ, **ხელისუფლებაში მოსვლის პირველ პერიოდში ბიძინა ივანიშვილიც რა ოპტიმისტურად იყო განწყობილი, მისი ევროპაში ვიზიტის შემდეგ ბიძინაც სულ ევროპულ გზას ახსენებს. შედეგიც ეს მავთულხლართებია. დღევანდელ სიტუაციაში ერთადერთ გამოსავალს ვხედავ — ივანიშვილი პუტინს უნდა შეხვდეს, დიახ, ივანიშვილი და არა მისი მემკვიდრე, რომელსაც რუსები არ ენდობიან.**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

ლისუფლების დროინდელი დანაშაულებრივი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლითაც არ შეიძლება სწავლა. უძლიერესი, უნიჭიერესი და ბეჯითი მოსწავლეც კი ვერ სწავლობს იმ სტანდარტებით, პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებამ შექმნა. ეს აუცილებლად უნდა შეიცვალოს. და ამ უბედურ მასწავლებლებს შეულახეს ღირსება, განათლების ხარისხის დაცემას მათ აბრალებენ. არადა, არ არის ასე. როგორ ამაღლდება სწავლის ხარისხი თუ მე შენ არ მასწავლი იმ დოზით, რა დოზითაც უნდა მასწავლო და მასწავლი უვარგისი სახელმძღვანელოებით?! **დანაშაულებრივი, მზაკვრული პოლიტიკა მიჰყავდა სააკაშვილის ხელისუფლებას და ამათმა ხელუხლებელი დატოვეს. არადა, თავისუფლად შეეძლო ივანიშვილის ხელისუფლებას, შეეცვალა სტანდარტები და პროგრამები და დაწერილიყო ახალი სახელმძღვანელოები, მაგრამ არ გააკეთა ეს, რადგან ამის პოლიტიკური ნება არ არსებობს.** გარდა ამისა, ძველი ავტორების შენარჩუნება უნდათ, ფაქტია, ეფერებიან მათ, ისევე, როგორც ძველი რექტორები შეინარჩუნეს. ყველგან ძველი რექტორები სხედან, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის გარდა.

**— რატომ მფარველობენ სააკაშვილის კადრებს?**

— მათ ჰკითხეთ, „ქართული ოცნება“ მფარველობს მათ. პოლიტიკური ნიშნით 20 ათასზე მეტი მასწავლებელია გაყრილი, 836 კაცი აღიარეს პოლიტდევნილად და იმათგან 7 კაციც არ არის აღდგენილი. „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მხოლოდ ნაციონალების უფლებების დასაცავად მოვიდა?! არც უკანონოდ გამოყრილი პროფესორ-მასწავლებლები დააბრუნეს უნივერსიტეტებში. ივანიშვილმა ეს არ იცის? თუ არ არის საქმის კურსში, მაშინ ვაი ჩვენს პატრონს. რატომ არ უკავშირდება ისეთ პიროვნებებს, რომლებიც რეალურ ინფორმაციას მიაწვდიან? ზვიად გამსახურდია იყო, ედუარდ შევარდნაძე თუ მიშა სააკაშვილი, მეძახდნენ და, როგორც ექსპერტს, გამიწევია კონსულტაციები. და თუ ივანიშვილი დაინტერესებულია ამ თემით, მაშინ ასეთ ექსპერტს ხომ უნდა დაუძახოს?!

სხვათა შორის, „ქართული ოცნების“ პროგრამის შედგენაში მეც ვმონაწილეობდი და იქ 90%, მე რისთვისაც ვიბრძვოდი მთელი 9 წლის მანძილზე, ის ჩაიდო, მაგრამ ის პროგრამა გვერდზეა გადადებული და ესენი სხვა რაღაცებს აკეთებენ. **ამაზე მეტი რა გინდათ, სასერთიფიკაციო გამოცდებზე ჩაჭრეს მასწავლებლები და სახელმწიფოს პირველი პირი არ აკეთებს ამაზე კომენტარს. ამ დროს ძალიან კარგად ავუხსენით ჩვენ, რომ არ შეიძლება ამ გამოცდების ასეთი ფორმით დატოვება, იმიტომ, რომ დიპლომის სტატუსია ხელყოფილი.** ამოწიეთ მისი გამოსვლები: ასეთი ფორმით, ღირსებისა და პატივის შელახვით გამოცდები არ ჩატარდება, შეიცვლება გამოცდების ფორმაო, აცხადებდა და აკეთებენ ამას? **ივანიშვილის სიტყვები და ჩვენი პროგრამა მიაგდეს სადღაც; რასაც უნდა იმას აკეთებენ, თვითნებობენ ეს კორუმპირებული მაფიოზი მიშას კლანები განათლებისა და მეცნიერების სისტემაში. იცით, სასერტიფიკაციო გამოცდები რატომ დატოვეს ძალაში? იმიტომ, რომ ამაში დიდ ფულს აკეთებენ.** აი, ამ ტრენინგებში სახელმწიფო გამოყოფს ვაუჩერს, ხელფას ხომ ხელფასად იღებენ და ათას რაღაცას მაიმუნობენ. ასევეა წიგნების მაფია, მასწავლებლებისთვის უშვებენ რაღაც უხარისხო წიგნებს და ეუბნებიან, იყიდეთო. ზოგი 120 ლარი, 200 ლარი, 50 ლარი ღირს და რა ვიცი, რომელი ერთი გითხრათ. ამ საცოდავ მასწავლებლებზე აკეთებენ ფულს. მოკლედ, ელიტური კორუფცია ისევ მძვინვარებს განათლებისა და მეცნიერების სისტემაში.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

# რეზო ძოძუაშვილი: «დინამოდან» წამოსვლა ავტომატის მუქარის ქვეშ მომიწია

**წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ქართულმა ფეხბურთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა და განვითარების საკუთარ გზას დაადგა. იყო იმედი, რომ ჩვენი მობურთალები საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებებს მიაღწევდნენ. ამ ოპტიმიზმის საფუძველს საქართველოში სპორტის ამ სახეობის მდიდარი ტრადიცია და ისტორია იძლეოდა. სამწუხაროდ, ქართველი გულშემატკივრების მოლოდინი არ გამართლდა და წლების განმავლობაში ჩვენი ფეხბურთი მაჩანჩალათა რიგებში აღმოჩნდა.**



**ბატონი რეზო ძოძუაშვილი ფეხბურთის სპეციალისტთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის ცოდნა და გამოცდილება სამშობლოში სრულყოფილად არ გამოიყენეს. არადა, უცნაურია, ადამიანმა უსახური ლატვიის ნაკრები ევროპის პირველობის ფინალურ სტადიაზე გაიყვანა, საქართველოში კი სრულფასოვნად მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ. უფრო მეტიც: ორიოდე წლის წინ ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთ სხდომაზე ბატონ რეზოს „დაბოლმილი უმუშევარი“ უწოდეს.**

**ცოტა ხნის წინ „დაბოლმილ უმუშევარს“ სტუმრად ვეწვიეთ და საინტერესო საფეხბურთო თემებზე ვესაუბრეთ. თავდაპირველად იმ „ისტორიული“ სხდომით დავინტერესდით.**

— ალბათ, გახსოვთ ტოტალიზატორში თამაშის გამო რამდენიმე ფეხბურთელი სპორტის ამ სახეობას რომ ჩამოაშორეს. ამ ფაქტის ირგვლივ ფეხბურთის ფედერაციაში მაშინ საჯარო განხილვა ჩატარდა და მასში ვეტერანებმაც მივიღეთ მონაწილეობა. როდესაც ამ სამარცხვინო ფაქტის მიმართ ჩვენი აზრი გამოვთქვით, დიდი შეხლა-შემოხლა დაიწყო და ჩვენ „დაბოლმილი უმუშევრები“ გვიწოდეს. ფეხბურთი იმ ხალხმა უნდა მართოს, რომელიც ამ სფეროში კარგად ერკვევა. დღეს ქართულ ფეხბურთში არაერთი შემთხვევითი ადამიანია შემოპარული და სპორტის ეს სახეობა ვერ ვითარდება.

**— დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ეროვნული გუნდის პირველმა თაობამ საერთაშორისო ასპარეზზე თავი ვერ გამოიჩინა. რა იყო ამისი მიზეზი?**

— როდესაც საქართველოს ნაკრები შეიქმნა, იმ გუნდში ჩემი 15 აღზრდილი თამაშობდა. მათ ევროპის კონტინენტზე საკუთარი სიტყვა თქვეს და მომავალშიც არაერთ ძლიერ კლუბში ასპარეზობდნენ. რომელი ერთი ჩამოვთვალო: ქინქლაძე, ძმები არველაძეები, ჯამარაული, ნემსაძე, შელია, ყაველაშვილი და სხვები. სამწუხაროდ, ამ ფეხბურთელებმა ნაკრებში თავისი შესაძლებლობა ბოლომდე ვერ გამოავლინეს. ამ მიზეზებზე საუბარი, ალბათ, ერთ ინტერვიუს არ ეყოფა. მოკლედ კი გეტყვით, რომ იმდროინდელი ეროვნული გუნდის ირგვლივ მრავალი შემთხვევითი ხალხი ტრიალებდა და მოთამაშეების გამოსვლაზე ამან უარყოფითი გავლენა იქონია. უფრო მეტსაც მოგახსენებთ: თბილისის „დინამოდან“ წამოსვლა ავტომატის მუქარის ქვეშ მომიწია და დღემდე ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ცოცხალი გადავრჩი.

**— მაინც რატომ არ გამოიყენეს რეზო ძოძუაშვილის ცოდნა და გამოცდილება საქართველოში?**

— ამაზე მეც არაერთხელ მიფიქრია. მწვრთნელთა იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებიც ამა თუ იმ გუნდის ხელმძღვანელობის დაკრულზე არ ცეკვავენ. „დინამოს“ მაგალითს მოგიყვანთ. 90-იანი წლების დასაწყისში გუნდს ძალიან გაუჭირდა და ვაჟა ჟვანიასთან ერთად კლუბის პრეზიდენტად ისლანდიიდან ახლად დაბრუნებული მერაბ ჟორდანია მოვიყვანეთ. **მოგვიანებით გუნდის მართვაში „მხედრიონი“ აქტიურად ჩაერთო და, რასაკვირველია, მავანმა და მავანმა პრინციპული რეზო ძოძუაშვილის გუნდში ყოფნა არ მოისურვა. დღემდე ვერ გამიგია, რატომ გამათავისუფლეს. იარაღით დამადგნენ და თანამდებობა უნდა დატოვოო, გამომიცხადეს.**

საქართველოში სადაც არ მიმუშავია, ყოველთვის სასიკეთო საქმეები გამიკეთებია. პირველი პლეადის ნაკრების წამყვანი მოთამაშეები ჩემი აღზრდილები გახლდნენ. მოგვიანებით ქუთაისის „ტორპედო“ და რუსთავის „მეტალურგი“ გავაჩემპიონე. ამის მიუხედავად, უხილავი ძალა ყოველთვის მებრძოდა. ქართველი კაცი იძულებული გავხდი, ლატვიაში გადავსახლებულიყავი და იქაური ფეხბურთის აღორძინებაში ჩემი წვლილი შემეტანა... ლატვიელებს ჩემი სამშობლოში გამოშვება არ უნდოდათ, მაგრამ მე საქართველოს გარეთ დიდი ხნით ცხოვრება არ შემიძლია. მადლობა ღმერთს, დღეს ფეხბურთის ფედერაციაში დამასაქმეს და ახალგაზრდა ნიჭიერი მოთამაშეების აღმოჩენა დამავალეს.

**— ბატონო რეზო, თქვენი თაობის მოთამაშეებისგან განსხვავებით, ამჟამინდელი ქართველი ფეხბურთელები ცაში ვარსკვლავებს ვერ წყვეტენ...**

— გაგიკვირდებათ და ჩემი თაობის ფეხბურთელები მარტო მატერიალური კეთილდღეობისთვის არ თამაშობდნენ. თავის დროზე მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მცველად მაღიარეს, 1972 წლის ევროპის პირველობაზე კი ჩემს პოზიციაზე საუკეთესოდ დამასახელეს. ეს აღიარება ჩემთვის ყოველგვარ ფულად კეთილდღეობაზე მაღლა ფასობდა. დღეს მდგომარეობა შეიცვალა. **ახალგაზრდა ნიჭიერი მოთამაშეები კარიერის პირველივე დღეებიდან სწრაფად გამდიდრებაზე ოცნებობენ, საწადელის მიღწევის შემდეგ კი ცხოვრებისეული სტიმული ეკარგებათ და პროფესიული დაღმასვლა ეწყებათ.**

ნება მომეცით, პოლიტიკაში შევიჭრა და „ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილი გავაკრიტიკო. რამდენიმე წლის წინ ქვეყანაში ფეხბურთის აღორძინების პოლიტიკა დაიწყო. სამწუხაროდ, ეს პროცესი სტადიონების დანგრევით დაიწყეს. რას ერჩოდნენ ბათუმის შესანიშნავ სპორტულ სარბიელს, რომელიც მიწასთან გაასწორეს, ამ ქალაქს დღემდე საკუთარი სტადიონი არ გააჩნია. დაანგრიეს ზუგდიდის სტადიონი. ანალოგიური ბედი თბილისში მდებარე ასკისა და 35-ე სკოლის სარბიელებსაც ეწია. ამის შემდეგ გამოდიან და **ქართული ფეხბურთის დონე რატომ არ მატულობსო, — კითხულობენ. ახალგაზრდა მოთამაშეს დაოსტატებისთვის სტიმული და დახმარება ესაჭიროება, რაც ჩვენნაირ ღარიბ სახელმწიფოში თავის თავზე სახელმწიფომ უნდა აიღოს.**

საუბრის ბოლოს კი ქართული კლუბების ხელმძღვანელებს მივმართავ: ჩვენი გუნდები ბოლო დროს გარკვეულად ჩაფულიანდნენ. თუ სახსრები გაგიჩნდათ, ისე წარმართეთ საქმიანობა, რომ ქართველ გულშემატკივრებს საქართველოში ჩემპიონთა ლიგის მატჩების ხილვის ბედნიერება მიეცით. მერწმუნეთ, სწორად წარმოებული მუშაობის პირობებში ეს აუხდენელი ოცნება ნამდვილად არაა.

ესაუბრა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

ახალი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა, როდესაც რესპუბლიკელებს ახალი სოროსი მოევლინათ ბიძინა ივანიშვილის სახით, არა თუ ტივტივებენ, არამედ აყიყინდნენ კიდეც — აშკარად ხელთ უპყრიათ საპარლამენტო ხელისუფლება და, შსს გარდა, პრაქტიკულად ყველა სამინისტროსა და უწყებას მეტ-ნაკლებად აკონტროლებენ!**

# სოროსი ისევ რულავს, ანუ რატომ შეგვაჩვია ენა პრემიერმა

**ცოტა შორიდან დავიწყოთ, რათა ათვლის წერტილიდან დინამიკაც დავინახოთ წინამდებარე წერილის თემისა — ამ რამდენიმე თვის წინ, როდესაც ლევან ბერძენიშვილს „ათასმეერთედ“ შეახსენეს რესპუბლიკური პარტიის მარადურეიტინგობა, ამ უკანასკნელმა „ამოიგმინა“: — ჰო, გიხაროდეთ ჩვენი დაბალი რეიტინგი, მაგიტომაც არის საქართველო დემოკრატიის კუთხით ერთ-ერთი უკანასკნელი დასავლეთშიო!**



ციტირებაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ კგბ-ში „ცოდვამონანიებული“ და იქვე კგბ-ს „მოძღვრის“, პოლკოვნიკ მირიანაშვილის მიერ „ცოდვაშენდობილი“ რესპუბლიკელის იმდღევანდელი „გმინვის“ შიგთავსი სწორედ ის იყო, რომ ჩვენ, ქართული საზოგადოება, ვართ ბნელი და ჩამორჩენილი თორემ, რესპებს ხელისგულზე ვატარებდით და, შესაბამისად, „სოფელიც აშენდებოდა“.

**თურმე (ამჯერად, საქართველოს პრემიერ ივანიშვილს ვციტირებ) „ჩვენი პრობლემა, არაეფექტური მთავრობა კი არა, საზოგადოების დაბალი პოლიტიკური კულტურაა!“**

**თურმე „ქართველი ხალხი ბიძინა ივანიშვილთან ვალშია“! — ეს უკვე ნინელი ჭანკვეტაძეა...**

და ბოლოს, რამაც ამივსო მოთმინების ფიალა, რეინტეგრაციის მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის ბოდვაა, რომელსაც 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის მორიგ წლისთავზე მოვუსმინე რადიო-პალიტრის ეთერში. აბა, ზაქარეიშვილის ლაპარაკს ძნელად თუ გაარჩევ და მაგის ციტირება არ გინდა?!

— საზოგადოება ყოველთვის ჩამორჩება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს *(გნებავთ, „პოლიტიკოსების აზროვნების სიღრმეებს“, ასე წაიკითხეთ)* და ამიტომაც დავკარგეთ თურმე აფხაზეთი, შინაარსობრივად ეს ბრძანა „მახროვი“ რესპუბლიკელმა მინისტრმა!..

ჰოდა, რადგანაც თავის დროზე ლევან ბერძენიშვილს საკადრისად ვუპასუხე ამავე გაზეთში, დანარჩენს მივყვეთ „მუხლობრივად“ და ვინძლო სხვა რამე-რუმეებიც „ამოტივტივდეს“!..

## ცოტა ფრთხილად, პრემიერო!!!

ჩვენ ის „დაბალი პოლიტიკური კულტურის“ ხალხი ვართ, რომელსაც სწორედ მაღალ პოლიტიკურ კულტურას უქებდით არჩევნებამდე, ბატონო ბიძინა! ჩვენ ის „დაბალი პოლიტიკური კულტურის“ ხალხი ვართ, რომელმაც კბილთაღრჭენით მივიტანეთ საარჩევნო ყუთებამდე უსაზღვრო ზიზღი „ნაცებისადმი“ და თქვენგან გაჩენილი იმედი საზიზღართა გადაშენებისა; ჩვენ ის „დაბალი პოლიტიკური კულტურის“ ხალხი ვართ, რომელმაც თქვენი ხათრით და ბევრმა სიყვარულითაც, ხმა მივეცით და პარლამენტში გავათრიეთ „ნაცებზე“ არანაკლებად საძულველი რესპუბლიკელები და სხვა ნეოლიბერალური ძალები, რადგან, სწორედ მაღალი პოლიტიკური კულტურიდან გამომდინარე ვფიქრობდით, ახლა ასეა საჭირო, დასავლეთის მხარდაჭერისთვის ანტურაჟად სჭირდება ეს პოლიტიკური ნაგავი ბიძინას და ა. შ. სხვა, როგორც აღმოჩნდა ზღაპრებია!..

მაშ, რატომ გავხდით დღეს „პოლიტიკურად უკულტურონი“? იმიტომ ხომ არა, რომ თქვენმა სიყვარულმა თუ თქვენმა პატივისცემამ იგივე გრძნობები ვერაფრით აღგვიძრა რესპების და სხვა „ლიბერასტების“ მიმართ, რომელთა ხელისუფლებაში ყოფნას მხოლოდ თქვენი ავტორიტეტის გამო ვიტანდით და მცირე ნაწილი დღემდეც იტანს?

თუ იმიტომ, რომ ვერაფრით მივიღეთ ე.წ. კოაბიტაცია, რადგანაც, მიუხედავად „პოლიტუკულტურობისა“, გვესმის, ვხედავთ, რომ კოაბიტაცია საქართველოს წინააღმდეგ ორგანიზებული შეთქმულებაა? იქნებ დასავლეთიდან „შემოგდებულიც“, მაგრამ კოალიცია „ქართულ ოცნებაშიც“ ბევრი გულწრფელად, იდეურად მხარდამჭერები რომ ჰყავს „ნაცების“ რესტავრაციის აშკარა მცდელობას, ამასაც ვხედავთ!..

იქნებ იმიტომ, რომ ვერ მივიღეთ თქვენ მიერ წარმოდგენილი საპრეზიდენტო კანდიდატი, რადგან მაგის პლასტელინობას კიდევ აიტანდა კაცი, ბატონო ბიძინა, მაგრამ, მიუხედავად თქვენი მთავარი პიარშიკის მცდელობისა, ვერაფრით დავინახეთ გიორგი მარგველაშვილში ქართული, ეროვნულობის შტრიხები — გაუპარსავი ფილოს-ოფოსი გაპარსულ ფილოს-ოფოსად იქცა! ეგ არის და ეგ შალვა რამიშვილის „მაღალი ხელოვნება“...

კიდევ ბევრი „იქნებ იმიტომ“ შეიძლება მოვიყვანო, ბატონო ბიძინა, მაგრამ ვფიქრობ, საკმარისია. დაბოლოს, როგორც ტოლი ტოლს (ასაკს ვგულისხმობ თორემ სად მე, ჯიბეგაფხეკილი „თბილისელი სიმონა“ და სად თქვენ, ჭორვილელი გრაფი მონტეკრისტო?!), ერთ რჩევას მოგცემთ: როგორც ამას წინათ ე.წ. ექსპერტებს თქვენი ხელისუფლების მისამართით გამონათქვამებში სიფრთხილისკენ მოუწოდებდით, თქვენც ცოტა მეტი სიფრთხილე გმართებთ „მოსახვევებში“, ანუ ქართველი საზოგადოების, მით უმეტეს ქართველი ერის შეფასებაში. თორემ ეჭვი მეპარება, „დაბალი პოლიტიკური კულტურის“ ქართველი ერი ზოგი ექსპერტივით „გაგიწვეს“...

„А ты не путай свою личную шерсть с государственной“, — ფრუნზიკ მკრტიჩიანის ეს ფრაზა გამახსენა უკვდავი საბჭოთა კომედიიდან „კავკასიელი ტყვე ქალი“ ნინელი ჭანკვეტაძის „მიგნებამ“, რომ თურმე ჩვენ, ქართველი ხალხი, ვალში ვყოფილვართ ბიძინა ივანიშვილთან.

რამდენადაც მშვენიერი ხართ, ქალბატონო ნინელი, იმდენად ვერ დაგეთანხმებით, რადგან თქვენ, ე. წ. (ამ შემთხვევაში „ე. წ.“ ყოველგვარი სარკაზმის გარეშე) შემოქმედებითი ინტელიგენცია, იქნება მართლაც დავალებული ხართ ბიძინა ივანიშვილისგან, მაგრამ, ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მხოლოდ შემოქმედებითი ინტელიგენცია არა ხართ ქართველი ხალხი, მით უმეტეს — ქართველი ერი!

ერი, სამშობლო, არავისთან შეიძლება იყოს ვალში, რადგან უფრო პირიქითაა — ვისაც ქვეყნის მსახურების პატივის „მძიმე ჯვარი“ რგებია უფლისგან, ამ მსახურების აღსრულება თავად მიუჩნევია ვალად და მადლიერ ერს მომავალი თაობების საოხად თუ მაგალითად სამშობლოს უკეთესი შვილების ნაღვაწი ისტორიულ მეხსიერებაში, გენეტიკურ კოდში ჩაუჭედავს და ჩაუდუღაბებია, ხოლო რჩეულთა შორის რჩეულთათვის ძეგლებიც დაუდგამს! — ასე რომ, მადლიერება და ვალში ყოფნა სხვადასხვა რამაა...

ეგეც არ იყოს და, თუ მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებაზეა საუბარი, ბატონმა ბიძინამ ერთ-ერთ ინტერვიუში აღიარა, რომ ნებისმიერ ქველმოქმედებას, უწინარესად, საკუთარი თავისთვის სჩადის მავანი, რადგანაც 100% ალტრუიზმი, ფილანტროპია ბუნებაში არ არსებობს — ნებით თუ უნებლიეთ ქველმოქმედებას დივიდენდები მოაქვს თავად ქველმოქმედისთვის ან აქ, ან იმქვეყნად!

„ის ქვეყანა“ დიდხანს აშოროს ბატონ ბიძინას, მაგრამ, ამქვეყნად რომ უკვე ერთი ათასად დაუბრუნდა ქველმოქმედება, ფაქტია! — ჯერ ქართველი ხალხის არნახული მხარდაჭერის წყალობით დაამარცხა სააკაშვილის სისხლიანი ტირანია, ხოლო, თუ 1 ოქტომბრის შემდეგ რიგითი ქართველების უმეტესობას, რბილად რომ ვთქვათ, გაუფერმკრთალდა ქართულად ოცნება, პირველ რიგში, დაწყევლილი კოაბიტაციის გამო, იმავეს ვერ იტყვი შემოქმედებითი ინტელიგენციის აბსოლუტურ უმრავლესობაზე, რომელიც კოაბიტაციას, სამართლიანობის არაღდგენას ბიძინა ივანიშვილისგან დავალებული, „გაგების მდუმარებით“ შეჰყურებს, ხოლო უკეთეს შემთხვევაში, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ იმუქრება ხმის ამოღებით!

**საერთოდაც, შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი ნაწილი უმაღლეს ჭეშმარიტებად აღიქვამს საკუთარი გადამრჩენლის ყოველ სიტყვას და თავს იმით იიმედებს (ან იტყუებს), რომ ბიძინამ იცის, 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ერთხელაც იქნება, თუ სულ არ ჩამოიშორებს, კუთვნილ ადგილს მაინც მიუჩენს რესპუბლიკელებსა და სხვა ნეოლიბერალ ხლისტებს და ა.შ. სხვა მრავალი „ბიძინამ იცის“ და „ერთხელაც იქნება“...**

აქედან გამომდინარე, ეს „ბიძინამ იცის“ და „ერთხელაც იქნება“ უკვე ჭაში მჯდომ გულთმისან ზებოს დაემსგავსა, თქვე კაი ხალხო! რაღას უცდით და ელოდებით? ბოლო 4-საათიან შოუზე ექსპერტებთან კაცმა გარკვევით თქვა: წართმეულ ქონებას არავის დავუბრუნებთ; პროკურატურაში არა თუ დავიჭერთ ვინმეს, სამსახურიდანაც არავის დავითხოვთ; კუბლაშვილის სასამართლოს ხელს ვახლებთ კი არა, აყვავდი, აყვავდი უნდა ვუძახოთო; გია ნაცვლიშვილი ევროპა-ამერიკას თურმე ძალიან მოსწონსო; სამართლიანობა თურმე აღმდგარა, რადგან პოლიცია მასობრივად აღარ იჭერს ხალხს და ცოცხებით აღარ გვაუპატიურებენო; ზურა ადეიშვილი ნიჭიერი კაცი და რეჟიმის მსხვერპლიაო, ჩემს მთავრობაში ერთ-ერთი პატიოსანი ჩინოვნიკი იქნებოდაო და, რა ვიცი კიდევ, რომელი ერთი გავიხსენო?..

**ბოლოს და ბოლოს, სანამ იმას არ გვეტყვის, რომ ახლა ჩემი მთავრობაა და „ნიჭიერ ზურიკოს“ პრემიერად შემოგვთავაზებს, მანამდე იქნებით პირში წყალჩაგუბებულები?**

ახლა მავანი მეტყვის, რომ ზედმეტად სარკასტულად ვუტრირებ, მაგრამ ეს ბიძინა რომ ვერ ან არ დგამს ნაბიჯს ამერიკის დაუკითხავად, ფაქტია. ისიც ნიშანდობლივია, რომ ნიჭიერი ადეიშვილის მიმართ ფორმალურადაც არავითარი საგამოძიებო ქმედებები არ მიმდინარეობს, მასზე ძებნაც კი არ არის გამოცხადებული(?) და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, არც ასეთი ფანტასმაგორიაა გამორიცხული, რადგან როგორც უფლისა (ღმერთსა ვთხოვ, შემინდოს ეს მკრეხელობა), ასევე შეუცნობელია გზანი კოაბიტაციისანი, ანუ არა მგონია, ადეიშვილის გაპრემიერება დასავლეთში ეწყინოთ, ისევე, როგორც არ ეწყინებათ ვანო მერაბიშვილისა და ბაჩანა ახალაიას გათავისუფლება, რასაც სულ მალე იხილავს ქართველი საზოგადოება!

ამას დავუმატოთ საერთაშორისო კონტექსტი: როგორი პატივით მიიღეს „ნაცების“ კანდიდატი დავით ბაქრაძე ამერიკაში; მართალია, — გაეროს დერეფანში, მაგრამ საქართველოს „დარტყმულ“ პრეზიდენთან 2-3-წუთიან გასაუბრებაში მსოფლიო პედერასტების მფარველმა ბარაკ ობამამ მოასწრო და სააკაშვილის დემოკრატიულ მემკვიდრეობას გაუსვა ხაზი; NDIA-ს მორიგი, ქართველი ხალხის შეურაცხმყოფელი კვლევები, რომლებშიც „მთავარი ოპოზიციური ძალის“ — „ნაცების“ კანდიდატს მყარად უკავია მეორე ადგილი და, თუ რას გვიმზადებს „ქოცები-ნაცების“ ტანდემი 27 ოქტომბერს, ცხადია: მარგველაშვილი — პრეზიდენტი, ბაქრაძე — მეორე ადგილი! რაც იმას ნიშნავს, რომ კოაბიტაცია კი არ დამთავრდება, არამედ თვისობრივად ახალ ფაზაში გადავა — დაიწყება მათი ხელისუფლებების შერწყმა, რასაც მე ადრე პოლიტიკურად ერთსქესიანთა ქორწინება დავარქვი. შემოქმედებითი ინტელიგენციის მდუმარე ნაწილს მივმართავ:

— სანამ ქორწილში არ დაგპატიჟებენ, მანამდე არ ამოიღებთ ხმას?

## სოროსის ძუძუნაწოვი კადრების რესტავრაცია

კიდევ ერთი სახიფათო პროცესი მიმდინარეობს და ეს არის თავისუფლების ინსტიტუტის, იგივე სოროსის ძუძუნაწოვი კადრების რესტავრაცია ახალ ხელისუფლებაში.

თუმცა რაღა მიმდინარეობს, მიმდინარეობს კი არა, მგონი დასრულდა — გიორგი მარგველაშვილის სოროსულლიბერასტულ წარსულს რომ თავი დავანებოთ, მთელი რესპუბლიკური პარტია სოროსის ძუძუების წყალობით არ ტივტივებდა წლების მანძილზე ქართული პოლიტიკის ჭაობში? **ახლა, როდესაც რესპუბლიკელებს ახალი სოროსი მოევლინათ ბიძინა ივანიშვილის სახით, არა თუ ტივტივებენ, არამედ აყიყინდნენ კიდეც — აშკარად ხელთ უპყრიათ საპარლამენტო ხელისუფლება და, შსს გარდა, პრაქტიკულად ყველა სამინისტროსა და უწყებას მეტ-ნაკლებად აკონტროლებენ!**

ისე, ახალი სოროსი ხმამაღალი ნათქვამია, რამეთუ, როგორც თავად ივანიშვილმა აღიარა, წლების მანძილზე ჩვენ რომ მხოლოდ სოროსი გვეგონა, თვითონაც გულუხვად აფინანსებდა „ღია საზოგადოება საქართველოს“, ანუ იმავე სოროსის ფონდისა და თავისუფლების ინსტიტუტის იდეების დანერგვას საქართველოში და ისე გა- ▶

ბონდიანა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაკკეინი რომ პირწავარდნილი რუსოფობია, ცნობილია, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის, სიმპათიურად განეწყოს რუსეთის არასისტემური ოპოზიციის მიმართ (მაგალითად, ალექსანდრე ნავალნის მიმართ). მაკკეინი რეგულარულად და უსაფუძვლოდ აკრიტიკებს რუსეთს. ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ ეს სენატორი თავისი ასაკისა გამო, სავსებით შესაძლებელია, მარაზმატიკია და არ ღირს მისი სიტყვების სერიოზულად აღქმა.**

აძლიერა სააკაშვილის რეჟიმი, რომ ბოლოს — მამასა და მის მარჩენალსაც დაუწყეს რქენა. ასე რომ, **სად იწყება სოროსი და სად — ივანიშვილი, ჩვენი ქვეყნის უბედურებათა ვრცელ ნუსხაში ეშმაკიც ველარ გაარკვევს, რადგან განსხვავება ჯორჯსა და ბიძინას შორის მხოლოდ ინიციალებშია, თორემ ფულით ორივენი იმ რეჟიმს ასაზრდოებდნენ და აძლიერებდნენ, რომელსაც ქართველმა ხალხმა „ნაციონალური ჭირი“ შეარქვა.**

არც ის არის საიდუმლო, რომ თავისუფლების ინსტიტუტის გველის წიწილებსა და სოროსის ძუძუნაწოვთა შორის, რომლებიც ხელისუფლების სხვადასხვა დონეებში არიან ჩანერგილები, ჩვენი მოძმე სომხების გვარგადაკეთებული, ანუ ულირსი შვილები ჭარბობენ, თანაც იმდენად, რომ მათი სახელი ლეგიონია — არც ეს მგონია შემთხვევითი...

ისე, საპრეზიდენტო არჩევნების წინ საინტერესო გადაჯგუფებები მიმდინარეობს — ოცნებაგაწბილებული „მრევლის“ ნაწილი ნინო ბურჯანაძესთან გარბის და ნაწილი — „საქართველოს პატრიოტთა ალიანსში“. კარგი იქნებოდა, ერთსაც და მეორესაც მაშინ ამოეღოთ ხმა, როდესაც დავით უსუფაშვილი პარლამენტის დავმჯდომარედ წამოგვისკუპა ბიძინა ივანიშვილმა! ვინძლო, კოაბიტაციურ შეთქმულებას გადავრჩენილიყავით...

მაგრამ მაშინ ხმის ამოღება ქარის საწინააღმდეგოდ ფურთხებას ნიშნავდა და ახლა, როდესაც ეს ქარი, ბიძინა ივანიშვილი, მიდის პოლიტიკიდან, ფურთხება და გინება მერე ვნახოთ, 27 ოქტომბრის შემდეგ...

**ბატონო ბიძინა! მიდიხართ? ნება თქვენია, მაგრამ იმას, რასაც თქვენთან ერთად იტანდა ქართული საზოგადოება, თქვენ გარეშე ნამდვილად ველარ და აღარ აიტანს, რადგან რესპებ-ნაცებ-ალასანიას ხელისუფლების ტრიუმვირატი არანაკლები საფრთხეების შემცველია საქართველოსთვის, ვიდრე სააკაშვილის 9-წლიანი ერთპიროვნული მმართველობა იყო!**

ამიტომ რეინტეგრაციის მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის ბლუკუნს ნუ დაუჯერებთ — ქართული საზოგადოება, ქართველი ერი, არასოდეს ჩამორჩენილა პოლიტიკურ პროცესებს, მით უმეტეს, ზაქარეიშვილის მსგავსი არარაობების უკან მაჩანჩალა არ ყოფილა. ქართველი „ერთხელაც იქნება“ ზებოს ჭაში კი არ ზის, უბრალოდ, მას იობის მოთმინება აქვს, მაგრამ საჭირო, კრიტიკულ დროს ისე იქუხებს ხოლმე, როგორც არაერთხელ დიდგორს, მარტყოფს თუ მარაბდას; ბოლოსდაბოლოს, როგორც შარშან იქუხა, 1 ოქტომბერს!

იქუხა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრი ანტიეროვნული ძალა გადაურჩა იმ ქუხილს თქვენი ქოლგის ქვეშ შეფარებული, და უთქვენოდ, ახლა უკვე მრისხანებას ქართველი ერისას ველარავინ გადაურჩება!

ასე რომ, ბატონო ბიძინა! თუ მეტის გაკეთება არ ძალგიძთ, ან არ გაკეთებინებენ, გაკეთებულისთვის დიდი მადლობა და წადით, ბატონო, წადით...

**დავით მხეიძე**

# «აშშ პირველი პატრიოტი» პირველი მოღალატე ყოფილა



**„რუსოფობიასთან ბრძოლის ფონდის“ აქტივისტებმა ღია წყაროებში აღმოაჩინეს სპეცსამსახურების საიდუმლო მასალებიდან გაჟონილი ცნობები, რომ რესპუბლიკური პარტიის ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი ვიეტნამში ტყვედ ყოფნის დროს დათანხმდა საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობას, ულალატა აშშ-ის ინტერესებს და „ჩაუშვა“ მამამისი — აშშ სამხედრო საზღვაო ფლოტის ადმირალი. ერთი სიტყვით, „აშშ №1 პატრიოტი“ ჯონ მაკკეინი თავად აღმოჩნდა უნამუსო მოღალატე.**

ამ ისტორიით დაინტერესდნენ „რუსოფობიასთან ბრძოლის ფონდის“ წევრები მას შემდეგ, რაც 2013 წლის 19 სექტემბერს აშშ-ში ცნობილმა რუსოფობმა, სენატორმა მაკკეინმა უპასუხა ვლადიმერ პუტინის სტატიას გაზეთ „პრავდაში“. თავის პუბლიკაციაში რესპუბლიკელმა სენატორმა პრეზიდენტს უწოდა ტირანი და განაცხადა, რომ **„რუსები უკეთეს მმართველს იმსახურებენ“.**

**„იგი ხელს არ უწყობს რუსეთის დადებითი რეპუტაციის შექმნას მსოფლიოში. იგი ანგრევს მას. მან იგი გახადა ტირანების მეგობარი, ჩაგრულთა მტერი და იმ ქვეყნების არასანდო მოკავშირე, რომლებიც ცდილობენ, ააშენონ უფრო უსაფრთხო და აყვავებული მსოფლიო“,** — განაცხადა მაკკეინმა. მან მკვეთრად გააკრიტიკა რუსეთის დუმის მიერ მიღებული ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის კანონი, მაგნიტსკის საქმეზე წარმოებული პროცესი და Pussy Riot-ის ჯგუფის წევრების დაპატიმრება.

მაკკეინის წერილი, როგორც ვთქვით, თავისებური პასუხია პუტინის წერილზე, რომელიც New York Times-ში გამოქვეყნდა. ამ სტატიაში პუტინმა აღნიშნა, რომ სირიის კანონიერად არჩეულ პრეზიდენტ ბაშარ ასადს კავშირი არ აქვს დამასკოში მოწყობილ ქიმიურ შეტევებთან და აშშ-ს ურჩია, ნუ მიიჩნევს თავის თავს „განსაკუთრებულ სახელმწიფოდ“. მაკკეინმა განაცხადა, რომ უპასუხებდა პუტინს რუსული გაზეთის მეშვეობით.

**მაკკეინი რომ პირწავარდნილი რუსოფობია, ცნობილია, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის, სიმპათიურად განეწყოს რუსეთის არასისტემური ოპოზიციის მიმართ** (მაგალითად, ალექსანდრე ნავალნის მიმართ). **მაკკეინი რეგულარულად და უსაფუძვლოდ აკრიტიკებს რუსეთს**. ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ **ეს სენატორი თავისი ასაკისა გამო, სავსებით შესაძლებელია, მარაზმატიკია და არ ღირს მისი სიტყვების სერიოზულად აღქმა.**

გაზეთ pravda.ru-ში მაკკეინის სკანდალური პუბლიკაციის შემდეგ ზემოთ დასახელებული ფონდის აქტივისტები დაინტერესდნენ, **რატომ და საიდან გაუჩნდა ამ კაცს ამ დოზით რუსოფობია?** და მოგვიანებით გაარკვიეს, რომ **სსრ კავშირისადმი ზიზღი ამ პიროვნებას ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან „დაემართა“.** თუმცა ასე გამძაფრებულად ამ ზიზღის გამოხატვა თავისებური პიარი იყო ვიეტნამელთა

## ჯონ მაკკეინი, იგივე სახელმწიფო უშიშროების აგენტი ჯეკ მაუსი, სსრ კავშირის სპეცსამსახურმა გადაიბირა 1967 წელს ვიეტნამის ციხე ხაო ლოში

ტყვეობიდან თავდახსნილი ჯარისკაცის, რათა არავის ეჭვი არ შეპარვოდა მის მიერ სამშობლოს ღალატის და, რაც მნიშვნელოვანია, საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობის შესახებ. მაგრამ, მისი თავგამოდებული მცდელობის მიუხედავად, **რუსი, ევროპელი და ამერიკელი (!) ჟურნალისტების ერთი ნაწილი ადასტურებს, რომ მაკკეინი ვიეტნამის ომის დროს რეალურად იყო მოღალატე!**

„აშშ მთავარი პატრიოტი“ ჯონ მაკკეინი კი მალავს, რომ იგი 1967 წლიდან 90-იანი წლების დასაწყისამდე მუშაობდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასარგებლოდ, რისი დადასტურებაც „რუსოფობიასთან ბრძოლის ფონდის“ აქტივისტებმა აღმოაჩინეს გაზეთ The Moscow Post-ის 2008 წლის 18 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული მაკკეინისადმი მიძღვნილი სკანდალური სტატიის რუსულ თარგმანში. სპეცსამსახურების წყაროების ცნობით, აღნიშნული მასალის ინგლისურენოვანი ვერსია 2008 წელს ამოიღეს აშშ ხელისუფალთა თხოვნით.

**იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელად კონდოლიზა რაისის მუშაობის პერიოდში The Moscow Post-ის ეს სტატია** (ინგლისურენოვანი ვერსია) **ამერიკის სპეცსამსახურებმა ბუკვალურად ამოგლიჯეს ინტერნეტიდან, ფონდის აქტივისტები ასკვნიან, რომ იგი საკმაოდ სანდო უნდა იყოს.**

მით უფრო, რომ სწორედ გაზეთმა The Moscow Post-მა მსოფლიოში პირველად გამოაქვეყნა აშშ სახელმწფო მდივნის, კონდოლიზა რაისის საყვარელი რუსი ქალის ინტერვიუ. სექსპარტნიორი რესპონდენტი მის შინამოსამსახურედ მუშაობდა.

**The Moscow Post-ის ხელმძღვანელობამ, როგორც ვთქვით, ფრიად სანდოდ მიიჩნია ინფორმაცია ჯონ მაკკეინის შესახებ და გადაწყვიტა, გადაებეჭდა აღნიშნული წერილის თარგმანი მინიმალური შემცირებებითა და დამატებებით.**

**„მაშ, ასე: როგორც გაირკვა, მაკკეინი ხანგრძლივი წლების განმავლობაში საბჭოთა სპეცსამსახურების სასარგებლოდ მუშაობდა, გადაბირებული იყო ვიეტნამში ტყვედ ყოფნის დროს... სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში სენატორ მაკკეინს მინიჭებული ჰქონდა კოდური სახელი ჯეკ მაუსი.**

ცნობილია, რომ მაკკეინი ლეგენდარული ამერიკელი ადმირალის შვილია. 1967 წელს, როცა ამერიკელები ომობდნენ ვიეტნამში, მაკკეინი აშშ სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავი იყო. ჰანოიზე მორიგი შეტევის დროს მისი თვითმფრინავი ჩამოაგდეს, მაკკეინი დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა **(1967 წელს მაკკეინი მოიერიშე A-4 Skyhawr-ს მართავდა. ეს თვითმფრინავი ჩამოაგდო საბჭოთა რაკეტამ ჰანოის თავზე ელექტროსადგურ იენფუს დაბომბვის დროს.** — დაზვერვის ფედერალური ბიუროს შენიშვნა**).**

**როგორც ვიეტნამის ციხე ხოა ლოს მაშინდელმა უფროსმა ჩანგ ჩონგ დუეტმა The Moscow Post-ის შორეული აღმოსავლეთის კორესპონდენტს უთხრა, მას ძალიან კარგად ახსოვს ეს ამერიკელი. დუეტის სიტყვებით, იმ წლებში ციხეში მუდმივად მორიგეობდნენ საბჭოთა სამხედრო კონსულტანტები. მაკკეინის მამა მალე უნდა დაენიშნათ აშშ-ის ერთ-ერთი ფლოტის სარდლად. როგორც კი გამჟღავნდა, რა „ჩიტიც“ ჩაიგდეს ხელში, მაკკეინი ვიეტნამელებმა ერთკაციან საკანში გადაიყვანეს.**

**„მას განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ, — ამბობს დუეტი, — კვება უკეთესი ჰქონდა, ვიდრე დანარჩენ ამერიკელებს, რუსი კონსულტანტები დღეებს ატარებდნენ მასთან საუბარში. რაზე შეთანხმდნენ, არ ვიცი. ერთხელ იგი სპეციალურად გამოიძახეს ჩემს კაბინეტში, სადაც მან რაღაც ქაღალდებს ხელი მოაწერა. მალე მაკკეინი ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც საბჭოთა ექიმები მუშაობდნენ. მას შემდეგ იგი არ მინახავს“.**

**ამას, როგორც ოფიციალური ბიოგრაფიიდან ჩანს, ხუთწლიანი ტყვეობა მოჰყვა, ხოლო 1973 წელს მომავალი კონგრესმენი პარიზის შეთანხმების საფუძველზე გაათავისუფლეს. მიჩნეულია, რომ ეს წლები მაკკეინმა ვიეტნამში გაატარა, მაგრამ, როგორც The Moscow Post-ის ჟურნალისტებმა გაარკვიეს, ყველაფერი ასე არ ყოფილა.**

**სახელმწიფო უშიშროების ყოფილი თანამშრომელი სერგეი ნიკოლაევი (სახელი და გვარი სპეციალურადაა შეცვლილი) ამჟამად ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში ცხოვრობს, სადაც გადასახლდა სსრკ-ის დაშლის შემდეგ. 1970-იანი წლების დასაწყისში იგი ვორონეჟის სადაზვერვო სკოლაში მუშაობდა, სადაც დასავლეთში შესაგზავნი მზვერავები სწავლობდნენ. ნიკოლაევს ახსოვს ამერიკელი, რომელიც მათთან 1969 წლის ზამთარში მიიყვანეს. მან მაკკეინი ტელეეკრანზე ხშირი გამოჩენის დროს იცნო.**

**„იგი ჩვენთან სპეცმომზადებას გადიოდა. ეუფლებოდა სპეცოპერაციების განხორციელების საქმეს აშშ-ის ტერიტორიაზე შესაძლო ომის დროს, — ამბობს ნიკოლაევი, — მას ასწავლიდნენ უმთავრესად ძირგამომთხრელ საქმიანობას: კავშირგაბმულობის სისტემების მწყობრიდან გამოყვანას, აეროდრომების პარალიზებას. ნამდვილ სახელსა და გვარს ჩვენთან არავინ ატარებდა, ამიტომ კარტოთეკაში იგი ჯონ მაუსად იყო მოხსენიებული. ჩვენმა ხუმარებმა მას მიკი მაუსი შეარქვეს“.**

**ნიკოლაევის მონათხრობით, მაკკეინი მათთან 1972 წლამდე ცხოვრობდა. თუ ყოფილი მზვერავი მართალს ამბობს, ეს ემთხვევა პერიოდს, როცა ვიეტნამელებმა ამერიკელი ტყვეები გაათავისუფლეს.**

**მას შემდეგ, რაც მაკკეინი სამშობლოში დაბრუნდა, სადაც გმირად შერაცხეს, იგი აშშ სამხედრო-საჰაერო ძალებში 1981 წლამდე მსახურობდა, შემდეგ პოლიტმოღვაწეობას მიჰყო ხელი.**

**დღემდე დანამდვილებით უცნობია, გაგრძელდა თუ არა მაკკეინის ურთიერთობა საბჭოთა მზვერავებთან (1990-იანი წლების შემდეგ), მაგრამ მალე საბჭოთა კავშირი დაიშალა, გაუქმდა უშიშროების სახელმწიფო კომიტეტი და, შესაძლებელია, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა რაღაც დროით ჯონ მაკკეინი დაივიწყეს“.**

მაგრამ იმის გამო, რომ ჯონ მაკკეინმა დაიწყო უკიდურესი ანტისაბჭოთა პროპაგანდა და გააჩაღა რუსოფობიური პოლიტიკა, სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივებშიც ჩაიხედეს, ალაპარაკდნენ ყოფილი მზვერავებიც ჯონ მაკკეინის შესახებ. შედეგად ჟურნალისტებმაც გაიგეს სიმართლე, თუ როგორ გახდა 1967 წელს ჯონ მაკკეინი მოღალატე.

**„რუსოფობიასთან ბრძოლის ფონდის“ ანალიტიკური განყოფილება**
rozhlo.Livejournal.com

## აშშ ყოფილი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ბისექსუალი აღმოჩნდა (ამჟამად აქტიური ლესბოსელია), რომელსაც საყვარლად რუსი ქალი ჰყავდა

სახელმწიფო
ლტრათველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ბელარუსები მადლიერი ხალხია და მათ არ ავიწყდებათ კეთილი საქმეები. ამაზე მეტყველებს თუნდაც იმ გმირი ქართველების ხსოვნის უკვდავყოფა, რომლებიც იბრძოდნენ ბელარუსის ტერიტორიაზე. მე უკვე ვახსენე საბჭოთა კავშირის გმირი სერგო ჭილლაძე, რომლის სახელს ატარებს მინსკისა და სვეტლოგორსკის ქუჩები. ჩვენი თანამემამულეების გვარები აქ მინიჭებული აქვს ათობით ქუჩას, მოედანს, სკოლას.“



ლევან დოლიძე:

# საქართველოს პატრიოტი პრეზიდენტი სჭირდება

**ბელარუსზე და ბელარუსებზე მე მხოლოდ კარგი მსმენია. შრომისმოყვარე, მშვიდი, თავმდაბალი ბელარუსები საჭირო დროს ბრწყინვალე მეომრებიც ხდებოდნენ. სულ ახლახან ბელარუსიდან დაბრუნდა ჩემი კოლეგა, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ქართველი გენერალიტეტის მემატიანე, მეორე მსოფლიო ომის მკვლევარი, ისტორიკოსი, მრავალი პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი ლევან დოლიძე. იგი სამი თვე იმყოფებოდა ბელარუსში და აღტაცებას ვერ მალავს იქ ნახულით. მკითხველს ვთავაზობ მისი საუბრის ჩანაწერს.**

— ბელარუსში რამდენიმე თვით ყოფნამ მომცა საშუალება, დეტალურად გავცნობოდი ამ სახელმწიფოს ცხოვრებას და ტრადიციებს. შემიძლია თამამად ვთქვა, **ქართველებისადმი ისეთი კეთილგანწყობა, როგორიც ბელარუსშია, არსად მინახავს!**

ბელარუსს, საბედნიეროდ, არ შეხებია პოსტსაბჭოური გაჩანაგება. ქვეყანა გაგაოგნებს წესრიგით, სისუფთავით, მაღალხარისხიანი საკვები პროდუქტებით, მწვანე ნარგავების ზღვით, ბრწყინვალე გზებით; ასევე, მოქალაქეთა მძლავრი სოციალური დაცვით, უმაღლესი დონის უფასო სამედიცინო მომსახურებით და, რაც მთავარია, ბელარუსების ბედნიერი ღიმილით! საქართველოს ფონზე ეს კონტრასტი განსაცვიფრებელია!.. ბოლო ოცი წლის მოვლენები პირდაპირ ან ირიბად შეეხო ჩვენი, ოდესღაც აყვავებული რესპუბლიკის მოსახლეობას, იმ რესპუბლიკის, რომელშიც ჩამოსვლაზე ოცნებობდნენ საბჭოთა ადამიანები მაშინდელი თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა კუთხიდან! მოკლე დროში რუსთაველის სამშობლო იქცა პოლიტიკური ინტრიგების, განხეთქილების, სამოქალაქო ომისა და მტრული ძალების საბრძოლო მოქმედებების პოლიგონად. შედეგად — ათასობით მოკლული, დაჭრილები და დასახიჩრებულები, დაკარგული ტერიტორიები, განადგურებული ეკონომიკა, ასიათასობით დევნილი და ჩვენი მოქალაქეების პირქუში სახეები...

გაჭირვებამ, დაბეჩავებამ, სახელმწიფოებრივმა, ასე ვთქვათ, ობლობამ აიძულა თითქმის ორი მილიონი ჩვენი თანამემამულე, დაეტოვებინათ სამშობლო, რათა იქ, ძირითადად დასავლეთში, მოჯამაგირის მწარე ბედი ეწვნიათ.

**აბსოლუტურად განსხვავებული ვითარებაა ბელარუსის რესპუბლიკაში, რომელმაც ამ წლების განმავლობაში შეიხიზნა ათი ათასზე მეტი ჩვენი მოქალაქე. დღეს ისინი, ძირითადად, დაკავებულნი არიან მშენებლობებზე, რადგან აქ იგრძნობა მუშახელის ნაკლებობა. საკმაოდ ბევრი ქართველი მუშაობს მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროებში, თუმცა ქართველები არიან, როგორც ბიზნესმენთა, ისე მსხვილ საწარმოთა ხელმძღვანელებს შორისაც.**

ჩვენი თანამემამულეების ცხოვრების უკეთ შესწავლისთვის მე შევხვდი ჩემს ძველ ნაცნობს — **როლანდ ქავთარაძეს.** ჯერ კიდევ 2006 წლის 26 ოქტომბერს, როდესაც ქართულმა დიასპორამ გაერთიანება გადაწყვიტა, „საზღვარგარეთელი“ ქართველების 79-მა წარმომადგენელმა მოიფიქრეს, შეექმნათ საზოგადოებრივი გაერთიანება — ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „მამული“. მაშინვე მის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტი, 54 წლის როლანდ ქავთარაძე. არჩევანი შემთხვევითი როდი იყო. ბატონი როლანდი წარმოშობით დუშეთიდანაა, სადაც დღემდე ცხოვრობენ მისი ნათესავები და ახლობლები. ბელარუსში იგი, უკვე ოც წელზე მეტია, ცხოვრობს და კარგად იცის ადგილობრივი ყოფა და ტრადიციები. ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ბატონი როლანდი კიდევ ერთი დიპლომის მფლობელი გახდა — მინსკის ფიზკულტურისა და სპორტის აკადემიისა. როლანდ ქავთარაძეს მშვენივრად იცნობს ბელარუსის სპორტული საზოგადოება, იგი ხომ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია ძიუდოში; არაერთგზის გახდა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, იყო საერთაშორისო შეჯიბრებების მრავალგზის პრიზიორი. სხვათა შორის, სულ ახლახან სამბოში მსოფლიო ჩემპიონის მომზადებისთვის როლანდ ქავთარაძე დააჯილდოვეს ბელარუსის საპატიო სიგელით. ეს ჯილდო მას, როგორც ბელარუსის ნაკრების მწვრთნელს, გადასცა რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივანმა, გენერალ-ლეიტენანტმა **ვასილ ბაჟელოვმა**, ასევე, სპორტისა და ტურიზმის მინისტრმა **ალექსანდრე გრიგორიევმა**; მაგრამ მისი მთავარი მიღწევა ისაა, რომ არის ბრწყინვალე მეოჯახე, ოთხი შვილის მამა; თვალის ჩინივით უფრთხილდება ოჯახის ზნეობრივ საფუძვლებს. ყოველ წელს ოჯახთან ერთად ჩამოდის დუშეთში ახლობლებთან და ამავე დროს თავის ოჯახის წევრებს აზიარებს ქართულ ტრადიციებს!

ქართული დიასპორის მმართველობაში ბევრი კეთილი სიტყვა მსმენია აფხაზეთიდან დევნილზე — **გულიკო ჯგერენაიაზე,** რომელიც 14 წელი ასწავლიდა ქართულ ენას მინსკის საკვირაო სკოლაში. ახლახან გულიკო საქართველოში დაბრუნდა (ნეტავ, ყველანი რაც შეიძლება მალე დაბრუნდნენ სამშობლოში!!!). აფხაზეთიდან ლტოლვილის მეუღლემ, **მაია თაბაგარმა,** თითქმის ოცი წლის წინ საფუძველი ჩაუყარა ქართულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სამშობლოს“, შემდეგ კი შექმნა ეროვნული ვოკალური კოლექტივიც.

აი, უკვე რამდენიმე წელია, ხელმძღვანელობს ქართული ეროვნული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს წყალტუბოელი **სულიკო იოსელიანი.** მეუღლესთან — სვეტლანასთან ერთად, ბატონი სულიკო ბელარუსში წარმატებით უწევს პროპაგანდას ქართულ ხელოვნებას. სულიკო იოსელიანის კეთილ საქმეებზე, ისევე, როგორც მთლიანად ქართულ დიასპორაზე, გატაცებით მიყვებოდა „ბელარუსის ეროვნული კულტურების ცენტრის“ დირექტორი **მიხეილ რიბაკოვი: — „არ ყოფილა ერთი შემთხვევაც, რომ როლანდ ქავთარაძე და სულიკო იოსელიანი არ გამოხმაურებოდნენ ჩვენს წინადადებას ან თხოვნას, ჩაეტარებინათ საქველმოქმედო კონცერტები ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მონაწილეობით არა მხოლოდ მინსკში, არამედ მთელს რესპუბლიკაში. ქართველების კონცერტები ყოველთვის დიდ აუდიტორიას იზიდავს: იქნება ეს საბავშვო სახლები, მოხუცებულთა თავშესაფარი, სასწავლო დაწესებულებები თუ სამხედრო ნაწილები“.**

ამიტომ არაა გასაკვირი, რომ სულიკო იოსელიანის კაბინეტის კედლებს ამშვენებს ათობით დიპლომი და სიგელი, მიღებული ბელარუსის სხვადასხვა ორგანიზაციებისგან და უწყებებისგან!

სიმართლე გითხრათ, ბელარუს უპატრონო ბავშვებს და მოხუცებს დახმარება არ სჭირდებათ, რადგან მათზე გულდასმით ზრუნავს სახელმწიფო და ისინი ყველაფრით უზრუნველყოფილნი არიან; მაგრამ ზედმეტი საჩუქარი საქმეს ნამდვილად არ გააფუჭებს! **(იღიმება).**

ბელარუსში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები, რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად ეხმარებიან თანამემამულეებს. ისეთი საქმიანი ადამიანების წყალობით, როგორებიც არიან ლაგოდეხელი **თამაზ მჭედლიძე,** სიღნაღელი **მალხაზ ნასყიდაშვილი,** დევნილები აფხაზეთიდან — **ნათელა ზაქარაია** და **ეთერ სიჭინავა, მალხაზ ხმალაძე** და სხვები, შესაძლებელი გახდა დახმარების გაწევა აქ მცხოვრები ათობით გაჭირვებული ქართველისთვის და იმათთვისაც, ვინც რუსეთიდან (ძირითადად მოსკოვიდან) გზად ბელარუსში აღმოჩნდება უკაპიკოდ.

ბელარუსში კარგად იცნობენ საზოგადოებრივი ეროვნული ტელევიზიის პოლიტიკურ მიმომხილველს, პროგრამა „პლანეტის სუნთქვის“ ხელმძღვანელს, ბათუმელ **თენგიზ დუმბაძეს.** იგი აქ აღმოჩნდა 2005 წელს აჭარაში დატრიალებული მოვლენების გამო, როდესაც სოროსის მოჯამაგირე სამმა „რევოლუციონერმა“ — სააკაშვილმა, ბურჯანაძემ და ჟვანიამ აჭარაში დაამხეს ავტონომიური რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლება. თენგიზ დუმბაძემ საერთო აღიარება მოიპოვა, გახდა ბელარუსის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების საუკეთესო წამყვანი და პრემია გრან-პრი „ტელემწვერვალის“ მფლობელი.



**«ქართველებისადმი ისეთი კეთილგანწყობა, როგორიც ბელარუსშია, არსად მინახავს!»**

ამ ზაფხულს ბატონი თენგიზის მეცადინეობით აჭარის სანაპიროზე 25 ბელარუსი ობოლი ბავშვისთვის ორგანიზებულ იქნა 12-დღიანი დასვენება. ეს საქველმოქმედო აქცია პირველად ჩატარდა და მას პირველი გამოეხმაურა ბელარუსში საქართველოს პირველი ელჩი, ამჟამად საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, **დავით ზალკანიანი.** აღსანიშნავია, რომ ბატონი დავითის კეთილი საქმეები დღემდე ახსოვთ „ლურჯთვალაში“ (ასე ეძახიან ბელარუსები თავის სამშობლოს). ამ საქველმოქმედო აქციის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ძირძველმა ბათუმელმა, გენერალ-მაიორმა **ალი ბაკურიძემ.** ამ ამბავს ფართო გამოხმაურება მოჰყვა ბელარუსში. აქ ხომ დიდი ხანია, გამოიკვეთა მთავარი ლოზუნგი — **„ბელარუსი — სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო“, ანუ „ბელარუსი — სახელმწიფო ხალხისთვის“.** და ასეთი აქციები აქ ძალზე ფასობს.

ქართული დიასპორის საქმეებზე მომიწია შეხვედრა მინსკის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარესთან — **ნიკოლაი ლადუტკოსთან.** მან აღნიშნა, რომ მინსკში არის ქუჩა, რომელიც ატარებს საბჭოთა კავშირის გმირის **სერგო ჭილლაძის** სახელს. იგი დაიღუპა 1944 წლის თებერვალში გომელის ოლქში. გმირის სახელი მიენიჭა სვეტლოგორსკის რაიონის სოფელ დუბრავას საშუალო სკოლას. საუბრისას ნიკოლაი ლადუტკომ ბევრი ქართველი ჩამოთვალა, მაგრამ განსაკუთრებით აღნიშნა **მიხეილ ფანჯავიძე,** რომელიც, უკვე მეხუთე წელია, ბელარუსის ოპერისა და ბალეტის დიდ თეატრში საოპერო სპექტაკლების მთავარი რეჟისორია. აღმოჩნდა, რომ ბატონი მიხეილი მოღვაწეობდა მოსკოვის დიდ თეატრშიც. ქართველმა რეჟისორმა მინსკში დადგა თავისი პირველი სპექტაკლი — ჯუზეპე ვერდის ოპერა „ნაბუქო“, რომელსაც მოჰყვა „აიდა“, „ტოსკა“, „პრინცესა ტურანდოტი“ და „ჭაღარა ლეგენდა“. მიხეილ ფანჯავიძის ყველა სპექტაკლმა დაიმსახურა უმაღლესი შეფასება! ოპერის ხელოვნების ავტორიტეტულმა მცოდნეებმა განაცხადეს, რომ მინსკში ასეთი ნიჭიერი რეჟისორი ჯერ არ ყოფილა!

„მუსიკის რაინდი“, „მუსიკის მეფე“! — რა სიტყვებით არ ამკობენ ბელარუსში ჩვენს სახელოვან თანამემამულეს **ანდრია იურის ძე მდივანს!** გაოცებს მისი ტიტულები, ჯილდოები და წოდებები: ბელარუსის სახელმწიფო მუსიკალური აკადემიის კომპოზიციის კათედრის ▶

**„განსაკუთრებული ადგილი ქართული სათვისტომოს მმართველობის საქმიანობაში უკავია ურთიერთობას დევნილებთან აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან, რომლებიც არცთუ ისე ცოტანი არიან ბელარუსში. ჭეშმარიტად, რაც უმეტეს შემთხვევაში არ შეუძლიათ პოლიტიკოსებს, ამას წარმატებით აკეთებენ კეთილი გულისა და ბრძენი ადამიანები. როლანდ ქავთარაძემ და მისმა მეგობრებმა, უკვე დიდი ხანია, მოძებნეს საერთო ენა თანამემამულეებთან — ეთნიკურ აფხაზებთან და ოსებთან. ხვალ ან ზეგ ისინი ხომ ერთად იცხოვრებენ ახალ აყვავებულ საქართველოში!“**



პროფესორი, ბელარუსის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ბელარუსის სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი (1982, 1996 წ.წ.) ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის პრემიის ლაურეატი ნომინაციაში „მუსიკალური ხელოვნება“ და მრავალი სხვა. ანდრია მდივანი დაიბადა თბილისში 1937 წლის 1 ოქტომბერს. ბელორუსიის სახელმწიფო კონსერვატორიის დამთავრებისთანავე (1969 წ.) სწავლა გააგრძელა იქვე — ასპირანტურაში. წლების განმავლობაში ბატონი ანდრია ხვეწდა თავის ოსტატობას რუსეთის მრავალ ქალაქში. 55 წლის განმავლობაში მან შექმნა 250(!) მუსიკალური ნაწარმოები!

საკმაოდ საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა შეხვედრა ბელარუსის ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანების რესპუბლიკურ საბჭოში, სადაც გულთბილად მიგვიღო მისმა თავმჯდომარემ, გენერალ-ლეიტენანტმა **ანატოლი ნოვიკოვმა.** აღსანიშავია, რომ იგი ასევე გახლავთ ბელარუსის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სოციალური განვითარების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

**ვეტერანთა გაერთიანებაში კარგად ახსოვთ თავისი ქართველი კოლეგების სტუმრობა 2011 წელს. ურთიერთობაში უბრალო და გულითადი მასპინძელი სიამაყით გვეუბნება, რომ თავის დროზე მსახურობდა თბილისში, სადაც მიიღო გენერლის მეორე „წოდება“, ხოლო მისი ქალიშვილი დაიბადა თბილისში და ამით ამაყობს.**

**ხაზგასასმელია, რომ ომის თემა, განსაკუთრებით კი დიდი სამამულო ომისა, ფაქიზია თითოეული ბელარუსისთვის. აქ მოწიწებით ეპყრობიან დაღუპული მეომრების საფლავს.**

ანატოლი ნოვიკოვის მეშვეობით მე გავიცანი ბელარუსის სახელმწიფო სასაზღვრო კომიტეტის თავმჯდომარე **ალექსანდრე ბოეჩკო,** რომელიც, ჩემდა სასიხარულოდ, ასევე, „თბილისელი“ აღმოჩნდა! ალექსანდრე დიმიტრის ძემ 1986 წელს დაამთავრა თბილისის უმაღლესი საარტილერიო სამეთაურო სასწავლებელი — ჩვენი საქვეყნოდ ცნობილი „ტაუ“. ალექსანდრე ბოეჩკო თბილად იხსენებს იმ წლებს, როდესაც საქართველოში ცხოვრობდა. პოლკოვნიკმა ბოეჩკომ მითხრა, რომ ბელარუსული საზღვრის საერთო სიგრძე 3617 კილომეტრია და ყოველ წამს სახელმწიფო საზღვარს კვეთს ერთი ადამიანი. განსაკუთრებულად დამაინტერესა მისმა ნაამბობმა ჩვენს თანამემამულეზე, ბელარუსის ყველაზე ცნობილ მესაზღვრეზე — **ვარლამ კუბლაშვილზე,** რომლის 90 წლის იუბილე განსაკუთრებულად აღნიშნეს ალექსანდრე ბოეჩკოს უწყებაში.

ვარლამ კუბლაშვილი წარმოშობით იყო ტყიბულის რაიონის სოფელ ახალდაბიდან. 19 წლის ჭაბუკი გაიწვიეს სასაზღვრო ჯარებში შორეულ აღმოსავლეთში, ხოლო 1944 წელს გადმოიყვანეს დასავლეთის საზღვარზე — ბელარუსის ოლქის შინსახკომის 84-ე სასაზღვრო რაზმში. თავისი წუნდაუდებელი მსახურებით ვარლამ მიხეილის ძე სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. იგი გახლდათ ერთადერთი სასაზღვრო ჯარებში, რომელიც დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. ასევე, მის მკერდს ამშვენებდა წითელი ვარსკვლავის ორი ორდენი, სამამულო ომის ორდენი და სხვა მრავალი ჯილდო. **საქართველოს სახელოვანი შვილი, რომელიც 1997 წელს გარდაიცვალა, განსაკუთრებული პატივისცემით დაკრძალეს ქალაქ ბრესტის საგარნიზონო სასაფლაოზე. ბატონი ვარლამი ბრესტის საპატიო მოქალაქე იყო 1985 წლიდან. ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის — ალექსანდრე ლუკაშენკოს ბრძანებით, სასაზღვრო რაზმ „ბუგს“ მიენიჭა ვარლამ კუბლაშვილის სახელი, ხოლო მის სახლზე, მაშეროვის პროსპექტის №26-ში, მიმაგრებულია მემორიალური დაფა.**

ისე დაემთხვა, რომ ამ ზაფხულს ბელარუსში კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულის 90 წლის იუბილე საზეიმოდ აღნიშნეს. ესაა გამოჩენილი ბელარუსი არქიტექტორი **ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ჭანტურია.** ბატონი ვლადიმერი იყო ქალაქების გროდნოსა და ვიტებსკის ისტორიული ცენტრების დეტალური დაგეგმვის ავტორი და თანაავტორი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაიზომა ბელარუსული ხუროთმოძღვრების ძეგლები. **საქართველოს სახელოვანი შვილი — ვლადიმერ ჭანტურია გარდაიცვალა 1988 წელს. მის სახელს ატარებს გროდნოს და ვიტებსკის ქუჩები; ხოლო მისი, როგორც გამოჩენილი არქიტექტორის, არქიტექტურის ისტორიკოსის, არქიტექტურის დოქტორის, პროფესორის, პედაგოგის, ბელარუსის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, შრომები დღემდე მოთხოვნადია.**

**განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბელარუსები მადლიერი ხალხია და მათ არ ავიწყდებათ კეთილი საქმეები. ამაზე მეტყველებს თუნდაც იმ გმირი ქართველების ხსოვნის უკვდავყოფა, რომლებიც იბრძოდნენ ბელარუსის ტერიტორიაზე. მე უკვე ვახსენე საბჭოთა კავშირის გმირი სერგო ჭილაძე, რომლის სახელს ატარებს მინსკისა და სვეტლოგორსკის ქუჩები. ჩვენი თანამემამულეების გვარები აქ მინიჭებული აქვს ათობით ქუჩას, მოედანს, სკოლას.**

ძველი და ულამაზესი ქალაქ პოლოცკის ერთ-ერთი ქუჩა ატარებს პოლკოვნიკ **ილია იოსების ძე მაღალაშვილის** სახელს, რომელიც დაკრძალულია პოლოცკის ცენტრალურ მოედანზე მდებარე საძმო სამარხში. მსროლელთა პოლკის მეთაურის — **შალვა ვლადიმერის ძე ჭელიძის** სახელს ატარებს ქუჩა ქალაქ ბრაგინში. ქალაქ ვიტებსკთან ახლოს, სოფელ რჟანკაში, საძმო სასაფლაოზე განისვენებს გამოჩენილი ქართველი პოეტი, კაპიტანი **მირზა გელოვანი.** ადგილობრივ სკოლას მისი სახელი აქვს მინიჭებული. 1944 წელს მალაია ბერესტოვიცასთან დაიღუპა მსროლელთა დივიზიის მეთაური **გიორგი ნესტორის ძე წიტაშვილი.** აქაც უკვდავყოფილია ქართველი გმირის სახელი. ლახოვიჩის რაიონის სოფელ ტალმინოვიჩში არის ბატალიონის მეთაურის — **შოთა გოგორიშვილის** ქუჩა, რომელიც დაიღუპა ბრესტის მახლობლად 1944 წლის 5 ივლისს.

კარგად ახსოვთ ბელარუსში პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელები — **ივანე გიორგის ძე შუბითიძე** და **ვლადიმერ მიხეილის ძე თალაკვაძე,** რომლებიც იყვნენ ბელარუსის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლეგენდარული ხელმძღვანელის — **პეტრე მირონის ძე მაშეროვის** საბრძოლო მეგობრები. მათ სახელებს ატარებს ქალაქების — პინსკისა და ნეველის ქუჩები. სამწუხაროდ, ყველას ვერ ჩამოვთვლი, რადგან ამ მიწაზე ათიათასობით ქართველი იბრძოდა!

**დიდი სამამულო ომის თემა წმინდაა ბელარუსებისთვის. ამ ომში დაიღუპა ბელარუსის ყოველი მესამე (!) მცხოვრები. ოკუპაციის წლებში გერმანელმა ფაშისტებმა შექმნეს სამოცზე მეტი გეტო, რომლებშიც დაიღუპა 800 ათასი ებრაელი...**

მინსკში ყოფნის დროს შედგა წიგნის **„ჩვენ გვახსოვს! ვუანდერძებთ მსოფლიოს, რომ ახსოვდეს...“** პრეზენტაცია, რომელიც გამოიცა მინსკის საქველმოქმედო საზოგადოებრივი გაერთიანება „გილფის“ მიერ. ამ პროექტის ხელმძღვანელია **თამარ ქურდაძე.** პრეზენტაციაზე, რომელიც შედგა დიდი სამამულო ომის ისტორიის მუზეუმში, მან თქვა: „ეს იყო ძალიან რთული წიგნი. უნდა გაგველვიძებინა ადამიანებში ის მოგონებები, რომელთაც საკუთარ თავში ღრმად მალავდნენ და ეშინოდათ მათი გამომზეურება. ამ წიგნში ყველაფერი სიმართლეა — პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე“.



**«ქართველების კონცერტები ყოველთვის დიდ აუდიტორიას იზიდავს: იქნება ეს საბავშვო სახლები, მოხუცებულთა თავშესაფარი, სასწავლო დაწესებულებები თუ სამხედრო ნაწილები»**

**განსაკუთრებული ადგილი ქართული სათვისტომოს მმართველობის საქმიანობაში უკავია ურთიერთობას დევნილებთან აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან, რომლებიც არცთუ ისე ცოტანი არიან ბელარუსში. ჭეშმარიტად, რაც უმეტეს შემთხვევაში არ შეუძლიათ პოლიტიკოსებს, ამას წარმატებით აკეთებენ კეთილი გულისა და ბრძენი ადამიანები. როლანდ ქავთარაძემ და მისმა მეგობრებმა, უკვე დიდი ხანია, მოძებნეს საერთო ენა თანამემამულეებთან — ეთნიკურ აფხაზებთან და ოსებთან. ხვალ ან ზეგ ისინი ხომ ერთად იცხოვრებენ ახალ აყვავებულ საქართველოში!**

ქართული დიასპორის სახალხო დიპლომატია, კეთილგანწყობა, ქველმოქმედება დიდად დაფასებულია ბელარუსის სამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ. ამას მოწმობს ათობით საგაზეთო პუბლიკაცია და ტელეგადაცემა. აგრეთვე, ამას ხელს უწყობს ჩვენი თანამემამულეების დამსახურებული ავტორიტეტი, რომლებიც დიდი ხანია, ცხოვრობენ და მუშაობენ ამ ქვეყანაში. ბელარუსში ფართოდაა ცნობილი სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, 86 წლის **ვლადიმერ გიორგის ძე ზაგაშვილის** სახელი. მამის ნაკვალევს გაჰყვა მისი ვაჟიშვილი — **იგორ ზაგაშვილი,** რომელმაც დაამთავრა ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემია. სხვათა შორის, ამ ზაფხულს ბატონი იგორი ჩავიდა ყაზბეგში, სადაც მიიღო მონაწილეობა ზაგაშვილების შეკრებაში. თბილისში კი ამ ძველი გვარის წარმომადგენლები მიიღო მისმა უწმინდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

ბელარუსის ბოტანიკურ ბაღში გამაცნეს წამყვანი აგრონომი, ხობელი **ავთანდილ ყვინჩია.** ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით მოღვაწეობს დოცენტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი **სვეტლანა კუპრაძე.** ბელარუსის სამართალდამცველ ორგანოების თანამშრომლებისგან ბევრი საქებარი სიტყვები მსმენია ბელარუსის შსს განსაკუთრებული საქმეთა განყოფილების უფროსზე, მილიციის პოლკოვნიკზე, **ვიტალი სერგის ძე სუბელიანზე.** მის მაღალ ავტორიტეტზე მოწმობს მრავალრიცხოვანი ჯილდოები და შსს-ს მინისტრის და ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის სიგელები.

არ შემიძლია არ ვახსენო ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნებული რელიგიების და ეროვნებების საქმეებში **ლეონიდ გულიაკო,** რომელიც საზოგადოებრივ გაერთიანება „მამულთან“ ერთად ცდილობს დროულად მოაგვაროს ქართველი დევნილების პრობლემები. ბატონ ლეონიდს და მის თანამშრომლებს მუდმივად პატიჟებენ საქართველოში, როდესაც აღინიშნება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე. როგორც წესი ამ და სხვა ღონისძიებებზე „მამულის“ მმართველობა ყოველთვის უძახის აზერბაიჯანულ და სომხური სათვისტომოების წარმომადგენლებსაც.

**სასიხარულო თუ სევდიან თარიღებში, ქართველებს ხშირად შეხვდები მინსკის ცენტრში, წმინდა მოციქულების — პეტრესა და პავლეს ეკლესიასთან. ამ დღეებში ქართული სათვისტომოს თავკაცმა — როლანდ ქავთარაძემ თხოვნით მიმართა ბელარუსის პატრიარქს, უწმინდესს ფილარეტს მიწის ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე, რომელზეც ქართველთა შემოწირულობებით აშენდება ქართული მართლმადიდებლური ეკლესია.**

**— ბატონო ლევან, სიამოვნებით გისმენთ, მაგრამ მაინტერესებს, რას უპასუხებთ იმ „ლიბერალ-დემოკრატებს“ თუ პირიქით — „დემოკრატ-ლიბერალებს“, რომლებიც ბელარუსს ტოტალიტარულ სახელმწიფოდ თვლიან? რას უპასუხებთ იმ ხალხს, რომელთა ოცნების მწვერვალია „ევროპელობა“ და ნატოს წევრობა?**

— გამოდის, ეკონომიკურად აყვავებული ბელარუსი ტოტალიტარული ქვეყანაა, ხოლო ეკონომიკურად მიწასთან გასწორებული საქართველო „დემოკრატიის შუქურაა“, არა?!

რა გითხრათ, **„ტოტალიტარულ“ ბელარუსში ყოველ ნაბიჯზე დაწყნარებულ, გაღიმებულ სახეებს ვხედავდი. არ მინახავს იქ ერთი მათხოვარიც კი! ჩამოხვალ თუ არა სამშობლოში, თვალში გეცემა შენი თანამემამულე, რომელიც ნაგვის ბუნკერში იქექება... ყველაფერი შედარებითია და ამ შედარებაში დღევანდელი ბელარუსი აშკარად აღემატება არა მხოლოდ პოსტსაბჭოურ, არამედ ე.წ. მდიდარ ევროპულ ქვეყნებსაც.** ჩემი აზრით, საქართველოს არაფერი ესაქმება არც ე. წ. ევროკავშირში, რომელსაც პოლიტიკური და ფინანსური კრიზისები აზანზარებს და, რომელიც დაშლისთვისაა განწირული; და მითუმეტეს, არაფერი გვესაქმება ნატოში. **ჩვენი ადგილი, თუ ჩვენ გვინდა აღორძინება, გამთლიანება და აყვავება — ევრაზიული კავშირია! სხვა გაერთიანებებში ყოფნა საქართველოსთვის დამღუპველია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით! ჩვენ გვინდა ალექსანდრე ლუკაშენკოს მსგავსი პატრიოტი ხელმძღვანელი, რომელიც განახორციელებს ლოზუნგს: „საქართველო ხალხის კეთილდღეობის სახელმწიფოა!“.**

რა თქმა უნდა, საქართველოში ცხოვრების პირობები ნორმალური რომ ყოფილიყო, ქართული დიასპორების რიცხვი საგრძნობლად შემცირდებოდა. და, მაინც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ყველაზე კარგად ჩვენი თანამემამულეები ბელარუსში გრძნობენ თავს. აქ არის ბევრი წინაპირობა, რომელიც ასეთ განწყობას ხელს უწყობს. ბელარუსში ყველა ლაპარაკობს რუსულად; ბელარუსის თითოეულ ქალაქში შეგიძლია მოძებნო სათანადო სამუშაო. ოფიციალური სტატისტიკით, ბელარუსში ვაკანსიები 13,6% უფრო მეტია, ვიდრე უმუშევრები. მართლმადიდებლობას მისდევს ქვეყნის 78%. მიუხედავად იმისა, რომ აქ ცხოვრობს 170-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი, ბელარუსებად თავს თვლის მოსახლეობის 84%! უმაღლეს დონეზეა სოციალური მომსახურების სისტემა და სამედიცინო მომსახურება. მიუხედავად ამისა, თითოეული ქართველი ოცნებობს საქართველოში ცხოვრებაზე, სადაც მისი პატივმოყვარე ვაიმმართველების წყალობით, აგერ უკვე მესამე ათწლეულია, სამშობლოში დაბრუნება ენატრებათ...

ჩაიწერა
**გიორგი კორძაძემ**

პრობლემა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დამოუკიდებელ საქართველოში განხორციელებული რეფორმით მიწა გლეხობას დაუბრუნდა და ყიდვა-გაყიდვის საგანიც გახდა. მაგრამ დღემდე არავის უნახავს ამ საბაზრო პრინციპის გამოყენებით გამდიდრებული გლეხკაცი, ახალი „ლატიფუნდისტები“ კი, იცოცხლეთ, მომრავლდნენ საქართველოში, უპირველესად — უცხოელები. ამიტომაა, რომ ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით მწვავედ დგას უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში შეძენის საკითხი.**

# მიწა ჩვენი არსობისა

**ბოლშევიკების უპირველესმა ლოზუნგმა „მიწა — გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები — მუშებს!“ სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, რომელსაც სტალინი თავდაპირველად გადატრიალებად მოიხსენიებდა, ერთგვარი ტრანსფორმაცია განიცადა და მიწა კოლექტიურ მეურნეობას გადაეცა ან სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდა, ხოლო ფაბრიკა-ქარხნებს ნაციონალიზაციის შემდეგ სახელმწიფო დაეპატრონა.**



**აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნით უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან**

ეს ცნობილია.

ცნობილია ისიც, რომ მიწა საბჭოთა პირობებში არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო საქონელი — ყიდვა-გაყიდვის საგანი.

საქართველოში ერთადერთი კაცი იყო, ოქროყანელი თუ შინდისელი, რომელიც მიწის გაყიდვის მონოპოლიას ფლობდა. დადიოდა ეს კაფანდარა ადამიანი დედაქალაქის ქუჩებში და — ყვავილების მიწააა, ყვავილების მიწააა! ზემლიანოი ზემლა, ზემლიანოი ზემლააა! — ჰყიდდა შავმიწა ნიადაგს.

**დამოუკიდებელ საქართველოში განხორციელებული რეფორმით მიწა გლეხობას დაუბრუნდა და ყიდვა-გაყიდვის საგანიც გახდა. მაგრამ დღემდე არავის უნახავს ამ საბაზრო პრინციპის გამოყენებით გამდიდრებული გლეხკაცი, ახალი „ლატიფუნდისტები“ კი, იცოცხლეთ, მომრავლდნენ საქართველოში, უპირველესად — უცხოელები. ამიტომაა, რომ ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით მწვავედ დგას სხვა ქვეყნის მოქალაქეთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში შეძენის საკითხი.**

გარკვეული დროით მიწის გაყიდვაზე მორატორიუმი გამოაცხადა ჩვენმა ხელისუფლებამ.

როდემდე? და რა იქნება ხვალ და ზეგ?

პასუხი ამ პრობლემაზე, როგორც ჩანს, მსოფლიო პრაქტიკაში უნდა ვეძებოთ, იმ ქვეყნებში, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ დაგროვილი ამ კუთხით.

გავითვალისწინოთ მაინც.

## ვინ როგორ ელევა მიწას

**დავიწყოთ ევროპიდან. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ აქ თავმოყრილია ყოფილი სოციალისტური სისტემის სახელმწიფოებიც და დასავლეთ ევროპის ქვეყნებიც — სურათი ფრიად მრავალფეროვანია და არჩევის შესაძლებლობა — ფართო.**

დღევანდელი მდგომარეობით, **რუმინეთში** ევროკავშირის სახელმწიფოთა მოქალაქეებს, რომლებსაც თავიანთი საცხოვრებელი ადგილი აქვთ ამ ქვეყანაში და იურიდიულ პირებს, რომლებიც არიან რეგისტრირებული რუმინეთში. სასოფლო-სამეურნეო მიწის შესაძენად მათ აქვთ იგივე უფლებები, რაც რუმინეთის მოქალაქეებს. იმ „ევროკავშირის უცხოელებს“ კი, რომლებიც რუმინეთში არ ცხოვრობენ, მიწის შეძენა შეუძლიათ მხოლოდ ნებართვის მიღების შემთხვევაში. ეს რეგულირება 2013 წლამდეა ძალაში.

**ევროკავშირის ქვეყნების გარდა, სხვა უცხოელებს არა აქვთ უფლება, შეიძინონ რუმინეთში მიწის ნაკვეთი.**

**ავსტრიაში უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება ცალკეული მიწების კანონებით.** მაგალითად, ერთ-ერთი მიწის (ბურგერლანდის) „კანონით უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის შესახებ“, **უცხოელი უძრავი ქონების შეძენისთვის საჭიროებს ნებართვას, რომელიც შეიძლება მიიღოს, თუ „სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური“ ინტერესები არ იქნება შელახული“,** და თუ უცხოელი ავსტრიის ტერიტორიაზე მინიმუმ 10 წელი ლეგალურად, კანონიერად იმყოფება და მისი შენაძენით მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა საჯარო ინტერესი არ ილახება.

**უცხოელების მიერ შვეიცარიაში მიწის შეძენა დაშვებულია, თუმცა მხოლოდ ნებართვის აღების პირობით.**

შვეიცარიის ფედერალური კანონი უცხოელთა მიერ მიწის შეძენის შესახებ პირველი მუხლით ადგენს ამ კანონის მიზანს. ეს არის: **„უცხოეთში მცხოვრებთა მიერ შვეიცარიის მიწის შეძენის შეზღუდვა, რათა თავიდან იქნას აცილებული შვეიცარული მიწის „გაუცხოება“.** ამ კანონით შეზღუდვები ძირითადად იმ პირებზე წესდება, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ და არა იმ უცხოელებზე, რომლებიც შვეიცარიაში კანონიერად ცხოვრობენ.

საინტერესოა, რომ კანონის მე-5 მუხლის ც პუნქტით **გამოყოფილი არიან უცხოეთში მცხოვრები ის პირები, რომლებსაც ამა თუ იმ ქვეყანაში „განსაკუთრებით კარგი“ მდგომარეობა აქვთ. კანონით მათთვის ნებართვის გაცემა შესაძლებელია.**

**თურქეთის კანონმდებლობით უცხოელისთვის მიყიდული თურქეთის მიწა მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს 2,5 ჰექტარს** (გაზრდა გამონაკლის შემთხვევაში მაქსიმუმ 30 ჰექტრამდე არის შესაძლებელი). **მემკვიდრეობით მიღებულ მიწაზე არ არსებობს შეზღუდვა.**

**გერმანიის კანონმდებლობით, უცხოელებს მიწის შეძენასთან დაკავშირებით იგივე შეზღუდვები აქვთ დაწესებული, როგორიც გერმანიის მოქალაქეებს.** სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენისთვის აუცილებელია განცხადების წარდგენა, რომელშიც აღწერილი და დასაბუთებული უნდა იყოს სასოფლო სამეურნეო მიწის განვითარების გეგმა. ასევე, ის წინაპირობა, რომ **ფიზიკური პირი, რომელიც საკუთრებაში იძენს მიწის ნაკვეთს უნდა იყოს 18 წლის, მიუხედავად იმისა, იქნება ის უცხოელი თუ გერმანიის მოქალაქე. ნებართვის მოპოვება გერმანიაში სპეციალური კომისიის თანხმობის გარეშე შეუძლებელია.**

**რუსეთში** არის დაახლოებით 400 მილიონი ჰექტარი სასაფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. აქედან 129 მილიონი კერძო საკუთრებაშია, დანარჩენი კი სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება. 2006 წლამდე რუსეთში არსებობდა აკრძალვა სასაფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვაზე უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, რომელიც 2006 წელს გაუქმდა. **თეორიულად უცხოელს შეუძლია იყიდოს რუსეთში სასოფლო-სამეურნეო მიწა, იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც ქვეყნის მოქალაქეზეც ვრცელდება.**

**აკრძალულია რუსეთის სასაზღვრო ტერიტორიასთან ახლომდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე გასხვისება. რუსეთის პრეზიდენტის 2011 წლის 9 იანვრის ბრძანებით, განისაზღვრა ამ ტერიტორიების ნუსხა.** მათ შორისაა შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის ტერიტორიული საზღვრები, ქალაქი კალინინგრადი და მის ახლოს მდებარე სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწები. **უცხოელებს ეკრძალებათ უკრაინასთან მოსაზღვრე ქალაქ ბელგოროდის მიმდებარე ტერიტორიებისა და სოჭის და აზოვის ზღვის მიმდებარე მიწების შეძენა. გრძელ ჩამონათვალში გვხდება ასევე აკრძალვა კრასნოდარის და მთლიანი კავკასიის რეგიონის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ სასოფლო სამეურნეო მიწებზე.**

უცხოელი ინვესტორებისთვის ძალიან საინტერესოა **უკრაინის** ნაყოფიერი მიწები, სადაც 32 მილიონი ჰექტარი სასოფლო სამეურნეო მიწაა. მიუხედავად იმისა, რომ მიწის გარკვეული ნაწილი ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ დასხივდა, აქაური მიწები მაინც ძალიან ნაყოფიერად ითვლება. უცხოელთა ინტერესი ამ მიწებისადმი დიდია. სწორედ ამან გამოიწვია უკრაინაში მიწაზე მორატორიუმის შემოღება, რომელიც 2012 წლის ბოლომდე კრძალავდა მიწის გაყიდვას. **უკრაინელ მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, მიწა იჯარით აქვთ გადაცემული. ასევე იჯარით აქვთ აღებული უკრაინული მიწის 17 მილიონი ჰექტარი უცხოურ ფირმებს.**

**უკრაინის მსგავსი მორატორიუმი მოქმედებს დღეს ბულგარეთშიც,** სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა შეეძლო მხოლოდ იურიდიულ და არა ფიზიკურ პირებს.

**უნგრეთის** საკონსტიტუციო სასამართლომ მიწის უცხოელთა საკუთრებაში გადაცემის შესახებ 4 გადაწყვეტილება მიიღო. **მიწას მიიჩნევენ როგორც საკუთრების განსაკუთრებულ ობიექტს, და, შესაბამისად, მასთან განსაკუთრებული სამართლებრივი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს.** ხაზგასმულია, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსის შეცვლა სხვა ღირებულებებით შეუძლებელია. **ბულგარეთისა და უკრაინის მსგავსი მორატორიუმი მოქმედებს უნგრეთშიც.**

## კიდევ რამდენიმე თავისებურების შესახებ

**ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში.**

**აშშ-ის ზოგიერთ შტატში, კანადის რამდენიმე პროვინციასა და ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში აკრძალულია უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ მიწის შესყიდვა.**

**ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰექტარზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული.** აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება იყოს ამგვარი შეზღუდვები, რისი მაგალითიც არის **ირლანდიის** კანონმდელობა, რომლის მიხედვითაც **ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო, რათა მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას.**

**საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა.**

აშშ-ში 1978 წელს მიიღეს ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდებების შესახებ. მართალია, ამით **დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.** ძირითადი რეგულირება აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხზე ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. ამგვარი **კანონმდებლობა აკრძალვების სხვადასხვა დონეს გულისხმობს და შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული.** ამასთან, **რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალვა, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ აღკვეთამდე** (ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მკაცრ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, აგრარული შრომის გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სათანადო კაპიტალის ფლობას და სხვ.). ამის შედეგია ის, რომ **აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნით უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან.**

ახალი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე **არგენტინაში** განსაზღვრულია ნაყოფიერი მიწის ტერიტორიის ის ოდენობა, რომელიც შესაძლებელია შეიძინონ უცხოელებმა და იურიდიულმა პირებმა. **არგენტინის ტერიტორიის მხოლოდ 1.000 ჰექტარი შეიძლება იყოს უცხოელის საკუთრებაში.** სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში გავრცელებული ასეთივე ტენდენცია ძირითადად იმაზეა დაფუძნებული, რომ მიწის რესურსი ამოწურვადია და მისი უცხოელებისთვის მიყიდვა სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებზე უარყოფითად იმოქმედებს.

ასეთია ინტერნეტიდან ამოკრეფილი მონაცემები მსოფლიო პრაქტიკის შესახებ.

**არმაზ სანებლიძე**

**საჭიროა, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების აღდგენა და მასში ნათელი და გამჭვირვალე ცვლილებების შეტანა. ასევე საჭიროა, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში აღდგეს გაუქმებული მუხლი — სოფლის მეურნის (ფერმერი) სტატუსის შესახებ.**

პრემიერ-მინისტრის საყურადღებოდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უცხოელებზე მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება შეუთავსებელია ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან

**საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ ნაწილს. ქართველი ერის უფლებაა, ეს ტერიტორია (მიწა) გამოიყენოს თავისი საზოგადოების მშენებლობისთვის თავისი ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გემოვნების მიხედვით, ანუ ეძებოს საკუთარი გზები კაცობრიობის ერთობლივი მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისთვის.**



თანამედროვე მსოფლიოში შეზღუდული რესურსების, კერძოდ, საკვების რესურსთა შემცირების, პრობლემა სულ უფრო მწვავდება. ეს, პირველ რიგში, ეხება მიწას და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სავარგულებს, რადგან ეს უკანასკნელი, ანთროპოგენური ზემოქმედების გამო, სულ უფრო მცირდება და ეს ხდება პლანეტის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე. დამახასიათებელია ამ მხრივ FAO-ს განცხადება, რომ იაფი საკვების ეპოქა დასრულდა. სწორედ ამიტომ, **მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა.**

**მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი“ (შეზღუდული) (VerfGEG21, 73) რესურსი. განსაკუთრებით თანამედროვე მსოფლიოში აქტუალური საკითხია მისი ფასი. მოსახლეობის ზრდასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და, აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც, ამიტომაც მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია.**

სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი, რადგან მიწა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა (ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის კანონის კონსტიტუციურობის შესახებ Landesgegesetzblatt Nr. 88/1994).

გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (VerfGE 21, 37 [82]) განმარტა: **„იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებიდან და არც მისი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიწა ავტომატურად გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთეებსა და ღირებულებებს, სამართლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიჩნეული და მიღებული, როგორც უძრავი საქონელი“.**

საქართველოში არსებული სიტუაცია ამ პრობლემასთან დაკავშირებით განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა. საქართველოს მოსახლეობის გამოკვება დღეს არსებითად დამოკიდებულია იმპორტზე, რომელიც, მძიმე გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველ წუთს შეიძლება შეწყდეს. უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენება ამ საშიშროების პრევენციისთვის მოითხოვს იურიდიული ბერკეტების ქონას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს დღესდღეობით არ აქვს.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით, საქართველოში უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის აკრძალვა ძალადაკარგულად ითვლება.**

საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ არ არის დაშვებული კანონმდებლის მიერ იმავე შინაარსის ნორმის მიღება, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში — კანონში არა ბლანკეტური აკრძალვა, ისეთი, როგორიც ნორმის გაუქმებამდე იყო, არამედ მხოლოდ შეზღუდვა ჩაიდოს **(ამის გაუთვალისწინებლობაა იმის მიზეზი, რომ მიწაზე მორატორიუმის გამოცხადებას ახალი ვნებათა ღელვა და საკონსტიტუციო სასამრთლოში ახალი სარჩელის შეტანა მოჰყვა). სწორედ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ იგი არაკონსტიტუციურად თვლის უცხოელთათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ქონის ბლანკეტურ (სრულად) აკრძალვას და არა ამ უფლების შეზღუდვას.**

**მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა**

ამიტომაც, **შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ისეთი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც უშვებს უცხოელთა მიერ მიწის საკუთრებად ქონას, მაგრამ მხოლოდ გარკვეული შეზღუდვებით.** ასეთი შეზღუდვა შეიძლება უცხო ქვეყნების პრაქტიკიდან გავითვალისწინოთ, როგორიცაა მაგალითად, **ავსტრიაში** (უცხოელი 10 წელი მაინც უნდა ცხოვრობდეს ქვეყანაში, სადაც ის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას შეიძენს) ან კიდევ **თურქეთში** (მას მხოლოდ გარკვეული ოდენობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა შეუძლია ჰქონდეს საკუთრებაში), ან კიდევ **პოლონეთში** (სანებართვო სისტემა ამუშავდეს). საინტერესოა **გერმანიის** მაგალითი (სადაც მყიდველი ამ მიწის დამუშავების კონკრეტულ გეგმას წარადგენს და ეს გეგმა უნდა იყოს გერმანიის პოლიტიკურ-სოციალური ინტერესის შესაბამისი. ასევეა ავსტრიაშიც). **დანიაში** ერთ პირს უფლება არ აქვს, ჰქონდეს 2 ნაკვეთზე მეტი 24 ჰა საერთო ფართობით, ამასთან, ნაკვეთებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს. თუ მაინც არსებობს მოთხოვნა, ვინმეს ჰქონდეს 24 ჰა-ზე მეტი, მაშინ საკითხს მთავრობა იხილავს. მიწის ყიდვა არსად არავის შეუძლია, თუ არ დასტურდება მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია ან აქვს სპეციალური აგრარული განათლება.

შედარებით ლიბერალურია მიწის გასხვისების საკითხი **ესპანეთში,** მაგრამ იქაც ისეთი პირობებია, რომ უცხოელი მიწის ბაზარზე ვერ შევა. არის კიდევ ერთი პრობლემა: მცირე ნაკვეთები უნდა უზრუნველყოფდეს სამუშაო საათების წლიური ოდენობის 75% მაინც, რომ ადამიანი სოფლის მეურნეობის მუშაკად ჩაითვალოს. სასარგებლო იქნება **არგენტინის** მაგალითის გამოყენებაც, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის მაქსიმუმ 20%-ის გასხვისება არის უცხოელებზე დაშვებული. შეზღუდვა ასევე შესაძლებელია ორი ან რამდენიმე ელემენტის ერთმანეთთან შერწყმით.

ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე **(ირლანდია, ჩეხეთი, შვეიცარია)** იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი **თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში.** ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰა-ზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ **თვით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება იყოს ამგვარი შეზღუდვები, რომლის მაგალითიცაა ირლანდიის კანონმდებლობა. მის მიხედვით ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო, რათა მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას.** საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების (ფრანგი ერის სიამაყის საგანი!) და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა. აშშ-ში 1978 წელს მიიღეს ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდებების შესახებ. მართალია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ძირითადი რეგულირება აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხზე ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. ამგვარი კანონმდებლობა აკრძალვების სხვადასხვა დონეს გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული. ამასთან, **რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალვა, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ აღკვეთამდე. ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან.**

უმეტეს ქვეყნებში მიწის ყიდვა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მკაცრ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, აგრარული შრომის გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სათანადო კაპიტალის ფლობას და სხვ.

სახელმწიფოებრიობის პრინციპთა კონტექსტში მიწის მაღალ რანგში აყვანა კანონმდებელს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ თავისი ქვეყნის მოქალაქეების, საზოგადოების, საჯარო ინტერესის სასარგებლოდ და მიწის სოციალური დანიშნულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუზღუდოს უცხოელს ამ სიკეთით სარგებლობის უფლება.

საჭიროა, შევიდეს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ საქართველოს კანონში რიგი ცვლილებებისა, რომელშიც **თანამედროვეობასთან მორგებულად ასახული იქნება ის რეგულაციები (შეზღუდვები), რომლებიც ეხება უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებას.**

სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის მსურველ უცხოელთა მიმართ, უნდა დაწესდეს შემდეგი შეზღუდვები:

**ა) უცხოელის მიერ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა დაშვებულია მხოლოდ ორ-ნახევარი (2,5) ჰექტრის ოდენობით (თითოეულ კომლზე ან პირზე). საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის მხოლოდ 5% შეიძლება იყოს უცხოელთა საკუთრებაში;**

**ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისამებრ, ისე, რომ მისი ფუნქციობა შეესაბამებოდეს საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს;**

**გ) საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა შეუძლია მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებულ მხოლოდ იმ იურიდიულ პირს, რომელშიც საქართველოს მოქალაქე წილობრივად ფლობს არანაკლებ 51%-ს;**

**დ) უცხოელი, რომელსაც სურს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა, უნდა:**

**– ცხოვრობდეს საქართველოში კანონიერად ბოლო 6 წლის განმავლობაში;**

**– ჰქონდეს სპეციალური სასოფლო-სამეურნეო განათლება, სოფლად ცხოვრებისა და აგრარული შრომის ხუთწლიანი გამოცდილება;**

**– ფლობდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის საჭირო კაპიტალს;**

**ე) სასოფლო-სამეურნეო მიწის ყიდვა-გაყიდვა თავისუფალია მხოლოდ სოფლის მეურნის სტატუსის მქონე პირებს შორის.**

**ვ) საქართველოს მთავრობასთან შეიქმნას მიწის დაცვის ტრიბუნალი, რომელიც განიხილავს უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვისა და მიწის კატეგორიის შეცვლის მსურველთა ყოველ კონკრეტულ განცხადებას და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.**

ჯერჯერობით ჩვენ გვაქვს საშუალება, შევარბილოთ დაშვებული შეცდომის შედეგი – მივიღოთ მიწათსარგებლობის ახალი კანონი.

დასასრულ, **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში (ბრუნვაში) მოქცევის არა ერთი, არამედ ორი გზა არსებობს: მიწის კერძო საკუთრება და მიწის გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარა.**

ჩვენს პირობებში მყოფი ქვეყნისთვის უცხოელების მიმართ, ძირითადად, ეს უკანასკნელი უნდა იქნეს გამოყენებული. ამისთვის კი **საჭიროა, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების აღდგენა და მასში ნათელი და გამჭვირვალე ცვლილებების შეტანა.**

ასევე საჭიროა, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ **საქართველოს კანონში აღდგეს გაუქმებული მუხლი — სოფლის მეურნის (ფერმერი) სტატუსის შესახებ.**

**პაატა კოღუაშვილი,**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კონფერენცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოს პარლამენტს არ ჰქონდა უფლება, პირდაპირ დაეკვალიფიცირებინა ჩერქეზების საკითხი. უტყუარი მონაცემები და მტკიცებულებები ჩერქეზი ხალხის გენოციდზე რეალურად არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ამ აღიარების უკან იმალებოდა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკური მიზნები, კერძოდ, აღიარება გათვლილი იყო იმაზე, რომ გაძლიერებულიყო ანტირუსული სეპარატისტული მოძრაობა“.**

# ჩერქეზთა გენოციდის აღიარება არ იყო ისტორიული სამართლიანობის აღდგენა

## სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია «ჩერქეზების გენოციდის აღიარება: მიზანი და შედეგები»

**ჩერქეზთა გენოციდის თემამ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან წამოიწია — ხან მიჩუმდებოდა, ხან გააქტიურდებოდა. როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად რუსეთთან კონფრონტაციის პოლიტიკა აირჩია, აქტიურად დაიწყო ამ თემის გამოყენება და მისით სპეკულირება და, რაც მნიშვნელოვანია, ეს არ იყო ისტორიული სამართლიანობის აღდგენის სურვილით გადადგმული ნაბიჯი.**



საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წლის მაისში ჩერქეზთა გენოციდის აღიარებიდან მცირე დრო გავიდა და პირველმა რეაქციებმაც გადაიარა, მაგრამ კითხვები — **რას მოუტანს კავკასიას ჩვენი, ქართველების, ეს ნაბიჯი — ეს აღიარება? შეიცვლება თუ არა დამოკიდებულებები და მიდგომები თუ საქართველოს მიერ წარმოებული კავკასიური პოლიტიკა უბრალო სიმბოლურობის ფარგლებს ვერ გასცდება? ზოგადად, რეგიონში რა პროცესებს უნდა ველოდოთ?** — კვლავაც დისკუსიის საგანია. უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ეს, გარკვეულწილად, სარისკო ნაბიჯი იყო, მაგრამ კონკრეტულად რაში გამოიხატება რისკფაქტორები, ამის დაზუსტებით თქმა მაინც საკმაოდ რთულია. შესაბამისად, პროგნოზებიც საფრთხილოა, ვინაიდან საქმე ჩვენი რთული რეგიონისთვის სათუთ თემას ეხება. თანაც, მიუხედავად ნალჩიკში დემონსტრაციაზე გამოჩენილი თითოოროლა ქართული დროშისა, ჩერქეზებს რაიმე მკვეთრი პოზიცია არ დაუფიქსირებიათ.

**25 სექტემბერს თბილისში, სასტუმრო BETSY'S HOTEL-ის საკონფერენციო დარბაზში არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ ჩერქეზების გენოციდის აღიარების მიზანსა და შედეგებს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია მიუძღვნა. კონფრენციის მონაწილეებმა მრავალი ურთიერთგამომრიცხავი ვარაუდი გამოთქვეს, მაგრამ ხაზგასმით ითქვა, რომ ეს ჩვენი ქვეყნისთვის წამგებიანი პოლიტიკური სვლაა, რომლისგანაც მივიღეთ კიდეც ახალი „სიურპრიზები“ — თავსატეხი და თავშისაცემი საკმაოდ დაგვიგროვდა.**

კონფერენციაზე ქართველი მეცნიერები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, პუბლიცისტები, ჟურნალისტები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მოწვეული სტუმრების წინაშე აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მოხსენებებით წარსდგნენ. კონფერენციას უძღვებოდა ღონისძიების ორგანიზატორი, **არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე ტარიელ გაგნიძე.**



**ტარიელ გაგნიძე:**

„ჩერქეზების გენოციდის აღიარების შესახებ დადგენილება საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 20 მაისს მიიღო. ძალიან ხელოვნურობის ელფერი კი დაჰკრავდა თავიდან ამ ყველაფერს, ხოლო, როცა ამის შემდეგ მსოფლიოში მნიშვნელოვანი პროცესები განვითარდა, ახლებურად დავინახეთ ე. წ. ჩერქეზული გენოციდი, მიმდინარე პროცესები და ისიც, თუ რა იდგა რეალურად ამ საკითხის უკან.

**ჩემი ღრმა რწმენით, ამ თემის წამოწევის მიზანია აგრესიული ისლამისთვის იდეოლოგიური საფუძვლის შექმნა, რათა შემდგომში განახორციელონ ექსპანსია რუსეთის ფედერაციის იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც არ არის ჩრდილოკავკასიური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები; მაგალითად, ჩეჩნეთის ან დაღესტნის რესპუბლიკების მსგავსი. ასევე, ეს ყველაფერი, ვფიქრობ, უკავშირდება იმ გლობალურ პროექტს, რომელიც „ანაკონდას მარყუჟის“ ან „დაძაბულობის რკალის“ სახელითაა ცნობილი მსოფლიო გეოპოლიტიკაში და გულისხმობს რუსეთის ფედერაციის სამხრეთი და დასავლეთი საზღვრების გასწვრივ მუდმივი დაძაბულობის კერების შექმნას და მათით მანიპულირებას.**

აქვე ერთი რამ მინდა ვთქვა: როდესაც საქართველოს ყოფილი ხელისუფლება ამ ავანტიურაში აბამდა საქართველოს, არ ვიცი, შეგნებულად, არ ვიცი, გაუცნობიერებლად, ისინი აბსოლუტურად არ ითვალისწინებდნენ შესაძლო შედეგებს. გავიხსენოთ თუნდაც ის ავადსახსენებელი პერიოდი საქართველოს წარსულიდან, რომელიც ლეკიანობის სახელითაა ცნობილი და რომელიც გამოწვეული იყო ჩრდილოკავკასიელი ტომების გამუდმებული თარეშით საქართველოში საუკუნეების განმავლობაში, რამაც ქვეყნის აბსოლუტური გაპარტახება გამოიწვია — ეს ერთი და მეორეც: **გადავავლოთ თვალი იმ პროცესებს, რომლებიც განვითარდა „არაბული გაზაფხულის“ ქვეყნებში, რა ბედი ეწიათ იქ მოსახლე ქრისტიანებს, კერძოდ, მართლმადიდებლებს, და იქ არსებულ ქრისტიანულ სიწმინდეებს — როგორ ამოწყვიტეს ადამიანები და დაანგრიეს ყველაფერი. რადიკალური ისლამისტები არ ცნობენ სახელმწიფოთა საზღვრებს და აცხადებენ, რომ ყველა მუსლიმანის დამცველები არიან. აქედან გამომდინარე, მათ ეძლევათ იდეოლოგიური საფუძველი, რომ თქვან, თითქოს რუსეთმა გენოციდი მოუწყო მათ ძმებს და ამიტომ უნდა გადაუხადონ სამაგიერო.**

რაც შეეხება კონფერენციის მიზანს, ჩვენ გვინდა, კარგად გავიაზროთ და გავაანალიზოთ საქართველოს როლი აღნიშნულ პროცესში და, თუკი ასე გაგრძელდება, რა ბედი ელის ჩვენს ქვეყანას.

ამ გადასახედიდან **საქართველოს აღნიშნული პროცესებიდან სახარბიელო არაფერი ელოდება. 2011 წელს ჩერქეზების გენოციდის აღიარებით მაშინდელმა მთავრობამ საქართველო ძალიან ცუდ პროცესებში ჩართო.**

დღევანდელი კონფერენცია არის მცდელობა, ახლებურად გავაანალიზოთ არსებული ვითარება და საქართველოს როლი ზემოაღნიშნულ პროცესებში“.



**ვალერიან დოლიძე, თსუ-ს პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი:**

„სააკაშვილის ხელისუფლებამ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლა დაიწყო. ჩერქეზების გენოციდის აღიარებაც ამ ბრძოლის შემადგენელი ნაწილია. გახსოვთ, ალბათ, რომ საქართველოს პარლამენტში შეიქმნა ჯგუფი, რომელიც კავკასიელ ხალხებთან ითანამშრომლებდა. მათ რამდენიმეჯერ მიმართეს ჩრდილოკავკასიელი ერების პარლამენტებს ურთიერთთანამშრომლობის თხოვნით, მაგრამ პასუხი არ მიუღიათ. ამის შემდეგ აშშ-ში კონფერენციების გამართვა დაიწყო, საქართველოს პარლამენტს გარკვეულმა ჯგუფებმა გენოციდის აღიარების მოთხოვნით მიმართეს და ა. შ. თუმცა **აღნიშნულ აღიარებას ჩერქეზების მხრიდან ერთმნიშვნელოვანი რეაგირება არ მოჰყოლია — ზოგი თვლიდა, რომ საქართველოს ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება კარგი იყო, ზოგს იგი მხოლოდ პოპულისტურ გადაწყვეტილებად მიაჩნია, ზოგმა კი საქართველოს ბოდიშის მოხდისკენ მოუწოდა, რადგანაც ქართველები იმ დროს რუსეთის შეიარაღებული ძალების რიგებში იბრძოდნენ.**

ის, რაც ჩერქეზ ხალხს თავს დაატყდა, ნამდვილად ტრაგედია იყო, მაგრამ საკითხავია, შეიძლება თუ არა მას გენოციდი ვუწოდოთ. საამისოდ ჯერ აღნიშნული საკითხის დეტალურად შესწავლა უნდა მოხდეს. ეს ადვილი დასამტკიცებელი არ არის. გენოციდი არის იურიდიული ტერმინი, ეს არის დანაშაული. კონკრეტული ქმედება რომ დაკვალიფიცირდეს, როგორც გენოციდი, მას კვალიფიციური იურისტების უდიდესი მუშაობა სჭირდება. ჩერქეზების გენოციდის აღიარებას დეისტორიზაციასა და ისტორიის გათანამედროვებას ვუწოდებდი, რაც არასწორია. **საქართველოს პარლამენტს არ ჰქონდა უფლება, პირდაპირ დაეკვალიფიცირებინა ჩერქეზების საკითხი. უტყუარი მონაცემები და მტკიცებულებები ჩერქეზი ხალხის გენოციდზე რეალურად არ არსებობს.** აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ამ აღიარების უკან იმალებოდა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკური მიზნები, კერძოდ, აღიარება გათვლილი იყო იმაზე, რომ გაძლიერებულიყო ანტირუსული სეპარატისტული მოძრაობა“.



**ირაკლი უბილავა, ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის თავმჯდომარე:**

„ბევრი ისტორიული წყარო არსებობს იმის თაობაზე, რომ ჩერქეზები წარმოადგენდნენ ჩვენი ისტორიული მტრების, ოსმალების, მთავარ დასაყრდენს კავკასიაში. ერთ-ერთი თურქი ისტორიკოსი პირდაპირ აღნიშნავს, რომ თურქებს სჭირდებოდათ ჩერქეზები დასაყრდენად და მათ ▶



# „აფხაზების აღნიშნულ გენოციდზე მიბმა სრულიად არ არის შემთხვევითი, თუ გავიხსენებთ იმ განცხადებასაც, რომ ქართველებმა აფხაზებისა და ოსების გენოციდი მოაწყვეს, ჩვენ მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარება ავტომატურად დღის წესრიგში აყენებს აფხაზებისა და ოსების გენოციდის საკითხს.“

კონფერენცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მეომრებით ამარაგებდნენ. სწორედ ჩერქეზების დახმარებით თურქეთი ქმნიდა ბუფერს რუსეთის წინააღმდეგ. იმისათვის, რომ ოსმალეთი დასუსტებულიყო, რუსეთი იძულებული გახდა, მისთვის გეოპოლიტიკური დასაყრდენი მოეშალა, წმინდა რეალური პოლიტიკის თვალსაზრისით, ნებისმიერი იმპერია ამას გააკეთებდა. შესაძლოა, ეს არაჰუმანური იყო რუსეთის მხრიდან, მაგრამ, რეალური პოლიტიკის თვალსაზრისით, ადეკვატურ რეაქციას წარმოადგენდა. რაც შეეხება პრობლემის ქართული კუთხით შეხედვას, **საქართველოსთვის, ცხადია, მომგებიანი იყო ოსმალეთის იმპერიის დასუსტება, ეს მართლმადიდებლური იმპერიების აღმასვლის მაჩვენებელი იყო, რაც ხელს შეუწყობდა კავკასიის რეგიონში მაშინდელი მართლმადიდებელი ხალხების ერთიან კულტურულ სივრცეში მოქცევას, თვითმყოფადობის შენარჩუნებას და შემდგომში იმ ღირებულებებზე დაყრდნობით ერის და ნაციის ჩამოყალიბებას, რაც მოხდა კიდეც.**

**დღეს კი ამ კუთხით მუშაობს სხვადასხვა ინტელექტუალური ცენტრი, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ სტრატეგიას ამუშავებენ. საქართველოს მიერ გენოციდის აღიარება სწორედ ამ ინტელექტუალური ცენტრების მიერ იყო „ზემოდან“ ნაკარნახევი და იგი რუსეთის დაშლას ემსახურებოდა.** როდესაც ამაზეა საუბარი, ჩვენ გვავიწყდება ირანი, რომელიც მიძინებულ მდგომარეობაში იმყოფება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 20 მაისს მიღებული გადაწყვეტილება არის უპასუხისმგებლო და დადგა დრო, ვიმსჯელოთ ამ დადგენილების დენონსაციაზე“.



**ნანა დევდარიანი, გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი:**

„ჩერქეზული საკითხის ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი ბოლო დროს ძალიან „მოდაშია“ — ერეკლე მეორის დადანაშაულება, რომ არჩევანი ევროპის მიმართულებით კი არა, რუსეთისკენ გააკეთა. მოდით, გავიხსენოთ, რა ხდებოდა ევროპაში: ევროპის მთავარ სახელმწიფოებში ყველა მონარქი ან ჩამოახრჩეს, ან თავი მოაჭრეს, ან გააძევეს და ა.შ. ხომ არ გვავიწყდება, რომ ერეკლე მეფე არ იყო რესპუბლიკური პარტიის ლიდერი — რომ ის იყო მონარქი და არ წავიდოდა იქით, სადაც მონარქებს ასეთ მდგომარეობაში აგდებდნენ.

გადავხედოთ ისტორიის ქრონოლოგიას: თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ ტერმინი „გენოციდი“ შეიძლება გადავიტანოთ წარსულში თუნდაც ფიგურალურად და გამოვიყენოთ ის, როგორც მომხდარის აღწერილობა, მაშინ მე მოგიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

მოდი, ვნახოთ, რა მოხდა ამერიკელი ინდიელების შემთხვევაში და იყენებენ თუ არა თავად ამერიკული ფონდები ამ შემთხვევაში ტერმინ „გენოციდს“. **ევროპელი კოლონიზატორების მიერ 15 მილიონამდე ინდიელია განადგურებული და ამ ფაქტს ამერიკელი მკვლევარები და ანალიტიკოსები „დემოგრაფიულ კატასტროფას“ უწოდებენ. ძალიან სასაცილოდ გამოიყურება, როდესაც დღეს განვითარებული ევროპული სახელმწიფოების წარმომადგენლები ჭკუას არიგებენ ჩვენნაირ ქვეყნებს, რომ ქსენოფობია ცუდია, ჰომოფობია ცუდია, ტოლერანტული უნდა იყო და ა. შ. მაშინ, როდესაც მთელ მათ ისტორიას ოდნავ თითი რომ დააჭირო, სისხლი გამოჟონავს.**

დავუბრუნდეთ თანამედროვეობას და ვნახოთ, სად გაჩნდა პირველად ოფიციალურ დონეზე განცხადებები ჩერქეზთა გენოციდის თაობაზე — ეს არის 1992 წელს ყაბარდო-ბალყარეთის უმაღლესი საბჭოსა და 1994 წელს ადიღეის პარლამენტის მიერ გამოყენებული ტერმინი, როდესაც ისინი აფიქსირებდნენ ჩერქეზი ხალხის მასობრივ განდევნას ტერიტორიიდან, მაგრამ აქვე არის ერთი სერიოზული მომენტი, რომელიც მიგვანიშნებს, თუ სად არის ჩვენთვის „შენელებული მოქმედების ნაღმი“, რადგან ამავე წყაროებში ნახსენებია, რომ, გარდა ჩერქეზებისა, საუბარია მონათესავე ხალხებზე — აფხაზებსა და სხვებზე. **აფხაზების აღნიშნულ გენოციდზე მიბმა სრულიად არ არის შემთხვევითი, თუ გავიხსენებთ იმ განცხადებასაც, რომ ქართველებმა აფხაზებისა და ოსების გენოციდი მოაწყვეს, ჩვენ მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარება ავტომატურად დღის წესრიგში აყენებს აფხაზებისა და ოსების გენოციდის საკითხს.** მაინტერესებს, როგორ უნდა აღვიქვათ ეს, რომ ქართველები არ იყურებიან დოკუმენტებში, როგორც ეს მოხდა დსთ-დან გასვლის შემთხვევაში, თუ შეგნებულად გაკეთდა?! **თუ საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ იცოდა ამ დოკუმენტების თაობაზე, მაშინ გამოდის, რომ მათ შეგნებულად მიაყენეს დარტყმა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.**

სამწუხაროდ, კოლონიზაციის მცდელობები თანამედროვე მსოფლიოში დღესაც ხდება, ოღონდ ამას აღარ ჰქვია კოლონია და მეტროპოლია, ამას ჰქვია დემოკრატიის დამყარება. არის ასეთი ახალი ანეკდოტი სოციალურ ქსელში — „ანტარქტიდაზე აღმოაჩინეს ბუნებრივი აირი და ნავთობი, სისხლისმსმელი პინგვინების რეჟიმს სულ მალე მოეღება ბოლო“. ყველაფრის უკან დგას რესურსების საკითხი, მეორე ადგილზეა საკუთარი ეროვნული ინტერესების გავრცელება სხვადასხვა რეგიონში.

**დღევანდელი ვითარებით, ჩერქეზეთში არანაირი ენთუზიაზმი არ შეინიშნება იმის გამო, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ეს ფაქტი გენოციდად აღიარა. ეს ყველაფერი იყო გარედან მართული. ის ხელისუფლება, რომელსაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აღნიშნული აღიარებით რუსეთის გაბრაზება მოუნდა, ნამდვილად არ არის ადეკვატური.**

დღევანდელ პოლიტიკოსებს თავისი სავარძელი უფრო უყვართ, ვიდრე ქვეყანა, პრობლემა ამაშია. მთელი ეს აღიარება ჩერქეზთა გენოციდის შესახებ ამის ნათელი დადასტურებაა“.



**გიორგი მდივანი, მკვლევარი:**

„რა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა ჩერქეზი ერის გენოციდის აღიარება? ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ სააკაშვილის მთავრობა ცდილობდა ჩერქეზთა თემით მანიპულირებას:

1. ეს იყო ყოფილი ხელისუფლების უსუსური მცდელობა, წაგებული ომის სანაცვლოდ რაიმე სახის დიპლომატიური ზიანი მიეყენებინა რუსეთისთვის;

2. ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით წინა ხელისუფლებას რუსეთის იმიჯის შესუსტება ჰქონდა განზრახული ჩრდილოეთ კავკასიაში;

3. რუსეთის მოქალაქეების განწყობა საქართველოს წინააღმდეგ, რადგან აღნიშნული აღიარება კავკასიის ერებსა და რუსებს შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას ემსახურებოდა“.



**პეტრე მამრაძე, ედუარდ შევარდნაძის და მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს სახელმწიფო კანცელარიის უფროსი და საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი:**

„მე მქონდა საშუალება, ამ პროცესებს შიგნიდან დავკვირვებოდი.

მე გამოვაქვეყნე წიგნი „08.08.08“, რომელშიც დეტალურად არის ასახული, თუ რა ჩაიდინა სააკაშვილმა 2008 წელს, მანამდე და მას შემდეგ. მიხეილ სააკაშვილი ჩემი რეკომენდაციით დაინიშნა კავსაძის კომიტეტში **(ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტი — რედ.)** და ვიყავი ძალიან დაახლოებული მასთან, ამიტომაც პასუხს ვაგებ ყველა სიტყვაზე, რასაც ვიტყვი. პირველი, 2007 წლის შემოდგომის და 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მის გუნდში არ არსებობდა ისეთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო მისი ახირებების და სრულიად უაზრო, კონტრპროდუქტიული, მავნე მოქმედებების შეკავება. ასეთ ვითარებაში რაციონალური აზრის ძიება იყო შეუძლებელი. მინდა გითხრათ, რომ **აგვისტოს მეორე ნახევარში სააკაშვილმა გულში ჩაიდო რევანში რუსეთის წინააღმდეგ და იგი გეგმავდა, რომ ახალგორის რაიონში ჩაეტარებინა სამხედრო ოპერაცია, იქიდან განედევნა რუსი სამხედროები და დაებრუნებინა ახალგორის რაიონი. გთხოვთ, წარმოიდგინოთ ვითარება — ტანკები დგას იგოეთთან და ყველგან, ამ დროს კი სააკაშვილი წარმატებით ატარებს ოპერაციას ახალგორში, სადაც შეაგზავნიდა სპეციალურ რაზმს. ხომ წარმოგიდგენიათ, ამას რა მოჰყვებოდა?! მერე აღმოჩნდა, რომ იმავეს გეგმავდა კასპშიც. ჩვენი ჩარევით ეს არ მოხდა.**

ამის შემდეგ მან 2008 წლის შემოდგომაზე დასახა რუსეთის დაშლის გეგმა. მან ეს გამოუცხადა უცხოელ დიპლომატებს, რამდენიმეჯერ თქვა საჯაროდ, ხოლო 2009 წლის თებერვალში პარლამენტში ბრძანა, რომ იგი „ცხვირიდან ძმარს ადენდა“ რუსეთს. სააკაშვილმა ვიწრო წრეებში არაერთხელ განაცხადა, რომ იგი დაშლიდა რუსეთს და ამ პროცესს ჩრდილოკავკასიიდან დაიწყებდა. **2007 წლის ივლისში სააკაშვილი იჯდა თავის კაბინეტში რუკის ფონზე და ამბობდა, რომ ახლა აიღებდა ცხინვალს, 2 საათში აიღებდა ჯავას, გადაკეტავდა როკის გვირაბს და მერე ამერიკაც და რუსეთიც უნდა შეეგუონ ახალ რეალობას. ძალიან განაწყენებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რომელიც უკრძალავდა ამ გეგმის განხორციელებას.** 2009 წელს ერთ-ერთმა ცნობილმა რუსმა მოღვაწემ მითხრა, რომ ამერიკელი პარტნიორები ყოველთვის აფრთხილებდნენ რუსებს სააკაშვილის მილიტარისტული აგრესიული მისწრაფებების თაობაზე. ასე მოხდა 2008 წლის ივლისშიც, კონდოლიზა რაისის ვიზიტის შემდეგ, ამერიკელებმა რუსებს უთხრეს, რომ ისინი აფრთხილებდნენ სააკაშვილს შესაძლო შედეგებზეც და იმაზეც, რომ არ ჩაერეოდნენ ამ საკითხში, მაგრამ ამერიკელები გარანტიას ვერ იძლეოდნენ, რომ ეს ადამიანი არ დაიწყებდა საომარ მოქმედებებს აფხაზეთსა ან სამხრეთ ოსეთში.

**სააკაშვილმა თავისი გეგმის განხორციელება მაინც დაიწყო. ჯეიმსთაუნის ფონდი მთლიანად დააფინანსა პრეზიდენტმა. მათ დაიწყეს პირდაპირი კავშირის დამყარება ჩრდილოკავკასიელი ხალხების იმ ჯგუფებთან, რომელთაც რუსეთიდან გამოყოფა უნდოდათ. ამ დავალებით საქართველოს პარლამენტიდან გაიგზავნა შესაბამისი წერილები, საიდანაც უარყოფითი პასუხები მიიღეს. ამას გარდა, დაიწყეს ჩრდილოკავკასიელი ხალხების დიასპორებთან კონტაქტების დამყარება, მაგრამ ვერ ნახეს თანამოაზრეები.** აამუშავეს ტელეკომპანია „პიკი“. სააკაშვილი ხშირად ამბობდა, რომ იგი რუსეთის დაშლას ამ ტელეკომპანიით აპირებდა, რამაც ასევე უკუშედეგი გამოიღო. შეერთებული შტატები ძალიან გააღიზიანა იმ ფაქტმა, რომ ჩრდილოკავკასიელი ხალხებისთვის უვიზო რეჟიმი იქნა დაწესებული. მაშინ პირველად ვნახე ამერიკის ელჩი საქართველოში, ჯონ ბასი, ასე გაცეცხლებული, რადგან მან საყვედური მიიღო საკუთარი ხელმძღვანელობისგან. **გენოციდის აღიარებაც, რა თქმა უნდა, რუსეთის დისკრედიტაციისთვის იქნა მიღებული. მე ვარ ცოცხალი მოწმე იმისა, რომ არ დარჩა ევროპელი დიპლომატი და ამერიკელი ჩინოვნიკი, რომელმაც ქილიკით არ მკითხა, თუ როგორ ვაპირებდით სომხეთისთვის აგვეხსნა, რომ მათი გენოციდი საქართველოს პარლამენტმა არ განიხილა. სააკაშვილს უნდოდა ერთი რამ, რომ როგორმე გაეღიზიანებინა პირადად პუტინი“.**



**ვიქტორ ცაავა, გლობალიზაციის პრობლემების ცენტრის ხელმძღვანელი:**

„ის, რომ გენოციდის აღიარება სააკაშვილის ხელისუფლების დიდი ავანტიურა იყო, ფაქტია. აღნიშნული დავალება სააკაშვილს დასავლეთში არსებულმა რეაქციულმა ძალებმა მისცეს, რომლებიც გეოპოლიტიკურ ბრძოლაში ჩრდილოკავკასიელი ხალხების გამოყენებით რუსეთის წინააღმდეგ აპირებდნენ მოქმედებას. ამას მიუთითებდა ტელეკომპანია „პიკის“ ამუშავებაც. **ეს იყო კავკასიის აფეთქების გეგმა. ვფიქრობ, სანამ გვიან არ არის და სირიიდან გარკვეული პროცესები საქართველოში არ გადმოსულა, ჩვენს ახალ მთავრობას უნდა მოვთხოვოთ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების დოკუმენტის დენონსაცია.** თუ კავკასიელ ხალხებთან მეგობრობა გვინდა, ეს რუსეთის ჯიბრზე კი არ უნდა გავაკეთოთ, არამედ რუსეთთან ერთად უნდა გავაკეთოთ“.



აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს **გაზეთ „ილორის“ მთავარმა რედაქტორმა როლანდ ჯალაღანიამ** და კონფერენციის სხვა მონაწილეებმა.

გაიმართა ფართო დისკუსია. ხაზი გაესვა იმას, რომ საქართველოს ეს ნაბიჯი შეიძლება შეფასდეს საერთაშორისო არენაზე ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთ ნაბიჯად მარგინალიზაციისკენ; ამასთან, **ჩრდილოკავკასიელი ხალხი საქართველოს ხელისუფლების პროვოკაციაზე წამოსაგებად არ უნდა გაიწიროს. ეს აშკარა უპატივცემულობაა იმ ხალხის მიმართ, რომელმაც ათას განსაცდელს გაუძლო და დღემდე მოვიდა; და რომ ამას შესანიშნავად ხვდებიან ჩერქეზთა ღირსეული წარმომადგენლები და საქართველოს ამისთვის მადლობას ნამდვილად არ ეტყვიან.**

თავის დროზე დიდი ილია ბრძანებდა, — საქართველოს ისტორია მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა და ხალხი არსად ჩანსო. არც ახლა ჩანს ხალხი და მხოლოდ ხელისუფალთა ფიგურებია წამოწეული წინა პლანზე. არადა, დროა, ასპარეზი ხალხს დაეთმოს, გამოჩნდეს მისი სურვილი, მისწრაფება, მისი დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი, ურთიერთობები, კავშირები... და ეს მანამ უნდა გაკეთდეს, ვიდრე ჯერ კიდევ ცოცხალია ის თაობა, რომელსაც ამ მოძმე ხალხებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება შემორჩა მეხიერებაში; ვიდრე საბოლოოდ არ ჩაფერფლილა ის მბჟუტავი ნაკვერჩხალი ძმობისა, მეგობრობისა, პატივისცემისა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო.

**დარეჯან ანდრიაძე**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეკონომიკურმა კრიზისმა ქვეყნის შიგნით ჯაშუშობა გააძლიერა. ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს განსაკუთრებული ყურადღების ობიექტები გახდნენ პოლიტიკოსები გარემოს დამცველთა რიგებიდან. მაგრამ ახლა აშშ-ის ხელისუფლებას ყველასა და ყველაფრის ეშინია და მზადაა, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ უკანასკნელი ვაზნის გასროლამდე იბრძოლოს.**

# მოზეიმე შიზოფრენია

**როდესაც „გამოხატვის თავისუფლების“ სახელით უარს ამბობენ ნორმებზე, ნორმა არანორმალურობა ხდება. როდესაც ადამიანს უფლება აქვს, აირჩიოს, — ქალი იყოს, კაცი თუ ორივე ერთად, „ზემოდან შთაგონებამდეც“ ცოტაღა დარჩა. ეს „ზემოდან შთაგონებები“ კი რას ილაღადებენ, ძნელი გასათვლელია, ამიტომაც მძიმე მდგომარეობაში არიან კანონმდებლები. თავისუფლების, იარაღის და „ზემოდან შთაგონების“ დაცვა ხომ წმინდად ამერიკული საქმეა.**






ბოლომდე გაურკვეველი რჩება მიზეზები, რომელთა გამოც 34 წლის აარონ ალექსისმა ვაშინგტონში, აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების ადმინისტაციულ ცენტრში 16 სექტემბერს სროლა ატეხა. ამის გარკვევა შეუძლებელია, რადგან მსროლელი ადგილზე მოკლეს. 40 წუთის განმავლობაში ალექსისი ესროდა ცენტრის ერთ-ერთი ოფისის თანამშრომლებს, შედეგად 12 ადამიანი მოკლა და 15 დაჭრა.

სისხლიანი დანაშაულის შესახებ სიახლემ შეძრა მთელი ამერიკა და კვლავ წამოჭრა უკანასკნელი წლების საკამათო საკითხი. ამ საკითხთაგან მთავარი, რასაკვირველია, იარაღის შენახვისთვის კანონების გამკაცრებაა. ჩატარებული გამოძიების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ **34 წლის აარონი ფსიქიკურად დაავადებული იყო, პარანოიითა და უძილობით იტანჯებოდა, გარდა ამისა, მუდმივად ჩიოდა, რომ რაღაც ხმები ესმოდა. ამასთან, იგი ცნობილი იყო, როგორც თავშეუკავებელი ადამიანი და სამხედრო-საზღვაო ძალებიდან სათადარიგო რიგებში შემთხვევით არ გადაუყვანიათ.**

აარონს მუდმივად პრობლემები ჰქონდა კანონთან, მათ შორის იარაღთან მოპყრობის წესების დარღვევის გამოც. ერთხელ, სიეტლში, მან სროლა აუტეხა იმ ადამიანის მანქანის საბურავებს, რომელთანაც რაღაც კონფლიქტი ჰქონდა. შემდეგ, როდესაც ტეხასში, ფორტ-უერტეში ცხოვრობდა, მის თავზე მცხოვრები მეზობელი ქალის იატაკი დაცხრილა. მიუხედავად ამისა, 2011 წელს აარონი ჯარიდან, მართალია „დისციპლინის დარღვევისთვის“, მაგრამ დიდი პატივით გააცილეს, ანუ მისი პროფესიული რეპუტაცია არ შელახულა. **კარგი რეკომენდაციების წყალობით იგი მოეწყო კომპანია THE EXPERTS-ში, რომელიც საინფორმაციო ტექნოლოგიებზე სპეციალიზდება და აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებზე ახლა უკვე დაქირავებული თანამშრომლის სტატუსით მუშაობდა. ალექსისს, როგორც ამ ფირმის თანამშრომელს, ჰქონდა მაღალი დონის დაშვება, რისი წყალობითაც იმ ავბედით „შავ ორშაბათს“ მას შეეძლო არა მხოლოდ უპრობლემოდ შეეღწია ობიექტზე, არამედ იარაღიც კი შეეტანა. ეს იარაღი მან წინა დღეს შეიძინა იარაღის მაღაზიაში.**

აარონ ალექსისის დაშვების დონეზე იმ ფაქტმაც კი ვერ მოახდინა გავლენა, რომ ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრე, აგვისტოს ბოლოს, Rhode Island-ზე მივლინებისას მან პოლიციას მიმართა განცხადებით, თითქოს სამი ადამიანი დევნიდა და მათი ხმები ესმოდა. პოლიციელებს აარონი უყვებოდა, რომ სამი სასტუმროს გამოცვლა მოუხდა, მაგრამ, ამის მიუხედავადაც ესმოდა ზემოხსენებული ხმები. ეს ადამიანები ვითომდა იყენებდნენ რაღაც „მიკროტალღური ტიპის“ მანქანას, ვიბრაციებს გზავნიდნენ ჭერის ზემოდან და ეს ტალღები აარონის სხეულში აღწევდა. ამ ყველაფრის გამო აარონს, როგორც თავად გამოუტყდა პოლიციას, დაძინება არ შეეძლო.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ ალექსისმა რამდენიმე ექიმს მიმართა უძილობის გამო და შესჩივლა, რომ თავს ცუდად გრძნობდა. ეს ტრაგედიამდე სულ ცოტა ხნით ადრე ხდებოდა. ექიმებმა პაციენტს აბები გამოუწერეს და სახლში გაუშვეს.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, აარონის ქცევა დიდ „სიურპრიზად“ იქცა მისი ყველაზე ახლობელი ადამიანებისთვის — მეგობრებისა და ნათესავებისთვის. ფორტ-უერტელი მეგობრები გულწრფელად ვერ ხვდებოდნენ, რა მოხდა და ამბობდნენ, რომ იგი, რა თქმა უნდა, ყოველთვის შეშლილი ბიჭი იყო, მაგრამ ამ სიტყვის კარგი გაგებით. და რომ ფორტ-უერტში ცხოვრებისას იგი ბუდისტურ ტაძარში დადიოდა. მსროლელის დედა კატლინ ალექსისი ბრუკლინში ცხოვრობს. მან ოფიციალური წერილით ითხოვა პატიება იმისთვის, რაც მისმა შვილმა ჩაიდინა, იმ ტკივილისთვის, რაც მისმა შვილმა აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანებს მიაყენა.

აარონის მამინაცვალი ფრენკ კალდერონი ნიუ იორკში ცხოვრობს. მან ინტერვიუში გერის საზარელი საქციელის მიზეზების შესახებ ძალზე საინტერესო ვერსია წარმოადგინა: **თურმე 2000-იანი წლების დასაწყისში აარონი ტყუპი ცათამბჯენებიდან ერთ-ერთში საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილებაში მუშაობდა. იგი სასწაულებრივად გადარჩა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებისას — ის იყო მეტროდან ამოვიდა, როდესაც პირველი ცათამბჯენი ჩამოინგრა. ტერაქტის სხვა მომსწრეებთან ერთად ახალგაზრდა კაცი დაზარალებულების საშველად გაიქცა, მაგრამ იმ დღეს ნანახმა ალექსისის ფსიქიკაზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა და მას პოსტტრავმული სტრესის სინდრომი ჩამოუყალიბდა.**

კვლავინდებურად გაურკვეველია ერთი რამ: **როგორ მოახერხა არასტაბილური ფსიქიკის ადამიანმა იარაღის შეძენა? ვაშინგტონში მომხდარმა ტრაგედიამ კვლავ დააბრუნა ამერიკა იმ სადავო საკითხთან, რომელიც იარაღის შენახვას ეხება.** ნიუ იორკის მერი მაიკლ ბლუმბერგი, რომელიც არალეგალური იარაღის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლია, რახანია აცხადებს, რომ ათასობით ადამიანს, რომელსაც წარსულში სისხლის სამართლის დანაშაულებები აქვს ჩადენილი, თავისუფლად შეუძლია იარაღის ყიდვა ინტერნეტით. მის მიერ ჩამოყალიბებული მოძრაობის წევრებმა ჩაატარეს კვლევა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ **ინტერნეტში იარაღის შეძენის თაობაზე განცხადებების განმთავსებელი ყოველი 600 ადამიანიდან 30-ს წარსულში სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი. მათი გათვლებით, დაახლოებით 25 ათასი ადამიანი სპეციალურ საიტებზე უკანონოდ ყიდულობს იარაღს და ეს ინტერნეტში იარაღით უკანონო ვაჭრობის აისბერგის მხოლოდ მწვერვალია.**

მერი კონგრესს მოუწოდებს, მიიღონ კანონი, რომელიც იარაღის ყველა მყიდველის შემოწმებას მოითხოვს, მაგრამ ამ აზრს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, მათ შორის არის ალან გოტლიბიც, ძველებური იარაღის გულმხურვალე კოლექციონერი და ორგანიზაცია Second Amendment Foundation-ის დამაარსებელი. მისი აზრით, ძალიან კარგი იქნებოდა ვაშინგტონის მოსახლეობას თავდაცვის მიზნით იარაღის ტარების უფლება რომ ჰქონდეთ, შეიარაღებული „კარგი ბიჭები“ მრავალი სიცოცხლის გადარჩენას შეძლებდნენ და სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზაზე დახოცილებიც ახლა ცოცხლები იქნებოდნენ. ამიტომაც, მისი ლოგიკით, კონგრესი „დრამის გარეშე“ უნდა დანებდეს და იარაღთან დაკავშირებით გამკაცრებული კანონების მიღებაზე უარი თქვას.

რაც შეეხება აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას, მან ახლახან სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ ვინაიდან კონგრესის 535 წევრს შორის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო აზრის გულმხურვალე მომხრეები ორ ბანაკად არიან გაყოფილნი, კონგრესს ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ძალზე გაუჭირდება.

forum.polismi.org

# პენტაგონი მზადაა, ამერიკის მოქალაქეების ბუნტები ჩაახშოს



**ამერიკის შეერთებული შტატების არმია, კარგა ხანია, საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ საომრად ემზადება. სამხედრო სტრატეგებმა შიდა არეულობების ჩახშობის მთელი პროგრამა დაამუშავეს და მისი რეალიზაციისთვის 20-20 ათასი ადამიანისგან შემდგარი ცალკეული ქვედანაყოფებიც შექმნეს. აშშ-ის ხელისუფლებას მშვენივრად ესმის, რომ ეკონომიკური კრიზისი რაც უფრო გაღრმავდება, მით უფრო მეტად გამოვლინდება არა მხოლოდ უკმაყოფილება მოსახლეობის მხრიდან, არამედ აგრესიული პროტესტიც.**

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურად ეზრდება უფლებამოსილებები ნებისმიერი „შიდა საფრთხის“ შემთხვევაში და ეს, უპირველესად, სტიქიურ უბედურებებს ეხება. ამ პოლიტიკისთვის საფუძვლის ჩაყრას ამერიკის ხელისუფლება ჯერ კიდევ შვიდი წლის წინ შეუდგა. 2006 წლის დოკუმენტში „ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგია“ აღნიშნულია, რომ მასშტაბური კატასტროფების შემთხვევაში — ქარიშხლების, ცუნამის ან მიწისძვრების დროს დასაშვებია ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების ნაწილობრივი გადაცემა სამხედროებისთვის.

სინამდვილეში ხელისუფლება სულ სხვა სტიქიის შემოტევებისთვის ემზადება. **2008 წელს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის სტრატეგიაში აშშ-ის უსაფრთხოების მტერთა სია შეავსო რადიკალურად ანტისახელისუფლო იდეოლოგიის ორგანიზაციების შესაძლო გაჩენამ. ამით ამერიკის ხელისუფლებამ ღიად გამოაცხადა ომი საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ.**

გასულ თვეში პენტაგონმა მიიღო ოფიციალური უფლებამოსილება, ჩაერიოს შიდა მოვლენებში განსაკუთრებული სიტუაციების ან საზოგადოებრივი არეულობების შემთხვევაში. **„არმიის ფედერალურ მეთაურობას უფლება აქვს, ექსტრაორდინალური გარემოებების პირობებში დროებით საკუთარ თავზე აიღოს ფართომასშტაბიანი არეულობების ჩახშობის ვალდებულება“,** — წერს ბრიტანული The Guardian არმიის შესახებ კანონში უკანასკნელი ცვლილებების შესახებ. **ექსტრაორდინალურ გარემოებებად ითვლება სიტუაცია, როდესაც შეუძლებელია პრეზიდენტისგან პირდაპირი განკარგულების მიღება და ადგილობრივი ხელისუფლების უუნარობა, აკონტროლოს სიტუაცია.**

2010 წელს პენტაგონმა უკვე ჩაატარა ფართომასშტაბიანი სწავლებები, რომელთა დროსაც მსგავსი სიტუაციები გაითამაშეს. კერძოდ, ამ სწავლებებისას მუშავდებოდა შეიარაღებული ძალების მოქმედებები ეკონომიკური კოლაფსის გაღრმავების შემთხვევაში.

**სერიოზული სახალხო მღელვარებისთვის და მასობრივი არეულობების ჩახშობისთვის ემზადება ამერიკის პოლიციაც, რომელიც ყოველდღიურად სულ უფრო მეტად ემსგავსება არმიას.** უპირველესად ეს ეხება SWAT-ის რაზმებს, რომელთა რაოდენობაც ყოველდწლიურად იზრდება და რომელთაც საბრძოლო ქვედანაყოფების პროგრამით ამზადებენ. ჩვეულებრივი პოლიცია, თავის მხრივ, სპეცრაზმის მეთოდებს ითვისებს და პოტენციური დამნაშავეების წინააღმდეგ უკიდურესი სიმკაცრით მოქმედებს.

სამომავლო ბუნტების მოლოდინი მხოლოდ ვარაუდი არ არის. მოსახლეობის მასობრივ მღელვარებას მოასწავებს იმ მონაცემების ანალიზი, რომელიც სულ ახლახან გამჟღავნებულმა საყოველთაო თვალთვალის პროგრამა PRISM-მა მოაგროვა. ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო იღებს და აანალიზებს პეტაბაიტობით ინფორმაციას, რომელიც მომხმარებლებმა Google-ს, Facebook-ს ან Microsoft-ს ანდეს.

**ეკონომიკურმა კრიზისმა ქვეყნის შიგნით ჯაშუშობა გააძლიერა. ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს განსაკუთრებული ყურადღების ობიექტები გახდნენ პოლიტიკოსები გარემოს დამცველთა რიგებიდან. მაგრამ ახლა აშშ-ის ხელისუფლებას ყველასა და ყველაფრის ეშინია და მზადაა, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ უკანასკნელი ვაზნის გასროლამდე იბრძოლოს.**

vpoanalytics.com

1984 წელს სპეცდანიშნულების რაზმები ჰყავდა 25 ათასიდან 50 ათასამდე მოსახლეობის მქონე ქალაქების 25,6%-ს. 2005 წლისთვის ეს მაჩვენებელი 80%-ს გაუტოლდა და დღეს ნასას, განათლების დეპარტამენტს, ჯანდაცვის დეპარტამენტს, სოციალურ სამსახურებს, ნაციონალური პარკების, მეთევზეობისა და ბუნების დაცვის სამსახურებს, სამომხმარებლო საქონლის უსაფრთხოების სამსახურსაც კი აშშ-ში საკუთარი სპეცრაზმები ჰყავთ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ ეშინიათ ამერიკელებს პოლიციელების?



**ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ პოლიცმენი აშშ-ში ძალზე პატივსაცემი მოქალაქე იყო, პოლიციაში მუშაობა კი საპატიო საქმედ ითვლებოდა. ახლა ამერიკელ პოლიციელებს შორის სულ უფრო იშვიათად თუ შეხვდებით ისეთ „კარგ ბიჭებს“, როგორებიც ჰოლივუდურ ბოევიკებში გვინახავს, რომლებსაც მოხუცები გზებზე გადაჰყავთ ან ბავშვებს ეხმარებიან ხიდან კნუტის ჩამოყვანაში. დღეს ამერიკელებს სულ უფრო ხშირად ეშინიათ პოლიციელების, ამ უკანასკნელთ კი სულ უფრო მეტი ძალაუფლება აქვთ საკუთარ თანამოქალაქეებთან მიმართებაში.**

რიგით ამერიკელებს საკმარისზე მეტი მიზეზი აქვთ იმისთვის, რომ საკუთარი პოლიციისა ეშინოდეთ. მასმედია ყოველ დღე აჭრელებულია პოლიციელთა „გმირობების“ ამსახველი მყვირალა სათაურებით. უკანასკნელი პერიოდის კრიმინალური ქრონიკის რამდენიმე შედევრი სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ნებისმიერს ნათელი წარმოდგენა შეექმნას ამერიკის პოლიციის შესახებ.

**ნაცვლად იმისა, რომ დაეხმარონ მოხუცებს, ამერიკელმა პოლიციელებმა წინააღმდეგობის გაწევის გამო პირდაპირ მოხუცთა თავშესაფარში ადგილზევე ჩაცხრილეს 95 წლის მოხუცი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი.**

ნაცვლად იმისა, რომ ბავშვებს ხიდან კნუტების ჩამოყვანაში დაეხმარონ, ცამეტმა კბილებამდე შეიარაღებულმა და სპეცოპერაციისთვის სრულად ეკიპირებულმა პოლიციელმა ცხოველების თავშესაფარში შველი მოკლა. და ეს ერთადერთი შემთხვევა არაა, მხოლოდ ჩიკაგოს პოლიციამ ბოლო რამდენიმე წელიწადში 488 ცხოველი ჩაცხრილა.

კანონიერებისა და წესრიგის გარანტი შერიფი მხოლოდ ჰოლივუდურ ბოევიკებშია. სინამდვილეში კი ბანდიტები კი არა, ლოს-ანჟელესის საოლქო შერიფის სამმართველოს თანამშრომლები სცემდნენ წლების მანძილზე შიშის ზარს ენტილოპ ველის რაიონს. **პოლიციელები ყოველგვარი ორდერების გარეშე შეცვივდებოდნენ სახლებში, ატარებდნენ ჩხრეკებს, უკანონოდ აპატიმრებდნენ ადამიანებს...**

**ჩიკაგოში პოლიციელებმა, ცდილობდნენ რა დაკავებულისგან მოეპოვებინათ აღიარება, რომ ქურდობდა და ნარკოტიკებით ვაჭრობდა, პისტოლეტით გააუპატიურეს იგი.**

**ფლორიდაში პატრულმა აბსოლუტურად უკანონოდ მოკლა მოზარდი მისი „საეჭვო გამომეტყველების“ გამო. „საეჭვოდ“ პოლიციას ბავშვის თავზე წამოხურული კაპიუშონი მოეჩვენა.**

ინდიანის შტატის მთავრობამ მიიღო კანონი, რომელიც მოქალაქეებს უფლებას აძლევს, ცეცხლი გაუხსნან პოლიციელებს, თუ ეს უკანასკნელნი საკმარისი საფუძვლის გარეშე ან მცხოვრებთა ნებართვის გარეშე ცდილობენ მათ სახლებში შეჭრას და ამ უკანასკნელთ ამ შეჭრის უკანონობასთან დაკავშირებით „გონივრული ეჭვი“ აქვთ. ასევე კანონის თანახმად, მოქალაქეებს უფლება აქვთ, თავდაცვის მიზნით ესროლონ პოლიციელებს, თუ შიშობენ, რომ მათ ან მათი ახლობლების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

ეს კანონი გასულ წელს მას შემდეგ მიიღეს, რაც შტატის უმაღლესმა სასამართლომ განიხილა პოლიციის ოფიცერზე თავდამსხმელი მოქალაქის საქმე. თავდასხმა მოხდა მაშინ, როდესაც პოლიციელი მის სახლში შეჭრას ცდილობდა. რესპუბლიკელმა სენატორმა რ. მაიკლ იანგმა, კანონპროექტის ავტორმა, წარმოადგინა ჰიპოტეზური სიტუაცია, რომლის სცენარითაც სახლში შეჭრილ პოლიციელს შეეძლო ოჯახის უფროსის ცოლის ან ქალიშვილის გაუპატიურება. ამგვარ სიტუაციაში ახალი კანონის გარეშე სახლის პატრონს უფლება არ ექნებოდა, თუნდაც თითი გაენძრია მის სახლში შევარდნილი მოძალადე პოლიციელის შესაჩერებლად, მას მხოლოდ იმის უფლება ექნებოდა, რომ შემდგომში პოლიციელისთვის სასამართლოში ეჩივლა.

მაგრამ ინდიანა ერთადერთი შტატია ამერიკაში, რომელშიც მოქალაქეებს პოლიციისგან კანონი იცავს და არა პირიქით. შესაძლოა, ეს ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ აშშ-ის ხელისუფლებას უკმაყოფილების ზრდისა ეშინია. ამერიკაში ხომ ბოლო წლებში განუხრელად იზრდება პოლიციელების რაოდენობა.

**ზოგიერთ ქალაქს შეუძლია პოლიციის მომცრო არმიებითაც კი იტრაბახოს. მაგალითად, ნიუ იორკის პოლიცია, რომელსაც ქალაქის მერი მაიკლ ბლუმბერგი ასე სიყვარულით უწოდებს ხოლმე თავის პირად გვარდიას, 36 ათას თანამშრომელს ითვლის. ჩიკაგოში წესრიგს 13400 პოლიციელი ამყარებს, ლოს-ანჯელესში — 10 ათასი. ამგვარ პოლიციურ სიძლიერეს, ცხადია, თავისი საფასურიც აქვს. იგივე ლოს-ანჯელესი პოლიციაზე წელიწადში 2 მილიარდ დოლარზე მეტს ხარჯავს. უკანასკნელ რვა წელიწადში პოლიციის ხარჯები 36%-ით გაიზარდა.**

ამასთან, პოლიციის სამმართველო სულ უფრო ხშირად იქცევა სპეცრაზმის გასამხედროებულ საშტურმო რაზმად. **1984 წელს სპეცდანიშნულების რაზმები ჰყავდა 25 ათასიდან 50 ათასამდე მოსახლეობის მქონე ქალაქების 25,6%-ს. 2005 წლისთვის ეს მაჩვენებელი 80%-ს გაუტოლდა და დღეს ნასას, განათლების დეპარტამენტს, ჯანდაცვის დეპარტამენტს, სოციალურ სამსახურებს, ნაციონალური პარკების, მეთევზეობისა და ბუნების დაცვის სამსახურებს, სამომხმარებლო საქონლის უსაფრთხოების სამსახურსაც კი აშშ-ში საკუთარი სპეცრაზმები ჰყავთ.**

თუ 1980 წელს სპეცრაზმმა 3000 რეიდი ჩაატარა, 2001 წლისთვის ეს მაჩვენებელი 45 ათასამდე გაიზარდა, ახლა კი წელიწადში 80 ათას რეიდს უტოლდება. საშუალოდ დღევანდელ ამერიკაში დღეში 100-მდე ოჯახში სპეცრაზმი სტუმრობს.

## პოლიცია არის იმ დიდი ფედერალური პროექტის ნაწილი, რომლის მიზანიც აშშ-ში მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვა და მათზე ტოტალური კონტროლის დამყარებაა

ამ ყველაფრის პარალელურად **აშშ-ის პოლიცია დაკავებულია თავისი თანამოქალაქეების ღია რეკეტით და საამისოდ მშვენივრად იყენებს „სამოქალაქო კონფისკაციის“ მუხლს, რომელიც 1984 წელს მიღებულ დანაშაულებებთან ბრძოლის შესახებ კანონში ჩაიწერა.** ამ კანონის მიხედვით, პოლიციელებს უფლება აქვთ, ჩამოართვან მოქალაქეებს ფული, ნივთები და ქონება იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც გასამართლებულნი არ ყოფილან რაიმე დანაშაულის გამო და საერთოდაც არაფერი ჩაუდენიათ კანონსაწინააღმდეგო. პოლიციელები აქტიურად სარგებლობენ ამ შესაძლებლობით.

**ფილადელფიაში პოლიციამ სახლი ჩამოართვა ხანდაზმულ წყვილს მხოლოდ იმის გამო, რომ მათმა შვილმა თითქოსდა ამ სახლის ზღურბლზე 20 დოლარად გაყიდა მარიხუანა. ტეხასში ცოლ-ქმარს, ფაქტობრივად, შვილების „გაყიდვა“ შესთავაზეს. პოლიციელები დაემუქრნენ მათ, რომ ციხეში ამოალპობდნენ ფულის გათეთრების ბრალდებით, მათ ნაშიერებს კი ბავშვთა დაცვის სამსახურს გადასცემდნენ, თუ მთელ თავიანთ ფულს პოლიციას არ მისცემდნენ.**

ახალ ამბებში ყოველდღიურად ჩნდება ისტორიები, რომლებშიც პოლიციელების სასტიკი ქცევებია ასახული. თვით ხელისუფლებისადმი ტრადიციულად ლოიალურ მედიაშიც კი მსჯელობენ იმის შესახებ, რომ **პოლიციის რიგებში სულ უფრო ხშირად ხვდებიან ნამდვილი სადისტები და კაციჭამიები, რომლებიც სახელმწიფოსგან ყოველგვარ ამაზრზენ თვითნებობაზე ლიცენზიას იღებენ.** მთელი ამერიკა ჩივის პოლიციელების უხეშობაზე და მათ მცდელობაზე, ფიზიკური ძალით და არც თუ იშვიათად იარაღით მოაგვარონ ნებისმიერი პრობლემა.

მრავალი ექსპერტი თანხმდება აზრზე, რომ **სამართალდამცავიდან სადამსჯელო ორგანოდ პოლიციის გარდასახვის პროცესი ხელისუფლების ინიცირებულია. პოლიცია არის იმ დიდი ფედერალური პროექტის ნაწილი, რომლის მიზანიც აშშ-ში მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვა და მათზე ტოტალური კონტროლის დამყარებაა.** „ტერორისტული თავდასხმის საფრთხე“, რომელსაც ყველა საშუალებით ახვევენ თავს მოსახლეობას, მშვენიერი საბაბი გამოდგა იმისათვის, რომ გაზრდილიყო პოლიციის რიცხოვნებაცა და უფლებამოსილებაც. რაც შეეხება ტოტალური თვალთვალის პროგრამებს, რომელთა დაფარვაც ველარ მოხერხდა, ეს ამერიკის პოლიციურ სახელმწიფოდ ქცევის კიდევ ერთი ასპექტია.

ru.fbii.org



## აშშ-ის პოლიცია დაკავებულია თავისი თანამოქალაქეების ღია რეკეტით და საამისოდ მშვენივრად იყენებს «სამოქალაქო კონფისკაციის» მუხლს, რომელიც 1984 წელს მიღებულ დანაშაულებებთან ბრძოლის შესახებ კანონში ჩაიწერა


## სტალინის ფონდი დახმარებას გთხოვთ!

**2013 წლის თებერვალში შეიქმნა (დაფუძნდა) ი. ბ. სტალინის ფენომენის შესწავლის, მემორიალებისა და ძეგლების აღდგენის ფონდი. მისი მიზანი მის დასახელებაშივე ჩანს. ჩვენ, დამფუძნებლები, გამგეობისა და კრების წევრები, თანხის მოზიდვის მიზნით, დიდ აგიტაციას ვეწევით საზოგადოებაში, რომლის შედეგად ფონდში ნელ-ნელა შემოდის თანხა.**

ფონდის საბანკო რეკვიზიტები:

1. სს „ლიბერთი ბანკი“. მიმღები ბანკის SWIFT კოდი: LBRTGE22

მიმღების დასახელება — ი. ბ. სტალინის ფენომენის შესწავლის, მემორიალებისა და ძეგლების აღდგენის ფონდი.

ანგარიშსწორების ანგრიში — GE67LBO115183520536000

2. სს „თიბისი ბანკი“. საბანკო კოდი — TBCBGE22

მიმღების დასახელება — ი. ბ. სტალინის ფენომენის შესწავლის, მემორიალებისა და ძეგლების აღდგენის ფონდი.

ანგარიშსწორების ანგარიში — GE18TB7437736080100001.

**გთხოვთ, მოქალაქეებმა ყურადღება გამოიჩინოთ და ფულადი დახმარება გაუწიოთ ფონდს. წინასწარ გიხდით მადლობას.**

პატივისცემით,
ფონდის თავმჯდომარე თამაზ ჯაპოშვილი

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა ფაქტებს ამერიკელი ამომრჩევლისათვის? ფაქტობრივად — არა! თუ დეზინფორმირებულ ადამიანებს მისცემთ ფაქტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მათი არასწორი წარმოდგენების კორექტირება, ისინი კიდევ უფრო მეტი თავგანწირვით ებღაუჭებიან თავიანთ პირველად მრწამსს.**

# მათი მორალი: ახალშობილების მკვლელობა აბორტისგან არ განსხვავდება

**სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „სამედიცინო ეთიკაში“ (Journal of Medical Ethics) ნათქვამია, რომ ახალშობილები, ფაქტობრივად, პიროვნებები არ არიან და სიცოცხლის მორალური უფლება არ გააჩნიათ. ავტორები ასევე ამტკიცებენ, რომ მშობლებს უფლება უნდა ჰქონდეთ, მოკლან საკუთარი შვილები, თუ დაბადების შემდეგ აღმოაჩენენ, რომ ბავშვი ინვალიდია.**



ჟურნალის რედაქტორი, ოქსფორდის უნივერსიტეტის ეხიროს ცენტრის დირექტორი, პროფესორი ჯულიან სავულესკი ამბობს, რომ სტატიის გამოქვეყნების წუთიდანვე მის ავტორებს დახოცვით ემუქრებიან, მაგრამ, მისივე განმარტებით, მუქარისა და შეურაცხყოფის შემცველი გზავნილების ავტორები არიან „ფანატიკოსები, რომლებიც ლიბერალური საზოგადოების ღირებულებებს ეწინააღმდეგებიან“.

სტატიის სათაურია **„პოსტნატალური აბორტი. საჭიროა თუ არა, რომ ბავშვმა იცოცხლოს?“** მისი ავტორები არიან ზემოხსენებული პროფესორ სავულესკის ორი ყოფილი ასისტენტი — ალბერტო ჯიუბილინი და ფრანჩესკა მინერვა.

ისინი ამტკიცებენ, რომ **„ჩვილის მორალური სტატუსი ემბრიონის მორალური სტატუსის ექვივალენტურია იმ გაგებით, რომ არც ერთს და არც მეორეს არ გააჩნიათ თვისებები, რომლებიც გაამართლებდა მათთვის სიცოცხლის უფლების მინიჭებას“.**

ახალშობილი არის არა **„სრულფასოვანი პიროვნება“**, არამედ **„პოტენციური პიროვნება“**. ავტორები განმარტავენ: **„ცხადია, რომ როგორც ჩანასახი, ისევე ახალშობილიც ადამიანური არსება და პოტენციური პიროვნებაა, მაგრამ იგი არამც და არამც არ წარმოადგენს პიროვნებას, როგორც სიცოცხლის მორალური უფლების მქონე სუბიექტს“.**

**„ჩვენ ვამბობთ სიტყვა „პიროვნებას“ იმ ინდივიდუმის აღსანიშნავად, რომელსაც შესწევს უნარი, თავისი არსებობა გააიგივოს, როგორც მინიმუმ, საბაზისო ღირებულებებთან, რომლისთვისაც არსებობის უფლების წართმევა დანაკარგი იქნებოდა“.**

ამ მსჯელობით სტატიის ავტორები ამტკიცებენ, რომ **„შეუძლებელია, ახალშობილს მიაყენო შესაბამისი მორალური ზიანი, თუ არ დაუშვებ პიროვნებად ჩამოყალიბების მისი პოტენციალის განვითარებას“.**

საბოლოო დასკვნა ასეთია: **„ის, რასაც ჩვენ პოსტნატალურ აბორტს ვუწოდებთ (ახალშობილთა მკვლელობა), დაშვებულ უნდა იქნეს იმავე შემთხვევებში, რა შემთხვევებშიც დაშვებულია აბორტი, იმ სიტუაციების ჩათვლით, როდესაც ახალშობილები ინვალიდები არ არიან“.**

მათივე მტკიცებით, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის დაბადებამდე მშობლებმა არ იცოდნენ მისი ინვალიდობის შესახებ, მათ უფლება უნდა მიეცეთ, მოკლან ბავშვი დაბადების შემდეგ. ამ მტკიცების საფუძვლად ავტორები იშველიებენ სტატისტიკას, რომ ევროპაში მუცლადყოფნის პერიოდში დაუნის სინდრომის დიაგნოსტირება მხოლოდ შემთხვევათა 64%-ში ხდება შესაძლებელი. დანარჩენ შემთხვევებში კი, როდესაც ბავშვი დაუნის სინდრომით იბადება, მშობლებს არ აქვთ არჩევანი და ერთადერთი გამოსავალი რჩებათ, დაიტოვონ ასეთი ბავშვი.

**„ამგვარი ბავშვის გაზრდა, შესაძლოა, დაუძლეველი ტვირთი იყოს როგორც ოჯახისთვის, ისევე საზოგადოებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ეკონომიკურად უზრუნველყოფს მის მოვლას“.**

ალბერტო ჯიუბილინი და ფრანჩესკა მინერვა არ ამტკიცებენ, რომ ზოგიერთი ბავშვის მკვლელობა უფრო დასაშვებია, ვიდრე დანარჩენების. მათი ლოგიკა ისაა, რომ, **მორალური თვალსაზრისით, მნიშვნელობა არ აქვს, ახალშობილს მოკლავ თუ ემბრიონს, მით უფრო, რომ აბორტები, დიდი ხანია, ლეგალიზებულია.** უბრალოდ მათ ტერმინს „ბავშვების დახოცვა“ ტერმინი „პოსტნატალური აბორტი“ ურჩევნიათ, რათა ხაზი გაუსვან, რომ **„ახალშობილის მორალური სტატუსი ემბრიონის სტატუსის თანასწორია“.**

როგორც მინერვა, ისევე ჯიუბილინი პროფესორ ჯულიან სავულესკუს ოქსფორდიდან იცნობენ.

მინერვა მეცნიერთანამშრომელი იყო ოქსფორდის პრაქტიკული ეთიკის ცენტრ სუეხიროში, სადაც იძუტარო სუეხიროსა და სხვა ავტორების სოციალური უფლებების მარქსისტულ გაგებასთან მიახლოებულ ნაშრომებს შეისწავლიდნენ, მანამ, ვიდრე გასული წლის ივნისში მელბურნის უნივერსიტეტში პრაქტიკული ფილოსოფიისა და საზოგადოებრივი ეთიკის ცენტრში არ გადავიდა სამუშაოდ.

რაც შეეხება ჯიუბილინს, იგი ჯერ კიდევ კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტობისას მიიწვიეს ოქსფორდის მარტინ-სკოლაში მოხსენებით „რა არის ევთანაზიის პრობლემა?“. ოქსფორდ-მარტინის სკოლაში, სადაც პროფესორი სავულესკუ ასევე დირექტორად მუშაობს, არსებობს კომისია, რომელიც მომავალი თაობების პრობლემებზე მუშაობს.

ჯიუბილინი დადიოდა მელბურნშიც, ასევე ქალაქ მონაშის უნივერსიტეტშიც. ამ უნივერსიტეტებშიც პროფესორი სავულესკუ მუშაობდა, ვიდრე 2002 წელს ოქსფორდში გადავიდოდა.

**ზემოხსენებული სტატიის გამოქვეყნების გა-** ▶

# მეცნიერებმა დაამტკიცეს: პოლიტიკა აზროვნების უნარს კლავს!




**იელის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა დენ კეჰენმა მთელი რიგი გონივრული კვლევები ჩაატარა იმის გასარკვევად, თუ რა ზემოქმედებას ახდენს პოლიტიკური ვნებათაღელვა ნათელი აზროვნების უნარზე. დასკვნა შემზარავია: პარტიული სიმპათია „ანადგურებს თვით საბაზისო სააზროვნო შესაძლებლობებს... კარგი მათემატიკური განათლების მქონენი ვერ უმკლავდებიან უმარტივეს ამოცანებს მხოლოდ იმიტომ, რომ სწორი პასუხები მათ პოლიტიკურ მრწამსს არ შეესაბამება“.**



სხვაგვარად რომ ვთქვათ, დროა, გამოვემშვიდობით ყველანაირ ოცნებას იმაზე, რომ განათლება და გონივრული დასკვნები ადამიანებს უზრუნველყოფს კარგი გადაწყვეტილებების მისაღები ინსტრუმენტებითა და ინფორმაციით. როგორც ჩანს, **როგორც კი საუბარი შეეხება საზოგადოებრივ საკითხებს, ნამდვილი პრობლემა არა ინფორმაციის უკმარისობაა, არამედ ის, თუ როგორ მუშაობს ჩვენი ტვინი. და მნიშვნელობა არ აქვს, ვის რამდენად ჭკვიანად მიაჩნია საკუთარი თავი.**

ადამიანებს მოსწონთ, თავს რაციონალურად მოაზროვნედ თვლიდნენ, მაგრამ სინამდვილეში ისინი მხოლოდ პოსტფაქტუმ ახდენენ იმის რაციონალიზაციას, რისი რწმენისკენაც ემოციები უბიძგებთ.

ჩვენი ტვინის მოწყობა აბსოლუტურად უიმედოდ ტოვებს დემოკრატიის პრინციპებს და ამაზე დორტმუტის კოლეჯის დოცენტი ბრენდან ნაიენი წლების განმავლობაში მუშაობდა. იგი კოლეგებთან ერთად ატარებდა ექსპერიმენტებს, რათა პასუხი მიეღო თავზარდამცემ კითხვაზე: **აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა ფაქტებს ამერიკელი ამომრჩევლისათვის?**

პასუხი: **ფაქტობრივად — არა! თუ დეზინფორმირებულ ადამიანებს მისცემთ ფაქტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მათი არასწორი წარმოდგენების კორექტირება, ისინი კიდევ უფრო მეტი თავგანწირვით ებღაუჭებიან თავიანთ პირველად მრწამსს.**

აი, ნაიენის ზოგიერთი დასკვნა:

**ადამიანები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი იპოვეს, კიდევ უფრო მეტად დარწმუნდნენ ამაში მას შემდეგ, რაც წაიკითხეს სტატია, რომელშიც დამტკიცებული იყო, რომ სინამდვილეში მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია.**

**ადამიანები, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ჯორჯ-ბუშ უმცროსმა აკრძალა ყველანაირი კვლევები ღეროვანი უჯრედების შესწავლასთან დაკავშირებით, კვლავაც ასე ფიქრობენ მას შემდეგ, რაც წაიკითხეს მამხილებელი სტატია, რომ სინამდვილეში დაიხურა მხოლოდ რამდენიმე პროგრამა, რომლებიც ფედერალური სახსრებით ფინანსდებოდა.**

**ადამიანებს, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ მათთვის მთავარი ეკონომიკაა და უკმაყოფილონი არიან ამ სფეროში ობამას პოლიტიკით, აჩვენეს გრაფიკი, რომელზეც გრაფიკი, რომელიც დაახლოებით მილიონი სამუშაო ადგილის მომატებას ასახავდა. ამის შემდეგ კითხეს, გაიზარდა, შემცირდა თუ უცვლელი დარჩა ქვეყანაში დასაქმებულთა რაოდენობა. ცდის ობიექტები პირდაპირ გრაფიკს უყურებდნენ და ირწმუნებოდნენ, რომ დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა.**

კეხენმა ექსპერიმენტის ზოგიერთ წევრს სთხოვა, შეედგინათ ცხრილი ციფრებისგან და მასში აესახათ, ამცირებს თუ არა საცხი კანზე გამონაყარს. ექსპერიმენტის სხვა წევრებს სთხოვა, ასევე ციფრებით შეედგინათ მეორე ცხრილი, რომელიც ასახავდა, შეამცირებს თუ არა დანაშაულებებს კანონი, რომელიც კერძო პირებს მალულად იარაღის ტარებას აუკრძალავს. კეხენმა შენიშნა, რომ ადამიანები იმ შემთხვევაში, თუ ცხრილში მოცემული ციფრები ეწინააღმდეგებოდა იარაღის შენახვასთან დაკავშირებით მათ მოსაზრებებს, ვერ ახერხებდნენ მარტივი გამოთვლების სწორად შესრულებას, თუმცა სახეზე გამონაყართან დაკავშირებით იგივე გათვლები უპრობლემოდ შეასრულეს. **რაც ყველაზე უარესია, რაც უფრო კარ-** ▶



**გასულ წელს 26 ათასზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ განიცადა არასასურველი სექსუალური კონტაქტი. სახეზეა შემზარავი პროგრესირებადი დინამიკაც: 2010 წელს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა 19200 ჯარისკაცი და ოფიცერი, 2011 წელს კი — 22600.**

◀ **დაწყვეტილების გასამართლებლად პროფესორმა სავულესკუმ განაცხადა, რომ ახალშობილთა მკვლელობის სასარგებლო არგუმენტებში მნიშვნელოვანწილად სიახლე არ ყოფილა. ავტორებმა მხოლოდ უკვე არსებული არგუმენტები გამოიყენეს „დედისა და ოჯახის ინტერესების გათვალისწინებით".**

თავიდანვე იცოდა რა, რომ უამრავი ადამიანი არ დაეთანხმებოდა მათ არგუმენტებს, პროფესორმა დაწერა, რომ **„სამედიცინო ეთიკის ჟურნალის მიზანია არა ერთადერთი სიმართლის წარმოდგენა ან რაიმე მორალური წარმოდგენებისთვის ხელშეწყობა, არამედ საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულებებზე დაფუძნებული არგუმენტების წარმოდგენა".**

The Daily Telegraph-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მან დასძინა: **„ეს „დებატები" ძალიან ჰგავდა იმას, როდესაც ადამიანთა ჯგუფმა იცის, ვინ არის ჯადოქარი და სურს, იპოვოს და კოცონზე დაწვას. ეს ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ადამიანური მიდრეკილებაა. ეს ლინჩირებასა და გენოციდს განაპირობებს. ნაცვლად იმისა, რომ იდეის გამო იკამათონ და იბრძოლონ, არსებობს მისწრაფება, აიძულონ გააჩუმონ, უკიდურეს შემთხვევაში სულაც მოკლან საკუთარი მორალური თვითგანსაზღვრების გამო. ეს ის საზოგადოება არ არის, რომელშიც უნდა ვცხოვრობდეთ".**

მისი თქმით, ჟურნალი განიხილავს იმ სტატიის გამოქვეყნების საკითხს, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ, თუ ახალშობილის მკვლელობასა და აბორტს შორის მორალური სხვაობა არ არის, აბორტებიც უნდა აიკრძალოს.

**Telegraph**

◀ **გად იცოდა ექსპერიმენტის მონაწილემ მათემატიკა, მით უფრო მეტად მოქმედებდა პოლიტიკური შეხედულებები ამოცანების სწორად ამოხსნის უნარზე.**

დასკვნები, რაც ამ ყველაფერს მოჰყვება, ცხადია, არავის გაახარებს. ყველას უნდა სჯეროდეს, რომ **ნებისმიერ ადამიანზე უფრო მეტ ობიექტურ ზეგავლენას მოახდენს მორიგი სტატია ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის ან ღეროვანი უჯრედების შესწავლის შეწყვეტის შესახებ. მაგრამ ჩვენი ტვინის მუშაობის შესწავლა ცხადყოფს, რომ პოლიტიკური მრწამსი შეუვალია იმ ფაქტების მიმართ, რომლებიც მის საწინააღმდეგოს ამტკიცებს.**

უკვე ცნობილი ფაქტების რაოდენობისა და ხარისხის ზრდა ცუდად ინფორმირებულ ამომრჩეველს კარგად გაცნობიერებულ მოქალაქედ ვერ აქცევს. ეს მხოლოდ აღრმავებს მათ მცდარ პოზიციებს. როდესაც ჩვენი მრწამსი და ფაქტები ერთმანეთს ეჯახება, ორთაბრძოლაში მუდამ მრწამსი იმარჯვებს. გონებაზე ემოციების გამარჯვება აშლილობა და გაუმართაობა არ არის, ეს ჩვენი „ოპერაციული სისტემის" მუშაობის პრინციპია.

**AlterNet**

# გმირები ვარდისფერ შარვლებში




**პენტაგონი მთელი თავგანწირვით არისხებს განგაშის ზარებს: ყოველწლიურად ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი ჯარში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება. თუმცა, როგორც ჩანს, ეს მდგომარეობა ბარაკ ობამას იმ პოლიტიკის შედეგია, რომლის თანახმადაც აშშ-ის არმიის კარი ფართოდ გაიღო სექსუალური უმცირესობებისთვის. დღეს ახალგაზრდა ამერიკელ გეებს ჯარში მსახურებისკენ ერთადერთი „უკანა" აზრები უბიძგებს.**

რამდენიმე დღის წინ აშშ-ის არმიის 55 სამხედრო მოსამსახურე ცენტრალიზებულად ჩამოაშორეს საკუთარი მოვალეობების შესრულების პროცესს. **მათ ბრალად ედებათ სექსუალური თავდასხმები როგორც სხვა ჯარისკაცებზე, ასევე მოხალისეებზე, ასევე იმ ბავშვებთან უხეში მოპყრობა, რომლებიც გარნიზონებში თავიანთ მშობლებთან — დაქირავებულ მომსახურე პერსონალთან ერთად ცხოვრობენ.** პენტაგონიდან წყარო იუწყება, რომ **გამოვლენილ მოძალადეებს „ჩამოერთვათ ნდობა და თანამდებობები, მაგრამ მათი შემდგომი ბედის შესახებ განკარგულებები ჯერ მიღებული არ არის".**

საინტერესოა, რომ აღნიშნული „წმენდა" ჩატარდა იმ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რომელიც აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა დაუკვეთა. საქმე ისაა, რომ **პენტაგონის მიერ სენატისთვის მომზადებულ ანგარიშში მოყვანილმა ციფრებმა ყველას თავზარი დასცა, უპირველეს ყოვლისა კი, თავად ამერიკის უმაღლესი მეთაურობის წარმომადგენლებს.** შეგახსენებთ, **გასულ წელს 26 ათასზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ განიცადა არასასურველი სექსუალური კონტაქტი. სახეზეა შემზარავი პროგრესირებადი დინამიკაც: 2010 წელს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა 19200 ჯარისკაცი და ოფიცერი, 2011 წელს კი — 22600.**

შემთხვევათა თითქმის 60%-ის დროს საუბარია მამაკაცის იძულებაზე, სექსუალური კავშირი დაამყაროს მამაკაცთან. ამასთან, **სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების მატება სასწაულებრივად დაემთხვა იმ აკრძალვის გაუქმებას, რომლის თანახმადაც ჯარში ჰომოსექსუალებს არ უშვებდნენ.** 2011 წლამდე აშშ-ის არმიაში მოქმედებდა ნორმა „არ იკითხო, არ ილაპარაკო", რომლის თანახმადაც, სექსუალური უმცირესობების ღია წარმომადგენლებს სამარცხვინოდ უშვებდნენ ჯარიდან. სულ ამ ფორმულირებით კანონის მოქმედების 18-წლიან პერიოდში არმიიდან 14 ათასი ჯარისკაცი განდევნეს. სამაგიეროდ ახლა, როგორც ჩანს, საპირისპირო პროცესი მიმდინარეობს. ჯერ ერთი, **სულ უფრო მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი აღიარებს, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელია, მეორეც, სექსუმცირესობების ჯარში მიღებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ძნელი მისახვედრი არ არის, ახალგაზრდა გეები ფიქრობენ, რომ ყაზარმებში გაცილებით იოლად იპოვიან სექსუალურ პარტნიორებს, ვიდრე სამოქალაქო ცხოვრებაში.**

უნდა აღინიშნოს, რომ **აშშ-ის ხელისუფლება ყველანაირად ხელს უწყობდა მოვლენათა ამგვარ განვითარებას, როდესაც ნებართვას იძლეოდა არმიაში გეი-აღლუმების მოწყობისთვის, სექსუალური უმცირესობების ბეჭდვითი პროდუქციის გავრცელებისთვის.** მაგალითად, 2011 წლის აგვისტოში კანონის „არ იკითხო, არ ილაპარაკო" ოფიციალური გაუქმების დღის აღსანიშნავად სახმელეთო ჯარში, ფლოტსა და სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზებში დარიგდა სპეციალურად სამხედროებისთვის შექმნილი გეი-ჟურნალის ახალი ნომერი. მასში დაბეჭდილი იყო აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში მაღალი თანამდებობების მქონე სექსუალური უმცირესობების ღია წარმომადგენელთა პირველი ასეულის ფოტოები. იმავე დღეს სან-დიეგოში 300-მდე სამხედრო მოსამსახურემ პირველად გაიარა ქუჩაში თავისი არატრადიციული ორიენტაციის საქვეყნოდ აღიარებისთვის. მას შემდეგ ზემოხსენებული ჟურნალიც და გეიაღლუმებიც ამერიკული სამხედრო კულტურის განუყოფელ ნაწილებად იქცა.

**2013 წლის დასაწყისში აშშ-ის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ ჰომოსექსუალ სამხედრო მოსამსახურეთა პარტნიორები უამრავ ახალ უპირატესობებს მიიღებდნენ. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხებოდა საბავშვო ბაღებისა და საავადმყოფოების მომსახურებით სარგებლობისას შეღავათებს, ასევე კომპენსაციურ დახმარებებს იმ პარტნიორებისთვის, რომლებმაც „მეორე ნახევრები" სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ან უგზო-უკვლოდ დაკარგეს.** ამასთან, განმცხადებლებისთვის სავალდებულო არ არის, რომ მისი ურთიერთობა გეისამხედროსთან კანონიერად იყოს დარეგისტრირებული თუნდაც იმ 12 შტატში, რომლებშიც უკვე დაკანონებულია ერთსქესიანი ქორწინებები. საკმარისია სამართლებრივი ფორმის შევსება, რომელშიც მტკიცდება, რომ „ორი ადამიანი ერთმანეთისთვის ერთადერთი პარტნიორები არიან, სერიოზული ურთიერთობები აქვთ და მზად არიან, ეს სტატუსი უსასრულოდ შეინარჩუნონ". თავის მხრივ **უფლებადამცველები შეღავათების სიას ახასიათებენ, როგორც სრულყოფილებისგან ძალზე შორს მდგომს და პირობას დებენ, რომ მასში აუცილებლად დაამატებენ, სულ მცირე, წელიწადში ერთ მოგზაურობას საზღვარგარეთ მეუღლეებისთვის.**

ბიუჯეტის ფორმირებისთვის პენტაგონის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ახლა **აშშ-ის არმიაში მსახურობს 5600 ადამიანი, რომლებიც „სამოქალაქო ქორწინებაში" იმყოფებიან საკუთარი სქესის წარმომადგენლებთან. ნაციონალური გვარდიისა და სარეზერვო ძალების რიგებში ასეთი 3400 ჯარისკაცი აღმოჩნდა, ვეტერანებს შორის კი — 8000.**

რაც შეეხება იმ ამერიკელ ჯარისკაცებს, რომლებიც სამშობლოსგან შორს მსახურობენ, მათ სოციალური ქსელები ეხმარებათ. მაგალითად, ავღანეთში მომსახურე ჯარისკაცები ერთმანეთს შორის გეიპარტნიორების საძებნელად სპეციალურ საიტებს იყენებენ. ჯარისკაცები ამ საიტებზე საკუთარ განცხადებებთან ერთად წელს ქვემოთ გადაღებულ ფოტოებსაც აქვეყნებენ.

ადგილებზე მყოფი მეთაურები სულაც არ არიან წინააღმდეგნი, რომ ჯარისკაცებმა ასე გამოიყენონ ინტერნეტი. მათ მხოლოდ ის აწუხებთ, რომ ჰორმონების მოზღვავება ცუდად მოქმედებს დისციპლინაზე.

გამოდის, რომ **ბარაკ ობამამ კანონის „არ ილაპარაკო, არ იკითხო" გაუქმებისას არ გაითვალისწინა საზოგადოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰომოსექსუალიზმისადმი. შედეგად ზემოდან თავსმოხვეული გეიკულტურის აგრესიული ექსპანსია განაპირობებს საპასუხო რეაქციას იმ სამხედროების მხრიდან, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით არ იზიარებენ ჰომო-ვნებებს. როდესაც კონფლიქტის საფუძველი სექსუალური სხვადასხვაობაა, ცხადია, ძალადობის აქტიც აუცილებლად მოიცავს სექსუალური დამცირების ელემენტებს.**

დღეს ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი აღიარებს, რომ გეია, კიდევ ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი ვერ იტანს მათ სწორედ სექსუალური ორიენტაციის გამო. შედეგად, დღეს ამერიკის ჯარში ყოველდღიურად სექსუალური ძალადობის 70 შემთხვევა ფიქსირდება.

**ru.fbii.org**

# «საყოველთაო კეთილდღეობის» დასასრული

**ადრე თუ გვიან ამგვარ დასასრულზე ვიღაცას ხმამაღლა უნდა განეცხადებინა. ექსპერტები კი ამ, რბილად რომ ვთქვათ, უსიამოვნებას უკვე ხუთი წელი „მოუთმენლად" ელოდნენ და ამავე დროს იმაზე თანხმდებოდნენ, რომ აღნიშნული გარდაუვალობის გახმოვანებას ევროპელი წარჩინებულნი უთუოდ ანდობდნენ რომელიმე მონარქს, რომლის სტატუსს არ ემუქრება ხალხის რისხვა. ასეც მოხდა!**

დავუშვათ (ღმერთმა არ ქნას), გარდაცვლილიყო მისი უდიდებულესობა ხუან კარლოსი და უმალ „შავი მაცნის" არასახარბიელო მისიას აღასრულებდა პრინცი ფილიპე. მაგრამ მოხდა ისე, რომ ახლახან პენსიაზე გავიდა დედოფალი ბეატრიქსი და „უბედურების მაცნის" როლი ერგო მის ვაჟიშვილს.

მოკლედ, რამდენიმე დღის წინ ახლადგამომცხვარმა ნიდერლანდების მეფემ — ვილემ-ალექსანდრემ აცნობა ქვეშევრდომებს (ჩათვალეთ, მთელ ევროპას) „საყოველთაო კეთილდღეობის" სახელმწიფოს აღსასრულზე. **„XX საუკუნის სოციალური სახელმწიფო აღარ არსებობს",** — საჯაროდ განაცხადა მისმა უდიდებულესობამ და იქვე განმარტა, რომ **დგება participation cociety-ის ეპოქა,** იგივე, **„აქტიური მონაწილეობის საზოგადოება",** ანუ, უფრო გასაგებად, **„ჯუნგლების კანონებზე აწყობილ-მორგებული საზოგადოება",** რომელშიც თითოეულ ადამიანს მოუწევს, პიროვნულად აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე და ოჯახის კეთილდღეობაზე, შესაბამისად, აღარ უნდა იქონიოს იმედი მზრუნველი სახელმწიფოს დახმარებაზე, უპირველეს ყოვლისა, სამედიცინო მომსახურეობაზე, საპენსიო უზრუნველყოფაზე, ახალგაზრდულ გარანტიებსა და უმუშევრობის შემწეობაზე.

ძალზე სერიოზული ექსპერტების აზრით, **ეს ნიშნავს „ლამაზი ზღაპრის" — „საყოველთაო აყვავების საზოგადოების" — დასასრულს, რომელიც „ფაქიზად" გადადის ახალ** (უფრო ზუსტად, ძველ და საფუძვლიანად დავიწყებულ) **სტადიაში, როდესაც თითოეულს მოუწევს, „იბრძოლოს გადარჩენისთვის ნებისმიერი კანონიერი საშუალებებით"...** ასეთი არასახარბიელო პერსპექტივა ყველა ანალიტიკოსსა და სპეციალისტს მეტად აღელვებს.

აი, რას ამბობს ინგლისის ერთ-ერთი წამყვანი ფუტუროლოგი, **პოლ ელსი: „ეკონომიკური განვითარების კანონზომიერება არ აძლევს ევროპას საშუალებას, დაბრუნდეს იმ ძველ კარგ დროში, მაგრამ ახალ პირობებში ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, უარი ვთქვათ იმ მაღალ ზნეობრივ ფასეულობებზე, რომლებითაც ასე ვამაყობდით".** ინგლისელს ხმას უბავს მისი გერმანელი კოლეგა — **ხოს ვილკე: „უეჭველია, რომ გაჭირვებულთა სოციალურ მხარდაჭერაზე უარის თქმა, რაც არ უნდა ფაქიზად განხორციელდეს ის, სერიოზული მუქარაა სოციალური მსოფლიოსთვის და ურთიერთშეგუების წესებისთვის".**

ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი დავარქვათ: **„ცივილიზირებული" მსოფლიო შედის იმ დიდი ხნის წინ დავიწყებულ მონაკვეთში, როდესაც არც „დამსახურებულ დასვენებაზე", არც „ყველა მსურველის განათლებაზე", არც გარანტირებულ შრომით მოწყობაზე და უმუშევართა შემწეობაზე ვინმე არც კი ოცნებობდა!** შედის იმ მონაკვეთში, როდესაც გადარჩენისთვის ყველა იბრძოდა ყველას წინააღმდეგ და როდესაც ხელისუფლება ეომებოდა უიმედობისგან გაცხოველებულ საზოგადოებას.

კიდევ ერთხელ დადასტურდა, — „ამქვეყნად არაფერია მარადიული!" მოსყიდული მასმედიის მიერ ყოველმხრივ ნაქები „დიდი ეპოქა" მორიგი ბლეფი აღმოჩნდა, რომელიც დაძრწოდა ევროპაში და მარჯვნივ-მარცხნივ იმავე მასმედიის მიერ გონებაწართმეულ საზოგადოებას ავანსებს ურიგებდა. ზღაპარი, რომელიც მაგნიტივით იზიდავდა ნახევარ მსოფლიოს, დასრულდა; ხოლო წინ რა გველის, არავინ იცის, თუმცა ერთი რამ უტყუარია — არაფერი კარგი...

**Livejournal.com**

თარგმნა **გიორგი კორძაძე**

ვაჰ, დრონი...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ქალი ძველ ჩინეთში უუფლებო იყო. შეიძლებოდა მისი ყიდვაც და გაყიდვაც, წკეპლით ცემაც, მაგრამ განსაკუთრებით სავალალო ქვრივების ხვედრი იყო, რაც ხშირად იძულებულს ხდიდა მათ, გამოსალმებოდნენ წუთისოფელს. თვითმკვლელობის ჩვეულება ფართოდ იყო გავრცელებული XX საუკუნემდე.

# ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-35 (204-222)

## დრაკონების თამაშები (ჩინეთი) „ის, რომელიც შიგნითაა“

**„თუ ვინმეს მუდმივად ძინავს ერთსა და იმავე ქალთან, მაშინ მისი (ქალის) სასიცოცხლო ძალები თანდათან სუსტდება იქამდეც კი, რომ მას აღარ ძალუძს კაცისთვის სარგებლის მოტანა. იგი (ქალი) მისი (კაცის) ძალით იკვებება, ის კი (კაცი) ამის გამო სუსტდება (ხდება)“,** — ასე ამბობდა ლიუ ცინი, ბრძენი დაოსი, და სწორედ დაოსიზმმა და კონფუციანელობამ ჩამოაყალიბა ძველი ჩინეთის მოსახლეობის ცხოვრების წესი.

**სოციალური ცხოვრება რეგლამენტდებოდა კონფუციონელობით — ქალი მამაკაცზე დაბლა იდგა, ცოლის როლი კი განისაზღვრებოდა იმით, რომ ქმრის მორჩილი მსახური ყოფილიყო და უკვდავეყო მისი სახელი ვაჟების დაბადებით.**

სექსუალურ ცხოვრებაში კი დაოსიზმით ხელმძღვანელობდნენ, რომლის მიხედვით, ინ-იანის თეორიით, სექსუალურ აქტს საკრალური მნიშვნელობა ენიჭებოდა და სასქესო ორგანოები განიხილებოდა, როგორც დიადი კოსმოსის ნაწილი, შეერთების აქტი კი, როგორც მომენტი, როცა ადამიანები თავიანთი სხეულის გარსიდან გადიან და წამიერად სამყაროს შეერწყმიან. **მიაჩნდათ, რომ სექსი არა მარტო სიამტკბილობაა, არამედ ჯანმრთელობის, ახალგაზრდობის, ხანგრძლივი სიცოცხლის მთავარი პირობაა. ამიტომ ცოლის ან ხარჭის არჩევისას მთავარი პარტნიორის ჯანმრთელობაზე მისი კეთილსასურველი გავლენის შესაძლებლობა იყო. ყველაზე უკეთ ამ ამოცანის შესრულებას ქალწული უზრუნველყოფდა, რადგან მისი მკერდი ჯერ არ შეევსო რძეს, ხოლო მისი სუბსტრატი ინი არ იყო დახარჯული.** ამას ემატებოდა მკვრივი სხეული, აბრეშუმივით სრიალა კანი და ჯანსაღი, დაუძაბავად მოძრავი სახსრები. სიმაღლე — არცთუ მაინც და მაინც მაღალი. ხასიათი — ნაზი და ალერსიანი.

**„ქალი ჩრდილია, გამოძახილია“,** — ამბობს ჩინური ანდაზა. ამ „ჩრდილის“ ცხოვრებას განსაზღვრავდა მორჩილების სამი კონფუციანური პრინციპი: **გათხოვებამდე უნდა დაუჯეროს მამას, გათხოვების შემდეგ დაემორჩილოს ქმარს, მისი გარდაცვალების შემთხვევაში კი — თავის ვაჟიშვილს.**

მომავალ ცოლებს უმკაცრეს პირობებში ზრდიდნენ, მათ სისპეტაკეს ხინჯიც არ უნდა მიჰკარებოდა. კონფუცის მიხედვით, ოჯახური ცხოვრება მკაცრ დისციპლინას უნდა დაქვემდებარებულიყო, რომელსაც სქესთა დაყოფა განსაზღვრავდა. **ქალებსა და კაცებს სახლის სხვადასხვა ნახევარში უნდა ეცხოვრათ. მათი განცალკევება ვრცელდებოდა საყოფაცხოვრებო წვრილმანებზეც: ეკრძალებოდათ პირადი ნივთების ერთად შენახვა და ტანსაცმლის ერთ საკიდზე დაკიდება.**

**ქალწულობის დაცვა ქორწინებამდე აუცილებელი იყო. პატარძლის ქალიშვილობას მკაცრად ამოწმებდნენ: „დაქორწინებას წინ უსწრებდა შეუღლების კონტრაქტის შედგენა სიძე-პატარძლის ოჯახებს შორის. მას შემდეგ, რაც ორივე მხარე ამ დოკუმენტის ყველა პუნქტზე შეთანხმდებოდა, პატარძალს თავისი ქალწულობის მტკიცებულება უნდა წარედგინა. ამ მიზნით იგი აბანოში მიჰყავდათ, სადაც ამ საქმეში დახელოვნებული მატრონები შეეცდებოდნენ ქალის სასქესო ორგანოში მტრედის კვერცხის შეტენას. მათი მცდელობა თუ უშედეგოდ დამთავრდებოდა, ქალწულობა დამტკიცებულად ითვლებოდა“...** თუ პირიქით, მაშინ ახალგაზრდა ქალს „გაფუჭებულად“ ჩათვლიდნენ, **„პატარძლის მამას უნდა გადაეხადა შეთანხმებული საზღაური“** *(მარკო პოლო).*

კონფუცის მიხედვით, იდეალურად ითვლებოდა ნეი ცხოვრება (**„ის, რომელიც შიგნითაა“**), — ქალის, რომელიც სრულად კონცენტრირებულია ოჯახზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას დამცინავად ეკიდებოდნენ და საშიშადაც კი მიაჩნდათ.

**ცოლის ოთხ სათნოებად ითვლებოდა: უმანკოება, თავმდაბლობა, აკურატულობა და შრომისმოყვარეობა.** ჩინელი ცოლის კიდევ ერთი სათნოება სრულიად გაუგებარი და მიუღებელი იყო ევროპელი ქალისთვის, კერძოდ, მთავარი ცოლის კეთილმოსურნე დამოკიდებულება სხვა ცოლებისა და ხარჭების მიმართ, რომლებსაც, ანდაზის მიხედვით, „კარგი ცოლი ქმრისთვის იპოვის“. მათი რაოდენობა დამოკიდებული იყო სახლის პატრონის შეძლებულობაზე. **საშუალო ფენის მდიდარ კაცს შეიძლება ჰყოლოდა სამი ან ოთხი ცოლი და რამდენიმე ხარჭა, უმაღლესი ფენის წარმომადგენლებს ჰყავდათ ექვსიდან თორმეტამდე ცოლი, ხოლო დიდ მხედართმთავრებსა და თავადებს ოცდაათი და მეტი ცოლი თითოეულს.**

ჩინელის სახლი რთული სისტემით იყო წარმოდგენილი, რომელიც ემყარებოდა საოჯახო იერარქიის ტრადიციას. თითოეული ქალის ადგილი ზუსტად იყო განსაზღვრული: **მოსამსახურენი ხარჭებს ემორჩილებოდნენ, ხარჭები — ცოლებს, ყველანი კი, გამონაკლისის გარეშე, — პირველ ქალბატონს, მამის მთავარ ცოლს.** ქალებს ერქვათ: **„ქალბატონი პირველი“, „ქალბატონი მეორე“** და ასე შემდეგ. რაც უფრო დიდი იყო



**სოციალური ცხოვრება რეგლამენტდებოდა კონფუციონელობით — ქალი მამაკაცზე დაბლა იდგა, ცოლის როლი კი განისაზღვრებოდა იმით, რომ ქმრის მორჩილი მსახური ყოფილიყო და უკვდავეყო მისი სახელი ვაჟების დაბადებით**

რიცხვი, მით უფრო ნაკლები პატივისცემით სარგებლობდა მისი პატრონი. **მთავარი ცოლი ბატონის ყველა შვილის დედად ითვლებოდა. ბატონის გარდაცვალების შემდეგ მართვის სადავეები მისი უფროსი ვაჟის მთავარ ცოლს გადაეცემოდა.**

ოჯახის მთავარ ქალბატონს გააჩნდა თითქმის ყველა ის უფლება, რომელსაც მისი ქმარი ფლობდა. ფართო იყო მისი გავლენის სფერო, რომელიც ვრცელდებოდა წესრიგის დაცვაზე, მეურნეობის მართვაზე, მოსამსახურეთა ყურისგდებაზე, უმცროსი ბავშვების სწავლა-აღზრდაზე. იგი დიდი პატივით იყო გარემოსილი, მაგრამ უცხო თვალს არ ენახებოდა, იშვიათად მონაწილეობდა მაღალი წრის ცხოვრებაში.

**თითოეული ქალის მოვალეობა სახლში მკაცრად იყო გაწერილი. მათ შესრულებას დღის უდიდესი ნაწილი ეთმობოდა, მამაკაცები კი თითქმის მთელ დღეს ოჯახს გარეთ ატარებდნენ: ჩინოვნიკები სამსახურში იყვნენ დაკავებული, ვაჭრები — დუქნებში, მათი მრავალრიცხოვანი ცოლები საკუთარ თავს იყვნენ მინდობილი.** თავიანთ ბატონს მხოლოდ სადილის დროს ხვდებოდნენ. ერთადერთი ადგილი კი, სადაც მასთან საუბარი პირისპირ შეეძლოთ, საწოლი იყო. ხარჭებს ასეთი ბედნიერი შესაძლებლობა ეძლეოდათ გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე მთავარ ცოლს. თუმცა დადგენილი იყო ისეთი წესიც, რომ ხარჭას სქესობრივი აქტის დამთავრებისთანავე უნდა დაეტოვებინა საძინებელი ოთახი.

**ხარჭის როლი, ემოციური თვალსაზრისით, არ იყო ისეთი რთული, როგორც მთავარი ცოლის. და თუ კონფუცის მიხედვით, ამ უკანასკნელის შესახებ „სახლის გარეთ არაფერი არ უნდა ისმოდეს“, ხარჭებს, პირიქით, საყოველთაო სახილველად გამოფენდნენ ხოლმე. მათი სილამაზე და ღირსება პატრონის სიამაყის საგანი იყო.**

სახლის პატრონის ურთიერთობა ხარჭებთან, როგორც წესი, უფრო ახლობლური იყო, ვიდრე ცოლთან, რადგან მათი ძირითადი მოვალეობა ბატონისთვის ფიზიკური და სულიერი სიამოვნების მინიჭება იყო. **ყველაზე ნიჭიერი ხარჭები უკრავდნენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, შესანიშნავად მღეროდნენ, ცეკვავდნენ, შეეძლოთ ლექსის წერა და პატრონთან ჭადრაკის თამაში. ზოგიერთმა მათგანმა კაცებს პოეზიაშიც აჯობა და სიმღერების შექმნაშიც.** ხარჭები პატრონს თან ახლდნენ, როცა იგი მეგობრებს სტუმრობდა და ეხმარებოდნენ სტუმრების ღირსეულად მიღებაში. ისეც ხდებოდა, რომ ხარჭა ევროპაში წარგზავნილ ჩინელ დესპანს თან ახლდა, როგორც ცოლი.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ **ცოლს, რომელიც, როგორც წესი, დიდებულის ოჯახიდან იყო, „ბარბაროსებთან“ ურთიერთობა პირადი ღირსების შელახვად მიაჩნდა.** ხარჭა ევროპიდან სამშობლოში დაბრუნებისთანავე მისთვის განკუთვნილ ადგილს იკავებდა. იგი ოჯახის წევრად კი ითვლებოდა, მაგრამ ცოლის ფარდი უფლებებით არ სარგებლობდა, რაც მას მეტ თავისუფლებას ანიჭებდა. ასე, მაგალითად, ცზენ პუს რომანის „ყვავილები ბოროტების ზღვაში“ გმირ ქალ ცაიუნს შეეძლო მთავარი ცოლისთვის განეცხადებინა: **„რა წესიერებაზეა ლაპარაკი? როგორც კი საშუალება მოგეცემათ, წესიერებით მაშინებთ. ეს წესები თქვენთვის არსებობს და თქვენც ყოველ ფეხის ნაბიჯზე მათ შესახებ ყვირით! მე კი მხოლოდ და მხოლოდ ხარჭა ვარ, უფლებები მე არ მაქვს, მაშ, წესების დაცვაზეც ნუ მელაპარაკებით! თუ გსურთ, წესიერად მოვიქცე, მიბოძეთ თქვენი წოდება კანონიერი ცოლის!“**

და მაინც მთავარი, რასაც ხარჭები სრულყოფილად ფლობდნენ, იყო სიყვარულის ხელოვნება. მას უნდა ეზრუნა მამაკაცის სექსუალური აქტივობის შენარჩუნებაზე, რადგან მამაკაცურ ძალა იანს მუდმივად სჭირდებოდა ქალური სუბსტრატ ინის გამათავისუფლებელი ზემოქმედება. **ხარჭა ეხმარებოდა თავის ბატონს ძალების აღდგენაში, ზოგჯერ გარკვეული ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვაშიც კი, რაც ცოლის მხრიდან მის საქმეებში წარმოუდგენელ ჩარევად იყო მიჩნეული.** დახმარება ზოგჯერ ფრიად უხერხული ხასიათისა იყო, რადგან პატრონს უფლება ჰქონდა ხარჭისთვის დაევალებინა (პატრონის) მფარველთან დაწოლილიყო.

**სახლში არსებული ფსიქოლოგიური ატმოსფეროს დაცვა მთავარ ცოლზე იყო ბევრად დამოკიდებული, რადგან სხვა მოვალეობებთან ერთად გარდუვალი კონფლიქტების მოგვარება სწორედ მას ეკისრებოდა.** ჩინელი ქალების ცხოვრება საკმაოდ მონოტონურად მიმდინარეობდა, ჭორაობას, ინტრიგებსა და წაჩხუბებას გარკვეული ხალისი (თუნდაც უსიამოვნო) შეჰქონდა ამ ერთფეროვნებაში. დაპირისპირების მიზეზი ბატონის გულში მთავარი ადგილის მოპოვებისთვის ▶



**ქალწულობის დაცვა ქორწინებამდე აუცილებელი იყო. პატარძლის ქალიშვილობას მკაცრად ამოწმებდნენ**

**სიმშვიდის შენარჩუნება საკუთარ სახლში პატრონისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. იგი ცდილობდა, შეენარჩუნებინა მშვიდი სიტუაცია წონასწორობის დაცვით — თითოეული ქალისთვის შესაბამისი ყურადღების მიქცევით, მისი სისუსტეებისა და ახირებულობის გათვალისწინებით.**

## ვაჰ, დრონი...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბრძოლაც იყო. **მთავარი ცოლი მოვალე იყო, ამ „შინაურ ომებზე“ მაღლა მდგარიყო. ქმრისადმი მისი სიყვარული არ შეიძლებოდა დაპირისპირებოდა მეუღლის დამოკიდებულებას ხარჭებისადმი, რომელთაც იგი გაცილებით მეტ დროს უთმობდა.** საჭირო იყო თანასწორი ურთიერთობის შენარჩუნებაც სახლის სხვა ბინადართა მიმართაც, რაც არცთუ იშვიათად ლესბოსური ხასიათისა იყო, — არავისთვის არ უნდა მიენიჭებინა უპირატესობა და არც მტრული დამოკიდებულება გაემჟღავნებინა. ქალთა ჩხუბი ზოგჯერ საკმაოდ ემოციური იყო, პირველ ქალბატონს დამნაშავენი მსუბუქად შეიძლება დაესაჯა. ქმარი მხოლოდ მაშინ ჩაერეოდა, თუ დანაშაული სერიოზული ხასიათისა იყო, მაგალითად, თუ გამჟღავნდებოდა მისი ცოლის მოსამსახურესთან ღალატის ფაქტი. ასეთ შემთხვევაში მას ორივეს დაუნდობლად დასჯის უფლება ჰქონდა. ზოგჯერ, როცა იგი ვერ შეძლებდა გადაწყვეტილების მიღებასა და განაჩენის გამოტანას, მაშინ საქმე გადაეცემოდა კლანის უხუცესებს განსახილველად. ზოგჯერ (წვრილ მოვაჭრეთა ან ხელოსანთა წრეში) უმაღლეს არბიტრად გილდიის მეთაური გამოდიოდა. **ქმარს ჰქონდა უფლება, უარი ეთქვა თავის ცოლზე და უწინდელ ოჯახში დაებრუნებინა. საკუთარ ოჯახში ხარჭის დაბრუნება დრამატული ხასიათისა იყო. როგორც წესი, მისი მშობლები ღარიბები იყვნენ და ქალი იძულებული იყო, იმ პროფესიაში „ემოღვაწა“, რომელშიც გათვითცნობიერებული იყო — დაეწყო მეძავობა.**

**ქალი ძველ ჩინეთში უუფლებო იყო. შეიძლებოდა მისი ყიდვაც და გაყიდვაც, წკეპლით ცემაც, მაგრამ განსაკუთრებით სავალალო ქვრივების ხვედრი იყო, რაც ხშირად იძულებულს ხდიდა მათ, გამოსალმებოდნენ წუთისოფელს. თვითმკვლელობის ჩვეულება ფართოდ იყო გავრცელებული XX საუკუნემდე.**

„ახლა გადავიდეთ ორი თავისებური ჩვეულების აღწერაზე, რომლებიც მხოლოდ ქვრივ ქალებს ეხება, იმათ, ვინც მეორედ არ თხოვდება. ქმრის სიკვდილის შემდეგ ზოგიერთი გადაწყვეტს, აღარ იცოცხლოს და თავს იკლავს. ჩინური თვითმკვლელობა განსხვავდება ინდური „სატის“ ჩვეულებისგან იმით, რომ აქ გამორიცხულია თავის დაწვა. ქვრივების თვითმკვლელობის საშუალებები ფრიად მრავალფეროვანია. ერთნი ოპიუმს მიიღებენ, ქმრის ცხედარს მიუწვებიან და საუკუნო ძილით იძინებენ. სხვები უარს ამბობენ საკვებზე და შიმშილისგან კვდებიან ან წყალში იხრჩობენ თავს, ან საწამლავს სვამენ. კიდევ ერთი საშუალება, რომელსაც ზოგჯერ აქ იყენებენ, საჯაროდ თავის ჩამოხრჩობაა საკუთარ სახლთან ან სახლში თვითმკვლელობის შესახებ წინასწარი გამოცხადებით, რათა ყველამ, ვისაც ამის ხილვა სურს, შეძლოს დასწრება და თვალის მიდევნება.

**მიზეზი, რომლებიც ქვრივ ქალებს თვითმკვლელობისკენ უბიძგებს, სხვადასხვაა. ზოგიერთს, უეჭველია, გარდაცვლილის სიყვარული და უსასოობა კარნახობს; სხვას — უკიდურესი სიღარიბე და პატიოსანი შრომით საარსებოდ საკმარისი სახსარის გამომუშავების შეუძლებლობა; მესამეს — დაუნდობლობა ქმრის ნათესავების მხრიდან.**

ღარიბ ოჯახებში ზოგჯერ გარდაცვლილი ქმრის ძმები ურჩევენ ან დაჟინებით მოითხოვენ მათგან, რათა ახალგაზრდა ქვრივი ხელმეორედ გათხოვდეს. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს, რომელიც აქ დაახლოებით ერთი წლის წინათ მოხდა და აიძულა ახალგაზრდა ქვრივი, საჯაროდ ჩამოეხრჩო თავი, მაზლის დაჟინებული მოთხოვნა იყო, რათა რძალი ხელმეორედ გათხოვილიყო. როცა ქვრივმა უარი განაცხადა, მაზლმა მიანიშნა, რომ იმ სიღარიბის გამო, რომელშიც მათი ოჯახი ცხოვრობდა, ერთადერთი გამოსავალი ქალის მეძავობა იყო. შეურაცხყოფილმა ქვრივმა გადაწყვიტა, თავი მოეკლა და აღსრულების დროც გამოაცხადა. დათქმულ დღეს წავიდა ტაძარში, რომელშიც გამოფენილი იყო ფირფიტები იმ ქალების უკვდავსაყოფი სახელებით, რომლებიც გამოირჩნენ „სათნოებითა და მოკრძალებით“. ტაძარი ქალაქის სამხრეთ ჭიშკართან მდებარეობდა. ტაძარში და უკან იგი წააბრძანეს ტახტრევანით, რომელიც ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელში გამოწყობილ ოთხ კაცს მიჰქონდა. ხელში ცოცხალი ყვავილების თაიგული ეჭირა. შესაბამისი რიტუალის შესრულების შემდეგ, იგი შინ დაბრუნდა და მრავალრიცხოვანი მოწმის თანდასწრებით მოიკლა თავი“ *(ჯასტეს დულილი. ჩინური საზოგადოების ცხოვრება. 1867).*

### ჰარმონია ქალთა სავანეში

ცოლების, ხარჭებისა და მოსამსახურეების დიდი რაოდენობა, რომლებიც ყველა სექსუალურ მოთხოვნას უკმაყოფილებდნენ პატრონს, სულაც არ ნიშნავდა, რომ სახლში სამოთხისებური ცხოვრება სუფევდა. **ქალებს გარკვეული მდგომარეობა და კონკრეტული უფლებები ჰქონდათ, რომლებიც სახელმწიფოს მიერ და ტრადიციებით იყო განმტკიცებული და სახლის პატრონი ვალდებული იყო, დაეცვა ისინი.** მას უნდა უზრუნველეყო ქალების შენახვა, მიენიჭებინა მათთვის სექსუალური სიამოვნება, აგრეთვე, დაემყარებინა სიმშვიდე და წესრიგი ოჯახში.

უწინარეს ყოვლისა, უნდა დაეცვა „საქსუალური თანასწორობა“ ცოლებისა და ხარჭების მიმართ. ყოველი მათგანისთვის საჭირო ყურადღება უნდა მიექცია საძილე ოთახში (სხვა ადგილებში ეს საჭირო არ იყო). **ნებისმიერი ქალის იგნორირება სერიოზულ დარღვევად ითვლებოდა. ამ შემთხვევაში არც სილამაზეს, არც ასაკს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, სექსუალურ ჭრილში ყველა თანასწორი იყო** და საჭირო იყო ოქმის ყველა მოთხოვნის შესრულება, რაც თავის მხრივ



**ცოლის ოთხ სათნოებად მიიჩნევდნენ: უმანკოებას, თავმდაბლობას, აკურატულობასა და შრომისმოყვარეობას**

ითვალისწინებდა დადგენილი რიგითობისა და სქესობრივი კავშირის სიხშირის დაცვას ცოლებთან და ხარჭებთან ყოფნის დროს.

„ცერემონიის წიგნში“ კერძოდ ნათქვამია: **„დაბერებულ ხარჭასთანაც კი, რომელსაც 50 წლამდე არ მიუღწევია, ქმარი ვალდებულია 5 დღეში ერთხელ დაამყაროს სქესობრივი კავშირი. თავის მხრივ, ისიც ვალდებულია, როცა ქმრის საწოლთან მიიყვანენ, იყოს სუფთად დაბანილი და კოხტად ჩაცმული: იგი უნდა იყოს დავარცხნილი, როგორც ჯერ არს, დახატული სახით, ეცვას გრძელი კაბა და შესაბამისად შეკრული საშინაო ფეხსაცმელი“.**

ქმარს სექსუალური მოვალეობის შესრულებისთვის შეეძლო თავი აერიდებინა მშობლების დაღუპვის გამო სამთვიანი გლოვის პერიოდში. საერთოდ შეწყვეტის უფლება ეძლეოდა 70 წელს მიტანების შემდეგ (ზოგიერთ ტექსტში მითითებულია 60 წლის ასაკი).

**სიმშვიდის შენარჩუნება საკუთარ სახლში პატრონისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. იგი ცდილობდა, შეენარჩუნებინა მშვიდი სიტუაცია წონასწორობის დაცვით — თითოეული ქალისთვის შესაბამისი ყურადღების მიქცევით, მისი სისუსტეებისა და ახირებულობის გათვალისწინებით.** საწინააღმდეგო სიტუაციაში ვითარება კონტროლს აღარ დაექვემდებარებოდა და „საშინაო ომს“ სახლის უფროსისთვის შეიძლება სერიოზული უსიამოვნებანი მოჰყოლოდა, რაც კარიერულ და ფინანსურ კრახში გამოიხატებოდა: ჩინოვნიკს შეიძლება დაეკარგა სამუშაო ადგილი, ვაჭარს — მუშტრის ნდობა. ამ ორიდან პირველი ხდებოდა იმიტომ, რომ, **ძველი ჩინელების რწმენით, მამაკაცი, რომელიც თავის ოჯახში წესრიგს ვერ ამყარებს, არ არის ღირსი, დაიკავოს საპასუხისმგებლო თანამდებობა.** მეორის მიზეზი კი ფრიად პროზაული იყო: მიაჩნდათ, რომ სახლს, რომელშიც ურთიერთობა აირევა, აუცილებლად დაუდგება ფინანსური შეჭირვების ჟამი.

**მთავარი ცოლი ბატონის ყველა შვილის დედად ითვლებოდა. ბატონის გარდაცვალების შემდეგ მართვის სადავეები მისი უფროსი ვაჟის მთავარ ცოლს გადაეცემოდა**



**საშუალო ფენის მდიდარ კაცს შეიძლება ჰყოლოდა სამი ან ოთხი ცოლი და რამდენიმე ხარჭა, უმაღლესი ფენის წარმომადგენლებს ჰყავდათ ექვსიდან თორმეტამდე ცოლი, ხოლო დიდ მხედართმთავრებსა და თავადებს ოცდაათი და მეტი ცოლი თითოეულს**

შეფასებებისა და სასჯელების გრძელ ნუსხაში, რომლებიც ჩამოთვლილი იყო **„ღირსებისა და ნაკლის ტაბულებში“ (ჰუნ გო გე),** ჩამოწერილი იყო მამაკაცების ნაკლოვანებანი. კერძოდ, უფრო მეტი ცოლისა და ხარჭის ყოლა, რომელთა დაკმაყოფილებაც ოჯახის უფროსს შეეძლო; საძინებლის გარეთ ცოლებთან და ხარჭებთან აშკარა არშიყი; ფავორიტიზმის გამოვლენა ცოლებთან და ხარჭებთან ურთიერთობაში, საკუთარი სასიყვარულო წარმატებებით ტრაბახი ცოლებისა და ხარჭების წინაშე, ეროტიკული ნახატების საჯარო ჩვენება და ა. შ.

**„ცოლები და ხარჭები მთელ დღეს უძღვნიან წვრილ-წვრილი საოჯახო საქმეების შემოწმებას. მას შემდეგ, რაც საკუთარ ვარცხნილობას მოაწესრიგებენ, სახეზე პუდრსა და ფერუმარილს წაისვამენ, მას შემდეგ, რაც მუსიკასა და ბანქოს თამაშს დაამთავრებენ, მათ ისღა დარჩებათ, რომ ასიამოვნონ თავიანთი გული სხეულთა კავშირით.**

სახლის განათლებული პატრონის ვალია, იცოდეს „საძილე სავანეთა ხელოვნება“, რათა შეძლოს, სრულად დააკმაყოფილოს თავისი ქალები ყოველთვის, როცა ერთ-ერთ მათგანთან სქესობრივ კავშირს დაამყარებს.

ქუჩის აღმოსავლეთ მხარეს ცხოვრობს მიმზიდველი გარეგნობის ახალგაზრდა, ძლიერი მამაკაცი. მისი ცოლები დილიდან დაღამებამდე კინკლაობენ და მას ყურს არ უგდებენ. დასავლეთ მხარეს ცხოვრობს წელში მოხრილი მოხუცი, მისი ცოლები აკეთებენ ყველაფერს, რათა მოემსახურონ და დაემორჩილონ. რით აიხსნება ეს? საქმე ისაა, რომ უკანასკნელი ფლობს „საძილე სავანეთა ხელოვნებას“, პირველი კი უვიცია.

ახლახან შევიტყვე, რომ ერთმა ჩინოვნიკმა ახალი ხარჭა გაიჩინა. ჩაიკეტა ორმაგი კარის იქით და სამ-სამი დღე-ღამის განმავლობაში იქიდან არ გამოდიოდა. ასეთმა ქცევამ ყველა მის ცოლსა და ხარჭას სასო წარუკვეთა. ჭეშმარიტად ეს არის მცდარი საშუალება სახლში ახალი ხარჭის მიყვანის. უკეთესი იქნებოდა, კაცს გაეკონტროლებინა თავისი სურვილი, დროებით არ მიჰკარებოდა ახალ ხარჭას და თავისი ყურადღება სხვებისთვის გაენაწილებინა. ყოველთვის, როცა იგი სქესობრივ ურთიერთობაში შედიოდა დანარჩენ ქალებთან, უნდა ებრძანებინა ახლადმოყვანილი ხარჭისთვის, მდგარიყო სპილოს ძვლისგან დამზადებულ მათ სარეცელთან. და მხოლოდ ოთხი-ხუთი ღამის შემდეგ მას შეეძლო შეერთებოდა ახლადმოყვანილს, მაგრამ მხოლოდ მთავარი ცოლისა და ხარჭების თანდასწრებით. ასეთია ქალთა სავანეში ჰარმონიისა და ბედნიერების დამყარების ფუძემდებლური პრინციპი“.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## «ოფისის» ფესტივალი

ქალაქი სკრენტონი (პენსილვანია) წარმოადგენს ყოველწლიური ფესტივალის ჩატარების ადგილს, რომელიც ეძღნება „ოფისის“ სერიებს. აქ ყოველთვის იკრიბება 15 000 გულშემატკივარი და თაყვანისმცემელი, ასევე მსახიობები და გადამღები ჯგუფის წევრებიც.

# ყველაზე უცნაური ფესტივალები



## Fur-Con

„ბეწვეულის კონგრესი“ არის ადამიანთა ჯგუფის ყრილობა, რომლებიც ერთობიან ცხოველებთან ერთად და სურთ, მისცენ მათ ადამიანთა თვისებები. ამ შეკრებაზე ისინი იზიარებენ საერთო იდეებს და შესაბამისად ერთობიან. ეს მოძრაობა 80-იან წლებში დაიბადა და წარმატებით გავრცელდა მთელ მსოფლიოში.



## «წვრილმანების ფესტივალი»

ყოველწლიურად Wilkes-Barre-ში ტარდება „წვრილმანების“ ფესტივალი. აქ ხდება ყველაზე უცნაური რამ: შოუ იწყება შუშებზე ფეხით გავლის კონკურსით, ხმლებისა და ნათურების ყლაპვით და მთავრდება კაკვების ჩასმით თვალში.



## ფესტივალი «Lebowski»

ყოველ წელს, ფილმის „The Big Lebowski“ გულშემატკივრები იკრიბებიან ლოს ანჯელესში. ფესტივალი, უკვე 10 წელია, ტარდება. მას მრავალი ორგანიზატორი ჰყავს. ფილმი „The Big Lebowski“ 1998 წელს გადაიღეს. პირველი ღონიძიება გაიმართა ლუისვილში, გახსნის დღეს მას 150 გულშემატკივარი ესწრებოდა, მაგრამ მომავალში ამ იდეას ფილმის ბევრი გულშემატკივარი შეუერთდა მთელ ამერიკაში, რის შედეგადაც ღონისძიება სხვა ქალაქებზეც გავრცელდა. ფესტივალზე ცენტრალური ადგილი უკავია ღამის ბოულინგის შეუზღუდავ თამაშს, ასევე ყველა სახის ვიქტორინებს და თეატრალურ კოსტუმირებულ კონკურსებს. დღესასწაული გრძელდება შაბათკვირასაც კი.

ფესტივალის ორგანიზატორებმა დაწერეს და გამოუშვეს წიგნი, რომელიც ეძღვნება ფილმს „Im a Lebowski, Youre a Lebowski: Life, The Big Lebowski, and What Have You“. არსებობს დოკუმენტური ფილმიც ფესტივალზე, სახელწოდებით „The Achievers“.

ფესტივალის „Lebowski“-ის ბრიტანული ანალოგი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „The Dude Abides“, ყოველწლიურად ტარდება ლონდონში.



## წითურთა დღე

ყოველ წელს ქალაქ ბრედაში, ნიდერლანდებში, ათასობით წითური ადამიანი იკრიბება. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ყოველ წელს ქალაქში ჩამოდის დაახლოებით 4000 უცხოელი წითური სტუმარი მსოფლიოს 50-მდე ქვეყნიდან.



## «ტატუს» ფესტივალი (ტატუირების ფესტივალი)

ეს ყოველწლიური „ტატუს“ ფესტივალია, რომელიც ფლორიდაში ტარდება ყოველ გაზაფხულს. 4 დღის განმავლობაში აქ იმართება გამოფენები, სემინარები, შეჯიბრებები ტატუების ხატვაში და ათასობით ტატუირებული ადამიანი იკრიბება...



## World of LEGO

ყოველი წლის შემოდგომაზე ჰოლანდიაში იკრიბება ყველა ასაკის 20 000-ზე მეტი ადამიანი, რომ LEGO ითამაშოს. ერთკვირიანი ფესტივალი მოიცავს თამაშებს, მშენებარე კონსტრუქციების კონკურსებსა და ჯილდოებს….

## «Fokara» – ცეცხლის ფესტივალი

**წარმოიდგინეთ, დაახლოებით 25 მეტრი სიმაღლის და 20 მეტრი დიამეტრის გიგანტური კოცონი, რომელიც გარშემორტყმულია 60 000-ზე მეტი ადამიანით.**

ეს ზუსტად ის სანახაობაა, რომელსაც საკუთარი თვალით ნახავთ, თუ ჩახვალთ იტალიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ნოვოლიში (Novoli) ოქტომბრის ბოლოსთვის.

ცეცხლის ფესტივალი ქალაქ ნოვოლიში ასევე ცნობილია, როგორც „Focara“. „Focara“ წელიწადში ერთხელ ტარდება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფესტივალის კულმინაციას წარმოადგენს გიგანტური ზომის ჩიგვნარის, ფიჩხისა და ჩალის კონისგან დანთებული უზარმაზარი კოცონი...



## High Times Cannabis Cup

ყოველ წელს ამსტერდამში აღნიშნავენ High Times Cannabis Cup-ს. ყოველ წელს ნოემბერში ათასობით ადამიანი ესწრება მარიხუანის დეგუსტაციას და ასევე საუკეთესო ბალახის კონკურსს.



## ოფიციალური ფესტივალი «Twilight»

წიგნების სერიამ და „Twilight“ ფილმებმა იმდენი ფანატის გული დაიპყრო, რომ მათი რაოდენობა საკმარისი იქნებოდა 4-5 ფესტივალისთვისაც კი.




## Parkes Elvis

„ელვის“ ფესტივალი იმართება ყოველ წელს ავსტრალიაში, იანვრის დასაწყისში. თავდაპირველად ეს იყო ერთდღიანი ღონისძიება, რომელიც შემდგომ შეუფერხებლად და უპრობლემოდ იქცა 5-დღიან ფესტივალად.





„ჩვენ დავამტკიცეთ, რომ მარსი, შესაძლოა, დასახლებულიც იყო. ჩვენ ვიპოვეთ საკმაო მოწმობები იმისა, რომ ასიათასობით წლის წინათ ამ პლანეტაზე ყოველგვარი პირობა არსებობდა სიცოცხლისთვის. ადამიანი იმ შორეულ დროებაში მარსზე რომ აღმოჩენილიყო, თავისუფლად დალევდა წყალს ადგილობრივი წყაროებიდან“

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იყო თუ არა მარსზე სიცოცხლე

**NASA-მ მსოფლიო სენსაცია გამოაცხო: მისი სპეციალისტები ოფიციალურად ადასტურებენ, რომ მარსის გრუნტის ნიმუშებში წყლის ნაკვალევი აღმოაჩინეს. ეს ნიშნავს, რომ ოდესღაც წითელ პლანეტაზე სიცოცხლე არსებობდა და, რომ არა უზარმაზარი მეტეორიტი, რომელიც მას მილიონობით წლის წინ დაეჯახა, მზის სისტემაში დღეს, შესაძლოა, ორი დასახლებული პლანეტა გვქონოდა.**

მარსზე სიცოცხლე არსებობდა. სადღეისოდ ეს უმთავრესი სამეცნიერო სიახლეა. მარსმავალმა Curiosity-მ, რაც თარგმანში „ცნობისმოყვარეობას“ ნიშნავს, ასე თუ ისე, მაინც იპოვა ორგანული ელემენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ოდესღაც წითელ პლანეტაზე მდინარეები მოჩქეფდა. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — შთამბეჭდავ კალაპოტებს ტოვებდნენ არა გოგირდმჟავას, როგორც არის ეს, მაგალითად, ვენერაზე, არამედ ჩვენთვის ჩვეული წყლის მდინარეები.

**„ყველაფერი წამის სისწრაფით ვითარდება: ამასწინათ მარსზე მავალი დანადგარის დაფრენას ვზეიმობდით, დღეს კი წყლის ნაკვალევი ვიპოვეთ. მარსმავალი ბურღავდა ქანებს მცირე ხევში, რომელიც თეორიულად ძველი მდინარის კალაპოტი შეიძლებოდა ყოფილიყო. ასე რომ, შესაძლოა, დანამდვილებით ითქვას: ჩვენი ოცნება, მზის სისტემაში გვეპოვა ისეთი ადგილი, რომელზეც ოდესღაც სიცოცხლე იქნებოდა, აღსრულდა“,** — საზეიმოდ განაცხადა პროექტ Curiosity-ის მეცნიერ-თანამშრომელმა ჯონ გროტცინგერმა.

ცნობილია, რომ მარსი ეგრეთ წოდებულ სიცოცხლის ზონაში მდებარეობს. დედამიწასთან შედარებით, მზისგან ის სულ რაღაც ერთ-ნახევარზე მეტად არის დაშორებული. საშუალო ტემპერატურა მარსის ეკვატორზე ზაფხულის პერიოდში სრულიად მისაღებია ადამიანისთვის. ძლიერ განსხვავდება მაგნიტური ველი. ჩვენს ცისფერ პლანეტას სწორედაც რომ მაგნიტური ველი იცავს კოსმიური რადიაციისგან.

მარსზე კი ამ მხრივ საქმე უფრო ცუდადაა: უზარმაზარი მეტეორის დაჯახების გამო (როგორც მეცნიერები ვარაუდობენ), მარსის ბირთვმა ბრუნვა შეწყვიტა, ჩაქრა ვულკანები, ხოლო მაგნიტური ფარისგან მხოლოდ ნაწილი დარჩა.

შედეგად, ატმოსფერო მზის ქარმა წარხოცა. რადგან ვერ შეხვდა წინაღობას, ძლიერ დამუხტულმა ნაწილაკებმა მიიტაცეს ჟანგბადის მოლეკულები და უსიცოცხლო შავ კოსმოსში გაიტაცეს. თუმცა ასეთი პირქუში სურათიც კი დიდი სიხარულის მომგვრელია მეცნიერთა სამყაროსთვის, რადგან მრავალი მათგანი სრულიად მართალი აღმოჩნდა.

**„ჩვენ დავამტკიცეთ, რომ მარსი, შესაძლოა, დასახლებულიც იყო. ჩვენ ვიპოვეთ საკმაო მოწმობები იმისა, რომ ასიათასობით წლის წინათ ამ პლანეტაზე ყოველგვარი პირობა არსებობდა სიცოცხლისთვის. ადამიანი იმ შორეულ დროებაში მარსზე რომ აღმოჩენილიყო, თავისუფლად დალევდა წყალს ადგილობრივი წყაროებიდან“,** — ხაზი გაუსვა მარსის შესწავლის პროექტის ხელმძღვანელმა მაიკლ მაიერმა.

ახლა პლანეტის ირგვლივ ერთდროულად რამდენიმე კოსმიური ზონდი და თანამგზავრი მოძრაობს. მარსის ზედაპირის რუკა ზედმიწევნით არის შედგენილი.

მარსის შესწავლით უკვე დაინტერესებულნი არიან მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები. ბიოლოგები ამბობენ, რომ მარსის გრუნტი შეიცავს წარმოუდგენლად დიდი რაოდენობის უმნიშვნელოვანეს მიკროელემენტებს, რომლებიც ნაყოფიერების საწინდრად მიაჩნიათ, ანუ თეორიულად იქ შეიძლება ხილისა და ბოსტნეულის მოყვანა, რაც დედამიწის სწრაფად მზარდი მოსახლეობისთვის უახლოეს ორას წელიწადში უფრო მნიშვნელოვანი გახდება, ვიდრე ნავთობის ფასის რეგულირება.







# ტვინის მჭამელი ამება დაბრუნდა

**როდესაც მიკროსკოპში დაათვალიერებთ ტვინის მჭამელ ამებას, რომელიც ცნობილია Naegleria fowleri-ის სახელწოდებით, დავინახავთ სამპიროვან სტრუქტურას, რომელიც ინფერნალურ კლოუნს წააგავს. ამ ამაზრზენმა პარაზიტულმა ორგანიზმმა, რომელიც გამდინარე წყლიან თბილ წყალსაცავებში ბინადრობს, 1962 წლიდან 128 ადამიანი დაასნებოვნა. გადარჩენა მხოლოდ ერთმა შეძლო.**

და აი, 20 წლის კალი ჰარდიგი არკანზასიდან (აშშ) შეიძლება გახდეს მეორე ადამიანი, რომელიც ამ მომაკვდინებელ პარაზიტს გადაურჩა. გოგონა ამ პარაზიტული მენინგიტის იშვიათი ფორმით ორი კვირის წინ დაავადდა. და თუმც მსხვერპლთა უმეტესობა ორ კვირაში კვდება, დღეისთვის ანალიზების შედეგები აჩვენებს, რომ ამება ზურგის ტვინის სითხიდან გაქრა.

ეს ორგანიზმი საკმაოდ გავრცელებულია განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც თბილი კლიმატია, მაგრამ ამასთან, მისით დასნებოვნების დონე საერთო ჯამში დაბალია. მიუხედავად ამისა, მეცნიერებმა უკვე ატეხეს განგაში – პარაზიტი უფრო ცივ რეგიონებში გადაადგილდა. საქმეს ის ართულებს, რომ ანალიზის დღეისთვის არსებული მეთოდები ვერ იძლევიან პასუხს, ბინადრობს თუ არა Naegleria fowleri წყალსაცავში, მკვლევარებს არ გააჩნიათ კარგი მეთოდი, განსაზღვრონ, რამდენი პარაზიტია წყალში.





ჰარდინგი მეორე მსხვერპლია ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში, რომელიც დაავადდა ამებით ტბაში Willow Springs Water Park, რომელიც ქალაქ ლიტლ-როკში მდებარეობს. ეს ტბა იკვებება გაზაფხულის წყლებით, მას ყოველწლიურად მრავალი ათასი ადამიანი სტუმრობს (დღეისთვის ტბა ნებაყოფლობით დაკეტა მისმა მფლობელმა. პარკის ვებსაიტზე გამოქვეყნებულია განცხადება, რომ სადღეისოდ ეს ადგილი „რეკონსტრუქციაზეა“).

მაშ, რა შეიძლება ვიღონოთ? ეპიდემიოლოგი ჯონათან იოდერი დაავადებათა ცენტრიდან ჰარდინგის შემთხვევასთან დაკავშირებულ ინტერვიუში ასეთ რჩევას იძლევა: იცოდეთ, რომ დასნებოვნების საშიშროება არსებობს, თუმცა ძალზედ ნაკლები. როდესაც წყალში შეხვალთ, ნუ ჩაყურყუმელავდებით. ხოლო თუ ამას მაინც გააკეთებთ, მაშინ ცხვირზე მოსაჭერი გაიკეთეთ, რათა წყალი არ შეგივიდეთ. ყოველივე, რაც კი ცხვირიდან წყლის შეღწევას შეამცირებს, დაინფიცირების რისკსაც ამცირებს.



# 55 000 კაბა 56 წლის მანძილზე

**კალიფორნიაში მცხოვრებმა პოლ ბროკმანმა საყვარელ მეუღლე მარგოს 56 წლის მანძილზე 55 000 კაბა აჩუქა.** პოლი ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობდა. ახალგაზრდობაში წყვილი ყოველ კვირა დღეს ცეკვის სტუდიაში მიდიოდა. იმისთვის, რომ მარგოს სტუდიაში ყოველ კვირა დღეს ახალი კაბა ჩაეცვა, პოლი მეუღლისთვის საცეკვაო კოსტუმებს ყიდულობდა. 1988 წელს მარგოს ტანსაცმლის კარადაში უკვე 26 000 კაბა ჰქონდა. მარგოს შოპინგი არ უყვარს და ჟურნალისტებთან საუბარში ამბობს, რომ ქმრის გემოვნებას სრულიად ენდობა. **„ბედნიერი ქალი ვარ. გვერდით მყავს პარტნიორი, რომელიც ჩემზე ზრუნავს და მაბედნიერებს“,** — ამბობს მარგო. პოლის თქმით, მარგოს კოლექციაში ყველაზე ძვირადღირებული კაბა 300 დოლარიანია. 55 000 კაბიდან ზოგიერთი მარგოს არასდროს ჩაუცვამს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ლონდონის მუზეუმი ისტორიას გადმოსცემს

ლონდონის მუზეუმი მოწოდებულია, რომ შუა საუკუნეებიდან დღემდე ლონდონის ისტორია მთელ მსოფლიოს გადასცეს. 2010-ში გადაწყვიტეს, მუზეუმისთვის შეექმნათ ლოგო, რომელიც უფრო ახალგაზრდა აუდიტორიასაც დააინტერესებდა. ახალი ლოგო ძლიერი ფერებით იქნა შედგენილი, მაგრამ ბევრი ვერც კი წარმოიდგენს, რომ ლონდონის ისტორიის შესწავლა ლოგოზე დაკვირვებით იწყება. ლოგო შექმნილია რამდენიმე ფერის ფენებისგან. თითოეული ფენა ასახავს სხვადასხვა გეოგრაფიულ ფორმას, რომელიც ლონდონს სხვადასხვა მონაკვეთში ჰქონდა.

# 10 ლოგო, რომლებიც უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე თქვენ ფიქრობთ

**„ადიდასი“ ქმნის სპორტულ ტანსაცმელსა და აქსესუარებს, მაგრამ ის ძირითადად თავისი ფეხსაცმლით არის ცნობილი. „ადიდასის“ სახელი მიღებულია კომპანიის შემქმნელის ადოლფ დასლერის სახელისა და გვარის გაერთიანებით.**

## Fedex-ის ისარი

ლოგო, უბრალოდ, კომპანიის სახელია: Fed დაწერილია მუქი იისფერით და Ex — წითლად. მაშ, რატომაა ეს ლოგო საინტერესო და რატომ მოიგო ათეულობით ჯილდო? ამის მისახვედრად წარმოიდგინეთ სივრცე და დააკვირდით Ex -ს.

მათ შორის ადგილი ქმნის ისარს. ლოგოს შექმნამ თვეები გასტანა. თურმე ეს ლოგო ძალიან მოქმედებს მგზავრებზე, თუმცა ზოგმა ვერ შეამჩნია ეს ისარი, სანამ მისი პრეზენტაცია არ მოხდა. ეს ისარი ასოცირდება სიჩქარეზე, ყოველ შემთხვევაში კომპანია ასე ფიქრობს.




## Mc'Donalds-ის ოქროს თაღები

გეპატიება, თუ აქამდე ფიქრობდი, რომ მაკდონალდის ლოგო სხვა არაფერია, თუ არა მისი სახელის პირველი ასო, რომელიც დიდად არის დაწერილი. 1960 წელს მაკდონალდსი აპირებდა ლოგოს შეცვლას, მაგრამ ლუი ჩესკინმა, რომელიც „მაკდონალდსმა“ კონსულტატად აიყვანა, მოუწოდა კომპანიას, შეენარჩუნებინა ეს ლოგო, რადგან მომხმარებლებს ეს ლოგო წარმოუდგებათ, როგორც ქალის მკერდი, მისი დანახვა კი ბევრს ქვეცნობიერად აშიებს.

## «პეპსის» ლოგო «ყველაფერს» აღნიშნავს

„პეპსის“ ლოგო უბრალო წრეა. მაღლითა ნახევარი წითელია, დაბლითა – ლურჯი, ტალღოვანი ხაზი ცენტრზე გადის. ფერები ამერიკის დროშას ასახავს, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. „პეპსიმ“ თავის ახლანდელ ლოგოზე ასობით მილიონი დახარჯა, არადა, ის ძალიან ჰგავს წინა ლოგოს. მიუხედავად ამისა, როდესაც ახალი ლოგო გამოვიდა, მას თან დაერთო 27-გვერდიანი დოკუმენტი, რომელიც ლოგოს განმარტავს. ამ დოკუმენტის თანახმად, ეს ლოგო მოიცავს დედამიწის მაგნიტურ ველს, პითაგორას, გეოდინამიკას, ფარდობითობის თეორიას და უამრავ სხვას.

## «ადიდასის» ლოგო მოტივაციას გვმატებს

ადიდასი ქმნის სპორტულ ტანსაცმელსა და აქსესუარებს, მაგრამ ის ძირითადად თავისი ფეხსაცმელით არის ცნობილი. ადიდასის სახელი მიღებულია კომპანიის შემქმნელის ადოლფ დასლერის სახელისა და გვარის გაერთიანებით. დროის გასვლის შემდეგ ლოგო შეიცვალა, მაგრამ ლოგოზე სამი ხაზი არ წაშლილა. ახლანდელი ლოგო შედგება სამი დახრილი ხაზისგან, რომლებიც სამკუთხედს ქმნის. ეს ახალი ლოგო მთას წარმოადგენს და არის მეტაფორა ახალი გამოწვევისთვის. ეს აღიქმნება სირთულეებად, რომლებიც უნდა გადალახო, და მიზნად, რომელსაც ყველა ვერ აღწევს.

## NBC-ის ლოგო გვიზიდავს ყიდვისკენ

უმეტესობამ ვიცით, რომ NBC-ის ლოგო ფარშევანგია. ეს არაა საიდუმლო, მაგრამ ბევრმა არ იცის, თუ რატომაა მისი ლოგო ფარშევნგი. ეს უბრალოდ მარკეტინგული ხრიკია, რომელიც ხალხს მოუწოდებს, იყიდონ ფერადი ტელევიზორები. ლოგოს შექმნის დროს NBC ფლობდა ელექტრონულ კომპანიას RCA-ს. ფერადი ტელევიზორები ახლაღა იწყებდა გამოსვლას და RCA-ს უნდოდა ხალხისთვის ეჩვენებინა, რომ ამაში მაღალი ფასის გადახდა ნამდვილად ღირდა. მათ სჭირდებოდათ ლოგო, რომელიც ფერებით სავსე იქნებოდა და მნახველებს გაახსენებდა თავის შავ-თეთრ ტელევიზორებს. ცისარტყელა ძალიან აშკარა იყო, ამიტომ არ გამოდგებოდა, პეპელა — ძალიან ბავშვური და ბოლოს ფარშევანგი აირჩა.

## «ამაზონის» ლოგო მრავალფეროვნებასა და ღიმილს გამოხატავს

„ამაზონის“ ლოგო ერთი შეხედვით ძალიან მარტივად გამოიყურება. კომპანიის სახელი amazon.com მუქი თეთრი ასოებით შავზე და მარტივი ყვითელი ხაზი ქვეშ. მაგრამ რას გამოხატავს ისარი? ის 2 რამეს გამოსახავს — მომხმარებლის ღიმილს და კმაყოფილებას შენაძენის შემდეგ. ყვითელი ხაზი ასევე არის ისარი, რომელიც იწყება A-ზე და მთავრდება Z-ზე, რაც აღნიშნავს, რომ ამაზონზე ყველაფერია — დაწყებული A-დან Z-მდე.




## «გუგლის» ლოგო მებრძოლია

„გუგლის“ ლოგო, როგორც ჩანს, ძალზედ თავმდაბლურად შეუქმნიათ. უბრალო ფერები, არანაირი განსხვავებული ფონტები ან სიმბოლოები, მაგრამ თვით ფერებს შეიძლება ჰქონდეთ კავშირი კომპანიის იმიჯთან. „გუგლის“ ლოგოს შექმნის დროს დიზაინერებს უნდოდათ, გამოესახათ სრულყოფილების არსებობა უაზრო ობიექტებისა და სიმბოლოების გარეშე, რომელიც მათ შეზღუდავდა. იდეა იყო ასოების არევა. მაგრამ ეს იდეა ჩაიშალა და ასოების ნაცვლად მათ ფერები აურიეს. ახლანდელი ლოგო წარმოადგენს ჩვეულებრივი ფერების არევას, ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე. იდეა იმის გამოხატვაა, რომ „გუგლი“ არ არის კომპანია, რომელიც წესებით თამაშობს.

## «ენიმალ პლანეტის» ლოგო შთამაგონებელია

„ენიმალ პლნეტის“ ლოგოს წარმოადგენდა სპილო, რომელიც დედამიწის მინიატურაზე იდგა. ცხოველი და პლანეტა — ეს ხომ ძალზე მარტივია. არხი ახალ მაუწყებლობაზე 2008 წელს გადავიდა და უფრო ფართო აუდიტორიასაც მიმართა, ძველი ლოგოც მაშინ შეიცვალა. განახლებასთან ერთად არხი ცდილობდა, განთავისუფლებულიყო თავისი ნელი და მოსაწყენი ტემპისგან. მან მოსაწყენი დოკუმენტური გადაცემები გასაოცარი პროგრამებით შეცვალა, რასაც ახალი ლოგოც ემთხვეოდა. ამბობენ, რომ ახალი ლოგო ასახავს ინსტინქტს — მწვანე წარმოგვიდგება, როგორც ჯუნგლები და გრძნობებს მიმართავს ემოციებისკენ და ცხოველური გამბედაობისკენ.



## «მიცუბიშის» ლოგო კომპანიების ერთიანობას ასახავს

„მიცუბიში“ დაარსდა როგორც გადაზიდვების კომპანია 1800-ში და შეიქმნა ორი კომპანიის გაერთიანებით. ლოგო ასახავს ორი ზედაპირის tosa clan-ისა და Iwasaki family-ს გაერთიანებას, ხოლო ერთმანეთზე დალაგებული სამი ბრილიანტი აღნიშნავს საიმედოობასა და მთლიანობას. წითელი ფერი ნდობას ნიშნავს და მომხმარებლებს იზიდავს.




## 50 წლის ქალი საკუთარი დაკრძალვიდან 13 დღის შემდეგ სახლში დაბრუნდა

**50 წლის შაროლინ ჯექსონი საკუთარი დაკრძალვიდან 13 დღის შემდეგ სახლში დაბრუნდა. საბედნიეროდ, დაკრძალული ქალის გამოჩენას ოჯახის წევრებისთვის სერიოზული ფსიქოლოგიური სტრესი არ გამოუწვევია.** საქმე ისაა, რომ შაროლინი სახლიდან 18 ივლისს გავიდა და მას შემდეგ პოლიცია მის კვალს უშედეგოდ ეძებდა. 20 ივლისს ქუჩაში გარდაცვლილი ქალის გვამი იპოვეს, რომელიც შაროლინს გარეგნულად ძალიან ჰგავდა. სოციალურმა მუშაკმა, რომელიც შაროლინს იცნობდა და დაკარგული ქალის შვილმა ტრევისმა გვამის ფოტოსურათების მიხედვით განაცხადეს, რომ ის სწორედ დაკარგული ჯექსონია. მოგვიანებით შაროლინის კვალს ცენტრალურ ფილადელფიაში ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მიაგნეს. როგორც პოლიციაში ამბობენ, გვამი, რომელიც ოჯახის წევრებმა დაკრძალეს, 20 ივლისს ქუჩაში იპოვეს და ქალი ბუნებრივი სიკვდილითაა გარდაცვლილი.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შვიდი სურათი, რომლებსაც ვეღარასდროს ნახავთ

**„ჩემოდანი, რომელშიც შვიდი ნახატი იდო, შეშასთან, ოთახის ჩუსტებსა და სხვა ძველმანებთან ერთად ღუმელში შევუკეთე და დაველოდე, როდის იქცეოდა ყველაფერი ფერფლად“,** — მთელი მსოფლიო ელოდებოდა, რომ ეს სიტყვები სიცრუე იქნებოდა.

2012 წლის 16 ოქტომბერს როტერდამის კუნსტხალის მუზეუმიდან შვიდი უძვირფასესი ტილო მოიტაცეს — პაბლო პიკასო, კლოდ მონე, პოლ გოგენი, ანრი მატისი, ლუსიენ ფროიდი, მეიერ დე ჰანი. ურდობაში ერთ-ერთი ეჭვმიტანილის დედამ აღიარა, რომ კვალის წაშლის მიზნით, იმპრესიონიზმის შედევრები ფერფლად აქცია.















## ქმარს შიშველი ცოლი არ უნახავს

**ოჰაიოს შტატის ქალაქ ტოლედოში მცხოვრები 3 შვილის დედა, 32 წლის ბრიტანი გიბონსი აღიარებს, რომ ქმარს შიშველი არასდროს უნახავს. ამის მიზეზი გარეგნობის კომპლექსია, რამაც, ბრიტანის თქმით, ცხოვრებაში ბევრი პრობლემა შეუქმნა.**

ამერიკელით გავლენიანი ბრიტანული გამოცემა Daily Mail დაინტერესდა და მასთან ჩაწერილ ინტერვიუს გაზეთის მთავარი გვერდი დაუთმო. ქალი ინტერვიუში ამბობს, რომ საკუთარი გარეგნობის ბავშვობიდანვე რცხვენოდა, ყველაზე მეტად კი მაღაზიებში შოპინგზე წასვლა აშინებდა.

„საშინელებაა, როდესაც სარკეში ჩახედვა გაშინებს. მეუხერხულება ამის თქმა, მაგრამ ჩემს მეუღლეს რამდენიმე წლის განმავლობაში შიშველი არ ვუნახივარ“, — ამბობს გიბონსი.

წლების შემდეგ ბრიტანიმ გააცნობიერა, რომ საკუთარი გარეგნობის მიმართ მსგავსი მკაცრი დამოკიდებულებით პირად ცხოვრებას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. ის ყველა ქალს ურჩევს, საკუთარ კონტურებს პატივი სცენ და ცხოვრება არ დაიმახინჯონ. იმის ნიშნად, რომ კომპლექსებისგან გათავისუფლდა, გიბონსმა თამამ ფოტოსესიაშიც მიიღო მონაწილეობა. **„ყველა ქალმა იცის, რა ემართება მის სხეულს მშობიარობის შემდეგ. ბოლო მშობიარობიდან 3 წელი ფორმაში ჩადგომას უშედეგოდ ვცდილობდი. ახლა საკუთარი გარეგნობა აღარ მაღიზიანებს“,** — ამბობს ის.

## ბალერინა, რომელიც სამზარეულოს დანებზე ცეკვავს

**En Puntas — ასე ჰქვია ხავიერ პერესის ვიდეოინსტალაციას, რომელშიც ბალერინა ამელი სეგარა ცეკვავს. ბალერინას პუანტებზე სამზარეულოს დანები აქვს დამაგრებული და დაუჯერებელი სირთულის მოძრაობებს ასრულებს. სეგარა როიალის ზედაპირზე ცეკვავს.** იმის მხოლოდ გაფიქრებაც კი, რომ ვიღაც სახიფათო ფეხსაცმელზე „დგას“ გაოცებას იწვევს. მოცეკვავე კი მკვეთრი მოძრაობების პარალელურად წონასწორობის შენარჩუნებას დანის წვერზე ახერხებს. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ბალერინა მაშინ ახდენს, როდესაც ის როიალის კიდემდე „მირბის“. ამ ნამუშევრის საშუალებით პერესი ასახავს ადამიანის მდგომარეობას. მეტაფორებისა და სიმბოლოების ენის გამოყენებით ის ააშკარავებს იმ სისუსტეებს, რომლებიც არის შეუთავსებელი ცნებების საზღვრებს შორის. ისეთ ცნებებს შორის როგორიცაა: სილამაზე და სისასტიკე, სისუსტე და ძალადობა, სიკვდილი და სიცოცხლე და ა.შ.



# ოთხი პროფესორი და უსამართლობის ეპოპეა

**„ნაციონალურმა“ სასამართლომ დამსახურებული პროფესორების საჩივარზე კანონსაწინააღმდეგო განაჩენი გამოიტანა, ხოლო კ. კუბლაშვილის უზენაესმა სასამართლომ მათ სარჩელის განხილვაზე ტყუილი, მოგონილი არგუმენტით უსირცხვილოდ უარი უთხრა.**



„ნაციონალური“ სასამართლოს მოუწესრიგებლობასა და დანაშაულებრივ ქმედებებზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ „ნაციონალების“ მსახვრალი ხელი ამ სფეროში თავის ბინძურ საქმიანობას, სამწუხაროდ, კვლავ აგრძელებს. „ნაციონალების“ სასამართლოს მსხვერპლთ შორის ილიას უნივერსიტეტთან საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 ივლისის დადგენილებით მიერთებული საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის დამსახურებული პროფესორებიც აღმოჩნდნენ.

**2010 წლის ივნისში ილიას უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ გიგი თევზაძეს განცხადებით მივმართეთ პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით, ჩვენთვის ემერიტუსის წოდების მონიჭების თაობაზე, მაგრამ რექტორისგან, ყოვლად უსაფუძვლო და უაზრო არგუმენტაციით, ჩვენი თხოვნის დაკმაყოფილებაზე კატეგორიული უარი მივიღეთ.**

მივმართეთ განათლების სამინისტროს, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ჩვენ გვეკუთვნის ემერიტუსის წოდება; ამისათვის კი უნდა მიგვემართა სასამართლოსთვის. ჩვენც ვისმინეთ სამინისტროს რჩევა და მივმართეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს. სანამ სასამართლოს შედეგებზე მოგახსენებთ, მოკლედ გეტყვით ჩვენ შესახებ:

ჩვენ, ოთხივე პროფესორი: **შოთა ბუაძე** (დიდი სამამულო ომის ვეტერანი), **გურამ ძაგანია, გიული კახიძე** და **ჯუანშერ ზალდასტანიშვილი** ვართ სამოცდაათ წელს გადაცილებული სრული პროფესორები, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორები. ოთხივეს უმაღლეს სასწავლებელში მუშაობის 40 წელზე მეტი ხნის სტაჟი გვაქვს (შოთა ბუაძეს 57 წლის). ვართ ათეულობით სამეცნიერო შრომის, წიგნების, სტატიების, საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაციების ავტორები. ჩვენ მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებით მიმდინარეობდა სწავლება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში. ჩვენ მოვიაზრებოდით აკადემიის წამყვან პროფესორ-მასწავლებლებს შორის. ოთხივე ვართ რესპუბლიკის დამსახურებული მუშაკები და ღირსების ორდენის კავალრები.

რესპუბლიკის საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანის მასწავლებლები, ძირითადად, ჩვენი ყოფილი სტუდენტები არიან, ასევე სპორტულ საზოგადოებებში მწვრთნელებად უმეტესობა ჩვენი აღზრდილი სტუდენტები მუშაობენ, რომელთა შორის მრავლადაა რესპუბლიკისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელები. ჩვენი ყოფილი სტუდენტები წარმატებით მოღვაწეობენ მწვრთნელებად საზღვარგარეთაც: ინგლისში, ბრაზილიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთში და სხვ.

**ჩვენ ყოფილ სტუდენტებს შორის არიან ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები. და ბოლოს, აკადემიის ყოფილ კურსდამთავრებულთა შორის არიან საქართველოს მთავრობის წევრები და პარლამენტის დეპუტატები.**

**პირველად ჩვენი საქმე განიხილა თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ — თინათინ შავერდაშვილმა, რომელმაც, ჩვენდა საზიანოდ, სრულიად არასწორად წარმართა სასამართლო პროცესი. უფრო ზუსტად, ეს იყო სასამართლო ფარსი, სადაც, ფაქტობრივად, ჩვენს სარჩელზე მსჯელობა არ ყოფილა.** ილიას უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ჩვენი ადვოკატის დასმულ არც ერთ შეკითხვას არ უპასუხა. განაცხადა: **„არ ვპასუხობ“, „პასუხი არ მაქვს“.** ადვოკატის შეკითხვაზე: **„როგორ მოვიქცეთ, მოწინააღმდეგე მხარე რომ არ პასუხობს კითხვებზე?“,** მოსამართლე შავერდაშვილმა უპასუხა — **„მე რა ვქნა, უფლება აქვს შეკითხვებს არ უპასუხოსო“** და ამით დაამთავრა სასამართლო პროცესი, რომელიც ერთ საათსაც კი არ გაგრძელებულა. მოსამართლემ ჩანთიდან ამოიღო წინასწარ მომზადებული განჩინება და გვამცნო, რომ ჩვენი თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული.

**სასამართლო გადაწყვეტილების გამო ჩვენს აღშფოთებაზე, მოსამართლემ ცინიკურად გვიპასუხა — „მოგატყუილათ ხომ ილიას უნივერსიტეტმა?!“ წარმოიდგინეთ, რომ ამას ამბობს მოსამართლე, რომელსაც ევალება სიმართლის დადგენა.**

ილიას უნივერსიტეტის რექტორმა, გიგი თევზაძემ, ჩვენ მიმართ სიყალბე და უსამართლობა რომ ჩაიდინა, სწორედ ამიტომ მივმართეთ სასამართლოს.

**ზუსტად იგივე სიტუაცია განმეორდა სააპელაციო სასამართლოშიც, მსჯელობა არც იქ ყოფილა. ილიას უნივერსიტეტის წარმომადგენელი იმავე მოტივაციით პასუხობდა ადვოკატისა და მოსამართლეების შეკითხვებს.** აქაც, ისევე, როგორც ქართულ ხალხურ ანდაზაშია, „ძაღლმა ძაღლის ტყავი არ დახია“ და ჩვენი საწინააღმდეგო განაჩენი გამოიტანა, ჩვენი სამართლიანი თხოვნა არც აქ დაკმაყოფილდა. ჩვენს აღშფოთებაზე სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ ნ. კობახიძემ გვიპასუხა: **„თქვენ ხომ განათლებული ხალხი ხართ, რატომ მოაწერეთ ხელი ხელშეკრულებასო“.**

**ორივე შემთხვევაში ეს იყო არა სასამართლო, არამედ პროვოკაცია, რომელიც წარიმართა ილიას უნივერსიტეტის რექტორის, „ნაციონალების“ იდეოლოგის, თავისუფლების ინსტიტუტის პირმშოს — გიგი თევზაძის ბინძური სცენარის მიხედვით.**

**სასამართლოები ორივე შემთხვევაში არ ჩასწვდნენ ილიას უნივერსიტეტის მიერ ჩვენ მიმართ ჩადენილ თაღლითურ ქმედებას, როდესაც მათ ტყუილით, უსაფუძვლო არგუმენტით გააუქმეს ჩვენი სრული პროფესორის სტატუსი, რომელიც მონიჭებული გვქონდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში ჩატარებული კანონიერი კონკურსით. კონკურსი ჩატარდა გამჭვირვალობის, თანასწორობისა და კონკურენციის პირობებში.** ორივე შემთხვევაში სასამართლო არ დაინტერესდა შანტაჟით, რომელიც ილიას უნივერსიტეტმა მოგვიწყო და გამოიხატა ჩვენ მიერ ხელშეკრულებაზე იძულებით ხელის მოწერაში. თუ ხელს არ მოვაწერდით, ამ შემთხვევაში არც ხელფასს მივიღებდით და სამსახურსაც დავკარგავდით. თაღლითობა და შანტაჟი კი, როგორც იურისპრუდენციაშია ცნობილი, დასჯადია. აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი საინტერესო დეტალი: **ყველა, ვინც კი გაეცნო ჩვენს საქმეს, ცნობილი იურისტები, ერთხმად აღიარებდნენ ჩვენს სამართლიან მოთხოვნას, მაგრამ დასძენდნენ, რომ საქართველოს სასამართლოს პირობებში მიუღწევადია და მხოლოდ სტრასბურგის სასამართლოში მიაღწევთ სამართალსო. ჩვენ იმედს მაინც არ ვკარგავდით, რომ სამართალს უზენაეს სასამართლოში მაინც ვიპოვიდით. მივმართეთ კ. კუბლაშვილის უზენაეს სასამართლოს, მაგრამ აქ სრული ფიასკო განვიცადეთ.**

**უზენაეს სასამართლოში მიხვდნენ რა, რომ ჩვენი მოთხოვნა კანონიერი იყო, „ნაციონალების“ აპოლოგეტს, გ. თევზაძეს, ხომ არ გაანაწყენებდნენ და იმისათვის, რომ უარი ეთქვათ ჩვენს კანონიერ მოთხოვნაზე, ემერიტუსის მონიჭების თაობაზე, სასამართლოსთვის ყოვლად უკადრისი, უსინდისო ქმედება ჩაიდინეს, ტყუილი საბაბით, თითქოს განათლების მინისტრმა უარი გვითხრა ემერიტუსის წოდების მონიჭებაზე.** უზენაესმა სასამართლომ (მოსამართლეები: ვ. ვაჩაძე, ლ. მურუსიძე და პ. სილაგაძე) საერთოდ არ განიხილა ჩვენი სარჩელი, რითაც ჩაიდინა უზენაესი სასამართლოსთვის მიუღებელი სიყალბე. აღნიშნულის ნათელსაყოფად მოვიტანთ განათლების სამინისტროს პასუხის ამონარიდს, რომელსაც ხელს აწერს განათლების მინისტრის მოადგილე, ა. სეფერთელაძე: **„...თქვენ უფლებამოსილი ხართ, თქვენი უფლებების დასაცავად, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმართოთ სასამართლოს“.** ჩვენც ასე მოვიქეცით და მივმართეთ სასამართლოს, მაგრამ, თუ რა გამოვიდა აქედან, კარგად დავინახეთ. სამწუხაროდ, გამოცდილი იურისტების გაფრთხილება საქართველოს პირობებში სამართალს რომ ვერ მივაღწევდით, გამართლდა.

**თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ** (მოსამართლე, თ. შავერდაშვილი), **თბილისის სააპელაციო სასამართლომ** (მოსამართლეები: ნ. კობახიძე, ლ. მამულაშვილი, ქ. ჩოხელი) **და უზენაესმა სასამართლომ** (მოსამართლეები: მ. ვაჩაძე, ლ. მურუსიძე და პ. სილაგაძე) **ერთხმად მხარი დაუჭირეს უსამართლობაში თაღლითებსა და შანტაჟისტებს ილიას უნივერსიტეტიდან რექტორ გ. თევზაძის თავკაცობით.**

ასეთია ოთხი დამსახურებული, ხანდაზმული პროფესორის წინააღმდეგ სასამართლოების მიერ ჩადენილი უკანონობა.

**ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმ უამრავი უკანონობისა, რომლებიც კ. კუბლაშვილის უზენაესი სასამართლოს წესად იყო ქცეული.** ვიმედოვნებთ, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობის პირობებში ჭეშმარიტება გაიმარჯვებს, ხოლო დამნაშავეები საკადრისად დაისჯებიან.

**შოთა ბუაძე**

საზოგადოება „შუმერი“ ღრმა მწუხარებით იუწყება საზოგადოების აქტიური წევრის, ალპინიზმში სპორტის დამსახურებული ოსტატის, ფიზკულტურის ინსტიტუტის ალპინიზმისა და სათხილამურო სპორტის კათედრის გამგის, ევერესტზე პირველი საბჭოთა ექსპედიციის წევრის

**აკაკი (ხუტა) ხერგიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

გამოსვენება საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან ხუთშაბათს, 3 ოქტომბერს, 15 საათზე.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

**ძვლის პრობლემები**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრული ართრიტის, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე ზედმეტი წონის კორექცია თვეში 5-დან 15 კგ-მდე ჯანმრთელობისთვის უვნებლად, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, მადის რეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით — მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით.

**ტელ. 218-46-08 (ოფისი)**
**555-62-09-01 ექიმი ქალბატონი მეგი**

## უცნობი პუტინი




**არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა წიგნი „უცნობი პუტინი“. წიგნში მოთხრობილია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი ცხოვრების და სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებზე მუშაობის დროს მის მიერ განხორციელებული პროექტების, ქვეყნის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების, აგრეთვე, ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ.**

**ვლადიმერ პუტინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის“ და „ბესტსელერის“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში“.**




საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894